

114
1945/2



მნათობი

2-3

თბილისი
1945



მნათობი

სრულიად - საქართველოს საშქითთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საბოტაგეოზურივ-საპოლიტიკო
ქურნალი

წელიწადი მეოცდაორე


120307
4044

2-3



19

თბილისი — მარტი
სახელმწიფო



საკრედიტო კოლეგია

აბაშიძე ირაკლი
ასათიანი ლევან
ბამსახუჩაძე კონსტანტინე
ქალაძე კარლო
გაბაშვილი ალიო (პ/შგ. ტელექტორი)
მოსაშვილი ილო
ტაბიძე ვალახტიონ
ჭიაჩელი ლეო
შენგელაია დემნა

ბელმოწერილია დასაბეჭდად 6/IV-45, ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12 ფ.
შეკვეთის № 450. შპ 01457. ტირაჟი 4700.

საბეჭდამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი ფორესის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: ბაჩაშკის № 13, მწერილოთა ქვეშარი. ტელეფ. 3-04-64.

გრიანება უბაღესი მთავარსაგანისა

1945 წლის 23 თებერვალი № 5 ძალაში



ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჯანტებო, ოფიცრებო და გენერლებო! დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ წითელი არმიის არსებობის 27-ე წლისთავს.

დიდი ლენინის მიერ უცხოელ დამპყრობთა თავდასხმისაგან ჩვენი სამშობლოს დასაცავად შექმნილმა და ბოლშევიკური პარტიის მიერ გამოზრდილმა წითელმა არმიამ თავისი განვითარების სახელოვანი გზა განვლო. მან ღირსეულად გაამართლა თავისი ისტორიული დანიშნულება და სამართლიანად ითვისება საბჭოთა ხალხის საყვარელ პირმშოდ. სამოქალაქო ომის წლებში წითელმა არმიამ მრავალრიცხოვანი მტრებისაგან დაიცვა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო. გერმანელთა შემოსევის წინააღმდეგ სამამულო ომის დიდ ბრძოლებში წითელმა არმიამ საბჭოთა კავშირის ხალხები იხსნა გერმანულ-ფაშისტური მონობისაგან, დაიცვა ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა და დაეხმარა ევროპის ხალხებს გერმანიის უღლის დამხობაში.

წითელი არმიის 27-ე წლისთავს ჩვენ ახლა ვეგებებით მტერზე ახალ ისტორიულ გამარჯვებათა ვითარებაში. წითელმა არმიამ არა მარტო გაათავისუფლა ჰიტლერული სიბილწისაგან მშობლიური მიწა-წყალი, არამედ მრავალი ასეული კილომეტრითაც უკუაგდო მტერი იმ ზღუდეებიდან, რომლებიდანაც გერმანელები ავანაჯურად დაესხნენ თავს ჩვენს ქვეყანას, ომი გადაიტანა გერმანიის ტერიტორიაზე და ახლა ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად წარმატებით ამთავრებს გერმანულ ფაშისტთა არმიის განადგურების საქმეს.

ამა წლის იანვარში წითელმა არმიამ მტერს თავს დაატეხა უმაგალითო ძალის დარტყმა მთელს ფრონტზე ბალტიიდან კარპატის მთებამდე. მან 1.200 კილომეტრ სიგრძეზე შემუსრა გერმანელთა მძლავრი თავდაცვა, რომელსაც ისინი მთელი რიგი წლების განმავლობაში ჰქმნიდნენ. შეტევის მსვლელობაში წითელმა არმიამ სწრაფი და უნარიანი მოქმედებით მტერი უკუაგდო შორს დასაეღეთისაკენ. საბჭოთა ჯარებმა შეუპოვარი ბრძოლებით წაიწიეს წინ აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრებიდან ვისლის ქვემო წელამდე — 270 კილომეტრით, ვისლაზე მდებარე პლაცდარმიდან ვარშავის სამხრეთით მდინარე ოდერის ქვემოწელამდე — 570 კილომეტრით, სანდომირის პლაცდარმიდან გერმანული სილეზიის სიღრმეში — 480 კილომეტრით.

ჩვენი ზამთრის შეტევის წარმატებებმა უწინარეს ყოვლისა ის გამოიწვიეს, რომ ჩაძფუშეს დასაეღეთში გერმანელთა ზამთრის შეტევა, რასაც მიზნად ჰქონდა ბელგიისა და ელზასის დაპყრობა, და საშუალება მისცეს ჩვენი მოკავშირეების არმიებს თავის მხრივ შეტევაზე გადასულიყვნენ გერმანელთა წინააღმდეგ და მით თავიანთი შეტევითი ოპერაციები დასაეღეთში

შეთანხმებინათ წითელი არმიის შეტევითი ოპერაციებისათვის აღმოსავლეთში.

1945 წლის იანვარ-თებერვალში 40 დღის შეტევის მანძილზე ჩვენმა ჯარებმა გერმანელები განდევნეს 300 ქალაქიდან, ხელთ იგდეს 34 მლნ სამხედრო ტანსაცმელი, რომლებიც ამზადებენ ტანკებს, თვითმფრინავებს, საჰაერო-გულსა და საომარ მასალას, დაიკავეს 2.400-ზე მეტი სარკინოგზო სადგური, ხელთ იგდეს 15.000 კილომეტრზე მეტი სიგრძის რკინიგზების ქსელი. ამ მოკლე ხნის განმავლობაში გერმანიამ დაკარგა 350.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი ტყვეთა სახით და სულ მცირე 800.000 მოკლულთა სახით. ამავე პერიოდში წითელმა არმიამ მოსკო და ხელთ იგდო გერმანელთა დაახლოებით 3.000 თვითმფრინავი, 4.500-ზე მეტი ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, სულ მცირე 12.000 ქვემეხი.

ამის შედეგად წითელმა არმიამ მთლიანად გაათავისუფლა პოლონეთი და ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, დაიკავა ბუდაპეშტი და ომიდან გამოიყვანა, გერმანიის უკანასკნელი მოკავშირე ევროპაში — უნგრეთი, დაიკავა აღმოსავლეთ პრუსიისა და გერმანული სილეზიის უმეტესი ნაწილი და გზა გაიკაფა ბრანდენბურგში, პომერანიაში, ბერლინის მისაღვამებისაკენ.

პიტლერელები იკვებნიდნენ, რომ ას წელზე მეტია მტრის არც ერთი ჯარისკაცი გერმანიის ფარგლებში არ ყოფილა და რომ გერმანიის არმია ომობდა და იომებს მხოლოდ სხვათა მიწა-წყალზე. ახლა გერმანელთა ამ ტრაბახს ბოლო მოეღო.

ჩვენი-ზამთრის შეტევამ დაგვანახა, რომ წითელი არმია პოულობს ახალ და ახალ ძალებს სულ უფრო რთული და ძნელი ამოცანების გადასაჭრელად. მისმა სახელოვანმა მეომრებმა ახლა ისწავლეს მტრის განადგურება და მოსაობა თანამედროვე სამხედრო მეცნიერების ყველა წესის მიხედვით. თავიანთი დიადი განმათავისუფლებელი მისიის შეგნებით აღფრთოვანებული ჩვენი მებრძოლები გვიჩვენებენ გმირობისა და თავდაღების სასწაულებს, უნარბიანად ახამებენ მამაცობასა და შემართებას ბრძოლაში თავისი იარაღის ძალისა და ძლიერების სრულ გამოყენებასთან.

წითელი არმიის გენერლები და ოფიცერები ოსტატურად უხამებენ მძლავრი ტექნიკის მასირებულ დარტყმებს ოსტატურსა და სწრაფ მანევრს. ომის მეოთხე წელს წითელი არმია უფრო მტკიცე და ძლიერი გახდა, ვიდრე ოდისმე იყო. მისი საბრძოლო ტექნიკა კიდევ უფრო სრულყოფილი, ხოლო საბრძოლო ოსტატობა ბევრად უფრო მაღალი გახდა.

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ოფიცერებო და გენერლებო! ახლა გერმანელებზე სრული გამარჯვება ახლოა. მაგრამ გამარჯვება არასოდეს არ მოდის თავის თავად — იგი მძიმე ბრძოლებში, შეუპოვარ შრომაში მოიპოვება. განწირულ მტერს ბრძოლაში გამოჰყავს უკანასკნელი ძალები, სასოწარკვეთით გვიწევს წინააღმდეგობას, რათა თავიდან აიცილოს მკაცრი შურისგება. იგი ებლაუტება და ქულავაც ჩაებლაუტება ბრძოლის უალრესად უკიდურეს და საზიზღარ საშუალებებს. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რაც უფრო ახლოა გამარჯვება, მით უფრო დიდი უნდა იყოს ჩვენი სიფხიზლე, მით უფრო ძლიერი უნდა იყოს ჩვენი დარტყმები მტრისადმი.

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის სახელით მოგესალმებით თქვენ და გილოცაეთ წითელი არმიის 27-ე წლისთავს!

საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ მოხდენილი წლის განმავლობაში მოპოებულ დიად გამარჯვებათა აღსანიშნავად,

გზრძანება:

დღეს, 23 თებერვალს, წითელი არმიის 27-ე წლისთავის დღეს 20 საათზე მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალბით მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, პეტროზავოდსკში, ტალინში, რიგაში, ვილნიუსში, კიშინიოვში, თბილისში, სტალინგრადში, სევესტოპოლში, ოდესაში, ლეოვში.

გაუმარჯოს ჩვენს ძღვევამოსილ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს ძღვევამოსილ სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი

საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

ალექსანდრე აბაშელი

ნითაც აკრძას

ჩვენი ქვეყნის დიდო ბურჯო, ძალაც გასაკვირველო,
სახელოვან გმირთა შორის რჩეულო და ბირველო!

ვინ გამოსთქვას საოცარი შენი ბრძოლის დიდება?
შგონის კალამს მზე წვეთივით როგორ დაეკიდება?

რომელ სიტყვას შეუძლია შენი საქმე აჰსახოს,
შეინახოს შენი გრგვინვა და მომავალს გასძახოს?

რომელ ლექსში ჩაეტევა, რომელ წყობილ ამბავში
შენი დროშის ელვარება, შენი ბრძოლის განგაში?

ძიებრძვი და მიბგუგუნებ გამარჯვების დაფითა,
შენმა ელვამ ცა გააპო, შავი ნისლი დაფლითა.

გაუგონარ ბრძოლის ცეცხლში სახელს იხვეპ უდიდესს.
ომის გრგვინვა ვის სმენია, შენს ქუხილს რომ უდრიდეს?

მთელს ევროპას განახლების შექად გადაჰფენია
შენი ბრძენი მხედართმთაერის სხივნათელი გენია.

შენ განგმირე გველესაპი, ჩვენს მიწაზე ნათრევი,
წამორეცხე დედის კალთას გველის ამონანთხევი.

მტერს დაებნა გზა და კვალი უიმედო ზრუნვაში,
გმინავს მხეცი დაკოდილი მისს საკუთარ ბუნავში.

გერმანიის ცას შეეხო ფრთები შენი არწივის,
ვოლგის ქარი მრისხანეზით ოდერის წყალს დასწივის.

შენი ცეცხლი დასტრიალებს, შენი ხმალი განაგებს
გერმანიის მდინარეებს, სოფლებსა და ქალაქებს.

შენ ოდერიც გადალახე, შპრეეს უახლოვედბი.
მტერი ელის შენს განაჩენს ძრწოლითა და გოდებით.

არ დაინდო უწმინდურთა არც მიწა და არც ზეცა,
ჩვენი ცრემლი, ჩვენი სისხლი აზღვევინე ასეცეად,

რომ ამ წმინდა შურისგების მკაცრი გამგედლობა
შეშის ზარად გადაეცეს მტრის მომავალ თაობად!

საბჭოთა კავშირის გმირს დავით ბაქრაძეს



დედამ მაშინ გიმღერა მამაბაბის ანდერძი,
როცა აკვანს გირწევდა წინაპართა ბინაში.
სადაც წახველ, თან ვაგვეა ქართლის შარავანდელი,
წმობელ მიწას იცავდი მებრძოლ უკრაინაში.

შენ მტრის გარემოცვაში დარჩი ამ ქვეყანასთან
და ცრემლიან თვალებში შეანათე იმედი.
სადაც მტერი მძლავრობდა, იქ დაპყრავდი ანაზღად,
სადაც მტერი კენესოდა, შენ იქ გაიღიმებდი.

შენ ვეფხურად იბრძოდი და შენს ყოველ დაკვრაზე
შავად იფერფლებოდა მტერი ცეცხლმოდებული.
ორი ელვა ბრწყინავდა — კოეპაკი და ბაქრაძე,
ორი ხმალი, მტრის თავზე ერთად აელვებული.

და ეს ორი მარჯვენა, ბრძოლის ცეცხლში წრთობილი,
ორი დაფნის გვირგვინი, ორი გმირის სახელი,
არის ხალხთა საერთო განსაცდელში შობილი,
ორი ქვეყნის განუყრელ ძმობის გამომსახველი.

იქ, შეეჩინკოს მიწაში, სძინავს ქართველ პოეტსაც,
შესდგებოდი უთუოდ შენ იმ წმინდა საფლავთან.
აღბათ შენს გულს მგზნებარეს მეტი სიმზნე მოეცა,
როცა შენი მახვილი იქ მტრის ურდოს ჰკაფავდა.

შენი ოთფის გრიალი და ქართული ძახილი
გურამიშვილს სწვდებოდა აღბათ კუმოს ფიცრამდი.
შენ დიდებით შემოსე შენი ქვეყნის სახელი,
შენ ლიდ უკრაინაში პატარა ქართლს იცავდი.

მტერს მრავალჯერ აგემე რისხვა პარტიზანული,
წინ უძღოდო გმირთა რაზმს მუდამ ხმალამართული.
ასახელე გმირობით საყვარელი მამული,
ნათლად გამოაჩინე ვაჟკაცობა ქართული.

ვინც მოხუცებს და ბავშვებს ყაჩაღურად ესხმოდა,
დაპყარი და მისდიე მის უწმინდურ მიწამდი.
დნებრის წყალთა ჩქრაღალში მტკვრის დუღუნი გესმოდა,
გმირულ უკრაინაში საქართველოს იცავდი.

ასრულებდი პირნათლად ფიცით ნათქვამ პირობას,
საქართველოს მოსიხსლე ელიტე უკრაინაში.
დღეს ორივე ქვეყანა შენ გილოცავს გმირობას,
ვალმოხდილი შეილი ხარ ორთავე ხალხის წინაშე.

ნიგნოსაცავში



როგორც ტაძარში, შემოვდივარ აქ მოწიწებით,
სადაც წინაპართ დიდი სიბრძნის შუქი ანთია,
რამდენი თავი შეუშოსავეს ამ შუქს დიდებით,
რამდენი ბნელი უმეცრება გაუფანტია!

რჩეულ აზრების და გრძნობების სალარო დიდი
საევეა სიტყვის ფერადოვან ძვირფას თვლებითა.
ყოველი წიგნი ზის ბუდეში, მტრედით მშვიდი,
შეარხვე — ელვას გამოანთებს გაშლილ ფრთებიდან.

და როგორც სკაში ითაფლება ყვავილთ ნექტარი,
ფუტკრის მანანად უჯრედებში მოოქროვილი,
ისე იზრდება ხალხთა სულის ნამოქმედარი
და ათას წიგნში ინახება აქ მოგროვილი.

თუ პოეტის შუბლს ქვეყნის მაღლი გნდაეფინა,
იმაზე უფრო დიდი ჯილდო მან რა ინატროს,
რომ მისმა სიტყვამ იქ იპოვოს ბრწყინვალე ბინა,
სადაც მსოფლიოს უნათლესა აზრი ბინადრობს!

ეს არის ჩემთვის სანატრელი და სანუკვარი:
რომ დაეწყების შავი ღამე ვერ მოშერიოს,
ამ დიდ ტაძარში ჩემიც ენათს ერთი სანთელი,
მე სიბრძნის თაფლში ერთი წვეთი ჩუქავ ვრაოშ.

27 ნოემბერი, 1944 წ.

აბრეშუმის ქახანაში

შეგობრებო, რა-რიგად მიხარია,
დღეს რომ თქვენთან საზეიმოდ მოველი.
პოეტი ხომ სიტყვის ფეიქარია,
აბრეშუმის შაირების მქსოველი!

შეწყობილად წკრიალებენ დგიმები.
მანქანაა თუ ჩონგურთა კრებული?
ანათებენ აბრეშუმის სიმები,
ქღერს ჩანგივით დაზუგ ამღერებული.

ძაფებს შუა მაჭოს მკვირცხლი ტრიალი
 მგონის კალმის რხევის შესადარია.
 ჩანვხეც ისმის აბრეშუმის შრიალი,
 პოეტი ზომ სიტყვის ფეიქარია!



ჩონგურივით ღულუნებენ დაზგები
 და სამშობლოს გამარჯვებას მღერიან.
 მეც მათ შორის ჩემის ჩანგით დავდგები,
 ეგ სიმღერა ჩემს გულშიაც სწერია.

მეგობრებო, გულსაც ის უხარია
 და თქვენთანაც დღეს იმიტომ მოველი,
 რომ პოეტი სიტყვის ფეიქარია,
 აბრეშუმის შაირების მქსოველი.

24 ნოემბერი, 1944 წ.

გორგასღანის თასი

1

193... წლის სექტემბრის ერთ ნაშუადღევს საბარგო ავტომობილი, ჩვე-
ულებრივი, ვით სხვა მრავალი ავტომანქანა, რომელსაც ყველგან შეხედე-
ბით ჩვენი ქვეყნის გზატკეცილებზე და რომელიც მხოლოდ ღმერთმა იცის,
მშვიდობიანად მიგიყვანთ თუ არა დანიშნულ ადგილას, ქალაქ სავანეს მოუხ-
ლოვდა.

ერთ ახალგაზრდა მგზავრს სიხარულის ხმა აღმოხდა, როცა უკანასკნელ
გადასარბენზე აღმართის წვერიდან ხევში ჩაბუღებული ქალაქი დაინახა.
ეს ამოძახილი შესაძლოა გამოიწვია ნანატრ სავანეს გამოჩენამ, ან და
უფრო იმ სიხარულმა, რომ ბოლო ეღებოდა ბენზინიან საარკოფაგით გაწა-
მებულ მგზავრობას.

სანამ მანქანა ხვეული გზით დაბლობისკენ მიგორავდა, მგზავრებს საკ-
მაო დრო ჰქონდათ ეცქირათ სავანესთვის, რომელიც ჯერ კიდევ ამ ალი-
ონზე მათ ოცნებას შეადგენდა. ეს იყო მთებით შემოსაღრული პატარა
ქალაქი, რომელსაც ცალმხარეს ჩქარი მდინარე ჩაუდიოდა. ქალაქის ცენტ-
რი კიკნა ველზე იყო გაშენებული და რდგან ქალაქს გაფართოების სხვა
შაშუალება არ ჰქონდა, ამიტომ გორაკებს ეპოტინებოდა, ფერდობებზე
აცოცხებულიყო და მუხნარით დაბურულ მდლობებზე ქორის ბუდეებით
ჩაედგა ალაგ ხისა და ალაგ აგურის სახლები.

ავტომობილმა გადაიარა ხიდი და ქალაქის დასაწყისში შეჩერდა. ორი
მგზავრი — ერთი ახალგაზრდა, ხოლო მეორე ხანშესული მანქანიდან გად-
მოვიდა. შოფერს ფული მისცეს. ზოგი საპირი ცნობა გამოკითხეს და ცენ-
ტრისკენ მიმავალ ქუჩას დაადგენ.

ხანშესული მგზავრი მოქალაქე თავჩაღუნული მიამიჯებდა. უგუნებოდ
იყო ხანგრძლივი მოგზაურობით დაღლილი. რა დასთვლის რამდენ აღმართ-
ზე და დაღმართზე ანჯღრია მანქანამ მისი ფაფუკი ტანი, გარშემო ერთხე-
ლაც არ მოიხედა, თითქო უფრთხრდა დაენახა, თუ სად გადმოისროლა
ბეღმა. ხოლო მეორე მგზავრი, შუატანის ქერათმიანი ახალგაზრდა, უმაღვე
გამოცოცხლდა, როგორც კი ფეხი მოიდგა საიმედო მიწაზე. ის ცნობისმო-
ყვარეობით თვალს ავლებდა ჯერ უცნობ გარემოს. ახალგაზრდას მოსწონდა
აქაურობა. მას უნდოდა გაეზიარებინა თანამგზავრისთვის თავისი აღტაცება,
მაგრამ კარგად იცოდა მისი ხასიათის ამბავი და ამიტომ მუნჯად მიჰყვებოდა.

გარემო ქვეყანა ხშირად იმის მიხედვით ფასდება, თუ ვინ რა თვალთ
შეხედავს. მაგალითად მიზანტრობს ყველაფერი უღირსი ეჩვენება. ის ამჩ-

წევს მხოლოდ ორ ფერს — თალხსა და ნაცარს. ვერ განუსხვავებია მზიანი დღე დანისლელისგან და აპრილის მზიარული მწვანე — მეთოტლოქის მელანქოლიური სიყვითლისგან. ყველაფერში მხოლოდ სიმპინჯესა და ხრწნას ხედავს. მისმა გულმა არ იცის სიხარული, არ იცის, რა სიყვარული, ის თითქმის ყოველთვის ერთ დონეზეა, ყველაფერს უღრებს და ამიტომ მისგანაც ყველა და ყველაფერი ილტვის. მისგან სამუდამოდ დაფარულა ქვეყნიური მშვენება და რამდენიც არ უნდა ეცადო ჩააგონო, ის მაინც ვერ გაიგებს და მაინც იტყვის, რომ ყოველივე არის ამაო. ბრმა ვერ დაინახავს მზის ბრწყინვლებას და ეთერის სიღურჯეს. უშედეგოდ დარგავთ მშრალ სილაში ცხოვრების ხეს, სიცარიელეში ვერაფერი ვერ იხარებს.

სულ სხვაა ხალისიანი ბუნების ადამიანი. მას ახარებს ყველა კეთილი გამოვლინება ადამიანში და ბუნებაში. ის ცოცხლობს იმით შთაგონებული, რომ კეთილი და მშვენიერი ბევრად მეტია ბოროტზე და მ.ხინჯზე. შენივე გული უნდა ატარებდეს სიყვარულს, თუ გინდა იგრძნო ქვეყნის სიკეთე. შენს სიყვარულზე ქვეყანა სიყვარულითვე გიპასუხებს და ყველა თავის ფასდაუღებ განმს გადმოგცემს.

მგზავრებმა საკმაო მანძილი გაიარეს და ადამიანი ჯერ კიდევ არ შემოხვდათ. ერთ ადვილას მდინარის მხრიდან მხოლოდ ბატები ამოვიდნენ, ქუჩა გადასერეს და პირდაპირ ეზოში შევიდნენ. დაინახეს კიდევ მართოდ მომავალი თხა. ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებულიყვენენ ლელვის, უნაბის, ვაშლისა და ალვის ხეებით დაჩრდილულ ეზოებში ჩადგმულ ხის დაბალი ოდეები და ალაც ორსართულიანი აგურის ახალი სახლები. ყველა ხის შენობა ერთობ გავდა ერთიმეორეს, ხოლო აგურისა ერთმანეთისაგან კიდევ უფრო ძნელი გამოსარჩევი იყო. მოქალაქეთა ერთმანეთის წამხედურობით, თუ რაღაც სხვა მიზეზით, ყველა სახლს, ქუჩის მხრიდან ერთნაირი რკინის ჭიშკარი ჰქონდა და ყველა ჭიშკარი ცისფრად შეღებილი იყო.

სურათი ეუცრად შეიცვალა, როცა ქალაქის შუაგულს მიუახლოვდნენ. დაინახეს ასფალტი, სავაჭროები, ჩაიქროლა ავტომობილმა, ჩაიბრიგინა ეტლმა. გამოჩნდნენ მოქალაქენიც.

ვინაიდან ქალაქი ბატარა იყო, ხოლო შემხედური მოქალაქენი თავაზიანად და დაუზარებლად აძლევდნენ ბასუხს, უცხო მგზავრებმა გაიარეს მოედანი და მალე სასტუმროსაც მიადწიეს.

თბრობის შესამოკლებლად გამოეტოვოთ იმის აღწერა, თუ როგორ ეღირსენ ოთახში შესვლას. მხოლოდ ორიოდ სიტყვით, რომ მცირეოდენი წარმოდგენა ეტყონით იქაურ სასტუმროზე და წესებზე გავიხსენოთ თუ რა მოხდა იმ წუთამდე.

კანტორაში, სადაც მგზავრები პირველად შევიდნენ, ხნიერი დედაკაცი დაუხვდათ. დაინახეს დედაკაცი სკამზე ჩამოშჯდარი ყვინთავდა, თუმცა თვალები სანახევროდ გახელილი ჰქონდა. დაინახა თუ არა მან ჩემოდნებით შემოსული უცნობი მამაკაცები, რაღაც გაუგებარი წაბურტყუნა, ამოხვრით წამოღგა და ჯერ კიდევ ბურანში მყოფი, კანტორიდან გავიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ დედაკაცი დაბრუნდა. ისევ თავის სკამს მიადურა, ჩაჯდა და ყვინთი განაგრძო. ყვინთავდა და თან ბურტყუნებდა:

— გინდ უთხარი, გინდ არა... სანამ არ მოივუნებებს, მაინც არ მოვაფეხებზე ჰკიდია მომსლეული და წამსლეული...

ვერაფერი სანუგეშო იყო მისი ეს ბურტყუნი. მგზავრები მახვდენ ვის უსაყვედურებდა დედაკაცი. თითონაც უკმაყოფილო იყვენ, რომ დიდხანს უხდებოდათ სიცხისაგან შეხუთულ ოთახში ლოდინი, მაგრამ რადგან სხვა საშველი არ იყო, მოთმინებას რჩებოდნენ.

შემოდგომის მკბენარი მზითა და მკბენარი ბუზებით შეწუხებულებმა ეს იყო დერეფანში გასვლა დააპირეს, როცა კარი გაიღო და შემოვიდა მაღალი, მსუქანი, სახეწითელი მამაკაცი, მკერდი მოღვლილი ჰქონდა, ხოლო ტრეტველი ფეხები ქუსლწათელილ ფლოსტებში გაეყარა. გვერდით მოსდევნენ საქმაოდ გადაჯიშებული შპიცი და წითლად ქოჩორშედებილი ყოჩი. მამაკაცს შეჰოჰყვა კიდევ ღვინის და ნიორის სუნი.

— მობრძანდა ვაუბატონი, — წაიდუღუნა დედაკაცმა, — მაღლიანო, სადა ხარ აქამდე?

მგზავრები მიხვდნენ, რომ ეს უცნაური მამაკაცი სასტუმროს გამგე იყო. დედაკაცის სიტყვებმა გამგე შინც ვერ აჩქარა. მან ერთხანს ოთახში იბორიალა, შემდეგ კი ძაღლსა და ყოჩს მიმართა:

— რაღა გინდათ, ცუგარუმელებო, რას ცმუქავთ? ჰო, რაო? გასვით, გაქამეთ, ქვეყანაზე საზოგადოება მიცდის აგერ... — შპიცს პურის ნატეხი გადაუგდო, ყოჩს შუბლზე მოთხანა და ბოლოს მგზავრებს მიმართა: — ოთახი გნებავთ, არა? მიბოძეთ პასპორტები?

მგზავრებმა პასპორტები გადასცეს.

— გორდაძე გივი ნიკოლოზის-ძე... 24 წლის... ქართველი... — იწერდა სასტუმროს დავთარში და ყოველ ჩაწერილ სიტყვას ხმამაღლა იმეორებდა. — თქვენი საბუთი? — ხელი გაუწოდა შემდეგ ხანშესულ მგზავრს.

პასუხის მაგიერ უკანასკნელმა ნერვიულად გადახედა.

— მაბატოე, ჩემო კეთილო, აგერ მქონია? — მოიბოდიშა გამგემ. — არ გეწყინოს შენი სულის ჰირიმე. გონება ამირიეს ამ ცხოველებმა. ამათ გადამიკდე დავიბენი კაცი ცხოვრებაში... ტულუში გაბრიელ ალექსის-ძე... გაბრიელ ალექსის-ძე... ერთობ სასიამოვნოა... მობრძანებთა თქვენითა გააბარეთ გული ჩვენი, — დაამთავრა მხიარული ამოძახილით, როცა მეორე პასპორტიდანაც ყველა საჭირო ცნობა დავთარში გადაიწერა.

შპიცი და ყოჩი უეცრად რატომღაც წამოიშალნენ და საჩხუბრად განემზადნენ.

— არ გაბედოთ, — შეშამ ბზრიალი დაიწყო, ისე აღრიალდა გამგე და როცა გაბრაზებულმა მაგიდას მუშტიც დაახალა, ბუზების მთელი დასტა აფრინდა და ოთახში დატრიალდა. — ეხლავე თქვენს ადგილზე, პარად ალექსის ამის გაგონებაზე შპიცი მოიკუნჩხა და კუთხეში ჩაცუტკდა, ხოლო ყოჩმა პატრონის ფერხთით მოიკალათა, ახლა ჩუმად იწვენ, მაგრამ ერთმანეთს თვალს არ აშორებდნენ, გადაარაჯებული მიჩერებოდნენ. ცხადი იყო, რომ ისინი ერთმანეთს არ მეგობრობდნენ.

როცა ცხოველები მილაგდნენ, სასტუმროს გამგემ ისევ მგზავრებს მიმართა:

— მაშ ეხლა ოთახი უნდა მიიღოთ... კეთილი და პატიოსანი... — სთქვა და დედაკაცს უთხრა: — მეშვიდე ნომერი პასაჟირებს.

დედაკაცი ზანტად წამოდგა და დერეფანში გავიდა. გამგემ ხალისიანად შეხედა მგზავრებს.

— ლუქსი გახლავთ, ბატონებო. თქვენსავეთ განათლებულ ადამიანებს-
ოთახიც საკადრისი უნდა ექნეს.

გივი გორდაძემ ის იყო დააპირა მადლობის თქმა, როცა უკრად ისევ
აიშალნენ ძალი და ცხვარი. შიშით ყველა და აპირებდნენ წყნარად ყოჩას,
ხოლო გაბრაზებული მოპირდაპირე ფლოქებს აბაკუნებდნენ და
მზად იყო მახეზარი მტერი რქებზე წამოეგო, მათ ჩხუბში სასტუმროს გამ-
გეც ჩაერია და კანტორაში ისეთი ხმაურა შეიქმნა, რომ გზავრებმა არჩიეს
საჩქაროდ გასცლოდნენ იქაურობას.

ლუქსი, რომელიც საცხოვრებლად ბედმა არგუნათ, საკმაოდ დიდი და
ნათელი ოთახი აღმოჩნდა. შიშით ყველაფერი ჩვეულებრივი იყო, სწორედ
ისეთი, როგორც ყველა პროვინციულ სასტუმროშია: რკინის საწოლები,
ცალმხარეზე ოდნავ გადახნილი და შუაში საგრძნობლად ჩაღრმავებული;
რამდენიმე სკამი, რომელზედაც სელი ჩაგლეჯილია; კარადა, რომელიც არ
იკეტება და ამავე დროს გაჭირვებით და ყურთასმენის წამლები კრიალრით
იღება; შაფერად შეღებილი ერთი მაგიდა, დაუქმებული პირსაბანი და
ბუმბულში გახვეული გადატყაული ძველი დივანი, რომელზედაც დაჯდომა
საშიშოც არის, რადგან ყოველი მხრიდან და ადგილიდან ქანგაინ ლურსმანს
თავი აქვს ამოყოფილი.

მოგზაურობას დაჩვეული გივი გორდაძისთვის ყველაფერი ეს ადრევე
ნაცნობი სურათი იყო და ამიტომ ყურადღებაც არ მიუქცევია. მხოლოდ
ერთმა გარემოებამ ჩააგდო საგონებელში: ოთახში დაინახა მესამე გაწყობი-
ლი საწოლი, ხოლო მის გვერდით გაცვეთილი ყვითელი ღერმანტინის ჩე-
მოდანი და ჩექმები.

ცხადი იყო, რომ ოთახში ვიღაც ბინადრობდა.

— აქ იძინებს ვინმე ჩვენს გარდა? — კითხა გივიმ დედაკაცს, რომელიც
მათ საწოლებს ზეწრებს უცვლიდა. — ჩვენი ოთახი ხომ ლუქსია?

— აქ, შეილო, ყველა ოთახი ლუქსია. — განუმარტა დედაკაცმა. — ფიქ-
რი ნუ გაქვს, არ შეგაწუხებს. პატიოსანი კაცია. ჩუმი, წყნარი, ღვინოს არ
სვამს. ისიც შენსავეთ სამსახურის საქმეებზეა ჩამოსული...

არ ეჭმანია გივის უცნობთან ერთ ოთახში დაბინავება, მაგრამ თავი იმით
ინუგეშა, რომ ერთი ან ორი დღის მეტი ამ ქალაქში მაინც არ დარჩებოდა.
გარდა ამისა ვინ იცის, იქნებ სასიამოვნო ადამიანთან შეხვედრას მოზა-
დებდა შემთხვევა, განა არ მომხდარა, რომ უცაბედი და ხანმოკლე შეხ-
ვედრა ხანგრძლივ მეგობრობათ ქცეულიყოს მომავალში?

წავიდა თუ არა დედაკაცი, გაბრიელი მაშინვე გაუხდელი მიეგდო სა-
წოლზე, თავზე პალტო წამოიფარა და გაისუღრა. გაბრიელი მიჩვეული იყო
იმას, რომ დღეისა და ხვალის საქირებებაზე ყოველთვის მხოლოდ გივი
ზრუნავდა. ამიტომ არც შეახსენა ახლავე შესდგომოდა საქმეს.

გივიმ საჩქაროდ გამოიცვალა საძვავრო ტანსაცმელი და ქალაქში
გავიდა.

რა უნდა იქნეს პროვინციის პატარა ქალაქზე უფრო თავისებური და
ამასთანავე სიმპატიური? ეს გახლავთ პატარა სამყარო, თითქმის დამოუკი-
დებელი და ყოველთვის განსაკუთრებული იერით მოსილი. ის აღარც სო-
ფელია და ჯერ კიდევ არც სულ ქალაქი. განსაკუთრებით გამოირჩევიან
თავისებურობით რკინისგზას დაშორებული პატარა ქალაქები. სოფლები

გარშემო ეკერის მათ და ბუნებასთან მჭიდრო კავშირში არიან. მოქალაქედ ფრიად ემჩნევათ მიდრეკილება სოფლური ცხოვრებისკენ. ყოველი სახლის წინ ეზოში დაინახავთ ხეხილს, საშინდისა და მხესუმზირას ღეროებს, რამდენიმე ვაზს, ქათმებს და თუ, ძროხას არა, მეწველ თხაწი მსხვილფეხელებს.

დიდ ქალაქში გახარებთ და ხანდახან ღირიულ განწყობილებას გიქმნით რომელიმე თუნდაც მკვლე ზეივანი ან სკვერი, შეხარით მწვანე ფოთლებით შემოსილ ხეს, ოცნებობთ თავი დააღწიოთ ასფალტს და ცხოველმყოფელ ბუნებას დაუკავშირდეთ. პროვინციის შორეულ ქალაქში კი ბუნება ისე მოკარბებულად არის, რომ პირიქით, სწორედ ასფალტით დაგებული მოედანი აგიშლით უნაზეს გრძნობებს. პირველი შთაბეჭდილება მისგან ისეთია, თითქო ვინმეს გასართობად დაუფარავთ მიწა ასფალტითა, თუმცა აქ აედარში თავს იყრის მადლობიდან წამოსული მრავალი ნაკადი და წვიმიან დღეებში ტბა დგება, ხოლო დარში ნალექი სილად იქცევა და შტვერის კორიანტელი სამუშის მსგავსად დატრიალდება ხოლმე, მაგრამ მაინც ვერავინ იტყვის, რომ ასფალტს აქ აზრი არ ჰქონდეს, ვინაიდან ეს ადგილი ცენტრია და სწორედ ამ მოედნის ირგვლივ ახლად აშენებულ ალაგ ორსა და ალაგ სამსართულიან სახლებში, მოთავსებულია ყველა მთავარი სახელმწიფო დაწესებულება, თეატრი, კინო, სპეციალური ტექნიკური და სავაჭროები. დიდსა და პატარა ქალაქს შორის სხვა განსხვავებაც არსებობს. რაიონის ქალაქს, და მათ შორის სავანეს, თავისებურ იერს აძლევენ უმთავრესად ის მკვიდრნი, რომელნიც იქ იბადებიან, ცხოვრობენ, შრომობენ და ხუცდებიან.

დიდ ქალაქში პროვინციელი ვერაფრით გაგაკვირვებთ. მაგრამ აქ, პატარა ქალაქში... ახ, რა არის ის თავის საბუღარში! მხოლოდ აქ იფურჩქნება მისი არსება, მხოლოდ აქ გადაიშლება მისი გული, ვით უცხო რამ ეგზოტიური ყვავილი.

არსად არ შეიძლება იყოს ადამიანი ისე კეთილი, როგორც აქ. დიდ ქალაქში ხშირად ის ნიღაბს ატარებს, ხოლო რაიონის პატარა ქალაქში ყველაფერი სააშკარაოზეა გამოტანილი და ადამიანს ხელდაც ისეთს, როგორიც ბუნებას შეუქმნია. ჰემშირიტად, ფერიული ქეღლაქია!

მაგრამ როგორ შეცდებით, თუ იფიქრებთ, რომ ამ თვისებათა გამო რაიონის ქალაქი არის გულუბრყვილო, დამყოლი და უნებისყოფო. პირიქით, ის მეტისმეტად თავისნება და ჯიუტია. მას ისეთი ძალა აქვს, რომ არა მარტო აბორიგენს დააჩენს დაღს, არამედ ზეგავლენას ახდენს იმათზედაც, ვინც თუნდაც მცირე ხნით მისი ცისქვეშ გაითევს და მისი ჰაერით ისუნთქავს. რაიონის პატარა ქალაქი ხანდახან დიდ სასწაულსაც ახდენს. მაგალითად, რა გინდ მაღალი რანგის წარჩინებული არ უნდა ესტუმროს, უკანასკნელი უშაღვე უბრალოვდება, ხდება ყველასათვის აღვილად მისაწვდომი, კეთილი და მრავალი ჩვეულებრივი ადამიანური თვისების მქონე. — თურმე სხვასავით კიდევაც სვამს, მღერის, ცეკვავს, კიდევაც ოხუნჯობს, იცინის და, ასე წარმოიდგინეთ, ძველი ნაცნობების სახელებიც კი ახსოვს.

ცხადია, ყველაფერი ეს ჩინებულია, მაგრამ მაინც ღმერთმა დაგიფაროთ ხანგრძლივად დარჩეთ იქ. რამდენიმე ხნის შემდეგ ისე შეგეჩვევიან, რომ ყველა ფამილარობას დაგიწყებთ. თვით უმრისხანეს არქისტრატტგოს მიქელ-გაპრიელსაც ვისი ცეცხლიანი მახვილი აზანზარებს ყველა მართლმორწმუნეს, თუ დარჩა ის საცხოვრებლად რაიონის პატარა ქალაქში სულ

მალე ისე ლიწინაურებენ, რომ ქუჩაში მიმავალს შეაჩერებენ და მის ცეცხლის/მახვილზე პაპიროსა მოუცილებენ.

ყველაფერი ეს სიმართლეა, მაგრამ რა საჭირო იყო ამასე ლაპარაკი? რა და აქვს ზოგიერთ ავტორს ცუდი ჩვეულება გაერიოს მოთხრობის მდინარე-ბაში და გმირის მაგიერ წარმოსთქვას სხვადასხვა აზრის მქონე მკვლევარ-სულაც არ ფიქრობდა ამ წუთში, როცა დაწესებულებაში სამუშაო დღე მიიწურა და საჭირო კაცის სანახავად მიეჩქარება.

გივი გორდაძემ გაიარა ორი თუ სამი ქუჩა და მალე მოედანზე გავიდა. მან თვალი მოავლო შენობებს, შეჩერდა და შეეცადა გამოეცნო, თუ სად იქნებოდა მოთავსებული ქალაქის საბჭო.

სწორედ ამ დროს შენიშნა ვიღაც ქალი, რომელიც მისკენ მოიმართებოდა.

შესაძლოა სულაც არ მოაქცევდა ყურადღებას, მაგრამ პირველადვე თვალი უნებურად მიიპყრო მისმა ავტორისფერმა კაბამ. შორიდან ქალი რაღაცათი ყაყაჩოს გავდა. ყოველ შემთხვევაში ასე ეჩვენა გივის.

ქალი სწრაფად მიაბიჯებდა. რაც უფრო ახლოვდებოდა, მით უფრო იპყრობდა ვაგის ყურადღებას. კაბა, რომელიც შემოკეროდა ქალის ტანს, უპრეტენზიოთ იყო შეკერილი, მაგრამ სწორედ ამ სისადავეში იყო მისი პრეტენზია. ეს აღნაგობა სხეული სრულიად არ საკვიროებდა ხელაყნურ დახმარებას, ქსოვილისაგან ის თითქო მხოლოდ იმას მოითხოვდა, რომ სავსებით მაინც არ დაემალა, რაც ბუნებას თავის სასახელოდ შეექმნა. შეგვერემანი სახეც ეშხიანი აღმოჩნდა, ხოლო ლოყებზე და ცოცხალ გამოხედვაში ჯანმრთელი ბუნების მთელი მადლი აღბეჭდოდა.

გივი გორდაძემ, როგორც კი გაუთანასწორდა ქალიშვილი, თავაზიანად მოიხადა ქედი, მოიბოდიშა და კითხვა:

— ვერ შეტყვიო, ქალბატონო, რომელ შენობაშია ქალაქის საბჭო?

ქალიშვილი შეჩერდა.

— აი იქ გახლავთ! — ანიშნა სვეტებიან დიდ სახლზე. ამასთანავე მან გაიშვირა იქითკენ ხელი ფრიალ ბუნებრივი გრაციოზულობით, რაც, რასაკვირველია, მაშინვე შენიშნა უკვე ნიხიბულულმა ქაბუკმა.

— მე აქ პირველად ვარ, და... — საუბრის გაბმა დააპირა გივიმ, მაგრამ აღარ დასცალდა.

ქალიშვილმა მხოლოდ ოდნავ შესამჩნევი ცნობისმოყვარეობით შეხედა უცნობ სახეს, მაშინვე მიტრიალდა, განაგრძო გზა და ვიდრე გივი მადლობის თქმას მოასწრებდა, მოსახვევში მისი ლანდიც მიეფარა.

ქაქმა თვალი გააყოლა დაცარიელებულ სივრცეს და შემდეგ, რაღაც ძალაშემატებულმა, ჩქარი ნაბიჯით ვასწია.

— ამ პატარა ქალაქისთვის მეტად დიდი ნიჭი და მადლია ასეთი არსება! — გერ კიდევ იმ ქალიშვილზე ფიქრობდა გივი, როცა საბჭოს შენობაში კიბეზე აღიოდა.

(გაგრძელება იქნება)

მ ზ ე ს

ხუთი ღღე წვიმდა. შენ არ ჩნდებოდი
და მომენტრა მე შენი სახე.
შენს შენახვედრად დილით ვდგებოდი,
ისე, ვით სატრფოს, გელოდებოდი,
რომ დამენახე, რომ დამენახე!..

და როცა ისევ გამოაშუქე, —
ჩემი მადლობით ამევსო გული,
რომ ასეთ მცირე სულდგმულს მანუქე
ამდენი ოქრო და სიხარული.

როს შენი დილა გამოგააცოცხლებს

დამილამდება, მაგრამ მე ვიცი,
ქალაქო ჩემო, რომ მომისვენებ,
გამათბობ შენი უწმინდეს მიწით
და დილის ნამით მკერდს გამისველებ.

დამილამდება, მაგრამ გაგხედავ
და გული ნაზად გაიშრიანებს,
რადგან, თბილისო, ქალაქო-დედავ,
ომის ქარცეცხლი არ დაგტრიალებს!..

როს შენი დილა გამოგააცოცხლებს
და სხივთა ნაძქერს ჰაერში აშლის —
გული სიხარულს ამოაცოცებს
და, როგორც ყვავილს, სახეზე გაშლია.



მოუკავი

წიგნიდან „ჯოჯოხეთური ანდაზები“.

დიდი ხნის ამბავია.

ოფლელების სიტყვით, დეკანოზ სერაპიონ ჩიჩუას ორი ძალი ჰყავდა. პირველი, მეჯორაგებისაგან წაყიდი; პატრონს სამზარეულოს ერდოსთან დაება გრძელი ჯაჭვით, რომლის ბოლო რგოლით იყო დამაგრებული ეზოს კარებამდე გაჭიმულ მავთულზე. ძაღლის მწვანედ მოკიაფე თვალე-ბი ყოველ წვრილმანს ამჩნევდენ ბაღში, ზოლო მგრგვინავე ყუფა მესობ-ლის შინაურ ფრინველსა და საქონელსაც კი აფრთხობდა. საკმარისი იყო რომელიმე სულიერი შეენიშნა ჩიჩუების ამ ერთგულ მცველს, რათა გამა-ყრუებელი ყუფა აეტეხა და გაათრებულს ერბინა ზეივანსა და სამზარე-ულოს შორის, თანაც მავთულზე მსრბოლი რგოლი ყურთასმენის წამლებ ხრჭილას ვამოსცემდა. ვეება ძაღლის მთლად აშეება საშიში იყო, რადგან მასპინძელთან მისულ სტუმარს ალყაფის კარებთანვე დაფლეთდა.

ძაღლს დაუზარებლად უვლიდა მამულისა და ბაღის მეორე მცველი—დე-კანოზის სახლში გაზრდილი ბარნა, რომელსაც სოფლელები მეტსახელად მოურავს ეძახდნენ. ჯაჭვიან ცხოველს ეძინა სწორედ მისი ოთახის წინ, იატაკზე საგანგებოდ დადგმულ და თივით საესე გრძელ ყუთში. იქვე, კედლის თავში ეკიდა ბატარა გალია, რომელშიაც მოურავის მიერ ბაზარ-ში ვინმე რუსისაგან წაყიდი თუთიყუში სთვლემდა. გაკვირებული ფრინ-ველი მხოლოდ მაშინ გამოპყოფდა ნისკარტს გალიიდან, როცა ძაღლი მძინვარებდა. ფრინველისა და ფხიზელი ცხოველის ერთბაში ყიქინა მა-შინ მთელ ეზოს იკლებდა: ინდაურები ძახილს იწყებდენ, ქათმები და იხვები აწრიალდებოდენ და შეჯგუფდებოდენ, გარეული ფრინველები დროებით სტოვებდენ ბაღს და ამ ორომტრიალს ამთავრებდა ჩიიკვის და-გვიანებული მოძახილი ეზოს რომელიმე კუთხიდან.

ბარნას არავინ უყვარდა, უტყვი მესობლები კი ართობდენ: მშფოთვა-რე ქოთაკი მას იატაკზე ფეხის კაკუნით აღვიძებდა (ძაღლი მკერდში იქე-ქებოდა), ზოლო მარტოხელა, მუდამ დაფიქრებული თუთიყუში ზოგჯერ ნისკარტს ჩასჭიდებდა იმ ნარს, რომელზედაც აჯდა და უცნაურად ტრია-ლებდა. ბარნას ყოველთვის აკვირებდა ფრინველის ეს ახირებული ჩეუ-ლება, თანაც ამყობდა, რომ სოფელში ასეთი ფრინველი არავის ენახა.

მოურავიც მარტოხელა იყო ე. მუდამ თავის ღვარძლიან ფიქრებში იქე-ჭებოდა. ოცდახუთი წლისა, ჯმუხა და მკერივი, კატასებზე უმოძრაო თვა-ლებით, ქოსა და დაბალ ბარნა უხმო ნაპოვნითა დგებოდა. ფრინველის ბალთებიან ტყავის ქამარს ატარებდა, ქამარზე ტყუილს ქარქაშინი დანა და სათუთუნე ეკიდა. ღიმილი არასოდეს ანათებდა მის წაყვავილულ სახეს.

საქართველოს მწერთა კავშირი



მოურავს არც სხვისგან ახსოვდა ალერსიანი შემოხედვა და სრული მოპყრობა. დეკანოზი გულზევადი კაცი იყო, ქალბატონი—შეირდავი, მეზობლები—მუხანათები. მორჩილებაში აღზრდილი ბარნა თავის ბოლომდე სხვებზე ანთხევდა. სოფელში ის ყველას სძაგდა ბატონისადმი ერთგულების გამო. ძალზე ფრთხილი იყო, რადგან მოურავის სამწყსო უფრო ვრცელი იყო, ვიდრე ჯაჭვით დაბმული ცხოველისა: ბარნა უვლიდა ვენახს, სადაც სამი ათასი ძირი ვაზი ხარობდა, ყოველ დღე მოინახულებდა ყანებს, ეზოს რომ მდინარის მხრით ერტყა, არ გამოეპარებოდა შემთხვევა, ვისმეს თუნდაც აკაციის ზმელი ტოტები მოეჭრა ფერდობზე შეფენილ ტყეში. მცენარეებში ხმაგაკმენდათ ჩასაფრებული უთვალთვალეზბა იგი ვინმე გაჭირვებულს, რომელსაც ჭდიდარი დეკანოზის მამულიდან შეშის ვატანა მოეწადინებია. სად იყო და სად არა, ბარნა უშალეე მოჩვენებასავით აღიმართებოდა მის წინაშე და ბატონის სახელით ისე დაემუქრებოდა, რომ დაუპატიებელი სტუმარი წელგაწყვეტილივით მილასლასებდა.

ან რომელი თავმოქმედებული განიზრახავდა ბატონის მამულის მცველს შექდაცებოდა: დეკანოზი მარაში გაელენიან პირად ითვლებოდა, ადვილად შეეძლო ქურდობაში დაკერილი სოფლელი რამდენიმე დღით შაინც დაეტუსადებინა. ბარნას ახარებდა ის გარემოება, რომ სხვები ხშირად უღრტვინველად იტანდენ მის ყვარილსა და მუქარას. აქი თვითონ ბარნაც სიტყვის შეუბრუნებლად ითმენდა დამცირებას და გულზევიადობას ბატონებისაგან. ჰო-და, აბა ვინმე გაჯიუტებულიყო! ისე, ხმამაღლა დაიკივლებდა, რომ სახლის აივანზე ნებიერად წამოწოლილ დეკანოზის ყურს მიაწვდენდა ხმას.

ბარნა გრძნობდა სოფლელთა საერთო საძულვილს, რომელიც ნისლივით გარს ერტყა, მაგრამ ცხოვრების გზაზე ეს ხელს სრულიადაც არ უშლიდა. მოურავს გულში ყველა აგინებდა, მეხვედრისას ყველა გაურბოდა. თვითონ ბარნა კუსავით წაიგრძელებდა კისერს და ბოროტი სიხარულით აღსავსე თვალებს გააყოლებდა ზურგშეკეციულ მეზობლებს. არ უყვარდათ, მაგრამ ხომ ერიდებოდენ?!

შემოდგომით მოურავს დიდი ჯაფა ადგა. ეს ის დრო იყო, როცა მოსავლის მოწვევა ახლოვდებოდა, ვაზის ყლორტებს ქარვისფერი მტევნები ამძიმებდენ, სიმძიღი მოსატეხი იყო, ქვევრები გამოსარეცხი, ბალის საშემოდგომო ხეხილი დასაქრეფი. ძალის ფხიზელი თეალი მხოლოდ ეზოს თუ გასწვდებოდა, ვენახი და ყანები კი მეორე მცველს ებარა.

ურთერთ ასეთ შემოდგომაზე მოხდა ის ამბავი, რომელმაც მოურავს ხასიათი შეურბილა და თითქოს უფრო უწყინარი გახადა.

ყურძნის კრეფა უნდა დაწყებულიყო. სოფელი ხარობდა ბარაჭიანი მოსავლით. საშემოდგომო ყვავილები დევიოდენ და სურნელს აკმევდენ. მეგრულ ღამეებში გაისმოდა გზიდან მომავალი სიმღერები ჩალვადრებისა ან გომბეშოების თავგანწირული ვნაისი მდინარის მხრიდან. თვითონ მდინარეს ახლა მწვანე ლეყები მოჰქონდა. ჩამორეკილ კაკლის შტოებს აჯღებოდენ ყვავები და სანამ კარგად მოთავსდებოდენ ზედ—ჩხაოდენ და ფრთებს არხევდენ. ახალი მთვარე, ეს ყვითელი და პაწია იალქანი, ნელა მიცურავდა ალვის ხეების კენწეროებზე, ხოლო ვარსკვლავებს წინანდებურად აერკოლებდათ.

კერას, გამთენიის უამს, მოურავი შეუმჩნეველად შევიდა ვენახში და იმ მესრების გასწვრივ ჩაიარა, რომელიც მდინარისა და წისქვილისკენ მიმავალ შუკას ემოჯნებოდა. ყურმნისათვის სწორედ აქედან მოიპოვებოდნენ ხოლმე შურდები ან ბაზარში მიმავალი მგზავრები, რომელთაც ვაჭრები შემოკლების მიზნით გალმიდან ამოდიოდნენ და დეკანოზისა და მკურნალთა უკუვლიდნენ.

მზე ჯერ არ ამოსულიყო, თუმცა პორიზონტს ოდნავ მკრთალი, ზაფრანისფერი ზოლი მიუყვებოდა. ვაზებს შორის, აქა-იქ, ვეებერთელა საფრთხობელები იდგა, ჩოხოსანთ ხის თოფები ებყრათ ხელთ...

ბარნა მხარწაფერდილი მიდიოდა ვაზებს შორის ისე, რომ ძეხორციელს არ შეეძლო მისი იქ ყოფნა შეენიშნა. მესრებთან მიახლოვებისას ერთი ვაზის ახლოს მიწვა და ვენახს ქვემოდან გახედა. ვაზის მსხვილი ძირები კარგად მოსჩინდნენ ბალახისაგან გულმოდგინეთ მოწმინდილ დედამიწის ზედაპირზე. ასეთს მდგომარეობაში მოურავი უქვევლად მოჰკრავდა თვალს ყოველ სულდგმულს, რადგან წყრთის სიმაღლეზე ფოთლები არაფერს ჰფარავდნენ კაცის თვალისგან.

ბარნა იცდიდა. ამ შემოდგომას ჯერ არ გაუმართლებია მისი ვარაუდი. შეიძლება დღესაც უქმად ჩაუვლიდა ლოდინი, მაგრამ სიფრთხილე მოითხოვდა იქვით ესაზრდოვნა. მოურავი ცოტა გაბრუებული იყო, წინა დამით ახლად შიზღილი არაფერი შეესვა და ლოჯინიდან სისხამ დილით წამომდგარი ცდილობდა არ ჩაეთვლინა. თუთუნის მოწვევა ეწადა, მაგრამ სუფთა და გამჭვირვალე ჰაერში მწვანეთ დაკლავნილ და ზეცისკენ მიმავალ ბოლს შეეძლო გაემხალა მისი ყოფნა ვენახში.

ირგვლივ მწიფე მტევენებისა და მზედაკრული შაბიამიანი ფოთლების სურნელი იყო დაფრქვეული. მოურავმა ერთი მტევენი ჩამოსჭრა ვაზს პატარა დანით. მაინც ძილისაკენ ეპარებოდა თვალი, თავს ძალა დაატანა. შუკაში ხალხს მიეჩქარებოდა საბაზროდ, ვიღაცა გაჯოუტებულ თხას მიდენიდა... მესრების ახლოს შაშვი შემოფრინდა, თავისებური ნახტომით მიუახლოვდა ერთ ვაზს, ჯერ რაღაც აქენკა, მერმე გადაციცებით მიმოიხედა, ისევ დაჰხარა ნისკარტი... ბარნას ერთხანს ართობდა ეს სანახაობა, მაგრამ როცა შაშვი ვაზის ყლორტზე შეფრინდა, ფოთლებში დაიმაღა და კარგა ხანს დააყოვნა, მოურავმა აიღო კენჭი და მისკენ ისროლა. შაშვი აფრინდა და ქახქახით ვენახის მეორე მხარეს მიაშურა.

„საფრთხობელებისაც არ ეშინიათ წყეულებს!“ — გაიფიქრა მოურავმა და კიდევ შეათვალიერა ვენახი, თანაც ისე ახამხამებდა ქუთუთოებს, თითქოს გაჭიანურებულ ზღაპარს ისმენდა ძილის წინ.

უცბათ ვაზების ერთი მწკრივის ბოლოს კაცის ფეხის მსგავსი რამ შენიშნა. ბარნამ დასჭიმა მზერა და ადამიანის მუხლი გაარჩია. აშკარა იყო: ამ დილას მისთვის არ უმტყუნია.

მოურავი ფრთხილად წამოდგა და უფრო ფრთხილად გაემართა უცნობისაკენ. ცდილობდა ფოთლებსაც არ გაჰკარებოდა, ისე უხზოდ და თავაზიანად იშორებდა ვაზის მწვანე ყლორტებს, როგორც აღერსით მოყირქებული მამაკაცი — საყვარლის მკლავებს. აფთარივით მისრიალებდა მიზანში არჩეული ახალი მსხვერპლისაკენ და შორიდან უვლიდა. საშიზნოსთან მიახლოვებისას ჩვეულებრივ კუსავით წაიგრძელა კისერი და უდიდესი ცნობისმოყვარეობით დააქებდა ვენახში შემოპარულის

ზურგს. ეს იყო ახმახი, ძალზე გამხდარი და მხრებში მოხრილი მოხუცი, რომელსაც დაკონკილი ტანსაცმელი და ასეთივე წილება ეცა წვივება ნახევრად შიშველი ჰქონდა, კეფა და თავი — მტვრიანი ქაღალდი დაფარული. იგი თითქოს ცოცხალ საფრთხობელად ამართულიყვნენ.

ბარნამ იცნო იგი და ცნობისმოყვარეობა გაოცებით შექცევალა: მის წინ იდგა სოფელში პატიოსნებით განთქმული გლახაკი მისა.

ამ უპატრონოს თავგადასავალი ყველამ კარგად იცოდა: ბავშვობისას ორი პატარა ძმა დასწვია საბძელში თამაშობისას; მშობლები დარდს გადაჰყოლიან, პატარა მისა ობლად დარჩენილა და სილატაკეს დაუბეჩავებია. ზრდიდა ქათმებს, ხელისგულის ოდენა ეზოში ხილი მოჰყავდა და ბაზარში ჰყიდდა. არავის აწუხებდა, ბედს არ უჩივოდა, არც მათხოვრობდა. გზაზე მუდამ თავჩაქინდრული და მხრებში მოხრილი დადიოდა. გამხდარ მუხლებს ნელი და მძიმე ნაბიჯის გადადგამდე იშვერდა წინ, მისალმებაზე ყრუდ ჩაიღუღუნებდა რასმე და ბაზრიდან ქვეითათ მომავალს თუ მიიპატრეებდნენ ურემზე, ერთი წუთით მაღლა ასწევდა თავს და პატივისცემის მოსურხის მხრებს გადაღმა მაცქერალი თითქოს სიერცეს უხდიდა ნაღვლობას. ურემზე მაინც არ ჯდებოდა, იხუე თავჩაქინდრული განაგრძობდა გზას.

და აი, ამ უწყინარ და უნოს წააწყდა მოურავი სრულიად მოულოდნელად. დახეთ ამ გლახას! ჭიანჭველას ფეხს არ აბიჯებსო და თურმე ჭერლობა დაუწყია!

ბარნა უფრო მიუახლოვდა ვენახში ჩამოსულს. მას გრძელი მკლავები ეკიდა მხრებზე, ვახს ჩასჭიდებოდა, მშვიდად ჰკრეფდა მტევნებს და აწყობდა დაწულ კალათაში, რომლითაც მიხას კვერცხი დაჰქონდა ხოლმე გასასყიდად.

მოურავს სიბრაზის ცეცხლი შემოენთო გულზე, თვალები გადმოჰაკლა და მკახედ დაუძახა:

— მისა!

ახმახის მხრები შეირხა, ხელები ძირს დაუშვა და ბალნით დაფარული მტუტისფერი სახე ნელა მოაბრუნა მოურავისაკენ. უწამწამო და ვიწროთ გაჭრილ ქუთუთებიდან მშვიდად იცქირებოდენ გამჭვირვალე, ნაცრისფერი და ცარიელი თვალები. ბარნა თითქოს შექმას უპირებდა და გამომწვევად მისჩერებოდა.

სტუმარი სდუმდა.

— გქ რა გინდა, შე უპატრონო! რამდენი ხანია ბატონის ვენახში დაიწყე სიარული?! შენს სიგლახეს ახლა ჭურლობაც მიუმატე? სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრებია, ოხრად გაჩენილო!.. — მკვინვარებდა მოურავი.

— ნუ ყვირი, ბარნა, სიყრმეს გაფიცებ! — მოისმა ჭერლის დამშვიდებული პასუხი. ის გაუნძრევლად იდგა და მიწას დასცქეროდა.

ბარნა შთლად გადაიოა ასეთმა პასუხმა, მზად იყო ყელში სწვდომოდა ჭერდს, მაგრამ ახმახის საოცარმა სიმშვიდემ განაიარაღა.

— ნუ ყვირიო?! გაეთრე მეტი, აქედან!.. — მოურავმა თვალი მოაგლო მესრებს და იმ ადგილს დაუწყო ძებნა, საიდანაც უნდა შემომძერალიყო მისა კარგად შემოღობილ ვენახში. უმაღლე შენიშნა იქვე, ველური შინდის ბუჩქებთან მიწიდან ამოდრობილი და გვერდზე გადაწეული მსხვილი მორი.

— შენ ამოაძვრე ეს მესერა?! — შეუტია ბარნამ მის წინ გაუნძრევლად მდგომს. — ა, უყურე, უყურე, სამი ძირი მთლად დაკრეფილია... მარტო ამ დილას კი არ შემოთრეულა ვენახში ეს ღვთის გლახა!..

— მე არ ამომიძვრია! — გაისმა ისევ მშვიდი და ხმაღამდონი მასუტჩი.

— რაო?

— არ ამომიძვრია! — გაიმეორა მიხამ. — ჩემი უმცროსი ძმების სახელს გეფიცები, ბარნა, მესერა არ ამომიძვრია და დღეის მეტად არც ფეხი დამიდგამს აქ. — თაჯაქინდრული განაგრძობდა ის. — შენც იცი, ქათმები ჭირმა გამიწყვიტა, ამ ოხერმა ქარმა ორი კვირის წინ უნაბი ჩამომიყარა და არაფერი დამრჩა გასაყიდი... ვიფიქრე, ორ-სამ მტევანს გავიტან დეკანოზის ვენახიდან და გზაზე ამ დიღობ სულს მოვიბრუნებ შეთქი... გალმა მივდიოდდი, ძიძვიშვილთან... შენს ბატონს არაფერი მოაკლდება, ბარნა, არ დამლუბო და არ უთხრა სერაპიონს... ვაი ჩემი სულის წაწყვედა, როგორ გამოგსულელდი ამ სიბერეში!.. — ყრუდ დაიგმინა მან.

ბარნამ იცოდა, რომ მიხა ტყუილისათვის არ დაიფიცავდა ძმების სახელს, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

— კაი აღრე კი ამდგარხარ საქურდაოდ! მერე, შე გლახაკო, ბატონისთვის გეთხოვას.. ენა არ ამორდგა ამ ზუნჯმა?! აქ მომე კალათი, დეკანოზს მიუტან და იმან დაგიბრუნოს! — და ხელი წაავლო კალათს, რომელიც ახმას ეჭირა.

— დეკანოზთან როდის მივსულვარ და ამის შემდეგ სულ როგორ გამოჩნდები შერცხვენილი თავით!.. — ამბობდა მოხუცი. — კალათს ვერ დავანებებ ბარნა, ა, ხომ ხედავ, ყურძენი აგერ ყრია... ნუ გამომაშინებ საქვეყნოდ, ნუ შემირცხვენ ჰალიარას!.. მაპატიე, ვაჟო, მშიერ-მწყურვალს, ჭკონდილის წმინდა გიორგის ხატს გაფიცებ, მაპატიე და მერე ჩემ ლანდს არ დაინახავ ამ მიდამოში... წისქვილშიაც არ ჩავალ ამ შუკით... ქვეყანა აქედან დაღის და ეინმე ამოაძრობდა მაგ მესერას!.. — უმტკიცებდა მიხა მოურავს და თან კალათს არ ანებებდა. ბარნა ანჯღრევდა მას და ახმასის მხოლოდ ზედა ტანი ირზეოდა ისე, თითქოს მიწაში ღრმად ჩარტობილ აფრთხობელას არყევნო.

— კალათს ხელი უშვი შეთქი, ყაძახის შვილო!

— არც შენ ხარ, ბარნა, დაღიას ჩამომავალი! — გაჯიუტდა მიხა, თავი ასწია და პირდაპირ სულში ჩახედა მოურავს წყვდიადიდან მაცქერალი, უმოძრაო თვალებით, შემდეგ ისევ მოღბა, თავი კვლავ ჩაქინდრა და გაწაგრძო: — არ შეფერის, ბიჭო, ჩემს წლოვანებას ეგ სიტყვა. შეგინდოს ქვეყნის გამჩენმა!

ბარნას აბრაზებდა ის, რომ ჩონჩხივით ამართულ ახმასს საკმაო ღონე აღმოაჩნდა. მოურავმა ისევ მოსწია კალათი, მაგრამ ვერაფერს გახდა. დაიწყო ბრძოლა. მიხა წელში მოიხარა და კბილებით ჩაებლაუჭა კალათს, — თავისი პატროსნებისა და სახელის შენარჩუნების მიზანი თუ შატებდა ძალას. ბარნას გაახსენდა თუთიყუში, რომელიც ნისკარტს ჩასკიდებდა ხოლმე ნარს და დიდხანს არ ეშვებოდა. მოურავს შეეძლო გაეცინა, მაგრამ ახლა სიცილის დრო არ იყო, მის მკერდს ღვარძლი აღრჩობდა. ბოლოს, როცა ვერაფერი გააწყო მთელი ძალით სახეში მუშტი შეშოპკრა წელში მოხრილს.

მიხა შეტორტმანდა, კალათა ხელიდან გაუვარდა და ზურგზე დაეცა ვაზს. ვაზი გადაიხარა. სასომიხდილმა არაჩვეულებრივი დაეღწია შეხედა მოურავს. მოხუცს სისხლი წასცდენოდა ცხვირიდან და ძირით დაფარულ მკერდზე ეწვეთებოდა. გრძელი მკლავები უმწეოდა. ვაზის ფოთლებიან ყლორტებზე, მოხუცის თვალები ერთ ხანს უცნაური ნათელით გაშუქდნენ ეენახის ჩრდილში, შემდეგ ეს ნათელიც ნელა ჩაუქრა, თითქოს ორი ციციანათელა გასრისეს მოლზეო.

— მადლობელი ვარ, ბარნა, დიდი მადლობელი... — ლულულებდა ნაცემი მიხა. — ხომ გამლახე ეს დაერდომილი კაცი, ბიჭო.. დმერთმა მარჯვენა გიკურთხოს შეილო, ჩაჩუების ერთგული, თორემ ჩემი მოძმე არ მიზამდა ამ სიკეთეს... წაიდე, ბარნა, კალათბ, მიართვი შენს ბატონს... ყველაფრის ღირსი ვარ მე უბედური... ჭურდის სახელით სიკოცხლეს სიკვდილი სჯობია და არც მე მიწერია დღეის ექით დიდხანს სიარული ამ ცოდეილ მიწაზე...

ბარნა დაბნია ამ სიტყვებმა. „ჩაჩუების ერთგული, თორემ ჩემი მოძმე არ მიზამდა ამ სიკეთეს“. მსგავსი არაფერი სმენია ბარნას, დღემდე ასეთი არაფერი შეხედრია. აქამდე მის ბოროტებას ბოროტებით პასუხობდნენ, სიძულელი — სიძულელით, ყვირილს — გულში ჩაკლული დვარძლით, ჭირდვილ ან მუხანათობით. ახლა კი ეს უსიტყვო ადამიანი მარჯვენას ულოცავდა, მართლაც ლოცავდა, ამდენი მუდარის შემდეგ... ეს კიდევ არაფერი! ბარნამ ახლა შეიგია, რომ იგი, გულგაროზი სერაბიონის მონა, მოძმეთა მდევნელი იყო და ეს არ შეპყროდა. მხოლოდ მას, და სხვას არაიბ, შეეძლო უმოწყალოთ გაერტყა მუშტი სოფლის უპატრონოსათვის, ეენახში ერთხელ და ისიც შიმშილის გამო ჩამოსულ მოხუცისათვის. არაიბ ჩაიდენდა ამას, არაიბ იქნებოდა ასე მკაცრი...

ბარნა შეჩერდა. დაწულთი კალათი იქვე ეგდო, მიხა თვალდაბუჭული და ნიკაიით მკერდზე დაერდნობილი მძიმედ სუნთქავდა, ბირი მოეყუმა, სისხლი თხელ უღვაშზე შედედებოდა. დარცხვენილმა მოურავმა ადგილზევე მიატოვა იგი:

...ტლანქად მიარდევდა ვაზების რიგს, მტევენები შემდეგაც ქანაობდნენ. შორს, მონასტერში, ზარებს არისხებდნენ, ახლა ბარნას სულშიაც იღგა მონასტერი. ახლა მოურავს მხოლოდ ისინი სძულდა, რომელთაც იგი სიყრმიდგანვე ადამიანთა სიყვარულს გადაიჩვიეს. აქამდე ბნელით მოცულ მის გონებასა და სულში პირველად ებრძოდა ბოროტს — კეთილი, გაბრაზებას — სინანულის მსგავსი გრძობა, თუმცა მკრთალად და ბუნდუნდში, პირველად აკაფდნენ ვარსკვლავები მისი სულის პორციონტზე... დღეს მაინც იყვეს ბარნა თავისუფალი ბატონის ერთგულებისაგან: ის არ გაუმხელს დეკანოზს ეენახში მომხდარ ამბავს!

...როცა აჭოშინებული მივიდა თავის ბინასთან, ძალმა მხოლოდ წამით გაახილა თვალები. თუთიყუში კი, თითქოს განზრახ, ახლაც ნისკარტით ჩასჭიდებოდა ნარს და არ ეშვებოდა.

შეე ამოსულიყო. ბაღში ბუნებისა და ფრინველების დ სასწაული იწყებოდა.

ქ ე რ ე

პ თ ე მ ა

ქარი პირველი

რამდენ სასწაულს ბუნება სჩადის!..
 რა საღამოა მყუდრო და ნელი!
 კვირა საღამო! მზე თითქმის ჩადის...
 აჭრელებულა ალაზნის ველი.
 ხოლო აქეთ კი... დაღესტნის გაღმა,
 ჩაშავებულან დრუბლის თავები;
 თათებს იწვდიან დაბლა, ხან მაღლა,
 უზარმაზარი დევის მგლავები.
 ზოგვან, ახრილან, ზოგვან დახრილან,
 წელში მოხრილნი, წვერიანები;
 ზოგვან ვეშაპად გადაწოლილან,
 ზოგვან ცურავენ თითქოს ნავეებით.
 ჭექით გვამცნობენ: კავკასიიდან
 ცივ გომბორამდე ეღვით გავებით.
 მთაში რა ღმუის? ან რა ჭარია?
 აქ კი, ეს სწორე, ჩაირე წყნარია!

• •

აი, სოფელიც! ბიჰს მოჰყუფს ხედი!
 გადაუხტება, გადმოუხტება.
 სიმკვირცხლე „ქედას“ როგორ უხდება!
 ებრაქვის: — ნუ მოხვალ! მოშორდი, წადი!
 ბიჰს გზის არ აძლევს — ნარბენს და დაღლილს!
 და რამ დალაღა, ვიცოდე, ნეტა!
 და ანჩხლობს ძაღლი

თანდათან, მეტად!

• •

გამოეგება ბიჰს დედაბერი.
 მოხუცს დაჰკრავდა იმ ქვეყნის ფერი
 ყავარჯენზეა, თალბი აცვია.
 — რა გინდა, შვილო?



— მარინე ძაღომ გამომაქცია
 შითხრა: ჩქარაო! იქ ჩოხებია!
 — რა ჩოხებია?
 — ის! საჭიდაო... წალოში... ე, მანდი!
 დღეს ჩვენს კოლექტივს ემუჭრებიან...
 — გაგასულელოთ იესო ძემან...
 რომ არ გელევათ დაეიდარაბა...
 წადი, შენ თვითონ გახსენ დარაბა...
 წააშავქვევე... არა, მოიცა!
 ახლა ჭიდილი გაგიმართიათ?
 — თაფლა ვანიკომ ძალა მოიცა,
 ჩვენ არა — იმათ...
 იმას რო ჰკითხო, ცეცხლზე ნაეთია...
 ჩვენ ერთიც არ ვართ, თვითონ ათია!
 გუშინ ჩვენებმა მათი გალახეს...
 შარი, მიზეზი, გამოგვინახეს...
 იმახის: თქვენი კოლექტივის
 მე გავაცურო, როგორც ტივილი
 გეწყინა ყველა ჩარკვიანელებს,
 უნდა ვეჭიდოთ, სხვა რა ღონეა?
 ეოროშილოველს როგორ დაეუთმოთ,
 ჩვენ პირველობა მუდამ გეჭონია!
 ტარიას იწვევს, ჩვენ გაგვყავს თანდო,
 მაგრამ უმცროსი ძმა თუ გალაბა, —
 მაშინ — ვიყვარდეს — რომ ნება დავერთოთ,
 მაშინ იქნება ყველაც თანაბმა!

— ის ჩემი რძალიც გამოსულელდა...
 ფეხი რომ იღრძოს, დაშავდეს ბიჭი,
 მაშინ თქვენ სახრე იფნის, ან ლიჭის...
 და დედაბერმა ჩოხები მისცა...
 ძალდი ფეხებში სულ წინ ეგება!
 სცანიტ ამ ბიჭის სახელი: გიცა.
 შემდეგ ოდესმე შეგხვდეს, ეგება!
 ძალღს გადააბტა, ვაპქრა ჯეილი
 მოდი, ჩვენც გავყვეთ, ვნაზოთ სეირი!

• • •
 აგერ, მუხასთან დიდი, პატარა...
 ქალი და კაცი ერთად დამდგარან.
 ჩარკვიანისა, ეოროშილოვის
 არც ერთი წვერი არ დაჰკლებია;
 ბრიგადირები აქეთ და იქით,
 აქაც ერთმანეთს ეჯიბრებიან.
 და ვინც წააგებს იქ სანაძლეოს,

იმის სუფრაზე დალაგდებიან.
 აქ არის წყერი გრიგოლ ხათრიჯან,
 ჭალაჭი ჩამყოფი, მეტად თავდიდა;
 მისმგავსებოი ცხვირი ბაღრიჯანს,
 პიჯაკს ატარებს ათაბაბიდან.
 დახტის, ოხუნჯობს და უზარიან,
 რომ სანაძლეო მან ორს დაუდო:
 — ეს ასე უნდა იფნაუდო...
 ერთს თუ წააგებ, არაფერს უდრის,
 მეორეს იგებ“...



იციის ხლართები

და სათავეში თუ დაჯდა სუფრისკ,
 ნახეთ თქვენ მისი ბაიათები!

და აგერ გიცას მოჰქონდა ჩოხა!
 წინ მიეგება ახმაზი დოხა,
 ეს ჭიდაობის აფან-ჩაფანი!
 იციის, რომ მავანს დაატეშს მავანი
 თვითთულს ცალკე აგულიანებს,
 და ჭიდაობით ის გულს იამებს.
 დოხამ იყვირა: წრე იყოს, განი!
 სხვა გაიძახის: ეაჰ, მისი ბრალი,
 ზურგს რომ აჰყვება სირცხვილად ლაფი
 ჭიკუინებს ზურნა, ბრაზუნებს დაფი.
 არის ძაბილი, გადაძახილი...
 სახრე ტრიალებს, როგორც მახვილი.
 დოხა წრეს უელის, დიდად ჩალიჩობს...
 ოფლი ჩამოსდის, მაგრამ არ იშრობს.
 შემოიყვანა თანდილა წრეში.
 ბიჭი ტანადი, ულვაშით მრეში.
 მეორე მხრიდან გამოიყვანეს
 უზარმაზარი თაფლა ივან,
 იგივე ვანიკო.
 სთქვა: — მაგის დარდი მე არც ჰქონია...
 ის გამოიყვიათ, ვისაც ჰქონია,
 რომ პირველია... ის, ძმა ტარიას
 თქვენ მაშინ მნახავთ ჭიდილს გვარიანს.
 „ცხენს ხომ გამოსცდის მანძილი გრძელი?“
 და, გადაისებ ულვაშზე ხელი.
 ასე ტარიას ემუჭრებოდა
 და რა მიზეზით? სხვა ვერ ხედებოდა!
 ნუთუ დაბადა წყენა დლიურმა
 მათმა შეჯიბრმა — კოლექტიურმა?
 თუ უცხო გრძნობამ, გულს შეპარულმა,

სატრფოსთვის დღევამ, ქვემა ფარულმა?
 მე თვით მწალიან ამის გავება
 და იმ გრძნობებზე ლექსის აგება!



ვნახოთ ტარიაც, გავეცნოთ ახლო!
 მას მოეძებნა ვენახის ახო,
 ამ წრეს სრულიად განშორებოდა,
 თავის ოცნებით მარტო სტკებოდა.
 ის წარეტაცნა ქალს, ჭრელუაბიანს,
 ლამაზ შავთვალას, ნაწნავებიანს.
 ჩვენ ამ ქალისაც არა გვაქვს ცნობა
 ყმაწვილის გულში ვინც აღძრა ტრფობა.
 შითხრეს: ეგ არის ქალი ციალა,
 კომკაეშირელი — და ვერ დაეზატე,
 სიტყვა არ მეყო, არცა ფერები!
 მშენებდა ჰქონდა გასაშტერები!
 როცა დიმილით შემოგბედავდა,
 შევეგრემან სახეს სხივი სლიოდა:
 მზე იმის ლოყებს მოჰკიდებოდა,
 მაგრამ ვაშლივით მაინც დვიოდა!
 ამკობდა თეთრი კბილების ჩუნა,
 ეშხით ანთებდა მსხვილ ჭროლა თვალებს;
 ვისაც ჰხედებოდა ციალას მზერა,
 ვერ ანელებდა ავზნებულ აღებს.
 როცა გასულა სამუშაოზე
 თმებ-შეკონილი ჭრელის მანდილით,
 უთქვამთ ხალისით: დღეს პირველ ვნახე
 ტურფა ბუნების შვილი ნამდვილი
 შიშველ ფეხებით სრესავს ბილილებს,
 მიღის ბალახში — ნამი სხურდება;
 ეღერია და მღერის... ზარმაცს უკიდლებს,
 ჩამორჩენილზე ახმაურდება:
 — მომყე ხელმარჯე, მე თვალდამდგარო,
 თანაბარ გეჭონდეს შრომა-დღიური!
 რომ შენც იხარო, სხვაც გაახარო
 და გიღიმოდეს სახე მზიურის!

ამ გოგომ ბევრის გული დაკოდა,
 შორით მოსულის, თუ ახლობელის;
 ის კი ცელქობდა, არას ამბობდა,
 არც ათხოვებდა მამა-მშობელი!
 მის მამას ჰქვიათ სახელად მათე,

ხალხის დოვლათის არის დარაჯი;
 ზამთარ და ზაფხულ ღამეებს ათევს
 კალთაჩახეულ ძველის ფარაჯით.
 ქალაშვილს იგი თავს დასტრიალებს,
 მასში არ გასცელის მიწას ციანად;
 და თუ გათხოვდა მამაც იამებს,
 ღვინით დალოცავს სიძეს სვიანად!



ტარიას, — იქნებ, თვით თანდილსაც, —
 და თაფლმ ვანოს უყვართ ციალა;
 ეს ქალმაც იცის და დღეს დილსაც
 თაფლამ მას კიდევ გაუზიარა.
 მაგრამ ეს სიტყვა ქალმა ირილა,
 ჩაიკაენა, არც სთქვა უარი;
 არ დასცდენია ლამაზ პირიდან
 ეინმეს თანახმა იგი თუ არი!
 ის ირჩევს ვაჟიკის და მას ხელს მისცემს
 და ან რად უნდა შუამავალი!
 ია ირჩევს პირველს, გრძნობებით მტკიცეს,
 იცნევს, რომ ხალხში იყოს თამაში!
 უყვარდეს მოძმე, მტერს დახვდეს ზარად,
 ვარგოდეს ღვინში, ერთგული მარად!

მან თაფლას უთხრა: „ჩემო ვანიკო,
 თუ ის გაუჯობებს, ბარემ არ იყო
 და რად მინდინხარ ნაბოლაფარა?“
 თითქმის ვანიკო დაასამარა!

დაამგლოვარა!

„— ჰხედავ, ვანიკო! — ამბობს ციალა —
 ის ყველაფერში მუდამ თავშია!“
 ვანიკოს თითქოს შეაფრიალა,
 აი, მიზეზი თურმე რაშია!
 დღეს მიტომ ფიცხობს ასე ივანე,
 თუკადრისა ბიჭი თანდია;
 სთქვა გადაწყვეტით: გამომიყვანეთ
 ის ძმა მაგისი, ჩემი ფანდია!
 და თან ციალას მან გადაჰხედა:
 „ენახოთ, თუ მჯობნის!“

ციალ, ხომ გესმის, რომელ ყრმას იწვევს?
 შედიღურობით გულმკერდი იწვევს!
 და ამის შემდეგ დასაგობია?
 განა რომელი მას აქ სჯობია?
 მამ რად არიდე პირი ვანიკოს?

რად უთხარ ვაჟკაცს: ბარემ არ იყოს?
 ნახე, ტარია მიწას იღებამ..
 მას არც სახელი და არც დიდებამ!
 მისი ძმა თანდო არად ჩაადლო...
 აბუჩად ჰყავდა ის ავღუბულის
 ბიჭი. შავთვალა, არსად ქებული;
 ჩუმი, უებრო და უანგარო
 არ ეარგებულა, როგორც ეანგარო!
 მაგრამ, ვინ იცის, ესეც ყოფილა:
 ჩუმი სრულიად გამოყოფილა,
 მოუხვეჭია კიდეც სახელი
 და დასდგომია თავზე ნათელი!



გულში ვანიყო ჯავრობდა ასე,
 ხოლო ტარია, ოცნებით საესე,
 განმარტოებით მწუხანეზე იწეა,
 თავის ფიქრებში გართული იმ წამს.
გულაღმა სივრცეს მისჩერებოდა,
მათი კიდილი, აურზაური
 მცირე თამაშად ეჩვენებოდა
 ის მხოლოდ ერთის სახით სტკებებოდა.
 და წარმოუდგა: თითქოს ცილა
 ეაზოვებოდა, შორს მიდიოდა;
 ქალს ეს არ მსურდა და ბედს ჩიოდა.
 ვაჟს საყვედურით ეუბნებოდა:
 „მე განიშნებდი, შენ არ ინიშნე,
 შენ მსურდი, სხვაზე დღეს დავინიშნე“...
 მას აერია აზრი და ხედვა.
 და სწორედ ამ დროს მოვარდა დედა:
 — აქ რას უგდიხარ, შე დედამკვდარო?
 არ გესმის, შერცხვა შენი ძმა თანდო.
 ეანომ გალახა, იმ მზედამწეარმა...
 ჩვენც შეგვარცხვინა და კოლექტივიც...
 ჩვენ ამას ეჩივით...
 წამოდი ჩქარა, დაგეძებს დოხა...
 ის საჭიდაო ჩაიცივი ჩოხა!
 — რას ამბობ, დედი?
 — როგორ, რას ეამბობ?
 წამოდი, ნახე...
 ძმა გაგილახეს...
 და დაგვეცინიან ჩარკვიანელებს...
 ბრაზობს მარინე, ჯავრს ვერ ანელებს...
 — ჩვენ დაგვეცინიან — ჩარკვიანელებს...
 ძმა ვინ გალახა?
 — უიმე, გალახა,
 იმ თაფლა ეანომ, რით ვერ გაიბე?

წამოდი ჩქარა, ხელი გაიღე...
 — მაშ, ვანომ, არა?
 — ჰა, დარღუბალა...
 დედას ეგონა, ამბობდა უარს
 და ყურიც მიტომ მან მოიყრუა,
 და შეუტია: წამოდი ჩქარა!
 — მოიცა, დედი! პო... ფიცხი ნუ ხარ...
 სეირს ვუჩვენებ, მაგას ნუ სწუხარ...
 — შენ ვაიხარე... აბა, იჩქარე...



აი, ეხლა კი გაგაცნობთ დედას,
 ვის ეძახიან მარინე ძალოს:
 მასზე ამბობდნენ თითქმის ანდაზად:
 „სამართალით მარინემ ბრძანოს!“
 მთელი სოფელი რად სცემდა პატივს
 მას, მანდილოაანს, ბუნებით მარტივს? —
 უყვარდა შრომა, სწულდა ზარმაცი,
 ფლიდი, მილაყბე, ზანტი, თვალთმაქცი.
 თუ შეამჩნევდა უზნეო ქცევას,
 არ შეაჩინდა, ამხეურებდა;
 თავს დაატეხდა რისხვას და წყევას,
 მკვახე სიტყვებით აწადგურებდა!
 როგორც თვით იყო მუღამ მშრომელი,
 მხნე და გამრჯელი, დაუცხრომელი, —
 ისე სხვას სთხოვდა შრომას და ვარჯიას.
 „— შენმა სიცოცხლემ, ჩაგაცმევ ფარჩას,
 თუ არ გაანძრევ სამიწე მაჯას!
 არ გათარეშებ ცუდლულტს, ონავარს!“
 პირში ჰკილაედა ლოხს და მცონარას.
 მას ქმარი აღრე გარდაეცვალა
 და დარჩა ქერივად, კენტად უღელში;
 იმის ცხოვრებას ფერი ეცვალა
 და მისთვის იყო დიდი ნუგეში,
 რომ ორს ბიჭუნას, დედამამის მსგავსებს,
 ზრდი ჯა კერაზე, მამის ადგილას;
 ერთს ეძახოდა ტარიას სახელს,
 მეორეს თანდოს და ხან თანდილას!
 თურმე ასეთი აღთქმა ჰქონია...
 — მაა დღეს არც ამხელს —
 ვაეებს დაარქმევს გმირების სახელს:
 მისთვის საყვარელს თანდილ-ტარიას,
 ხოლო გოგონას: ნესტან-დარიას.

წიგნები ეწყო მატლა, თახჩაში
 და კითხულობდა ხისქეშ, ბაღჩაში.
 ხან ლამფის შუქზე ზამთრის ღამეში —
 მყუდრო ოთახის ვიწრო არეში.

რაც წაეკითხა პატარძლობაში,
 ღრმად ჩარჩენოდა სათეთ გრძნობაში
 თთარაანთ ქერივს მოგიყვებოდა
 და თავის თავიც ენისნებოდა.
 ზეპირ გეტყოდა შოთას შაირებს,
 სიბრძნე-სიცრუის იგავ-არაკებს,
 აკაკის ლექსებს ნაირ-ნაირებს.
 ცხადად ჰხედავდა უკვდავ რაინდებს,
 მათი სახელიც

აი, ამიტომ შეიღებს უწოდა;
 მათებრ ვაყვაცნი რომ ყოფილიყვნენ,
 დედა ყოველგვარ ხელსაც უწყობდა
 როცა მპრინეს გაუწყვია,
 მას მხნე-ვაყვაციც ვერ მისწყვია!
 გაუტანია ბოლომდე ლელო,
 კოლექტივიშიაც იგი პირველობს,
 საქმეს ანდობენ მუდამ სამწელოს.
 თუ შევადარებ სხვებთან მის გარჯას,
 არვის უქმნია ძალოს ოდენიც;
 საქართველოში პირველს მის მაჯას
 ხედა ქალთა შორის შრომის ორდენიც
 ბევრჯერ გაზეთშიც ჩაუწყვრიათ,
 უთქვამთ: მისთანა განა ბევრია?

ეხლა მივხედოთ კვლავ კიდაობას!
 რა დაინახა ვანომ ტარია,
 ზურნაზე კონტად გაითამაშა;
 ქალებს გაჰხედა, უფრო ციალას...
 ანიშნა: ნახე, შენთვის კაშკაშას
 საძოვრად მიეცემ მთაში. იალახს,
 დავაყრევინებ მე იმ იარახს,
 გულში რომ მიჩენს წყლულს და იარახს!

ტარიას ნიხა რარივ უხდება!
 ხალვათად იდგა, არა წუხდება!
 რო დაინახეს წრეში გასული,
 იყო ყიფინა ცამდე ასული.
 აღტაცებული ზოგი ყვიროდა,
 ზოგი მალაყებს გადადიოდა.
 — აბა, ბიჭებო, წრე უფრო მეტი!
 ერთერთს წაქცეულს დაესხა რეტი!
 — არ შეგვარცხვინო, თათლა ვანია!
 — არ შეგვარცხვინო, ჩვენო ტარია!

ტარიამ ხალხში შეასწრო თვალი:
 მღუმარედ იდგა ციალა ქალი.
 მხოლოდ ოდნავ კი აღმებოდა,
 მისი ღიმილი გულში ხედებოდა.



და შეამჩნია: და მას ეს პრევედა,
რომ იმავე გრძნობით ვანიკოს მზერდა.
და ეს რას ჰნიშნავს? — ფიქრობს ტარია —
მისთვის ორივე თანაბარია?
მაშ რყევავია ჯერ გული მისი?
ვინ უფრო იყო ამ ორში ღირსი?
და რომ შემთხვევით წაუცდეს ფეხი,
დღეს წამოიქცეს ტანადი ვერხვი, —
მაშინ? აევსოს შხამით ფიალა,
უნდა დაჰკარგოს ტურფა ციალა?



და გადაეკრა შებლს თეთრი ლანდი.
ფიქრობს: დამამბობს, ნეტა, ასე რა?
ნუთუ შემთხვევა? უბრალო ფანდი?
და მწარე ფიქრმა გული დასერა.
— ბიჭო, რა მოგდის? — დედის ხმა ესმის.
გასწორდა წელში, გამოკრთა ღიმი.
და მის მომხრეებს შეექმნათ ლხინი.

კვლავ გადაჰხედა, მარცხენა მხარეს,
თითქოს შეჰნიშნა ცილა-მთვარეს,
რომ ამხნეებდა: აბა, შენ იცი,
არ მიმიცია მე მისთვის ფიცი!
მინდა შენ იყო ჩემი რჩეული,
ჩემი ვაჟკაცი, ტანად რხეული!

დაჰკრეს დავლური, სული განაბეს,
და ფალანგებმა წესი განაგეს.
ერთმანეთს ხელი მისცეს ძმურადა:
ვაეშორდებითო შეგობრულადა,
შეჯიბრებაში მუდამ ასეა,
რომ აქ წაქცევა არწყენაზეა.

აგერ, ერთმანეთს წამოუარეს,
გამოექანენ. ელვის უმაღეს,
ერთმანეთს ხელი ჩოხებში სტაცეს...
ვანიკო ფიცხობს, ჰსურს უცბად დასცეს...
ტარია ფრთხილობს, რაღაცას აზრობს,
მოპირდაპირე მით უფრო ბრაზობს!
ხერხმა იჩინა სხედასხვა გვარმა:
ხან მოგვერდულმა, ხან შუა სარმამ.
აგერ, ვანიკომ აღარ აცალა,
წამოაჩოქა, თითქმის დასძალა!

ტარია შეერთა... წამოდგა უცებ...
 წრეში ღელავენ, იკენეტენ ტურებს.
 ხოლო ციალა უმზერს და სტკებება...
 იცის, რომ ბედი დღეს მისიე სწყდება!



ორნი პედავენ ერთს კრეკაბიანს,
 ნათელსახიანს, შავთვალწარბიანს.
 და ღარივენი ზრახვით, ფარულით,
 ერთის მიზნისკენ მიისწრაფიან,
 რომ იმ ლამაზის მოიგონ გული
 და მით ნაღდ საქმედ აქციონ თქმული.

ამ დროს ტარიამ მოზიდა ჩოხა...
 ელვასებრ უცბათ წამოუჩოქა...
 სთქვა, სჯობს მონახო ეხლა ბინა შენი!
 და რომ კისრულზე წამოიკიდა,
 გაშხლართა ქალის ღერხთა წინაშე.
 აგერ ციალამ შემოჰკრა ტაში!
 შეინავარდა, ვით შევლმა მთაში!
 და გადმოენთო მშვენება იგი...
 აღარ სჩანს წესი და აღარც რიგი.
 — არ არის ჯერი — ზოგნი პევირიან —
 — ვინ მოგახსენა? უბასუბებენ...
 გამარჯვებულთან შმაგად მირბიან,
 ზეიტაცებენ, კისრულს უჭებენ...
 ყიფინაჲ. ზურნა... აღრზაური;
 დოლის ბრახუნი, ისეე ხმაური...
 და შერცხვენილი ვანიკო დგება...
 მის თავს რა ხდება?
 და ბოლოს ხედება,
 რომ გალახული გდია მიწაზე.
 ადგა იმ წამსვე.
 მიმოიხედა, შემოსძარცოდნენ...
 სხვას უცინოდნენ, სხვასთან ანცობდნენ.
 ქალი ციალა?
 ის შეამჩნია ტარიას ახლოს —
 გადაფრენილი სატრდო გულისა!
 ესმის: „სახსოვრად გაძლევ ხელსახოცს,
 გულდასმით ნაჭარგს, აბრეშუმისას“.
 ვაჟი ამყობს, გულს ემღერება,
 რომ თავს ევლება ბედნიერება!

დღემ მოიხადა ჯილა ელვარე,
 მთებში გადადგა, როგორც ფილა;
 საღამოს ბინდზე ამოდის მთვარე,
 ვით სოფლის გოგო სახე ბლღვრიალა!

ქარი მორბი



რაც გუშინ იყო, დღეს აღარ არის,
სხვა ზრუნვა, ლხინი, სხვა ხმა ნალარის.
თვით ხვალინდელიც სულ სხვა იქნება
და სხვა ლამპარი იქ აინთება!

კაცის ბუნებაც ცვალებადია,
და თუ უჭირავს ხელში ბადია,
ის, როგორც ვეფხვი, მძლე და მარდია,
კრიტიანგიც იყოს, დარდიმანდია!

და მართლაც გუშინ თუ ლხინი იყო,
სხვა ზრუნვით გული დღეს აესილიყო.
და რა ზრუნვაა? ია რას ეხება?
ხალხი ერთმანეთს რატომ ეხლება?

ნიშანს აძლევენ კოლექტივს ზარით:
— ჰეი, გამოდით, დასტოვეთ ზვარი!

— მტერი დაგვსხმია..
— შადა ვახსნია...

— გადმოულახავს მას ჩვენი ზღვარი!

— აწ რისხვა აგუნდეთ!

— არ უნდა დადუნდეთ!..

— აღუდეთ, დადუდეთ!

და მტერი დაბუგეთ!

გაისშის ეს ხმა...

დასტუქა შეხმა.

და რა ჰქნას გლეხმა!?

აგერ, მორბიან სამმართველოში...

შემოკრებილან ფართო ეზოში,

ხან ჯგუფდებიან, ხან იშლებიან...

— მართლა ომია? ჯარში ვინ მიდის?

ისევე სახლისკენ ეშურებიან...

ოჯახში, გარედ, ლელეაა დიდი...

ხალხში გადმოდგა მარინე ძალო:

— რა მოგივიდათ? — მიჰმართა მშვიდად...

— „გაჩერდი“, უთხრა ვინც ხელებს შლიდა.

— მშვიდად ამყოფეთ გული საგულესი..

რაც ჩვენ და შეილებს დაგვისადგურეს,

მას როგორ წაშლის უკაცურობა,

ან ვერაგობა, უმადურობა?

ზომ იცათ, თქმულა და ვამბობ აქ მე:

„ოხერიათ ბოროტი საქმე!“

მტერს არ შერჩება ერთი დროება,

გაჰქრება, როგორც ამოვება!

რად დაგვირღვია მყუდრო ცხოვრება,

შექმნილი ზრუნვით ბელადის მიერ?



რა უნდა ყაჩაღს, ჩენი დარბევა?
 ძველ მონობაში გვამყოფოს მშიერ?
 ეს არ მოხდება, შორს ჩვენგან შიში!
 დედის ცრემლები, ვაი და ვიში!
 თქვენი შვილები, ჩემი შვილები
 იყვნენ კაიფით, იყვნენ ტალიფით,
 უნდა აყვავდნენ, იქმნენ შლილები,
 როგორც კოკორი გამოტანილი
 ძმებო დამ დებო, ბრძოლას მოვიგებთ,
 ამის თავდები არის სტალინი!
 ამას გვიმტკიცებს ვინც კი წვრთნილია,
 ამას წინასწარ გვამცნობს ილიაძე!
 რომ „ვერ გაუძლებს ქვეყანა ძველი
 განახლებისა გრიგალის ქროლას;
 ველარ გაუძლებს ქვეყნის მძარცველი
 ქეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას!“
 და ქმნა მართლისა კვლავ სამართლისა,
 მტარვალს გულს უბობს და ცოცხლად მმარბავს, —
 ის გახარებას აწ ველარ მნახავს.
 გწამდეს ეს ჩემი!“
 ყველას სჯეროდა,
 როცა მარინე ასე მსჯელობდა.

ამრიგად დედა ხალხს ამხნევებდა,
 ზოგს გააკიცხავდა, მოუფერებდა;
 მოხუცეს გულში ის ნათელს ჰფენდა
 და ახალგაზრდას მით აღაფრენდა.
 — ავრე დამირჩით, გამეზარდენით,
 წადით, შვილებო, მოემზადენით!
 ნახეთ მნახველი, ნახეთ ცნობილი
 ნათესავი და თქვენი ძმობილი.
 თქვენ ამალამ დრო გაქეთ და დრო ატარეთ,
 სიმზიარულეს სიტკბო ატანეთ.
 თვით გაიციინეთ და სხვაც აციინეთ
 და ზვალ სადგურზე მე თვით გაცილებთ!

დიდი ლხინია მარინეს სახლში.
 სხედან ოთახში და სხედან კარში.
 და მჭერმეტყველი, კოხტა, თამადა
 ზის სუფრის თავში.
 — აბა, ინებე, თუ კი გაქვს მადა...
 არეინ ჩამორჩეს დღეს ჭამა-სმაში!

თითქმის აქ არის მთელი სოფელის
 მთლად აღმასკომი, მისი მდივანი
 და თავმჯდომარე შემამკობელი,
 სხვებთან თვითონაც კარგი მშრომელი..



თამადის გვერდზე, ჰხედავთ, ვინ არი?
 გრიგოლ ზათრიჯან და იქვე დოზა.
 ხმაჩახლეჩილი რახრაბებს ბოზად.
 გრაკოლ ჭიკუყინებს: — კაცო მაკალე!
 — არა, დაცალე!
 თამადამ მისკენ მიუშვა ყანწი.
 — ღვინოს იპარავ, ეხლა ეს ასწი
 — თავს შემოგველე, შენ გენაცვალე...
 და იგი ყანწი მიიღო რიხით.
 სთქვა: ეს რა არის? გინდ დავლევ ჯიხვით!
 თან იჩალიჩა, ილაპარაკა,
 მოჰყვა აქიას იგავარაკად
 და იმდენი ჭნა მან თავის წრეში,
 რომ ყანწი მისცა ვანიკოს ხელში
 თან დაატანა: „ეს შენ, აიღოსტ!
 და სანაძლეოტ ბიჰმა მაიგოს!“

—
 ვანიკოს დარდი იმ დროს სხვა სძლევდა...
 სხეფრივ გრიგოლი ვერ შეადენდა.
 ყანწი დალია უსიტყვოდ, წყნარად,
 მოპირდაპირეს გადასცა კვლად,
 და თვითონ დაჯდა გულით ნაკლული...
 მარცხს მარცხზე ჰგზავნის ბედი მზაკვრული.

რაკი გრიგოლმა ღვინო იცოლა,
 გალაღებულმა ბევრი იცინა.
 და შედუღუკეს მიუჯდა ახლო,
 მღერის: იხარე, მარინეს სახლო!

—
 მარინე სტუმრებს თვეს დასტრიალებს:
 — აბა, ჩემს შეილებს გზა დაულოცეთ!
 ტურფა ცილა სხივით ციალებს,
 აგერ, თქვენ ნახეთ და გაიოცეთ.
 მას რა ნათელი გადაჰფენია,
 რა ეშხი, გრძნობა სახეს სჩენია!

—
 სვამს სადღეგრძელოს, აგერ, თამადს.
 ერთბაშად ყველამ სული განაბა.
 უსმენს ცილა... უსმენს და ღელავს!
 რას ლაპარაკობს? სდუმდეს, სჯობია!
 ის აკვირდება სახეზე ყველას,
 ყველაც თამადის თანამგრძნობია.
 ეს ლაპარაკი იცით რაზეა?
 მხოლოდ და მხოლოდ ციალაზეა...
 და შიტომ ღელავს...
 და კვლავ მოესმის:

„მარინეს ოჯახს ბედნიერებად
 ასეთი ქალის მშვენიერება...“
 — ნეტა გაჩუმდეს! — ნატრობს ციალა —
 არ ჰსურს უსმინოს, უფრო მღელვარებს...
 მაგრამ თამადა მაინც განაგრძობს...
 ქალის გულს სწვდება...
 მის საიდუმლო განცდებსაც ჰხედება.
 მერე თამადას ამას ვინ ჰკითხავს?
 ეს არ ასვენებს! —
 აგერ, ტარიას სახელს ახსენებს —
 ორივე ერთად შეაკავშირა...
 რა წყვილი არის შესაფერიო!
 „მაღლი ღმერთსა და ფერსა ფერიო!“
 — ნეტა გაჩერდეს...
 რაც სთქვა, — დასჯერდეს!

ბრაზობს ციალა:
 „ის ჩვენს საქმეში რატომ ერევა?“
 აზრი ერევა...
 ტარიაც ტოკავს და არას ამბობს...
 კიდევ სთქვა რაღაც...
 გაწითლდა ქალი... გაქცევას ლამობს...
 თამადა ეშხით მაინც განაგრძობს:
 — ამას რათ უნდა დიდი მისწობა,
 რომ უყვართ...
 ... გრძნობა რაკი იშობა...
 დღეს ეს ვახშამი იყოს ნიშნობა!
 შე ვისურვებდი,
 დამ ნეტა იყოს,
 ჩვენი ციალა მარინეს რძალი.
 და შეერთა ქალი..

ტაში გრიალებს...
 ჭიჭა წკრიალებს...
 და თრთის ციალა... აჭრელდა თვალი,
 გამოეცალა მუხლებში ძალი.
 მარინე ძალო არ აგვიანებს,
 მიდის, ქალს ჰკოცნის, გულში იამებს.
 — თუ შენ ისურვებ, მეც გამაზარებ...
 არ გამისტუმრებ შე ხელცარიელს,
 არც მეტყვი უარს, მით დამავალებ,
 უღელს გაუწევ ჩემს შეილს ტარიელს!
 მიაგდეს აბლოს ქალთან ტარია.
 „ეს ხდება ცხადად, თუ სიზმარია!“
 — აკოცე, დასდე შენი ნიშანი,
 ხომ გისრულდება გულის მიზანი!
 ბიჭი ვერ ჰხედავს... კიდევ ჰკრეს ხელი,



იგი ქალს უცქერს, თუ დართავს ნებას.
ქალმაც შეჰხედა; ანიშნა „გელი“
და აგერ, აგერ... მოსწყდა ისარი,
გადაეხვიენენ სხივნი მზისანი.



ტაში და ვაშა, იყო ზრიალი
და შემდეგ ცეკვა, ქალთა სრიალი.
წყვილად ცეკვავენ ფერადნაირად,
უკრავს გარმონი, ასდევს დაირა:
და დაირა დაირობს,
ის გარმონთან შაირობს:

„რიდიცა მაჭეს, დარდიცა მაჭეს,
დამდურება არ იყოს!

— ჭირი, ჭირი ჭორიკანას,
დიდმა ღვარშა გარიყოს!

— ტაში, ტაში ზალიკოს...

— ტაში, ტაში ანიკოს...

— გაიხარე, გამახარე,
... დამდურება არ იყოს!

ვახტი, ვახტი, ვახტი ბიჭო,
სიყვარულით ვახდი, ბიჭო,
ლახტი გოგოს, ლახტი ბიჭო,
დაეწიე ანიკოს,

დამდურება არ იყოს...

მოუარე, დაუარე

ტაში, ტაში ზალიკოს!

ტაში, ტაში ანიკოს!“

მარინე უმზერს გულაჩეცლებით...
სტკბება, ამყოფს თავის შეილებით.
სთქვეს კვლავ სამღერა გათენებისას...
დამარჩინო უსურვეს „ძილი ნებისა“
და დაიშალნენ.

მტრედისფერ ცაზე ვარსკვლავნი ჩაქრნენ.
მთების მწვერვალებს სხივებმა გაჰკრეს.
ტორილა მადლა, სულ მადლა დაჰფრენს.
და ალაზნისთვის ძილისპირული
უთქვამთ ჩხრიალით კაბალს და აფენს!
იღვიძებს სულა, ძალა გმირული,
ჰფანტავს ტკბილ სიზმრებს,
ჰფანტავს ჭრელ ზღაპრებს!

კახეთის დილავ, გრილის ნიავეთ,
დაჭრილ გულს ჰკურნავ, ავსებ სიაშით!
კახეთის ველო, გომბორის კალთავ,
რაოდენ სიტკბოს გრძნობისთვის ზღართავ!

ხსოვნა თან დამაქვს გულში მარადის,
შენ, საყვარელო, კუბოს კარამდის!

კიდევ აღრეა, დილა მზიანი!
გულს არ ატყვია მცირე ზიანი!
აგერ სადგური!



ქართული
ენციკლოპედია

ხალხი, სულ ხალხი, ყაყაჩოს ველი
პრელუბიანი, შავროხიანი,
გრუშათმიანი და ქოჩრიანი!
თუშურ ჭედებით ყმაწვილკაცობა,
ფივილხივილი! არის ანცობა!
ერთი ჩანგურზე მოსთქვამს შაირებს:
„ტყესაც ვნახავთო მთაში საირმეს!“
სახელდახელო სუფრა ჰფენია,
დოღზე ცეკვავენ... მოუღხენიათ,
აღღეგრძელებენ, ვინც ომში მიდის...
აქეთ ტირიან, იქით მღერიან,
დედები შვილებს ეთხოვებიან!
ერთი ოხუნჯობს და ვითომ ნანობს,
რომ პატარძლები მარტო რჩებიან.
ერთს ხვადი ძალი სახლში ჰყოლია
ებლა სადგურზე გამოჰყოლია,
პატრონს დაეძებს იგი ბროლია
მაგრამ პატრონი ვერ უპოვია!

ეს რა ხმა ისმის და რა მაყრული?
მწყობრად მოდიან, მოდიან დროშით.
ხალხს წინ მოუძღვის შალმოხვეული
მარინე-ძალო, აცილებს ომში!
ხალხმა გზა მისცა ლომებრ მამაცებს,
ვაშაც შესძახეს რჩეულ ვაჟკაცებს.
ადგილი მათი უკვე მზა იყო,
ელოდებოდა ბარგით ვანიკო.
აფიდნენ, დასხდნენ... ყველა დალაგდა.
ციალა გულში ნადველს ჰმალავდა.
თავის დანიშნულს ეთხოვებოდა,
ვინ იცის, როდის კვლავ შეხედებოდა!
ხურჯინი, ტივით და საგზლით სავსე,
ჭაღარა მათეს წამოეკიდა;
ძლივს მოათრევდა, უშველეს გზაზე,
თორენ დაქცევა ბეწვზე ეკიდა
და ეს ხურჯინი მსწრაფლ აიტაცეს,
განკარგულუბაც, სჩანს უკვე გასცეს,
რომ ჩამორეკეს მესამე ზარი.
მარინე ძალო კარებთან მდგარი,
ამბობს: „ხომ გახსოვთ თამადის თქმანი“

არ შეარცხვინოთ მამების ხმალი,
მტერზე მამაცურ იყარეთ ჯავრი!"
და გადასწერა შეილებს პირჯვარი:
„თქვენთან არს ღმერთი და სამართალი!“



მატარებელი დაიძრა მძიმედ,
და, თითქოს განგებ, იგი არც ჩქარობს.
კვლავ აუიჟინდნენ, უკან მისდევენ,
ზოგი წაიქცა, ჩაფარდა ხაროს.
ხელებს იშვერდნენ: „წერილი გვწერე,
შენმა ამბავმა ჩვენც გაგვახაროს!“
მაინც მისდევდნენ კვლავ შორი-ახლოს.
თან ხმას აწვდიან: „ბიჭო, მშვიდობით,
შენმა მშობელმა მშვიდობით გნახოს!“

სადგურთან მხოლოდ მარინე დარჩა.
იქნებ სხვაც იყო, იგი ვერ ჰხედავს:
მუხლთ მიღეკვთა... კინალამ დასცა,
კენესით აღმოხდა: ვაი თქვენს დედას!
და მიაშველა მოაჯირს ხელი.
ვერ შეიკავა ცრემლი მან ცხელი.

უცბად გონს მოდის... ხომ არვინ ნახა?
ცრემლი მან გუშინ სხვას დაუძრახა
და, ეხლა თვითონ რატომ დაღვარა,
ხომ მანდილოსნის შერცხვა ჭაღარა?!
შვილის მოწყვეტა ყოფილა ძნელი,
აუტანელი, ნადველის მგვარელი.
ვინ იცის, მოვა, თუ ძვლებს იქ ჩაპყრის?
ნორჩ ახალგაზრდას მიჯნურთან გაპყრის!
ამ მწარე ფიქრით წელში გასწორდა,
უკვე ციალა მისკენ მორბოდა.
„— მოდი, მარინე შენ გენაცვალოს!
დაპკოცნა რძალი: — უფალმა ბრძანოს...“
არ დაათავა... აგერ, ღობილნი
გვერდში მოუდგნენ მარინე ძალის
და შინ დაბრუნდნენ გულჩათხრობილნი!

(გაგრძელება იქნება)



შეა წითლად ამოდიოდა

მთხრობა

ნაწილი პირველი

I

თოვა შეწყდა და მზემ გამოიხედა. გადათვრებული მთა-გორები ვერცხლივით ბრწყვიალებს. სახურავების კიდეებზე ყინვის ლოლუები იცრემლება. ბუხრიდან ამოსული შავი კვამლი ტყვიისფერ ცისკენ აღის. სახლებზე ლევა ორთქლი დამდვარა, თითქოს ნუნთქავსო სახლები... ხანდახან მოუსვენარი შაშიე გაიჭახჩახებს და ხიდან ხეზე გადაფრინდება. მაშინ თოვლი ცვივა ტოტიდან. უთოვლო ტოტი დათოვლილში ისე გამოიყურება, როგორც შავი წარბი თეთრ აახეზე.

ხურმის დათოვლილ ხეზე პატარა კოჩა აცოცებულა. ვიდელი ტოტზე ჩამოუკიდნია, ჭეტილურს ჰკრეფს და მღერის:

წუხელ ზუგდიდს გეახელი,
პოლიციამ დამიბარა,
შავი კენჭი ამოვიღე,
გულში დარდი ჩამეღვარა...

— უი, შავი კენჭი და შავი ქვა პოლიციას, — მიაწყევლა ქიონიამ და კოჩას შესძახა: — არ ჩამოვარდუ, შვილო.

უცებ სოფლის გზაზე ეყენების ეღარუნი მოისმა.

— დედა, ეტლი, ეტლი, — დაიძახა კოჩამ.

ქიონიამ შუბლზე ხელი მიიჩრდილა და თემშარას გახედა.

— ვერაფერს ვხედავ. თოვლი მიჭრის თვალს. ეგებ შმაგის ნათლიაა, ბიჭო!

— არა, დედა, ჩიქვანის კიშკართან გაჩერდა. ცირუ ჩამოსულა. დედა, დედა, აფიცერა ჩამოსულა. კიდევ! მხრებზე სირმა აკერია. დედა, შექი ბატონიშვილი კიდევ...

— საკალანდოდ ჩაწოვიდოდნენ. რა უჭირთ, შვილო, აქვთ და ქეიფობენ. კიდევ მოისმა ეყენების ეღარუნი.

— დედა, დედა, კიდევ ეტლი! ნათლიას კიშკართან გაჩერდა...

— ჰოო... მაშ შმაგი წასულა ბათოშს... აბა, გაათავე კრეფა და ჩამოდი. ძღვენი უნდა გავუმზადოთ ნათლიას.

კოჩამ კავს ბაწარი მოსდო და ვიდელი ჩამოუშვა.



ქიშკარზე გადმოაბიჯა მაღალმა, ტანწერილმა, ბეჭებგანიერმა ყმაწვილმა. გაცვეთილი შალის ჩოხა ეცვა. ფეხებზე მეგრული ყაიდის ქალამნები. მხარზე საჩიტე ბერდანა გადაედო, ყაბალახი თავზე დაეხვია. ქამარზე სატევარი ეკიდა, მარჯვნივ — ჩხართვი და ტყის ქათამი.

— შეილო, ნათლია ჩამოსულა, ნათლია! — შიაცყერა დედამ ყმაწვილს.

— მართლა? აბა, წავალ იაბუა მუკოჩიასთან და წეროლს მძიწერს ბათომში.

— მოიცადე, შეილო: ჯერ ვისადილოთ. აბა, კონა, გააჩქარე ცეცხლი... ქიონიამ ტაბაკი დადგა, საჭმელი ჩამოალაგა. პუმპუღის აღვრთე ყელი-დურად ჩამოდგა.

— ხვალ კარგი ძღვენი უნდა მივართვათ ნათლიას, — სთქვა ქიონიამ.

— ცუდი როდის მიგვირთმევია, — თაემომწონედ უთხრა შმაგამ.

— მართალია, მაგრამ ხვალ სულ სხვია. ხომ იცი, როჩინდის ქარხანაში მიყავხარ...

როტშილდის გახსენებამ შმაგი გაახარა. მას დიდი ხანია უნდოდა ბათომს წასვლა, დიდი ქალაქის ნახვა, ახალ ცხოვრებაში ჩაბმა. როტშილდის ქარხანა და ბათომი მას ზღაპრულ აბეზად ჰქონდა წარმოდგენილი. იყო კიდევ ერთი მიზეზი, მაგრამ ამ მიზეზს შმაგი არავის უმხელდა.

— ცხონებული მამაშენი ცოცხალი რომ ყოფილიყო არ დაგვჭირდებოდა ოჯახიდან გასვლა, — ამოიოხრა ქიონიამ, — მაგრამ რას იზამ? რამდენი ხალხია წასული საშოვარზე ფოთსა და ბათომში. შენც პატარა არა ხარ. მეთერამეტეში ჩადეჭი. ორი კლასიც გათავებული გაქვს, არ დაიზაფრები...

— რატომ უნდა დავიზაფრო, — დინჯად უბასუხა შმაგამ. — ფულს შევავართვებ, ჩამოვალ, მიწას ვიყიდი და ოდას დავიდგამ ამ ისლიანი ქოხის ნაცვლად.

— ეხ, მიწა! ოდა! — ამოიოხრა ქიონიამ.



შმაგი სოფლის ორღობეს ჩაჰყოლია და ფრთხილად მიდის. სუროიან ხეებს აკვირდება. ქამარზე მოკლული ჯიჯლი ჰკიდია.

— ჭახ... ჭახ... ჭახ — გაისმის ხშირად შაშვის ჭახჭახი.

შმაგი თოფს მოიმარჯვებს, მაგრამ შალია შაშვი, უცბად მოწყდება ტოტს და მახლობელ ტირიფზე შემოჯდება.

აი, ერთი შაშვი პირდაპირ შმაგის ცხვირწინ შემოჯდა ხეზე; მონადირემ თოფი მოიმარჯვა და უცებ...

— ჰეჰ! — იქეჭა სხვა თოფმა. დაქრილი შაშვი ბარდში შეფრინდა.

შმაგამ შეყენებული ჩახმაზი ფრთხილად ჩამოსწია და გაკვირვებით გაიხედა განზე. დაბარდნილი ტოტები შეირსა, თოვლი ჩამოცვივდა და ღობეს მონადირე ქალიშვილი მოადგა. უკან ოფიცერი მოსდევდა.

— ცირუ, გამარჯობა! — შესძახა შმაგამ და ერთი ნახტომით გაჩნდა ღობესთან. ქალმა გაუღიმა, ფართო, ხშირი, თეთრი კბილები გამოაჩინა.

ტანაყრილი, ვიწრო ნიკაბიანი, შავთვალა, სურათ-ცხვირიანი და თხელ-ტუჩბიანი ქალი დათოვლილ ბარდის ფონზე დახატულს სურათსა გავდა. ქალს თბილ პალტოში შყერდი ამოზნექოდა, დათოვლილ დაბალ ქუდიდან თოვლის ფიფქები ცვივოდა, მარცხენა ხელში თოფი აემართა და კონდახი ღობეზე დაებჯინა.

— შმაგი, გამარჯობა! — უთხრა ქალმა. — მგონი გაჯობე. შენ ერთი მოგიკლავს, მე ორი.

— მაჯობე, მაჯობე! — გაიცინა შმაგიმ და ქალის ხელი ხელში გაიჩერა. ცირუს ხელი რომ შეეხო, შმაგის ხალისიანმა სიტომამ დაუარა ტანში. კაბუცი აენტო.

ქალს სიწითლე შეეპარა. ხარბად შეისუნთქა პაერის თითქოს უცბად გაუგანირდაო მკერდი.

„ძამ არ დავიწყებია“, — გაუელვა ცირუს და გაახსენდა ბავშვობის თამაშობანი.

აი აჰ, ამ ორდობებში რამდენჯერ უთამაშნიათ შმაგისა და ცირუს. საუკეთესო ხილი თუ ლამაზი ჩიტები სულ ცირუსათვის უნდოდა შმაგისა. როგორ ეხარბებოდათ სხვა გოგონებს...

— Что с мужчиной нежничать! — ცივად თქვა ოფიცერმა.

ვერ გაიგო შმაგიმ რა სიტყვა ოფიცერმა, მაგრამ რაღაცა ცუდი რომ სიტყვა ამას კი მიხვდა. სიტყვა არ შეარჩინა:

— თუ კარგი თქვა ქართულად ეთქვა, თუ ავი თქვა რუსულს რათ ეფარება?

ცირუმ შეატყო, რომ საქმე ცუდად დატრიალდებოდა და უთხრა ოფიცერს წავიდეთო.

შმაგის კომოლუბრუნდა დიმილით:

— გმადლობ, შმაგი, მინახულე უეჭველად.

უცებ დასწვდა თოვლს, შმაგის სახეში შეაყარა და კისკინით გაიქცა.



მუკოჩია ბაბუა ცეცხლის პირას იჯდა და მათარახს სწნავდა.

მუკოჩია მათარახის განთქმული ოსტატი იყო. თავმომწონე ცხენოსნები მხოლოდ მის მათარახს ხმარობდნენ. თითო მათარახი ექვსი აბაზი ღირდა. მუკოჩიაც კმაყოფილი იყო და მისი მუსტრებიც.

მუკოჩია უტუ მიქეას აჯანყების მოწაწილე იყო. ხშირად ზღაპარივით მოუყვებოდა ახალგაზრდებს ძველ-ძველ ამბებს: უტუს აჯანყებას, ომერფაშის შემოსევას, ბათუმის აღებას, ჩოლოჭთან ბრძოლას და ყოველთვის ყოველ საუბარს მემამულეების ამბებზე გადაიტანდა. ეხე-ხეო, ესენი რომ არ იყვნენო, ხალხს ეშველებოდაო. ორჯერ-სამჯერ გაჩხრიკეს კიდეც, მაზრაშიაც დაიბარეს, თითო კვირა „ნაობახტში“ გააჩერეს და გამოუშვეს.

მუკოჩიას სათაყვანებელი ბაჩა ცხენი და იარაღია, ხოლო საზრუნავი მისი — რძალი ქიონია და შვილიშვალები: შმაგი და კოჩა.

ცხენი ბაჩა აფხაზეთიდან დაწყებული აჭარამდეა განთქმული. იარაღი ჩოლოქის ომიდან ჩამოიტანა და „თვალს უყენებს“ მტერს. რძალსა და შვილიშვილებს იმით ეხმარება, რომ ყოველ გაზაფხულზე ერთ-ორ ქცევა მიწას დაუმუშავებს. ბევრი შრომა, მაინცდამაინც, არ უყვარს. დაათხარიკებს თავის ბელაურს მეგობრებსა და ნათესავებში და შექხარის მზეს.

შესახედავად ლამაზი კაცია. მარცხენა ყვრიმალზე გრძელი ნაჭრილობევი გასწოლია. ხელი ფართო, თითები გრძელი და მაჯა მსხვილი აქვს. თვალები მჯილის ტოლა. პირში განუყრელად ჩიბუხი უჭირავს. სქელი, გრძელი, შეთეთრებული წვერი აქვს.

შმაგის ძალიან უყვარდა მუკოჩიასთვის ყურის გდება. როგორც კი დროს

ისელებდა მაშინვე მუკოჩიასთან გაიქცეოდა. მუკოჩიასაც უყვარა შმაგისთან საუბარი... კარგი გაგონება ჰქუის მანინშიაო, იტყუდა მუკოჩია...

— ბაბუას გაუშარჯოს, — შესძახა შმაგამ და ჯიჯლი ესროლა.

მუკოჩიამ მყისვე ასწია თავი, ჰაერშივე დაიჭირა გამოსართლებელი ჯიჯლი და გაუცინა.

ბაბამ შმაგის ხმა გაიგონა, დაიჭიხენია. შმაგამ ჯიბიდან ქაჩალა ტაროსიმიონდი ამოიღო, ცხენს გაუწოდა, მიეალერსა.

— ბატონო მუკოჩია, შინ ბრძანდებით? — მოისმა კარებთან.

— მოდი, ბათუ, მოდი!

შემოვიდა ბათუ, ხმელ-ხმელი, ქერა, ტანწვრილი, ვლალ-თვალა ყმაწვილი. წყლით სავსე ქალამნებს ჰაჭყი-ჰუჭყი გაჰქონდა.

— დილა მშვიდობისა, ბატონო მუკოჩია, — მორიდებით მიესალმა ბათუ. — მეტი ბატონმა შემოგითვალა მათრახი დამიმზადეო. შენ რომ იცი ისეთიო.

— ძალი მიაკვდა შენს ბატონს, — გაუწყრა მუკოჩია. — რამდენჯერ გითხარი ბატონი არ მიხსენო შეთქი. დაჯექ, გათბი.

ბათუ მოუჯდა კერას.

— დიდი შეჩვენებული ვინმეა ის შენი ბატონი, ვერ მოგცა ერთი გამოცხადი შარვალი მაინც, დასამალავი რომ გამოგჩენია?

შმაგის გაეცინა. ბათუ გაწითლდა.

— ეხ, ღმერთს ასე გაუჩენია, ბატონო მუკოჩია. რა ვქნა!

— არ დაიჯერო. ღმერთს რაში უნდა შენ გამოხეული შარვალი გეცვას. ანგელოზი ხომ არა ხარ, ტიტველი რომ იარო?

შმაგამ გაღიზიანდა.

— რა ვიცი, ეკლესიაში ასე ქადაგებს ხეცესი, — ჩაილაპარაკა ბათუმ. — ღარიბი და მდიდარი ღმერთმა გააჩინაო... შენ კი სხვას ამბობ... რა ვიცი ვის დაუჯერო. ეკლესიის მადლი რომ გამოიწყრეს...

— ეკლესიას რომ მადლა ქონდეს, მე აქამდე კუბარში ვიქნებოდი მობარშული, მაგრამ, ხომ ხედავ, თვალი არ მაკლია და ყური. 65 წლისა ვარ, კბილები კი ქვასავით მაქვს. შემრჩია ჩიქვანების და დგებიების მოთხრა. ვაცხონე უტუს სული.

— შენ უტუს ეხმარებოდი? — ჰკითხა ბათუმ.

— ეხმარებოდი რომელია, ჩემო ჩონგურო, მარჯვენა ხელი ვიყავი. ახლგაზრდა კი ვიყავი, ასე თქვენს ხელა, მაგრამ უშიშარი და შეუბოვარი. ჩემი ხელით შევყავრიბე ჩემს მებატონეს უღვაში. მერე მოვებით მის სახლს თოკები და სულ რიხინ-რიხინით მოვთხარეთ. დიდია ხალხის ძალა, თუ ერთი პირი ჰქნა... ისეთი დღე დავაყენეთ მებატონეებს, რომ ტყეებში იმალებოდნენ ტურებივით. მაგრამ რა გვექნა? რუსის ხელმწიფემ ჯარი მოგვყენა და გვაჯობეს.

— შენ როგორ გადაარჩი?

— გურიში გადავედი. იქ ვინახავდი თავს ერთხანს, ერთი დიდებული ვაყვაცი დავიმეგობრე, შევარდენა ლომჯარია. ის მინახავდა. იქ მომიგნეს და ოსმალეთში გადავვარდი.

— შენ მართლა გაათათრდი, ბაბუ?

— ტყუილია. მტრებმა მომიგონეს, თავადაზნაურებმა. ისე კი, ცოდვა

გამქლავნებული სჯობია, დავდიოდი მათ ჯამეში, თვალის ასახევედ. ასე იყო ომამდე. ბათუმის ომამდე.

— ომში ვისი მომხრე იყავი? თურქებისა თუ რუსებისა?

— მე ჩემი თავის მომხრე ვიყავი... კინტრისის ბრძოლაში რუსებს ვეხმარებოდი. ეთქვი, აწი დროა სამშობლოში დაებრუნდე შეტქვი. სამშობლო, ბაბუ, ყველაფერს სჯობია, ყველაფერს... კინალამ გული ამომიფარდა საგულედან, ჩვენი სოფელი რომ დავინახე ოცი წლის დამორების შემდეგ.

— რუსებს როგორ მოეხმარე?

— გზა ვუჩვენეთ, ჩემო ჩონგურო, მოსავლელი გზა. ამისთვის სისხლის ჯვარი დაგვიდღეს მე და შევარდენას. მეორეჯერ, ციხის-ძირთან, მე და შევარდენამ ბატარია ავადეთ და თურქების დროშა ჩავიგდეთ ხელში. თითო ჯვარი მაშინ მოგვეცეს. ლეკურიც მაჩუქეს. შევარდენას თოფი და ლეკური აჩუქეს... ჰელეე, რა ვაქვაცია. მთელ სოფლად ღირს... ბათუმში რუსის ჯართან ერთად შევედი. თურქის დროშა რომ დასწიეს, ოცჯერ გაისროლეს. რუსის დროშა რომ დასწიეს — ასერთჯერ. რუსის ჯარში ბევრი ჩვენიანები იყო. გავიგე, რომ ჩემი მტერი თავადები ჩაძალღებულან. დავკარი ფეხი და ამოვედი აქ.

— შენ რომ თავადი ყოფილიყავი დიდი კაცი იქნებოდი, — უთხრა ბათუმ.

— ხა... ხა... თავადობა ეშმაკის მოგონილია. ვაცივებ აგერ...

— ჰო, ჰო, ბაბუ, ის სთქვი ჩიჩუას და ლაბარტყავას ამბავი. რა სასაცილოა! — გაიცინა შმაგიმ.

— სოფელში თავადაზნაურების აღწერა იყო. თარჯიმანი ავად გახდა და მე დამიძახეს იმის მაგივრად. ცოტა რუსული ქე ვიცი. ჩამწერმა რუსმა ორი გვარი შეადარა ერთმანეთს: ჩიჩუა და ლაბარტყავა. ფუი, ჩიჩუა რა გვარიაო. აი, მესმის, ლაბარტყავა თავადური გვარიაო... და გაჭიანურებულად თქვა: ლა-ბარ-ტყა-ვა...

— ხა... ხა... ხა — გადაიხარხარეს შმაგიმ და ბათუმ.

— ბაბუ, რცი რატომ მოვედი შენთან? ზოსიმე ნათლია ჩამოსულა და ბათუმს უნდა წაგყვებ: შენ რომ მითხარი რომილდის ქარხანაში კაცი მყავსო და წერილს მიგიწერო...

— ჰოო... სილიბისტრო ლომჯარია. ჩემი ძმა კაცის შვილი... კი, ბაბუ, კი. ოღონდ შენ კაცი გამოდი და როგორ არ მიგიწერ.

— მათრაზი როდის იქნება, ბატონო? — ჰკითხა ბათუმ. — რა ეუთხრა ბატონს?

— უთხარი, თავადებისთვის ყოველთვის მზად აქვს მათრაზი მუკოჩიას თქო...

ქიონიამ თეთრი სახოცი გაშალა და ძღვენი ჩაალავა: „სანათლიო“ გრძელი თეთრი ღვეძელი, თორმეტკვერცხიანი. შემწვარი ყვერული. მოკვერცხილი ხაჭაპური. სამი სულუგუნი. ერთი ზოთლი პანთლის არაყი.

— ჰკუთით, შვილო, ფეხი არ დაგიცდეს, — უთხრა დედამ კონას.

— ყარამანივით დავაბიჯებ ფეხს, — უპასუხა კონამ.

სტვენა-სტვენით წავიდა კონა. ძალი ღირთუ კუდის ქნევიტ აედენა. ხშირად დაყნოსავდა ფუთას.

— არ შეიძლება ამისი ჭამა, — აუხსნა კონამ. — მეც არ მაწყენდა ეს დევძელი და ხაჭაპური, მაგრამ რას იზამ... აი, ხვალ იმდენს მოგცემ, იმდენს...

ღირთუმ კუდი დაუქნია, თითქოს უპასუხა:

— რას მატყუებ, კონა, ვანა არ ვიცი შენი ამბავი?

ნათლიას სახლი რომ გამოჩნდა, კონამ ფეხს აუჩქარა. კიშკართან ნათლიის დიდი ძალი დაუხვდა.

— ნუ გეშინია, კონა, ნაგო არ გივბენს, — შიდახა კონას პატარა ბიჭმა.

— უჩა ხარ? გამიღე კარი. — დაუძახა კონამ.

ღირთუმ და ნაგომ ერთმანეთს დაუღრინეს. უჩამა დნ კონამ კი ძღვენს ჩახედეს.

— მოიტა, მე წავიღებ, — უთხრა უჩამ.

— არა, მე თვითონ უნდა მივართვა ჯახანა ნათლიას, — უპასუხა კონამ. აივანზე მაღალი, შებლჰკვიანი ქალი გამოჩნდა. გამოეგება ეზოში. კონამ ფუთა მიაწოდა:

— მიირთვი, ჯახანა ნათლია!

— გაიზარდე კარგი ბიჭი, — უთხრა ქალმა. — აბა, წამო დაჯექ ბუნართან, გაითბე ხელი.

კონამ გათოშილი ხელები გაითბო დნ წასასვლელად მოემზადა. სხვა დღეს ასე არ აჩქარდებოდა კონა, მაგრამ ახლა ძალიან აინტერესებდა, რას აჩუქებდა ნათლია.

— კონა, — უთხრა ნათლიამ, — გადაეცი დედას შმაგის საქმე მოწყობილია თქო. ზო... მე ნათლია წაიყვანს თქო.

— კი ბატონო. — უპასუხა კონამ, თან ნათლიას ხელს ცალი თვალი გააყოლა, აბა რა აქვს ხელშიო. ჯახანამ თვალი შეასწრო, გაეცინა და ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა. მეორე ოთახიდან შავი წვერულვაშა კაცი გამოვიდა. კონა რომ დაინახა გაუღიმა, აეცოცა.

— როგორ გაზრდილხარ ჩემო მირონო.

კონამ თავი დაღუნა, ფართო ხილაბანდი გაშალა, ისევ დაეცა. თითქოს ანიშნა ნათლიას ხელცარიელი როდი მოვსულვარო.

ზოსიმემ ახედ-დახედა ბავშვს.

— მმ... ფეხზე ქალამანი და ისიც გამოხეული. ტანზე სატინის ხალათი და ისიც დაკერებული... ოქროსავით ბავშვი კია... ეხ, დაუდგეს თვალი სიღარიბეს...

— ის მომიტანე, თოლიგე, — უთხრა ზოსიმემ ცოლს.

ჯახანამ ზანდუკი გააღო და ფუთა ამოიღო.

— აი ეს შენ, ნათლია. — და ზოსიმემ ფუთიდან წითელყურბიანი წულე-ბი ამოიღო.

კონა სიხარულისაგან გაწითლდა.

— მეც მომიტანა. მამამ, — უთხრა უჩამ და წითელყურბიანი წულე-ბი გამჟურბენინა.

— ესეც... — და ზოსიმემ ფლანელის სახალათე ამოიღო. — გაიზარდე კარგი ბიჭი.

კოჩას გულს ბაგი-ბუვი გაჰქონდა. წუღები და სახალათე ჩაბღუჯა, გულში ჩაიკრა, თითქოს ვინმე ართმევდა.

ჯახანამ და ზოსიმემ გაიცინეს.

— მადლობელი ნათლია წამო, ღირთუ!

— მოიცა, მოიცა.— მიაძახა ზოსიმემ.— აჰა, ესეც, — და ჩაუღლო ხელში.

— მადლობელი ნათლია წამო, ღირთუ!

თოვლზე რჩებოდა კოჩას მტკიცე და ღირთუს მსუბუქი ნაბიჯები.



სოფელში ხმა დაარხიეს. ნათლილებას ზოსიმე ოჩიგავა ჯვარს ამოიყვანსო, ბათომიდან ბლომათ ფული ჩამოუტანიაო, ფეხზე კალოში აცვიოაო.

...ნათლილების წირვას მთელი სოფელი დაესწრო. პატარა ბიჭები და გოგონები დოჭებით მოვიდნენ ნაყურთხი წყლის წასაღებად. წირვის გათავებას ყველა ხალისით მოელოდა.

შმაგი გამოვიდა ეკლესიიდან, აივანზე ჩამოხჯდარ გლეხებთან მივიდა, ყური დაუგდო. მუკოჩია ოხუნჯობდა:

— გურიაში მიქელ-გაბრიელის ეკლესიაში ასეთი ამბავი მახსოვს. ყაიხარ ბოლქვაძე იყო ერთი. დიდი გამოცდილი კაცი. დამღვარა თავისი გრძელი ჯოხით ეზოში და იქიდან უგლებდა ყურს წირვას... ხუცესი სანათლილებო წირვაზე იდგა. მოვიდა გლეხი ალექსანდრე მიჭაძე და ვეებერთელა სანთელა შესწირა ხატს. ყაისარმა მიაძახა:

— ალცანდრავ, ბიჭო, შე საცოდავო, მაქანაი რომ მივაქ მაი სანთელი, რა გიჭირს, შინ გეინათო? ღამე რომ ბნელში სუფრას ვერ ხედავ და პირსი ჩასაღობ ლუკმას ყურში იღობ. გეინათე შინ და ქალი და ბაღანაი უფრო მადლობას გეტყვის...

— ხა... ხა... ხა — ატყდა ხარხარი...

შნათე გამოვიდა და ხალხს მიმართა:

— შემობრძანდით ეკლესიაში, ბატონებო!.. რაა მუკოჩია წირვის ღროს ლაპარაკს რომ გააბამ ხოლმე?

წირვა რომ გათავდა, ხუცესმა ჯვარი ასწია და მთელი კრებულთ მდინარისაკენ გაემართა. პატარა მდინარე მზეზე თბებოდა. მინდორში თოვლი აკრუფილიყო. ცხენოსნები ძლივს აკაევდნენ ბედაურებს, რომ ჯვარისათვის არ გაესწროთ. მდინარის პირას დიდი ქვაბი დადგეს. ქვაბი წყლით აავსეს. ჯვარი ქვაბში ჩაუშვა ხუცესმა. ცხენოსანთა რაშიმ საპატიო ყარაულივით გამწკრივდა მდინარის პირას. დაიწყო ჯვრის ცურთხევა. ქალები ჩასირმულ მხედრებს უფრო უყურებდნენ, ვიდრე ხუცესს. მხედრებიც ქალიშვილებს ეთამაშებოდნენ თვალებით. ამ თამაშობაში ჩქარა მიიწურა კურთხევა ჯვრისა.

— შეილებო, — დაიწყო ხუცესმა. — ვის გსურთ ჯვრის ამოყვანა? დაილოცოს მისი სახელი, ის მიანიჭებს თავის ნათლიას ვაჭრობაში მოგებას, მუშობაში ბარაქას, ხალხში კეთილ სახელს... მაცხოვარს უყვარს თავისი ნათლია... დაიწყეთ...

ერთმა ხანმა სიჩუმეში განვლო. ყველამ ერთმანეთს გადახედა.

— მანეთი! — შესძახა სინუშეში ზოსიმემ. მისი მაღალი, მკერდის ხმა სასაიამოვნოდ გაისმა.

— ორი მანეთი! — წამოძახა ოფიცერმა და ცირუს გადახედა. მოქიშპეებში მეტი ბატონიშვილი შემოერია და ერთბაშად დასწიეს მკვანდას და ათი მანეთი!

ვაკრობა გაგრძელდა, ხალხის ყურადღება დაიძახა როცა ოფიცერმა „ხუთმეტი“ დაიძახა, ზოსიმემ „თექვსმეტი“, ხოლო ბატონიშვილმა „თვრამეტი“ შეაგება. ბოლოს კი:

— ოცდახუთი... — და დაიმკლავა.

ჩაპყო ხელები ქვებში და ამოიღო ჯვარი. სიცილით, ხმაურით ეცნენ მდინარეს. პატარა ბიჭებმა წამსვე გაიხადეს და ჩახტნენ წყალში. მზეს მაინც ვერ გაეზო მდინარე და ბიჭები კბილებს აკნაწუნებდნენ. დარწმუნებული იყვნენ, ვინც ნათლილებას იბანა-მებდა იორდანეში, მას მთელი წელი არ გააციებდა...

ატყდა თოფების, დამბაჩების, რევოლვერების გრიალი. მუკოჩიამ ექვსჯერ დასცალა დამბაჩა. შმაგიმ რამოდენიმე ტყვია გაგზავნა აკრეცში. ზოსიმემ თავისი თეთრი რევოლვერის თორმეტი ვაზნა დაუშინა ზეცას. მუკოჩიამ გაიხუმრა:

— ზოსიმე, წმინდანებს არ მოახვედრო, ქვევით დასწიე!
— უი, სულწაწყმედილი, რა სთქვა, რა სთქვა! — გაწითლდნენ ქალები. მეტი ბატონიშვილმა ვიღაც ლამაზმანს რევოლვერი მიაწოდა:

— ინებეთ, ქალბატონო! ლამაზმანმა ლამაზი თვალები შეანათა მექის და გამოარაფა რევოლვერი. შმაგიმ თოფი მიაწოდა ცირუს. ცირუმ დასცალა თოფი. მხედრები ლამაზ ქალებს ირჩევდნენ და სროლას თავაზობდნენ. სროლას ცხენის თამაში მოჰყვა. ცხენოსნები მინდორში გავიდნენ. ხალხი მდინარის პირას დალაგდა.

— ციკური, ციკური — გაისმა ხალხში. ბავშვებმა გრძელი, წვრილი ჯოხი მოარბენინეს. ერთმანეთისაგან ერთი ცხენის სიგრძეზე დადგნენ და ჯოხი სალოცი თითის წვერზე — ციკზე გაიჭრეს. ცხენოსნები ჩამწყრივდნენ. წინა რიგში თავადაზნაურები დადგნენ. უკანა რიგებში გლეხები. მუკოჩიას ცხენი ლაგამს კვნეტდა.

— დაიწყეთ, ბატონიშვილო! — მიმართეს ცხენოსნებმა მექის. მექიმ ცხენი შეათამაშა. ორ-სამჯერ თამაშ-თამაშით გაიარა ციცამდე. დადგა საზღვარზე. უცბად ერთთავად ტანი წინ გადასწია, დაიზნიქა, მიეჭრა უნაგირს და დასძახა:

— მაჰაიტ!
ცხენი მოსწყდა საზღვარს, გაეკრა მიწას და იქ, სადაც ციკო იყო, შველივით ისკუბა და გადახტა.

— ეაშა! — დასცა გრიალი მინდორმა. გამოაჭროლა ცხენი მეორე მხედარმა და გადაეწვლო ციკს. გამოაჭროლა ცხენი მესამე მხედარმა, თითქოს ჩამოქანდაკებულაო, სანთელივით ეჭირა ტანი უნაგირზე. ლამაზად გადახტა. ხალხმა მოუწონა. წამოვიდა ახალი მხედარი. ოფიცრის ეპოლეტებზე და სირმისფერ შინელზე მზე ათასფრად ბრწყინებდა.

— ვინაა? ვინაა? — გაისმა ხალხში. — რუსია?

— არა, ჩვენებური ყოფილა, ანთაძე.

— მეტი ბატონიშვილს ჩამოყოლია.

— მთელი კვირაა სენაკიდან დაწყებული ბანძამდე რაღაცა უფროსი...
ქეიფობენ ხან ბატონიშვილთან, ხან მწეიქესთან, ხან მწეიქესთან განა
მაგათ საჭეიფო მიზეზი გამოუღევათ?

ანთაძემ ცხენს მათრახი გადაუშხულია. მათრახი მოხვდა კუდს. ცხენმა
ფეხი აურია.

— უუუ, — გაისმა ბიჭებში ყიყინა. — მათრახი დაჰკრა კუდზე. ეგ რო-
გორი ცხენენჯი ყოფილა? ფუ!

ცხენი დაიბნა და ჩამოაგდო ციცი.

— გაფუჭდა! გაფუჭდა! — დასცეს ყიყინა ბიჭებმა.

ხალხი გულიანად იცინოდა.

— ეს ვინ ყოფილა! — გადაიხარხარა შმაგამ ისე, რომ ცირუს გაეგონა.

— მუკოჩია, მუკოჩია! — გაისმა ხალხში, როცა გლეხების რიგი დადგა.
მუკოჩიამ ცხენი გამოათამაშა.

— ბაჩა, ბაჩა — გაისმა ალტაცებული შეძახილები. — ცხენი კი არა
ღმერთია...

ჭიონიამ შეხედა მხედარს, ამაყად ასწრა თავი და გაიფიქრა:

— ცოდვა არ არის ასეთი კაცი თავადებში ვერ გაერიოს? ეხ, დაუდგა
თვალი უსამართლობას... რომელი თავადი სუგობიან მას...

მართლაც, მუკოჩია ძალიან ლამაზად გამოიყურებოდა. ვინ იცის რა
დროს შენაძენი, მაგრამ კარგად შენახული შავი ჩოხა ეცვა. მკერდს სპი-
ლოს თეთრი ძელის მასრები უშეგნებდა. შავი ახალბისა და ჩოხის შუა
ბაღდადის ცხვირსახოცი ჩაედო, მაგრამ ისე კი, რომ ყური გამოჩენილი-
ყო. შავს ახალბისე მარჯვნიდან ორი თითის სიფართე სირმა გადაეცვა.
წელზე ენებიან ვერცხლის ქამარზე სპილოს ძელის ვადიანი სადა შავი
სატყეარი შევროდა. სადა, თურქული ხმალი. წელზე უკან თურქული დამ-
ბაჩა. მარჯვნივ გრძელი რევოლვერის ბუდე ეკიდა, ოღონდა რევოლვერი
არ ჰქონდა შიგ: არ უყვარდა. შევერცხლილი წვერი, თეთრი თიფთიკის
ყაბალახი ორადგადაკეცილი და გაშლილი. კუპრივით შავი და შუბლზე
თეთრ მთვარიანი ბაჩა...

ხალხს უყვარდა უტუ მიქაევას თანამებრძოლი და ხალისით უყურებდა
მას. მუკოჩიამ ყაბალახი შეისწორა, ცხენისკენ დაიხარა, აიწურა ცხენი-
ნად.

— შაჰაბე, ბაჩა!

ბაჩა მოსწყდა ადგილს. იცოდა ბაჩამ, როცა მუკოჩია გრძლად ეტყოდა
„ბაჩას“ საჭირო იყო განსაკუთრებული სიმარჯვე.

მიპქრის მხედარი. ორად გადაკეცილი და თავზე თავისუფლად, ორად
გაშლილი ყაბალახი, ვინ იცის რა ჯადოსნობით იყო მხედრის თავზე გა-
ჩერებული. აი, აფრიალდა ყაბალახი. ვაი, არ ვადაუვარდეს, თორემ წა-
გებოს, გაიფიქრა ხალხმა.

სანამ ხალხი ამას გაიფიქრებდა, ბაჩა ერთი წყრთით გადაახტა ციციის.

— იი ციციური ყოჩაღ! ვაშა! — დასცა ხალხმა ყიყინა.

— ცხენია თუ ქაჯი? ეშმაკის სული ზის მაგ ცხენში, — ჩაილაპარაკა
*ხუცესმა.

მუკოჩიამ თამაშ-თამაშით წამოიყვანა ცხენი, მაგრამ თვადების ჯგუფში არ გაერია. ცოტა განაპირდა გლჭხებისაკენ. გლხ ცხენოსნებს ახალი მხედარი გამოეყო.

— ჩაგუ შაფათავა, ჩაგუ! — გაისმა ხალხში. — გვასახელე, ჩაგუ!

ჩაგუ შაფათავამ უღვაშები გადაიგრიხა; თაფლისფერ ბეჭელებს შესცინა ხალხს, ატურისფერ ჩოხაში ბეჭეები შეარხია, თეთრი ცხენი საზღვარზე მიავლო.

— რა მოსიძღვრე და მოცეკვავე! — თქვა ქიონიამ.

— მოცეკვავე მაგისი ბიძაშვილი იქითხე, — უთხრა ზოსიმემ. — მაგას ბიძაშვილი ყავს ბათომში, ივლიანე შაფათავა, ცეკვა და დოლი იმისი იქითხე.

— უყურე! უყურე! — გააწყვეტინა ქიონიამ — ერთი მტკაველით მალა გადაბტა.

— ქუთარ ბერულა! ქუთარ! — გაისმა ხალხში. — რა ვაქაცია! ერთ სოფლად დირსა..

ქუთარმა მალალი ბოხობი უკან გადაიყვია, წითელ უღვაშებზე ხელი ჩამოისვა და გააქანა ცხენი.

— ესეც ერთი მტკაველით მალა, — თქვა ზოსიმემ. — ვაჯობეთ თავადებს.

— მკერდული — შესძახა მეჭი ბატონიშვილმა და ცხენი შუა მინდორში გამოავლო. ითხოვდა მოპირდაპირეს. ყველამ მუკოჩიას შეხედა.

მუკოჩიამ მიმოიხედა. თვალი მოჰკრა შმაგის. შმაგი იდგა დაღონებული. — შმაგი, მოდი აქ. შეჯექ, ოღონდ არ შეარცხენო ცხენი...

სირცხვილი იყო, თორემ შმაგი მუხლებში ჩაუფარდებოდა მუკოჩიას. შმაგი მიეაღერსა ცხენს. წინ დაუდგა. პატ, ჩემო ბაჩა, როგორ ხარო. ხომ ვიბრძოლებთო დღეს... ჰოო!

დაიწყეს მკერდული. შმაგიმ თავი აარიდა მეჭის და ოფიცერზე მიიტანა იერიში. ზედ ცარუს ცხვირწინ კინალამ გადააკოტრიალა ცხენიანად. ოფიცერი მეორედ მივიდა მკერდზე. ბაჩამ ახლაც დაამარცხა. ოფიცერის ცხენმა ჩაიჩოქა. ვერც სხვა ცხენებმა გაუძლეს ბაჩას...

მეჭი ბატონიშვილმა ვერ მოითმინა და შესძახა:

— დამიდექ, ყაზახო!

შმაგიმ დაიხია. ვერ შეხედა ბატონიშვილს.

— მიდი, მიდი, ნუ გეშინია, — გაამხნევა მუკოჩიამ. ორი ბედაური ორჯერ თავგანწირვით ეძგერა ერთმანეთს. მაგრამ ვერც ერთმა ვერ სძლია.

— კმარა, კმარა. ცოდვია ცხენები, — გაისმა ხალხში.

შმაგიმ გადახედა ლიანგს. იპოვა ის თვლები, რომელსაც ეძებდა. ცირემ შიატოვა დაქვეითებული ოფიცერი და წინ წამოვიდა. ეტყობოდა, გაუწყრა დამარცხებულს.

— გნებავთ მესამედ, ბატონიშვილო? — ჰკითხა შმაგიმ მორიდებით. თქმა და ბატონიშვილის განიდან გამოქანება ერთი იყო. შმაგი არ მოელოდა, მაგრამ ბაჩამ თვალი მოჰკრა მტრის ხერხს, უკანა ფეხებზე შედგა და მტერმა წინ ჩაუქროლა. იმავ წუთს შმაგი ეძგერა ბატონიშვილს და ჩაიჩოქა.

ბატონიშვილმა ცხენი გამართა და მათრახი სწყვიტა შმაგის/ და უცბად დატრიალდა შმაგის თვალწინ კითხვა: გაეუბედო? გადაეუბადო? სად ბატონიშვილი და სად ის! ელვის სისწრაფით მოაგლო თვალი ხალხს. დაიჭირა მუკოჩიას თვალი.

მეგობრებო
მეგობრებო

— დაჰქარი დაჰქარი! — დაუქნია თვალი მუკოჩიამ.

ბატონიშვილის ნატიფ სახეზე შმაგის მათრახმა ლურჯი კვალი დასტოვა. იმავე წუთს მუკოჩია შემოახტა უკან ბაჩას, აღვირი გამოსტაცა შმაგის, გადათელა ბატონიშვილი და გაეკრა გზას.

ბატონიშვილმა იძრო რევოლვერი, ცარიელი იყო. ვ.ზნის ჩადება დაეწყებოდა. ფიცხლავ ჩასდო ტყვიები და დაახალა.

ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ხალხში ერთმანეთს ეკითხებოდნენ: რა მოხდა, ვინ ვის დაარტყათ. მუკოჩია ცამ შთანთქა თუ მიწამო?

მხოლოდ ზოსიმე თჩიგაევამ გაიგონა მუკოჩიამ რომ მიიძახა:

— ქალადიდში, ბიგუებთან...

— ესეც ქალადიდის ტყე, — თქვა ზოსიმემ და ტყის სიღრმეს მდევით შეპყვირა: — ეჭვი, ჰევი!

— ეჭვი, ჰევი! — უპასუხა ზოსიმეს ტყის სიღრმემ.

ტყიდან გამოვიდა, თითქოს ბარდს გამოეყოფო, ახალგაზრდა კაცი, მალალი, ხმელი, მოკლე წვერიანი. თაფლისფერი, ჰკვიანი და მაცდური თვალეები ჰქონდა. მოკლე, წყლისფერი, ჯვარული შალის ჩოხა ეცვა, წელზე სატყეარი, თავზე ნაბდის წოწოლა ქედი, ბეჭებზე, უფრო მარცხენა მხარეს, ჯვარული მოწითალო დაცხაეებული ნაბადი მოეგდო. ნაბადი მუხლუბამდე სწვდებოდა. პაჭიჭები ლეკვერთხით დაემაგრებინა. ფეხზე ტყავის წულა ეცვა. ხელში მსხვილი მაღალი ჯოხი ეჭირა. უკან მუკოჩია და შმაგი მოყვებოდნენ.

— მრავალ წელს მენახო, ბატონო პეტრე! — უთხრა ზოსიმემ.

— მრავალ წელს მენახო, ჩემო ბატონო! უპასუხა ზოსიმეს მწყემსმა. — შობრძანდი კარავში.

კარავი იყო წვრილი წნელისაგან წნული, გარედან საქონლის პატით გაღვსილი. შუაში ნაჭა იყო ჩამოკიდებული. კუთხეში ნიგეები იყო ჩამორიგებული. ნაჭას თავზე სულგუნები ეკიდა და კვამლში იმპკვარტლებოდა. წინა კედელზე მუკოჩიას ხმალი ეკიდა...

— ელარჯი უნდა გაქამო, ზოსიმე, — დაფაცურდა პეტრე. — ისეთო ელარჯი, რომ...

შმაგის გაეგონა ელარჯის ქება, მაგრამ ჯერ არ ენახა და დიდის ყურადღებით აღევნებდა თვალყურს ელარჯის გაკეთებას.

პეტრემ კარდალში ჩაასხა რძე და ჩამოჰკიდა ნაჭაზე. რძე რომ აღუღდა ცოტა ფეჭილი ჩაყარა. მოურია ნიგიდან მსუქანი ყველი ამოიღო, კარდალში ჩასჭრა რამდენიმე კიბუ. დააყოვნა. ყველი მოიხარშა, დაბუფდა, გაფუფდა, წებოსავით გახდა...

შმაგის გაეგონა, რომ ელარჯი ძაფივით იწევაო. ორი თითით ლუკმა აიღო და გასწია.

— გასწიე, ბიძი, გასწიე — გაიცინა პეტრემ.

შმაგიმ გასწია. ელარჯი არ გაწყდა. შმაგიმ ხელის გაშლამდე გასწია —

ელარჯი არ გაწყდა. შმაგი ადგა, კარამდე მივიდა, ელარჯი არ გაწყდა. გაეცინა, გაუკვირა.

გემოც უცნაური ჰქონდა ელარჯს. ასეთი გემრიელი და მსუქი საჭმელი ჯერ არ ექამა შმაგის. ძალიან დაენანა, რომ ერთგვარად ექვედრებოდა შესპამა...

მეორე დღეს გურიის საზღვარზე მუკოჩიამ გადაკონა შმაგი და ასე დაარიგა:

— გახსოვდეს, ბაბუ, ბატონიშვილს კი არა ღმერთს არ აპატიო შეურაცხყოფა. მათრახს მათრახით უპასუხე... მოვა ჩვენი დროც... არ შეიძლება არ მოვიდეს...

— ძმაო, — უთხრა პეტრემ შმაგის, — თუ ოდესმე საფარი დაგვირდა, ჩემი კარავი შენია...

მუკოჩიამ ზოსიმეს აწყალებული თვალით შეხედა:

— აბა, ზოსიმე, შენ იცი პირველ ხანებში. მერე არ დნობარგება. იმედი მაქვს... კეთილი მგზავრობა...

დაშორდნენ ერთმანეთს. ერთხანს უხმოდ იარეს ზოსიმემ და შმაგემ. შმაგემ ვერ მოითმინა და მოიხედა: მუკოჩია იდგა და მარჯვენა ხელი სატყვარზე ელო.

შმაგის გული აუჩუყდა. ძვირფასი მუკოჩია... რამდენი უტარებია ხელით პატარა შმაგი. რამე ხიფათი არ შეამთხვიოს იმ წყეულმა ბატონიშვილმა...

მუკოჩია მიბრუნდა. შმაგიც მიბრუნდა და ფიქრები მომავალზე გადაიტანა:

როგორია ბათომი? როგორია ქარხანა? რამდენი დრო უნდა, რომ ოდის დასადგამი ფული იშოვოს? ვინაა როჩილდი? ვინ იქნებიან ახალი ამხანაგები? ვინაა სილიბისტრო ლომჯარია? და უცებ ამ ბურუსში ელვამ შემოანათა:

— ცირკ, — ის ხომ ბათომშია?

ღამ ტკბილად აძგერდა მართალი გული.

II

— რამდენი ხალხია... მიქელგაბრიელობაზე არ მინახავს ამდენი ხალხი! თო, შაგი რაა? — და შმაგი ერთ ჭალს მიამტერდა.

ჭალს ფართო შლაპა ეხტრა. შლაპაზე თუთიყუშის ფშუტურა ედგა. ფრთები ისე გაეშალა ჩიტს, თითქოს გაფრენა სურსო.

— დიქარ, — მიახალა ქალმა და განაგრძო გზა.

— რა სთქვა, ნათლია?

— რუსული სთქვა, — უპასუხა ზოსიმემ.

— რუსული კი სთქვა, მაგრამ რა რუსული?

ზოსიმეს შერცხვა რუსულის უცოდინარობა გამოეჩინა (ხუთი წელია ბათომში მუშაობდა) და უთხრა:

— დაიქარგე, რას შემაჩერდი, შენი გზით გაიარეო.

— ამდენი რომ არ უთქვამს?

— წამო, ბიძი, აქეთ. რას ჩამაცივდი? — გზბრახდა ზოსიმე.

ერთხანს უხმოდ იარეს.

ქუჩის მოსახვევეში ხალხი რალაც სეირს უყურებდა. შმაგი ხალხში შეერია.

— ვილაც მუშა დამთვრალა და გოროდოვოი სცემს, — მთვსქა მას.

შმაგიმ გადახედა ხალხს. ხალხი ჩუმად იღვრა და აზრადღაც მოსდიოდა გამოსარჩლება. გოროდოვოი კი უხმოდ, რალაც ყრუ სიძულვილით, ურტყამდა კაცს. შმაგი აენთო. ეცა გოროდოვოის.

მოულოდნელი გამოსარჩლებისაგან გოროდოვოი დაიბნა და ხმალი გაანჩერა. შმაგიმ ბუშტი აუკრა მკლავში გოროდოვოის. ხმალი მიწაზე დაეცა. მუშამ ამით ისარგებლა და თავს უშველა. გოროდოვოი გონს მოვიდა. დაიღრიალა:

— შენ... კანონს ეწინააღმდეგები? — და დასწვდა ხმალს.

— რაზაიდის! — მოისმა ამ დროს მრისხანე ხმა.

პაგონებოანი, ხმალ-რევოლუციონი ზორბა კაცი გამოჩნდა. გაკრიალებული ჩქმები ეცვა. გრძელი, შავად შეღებილი სქელი წვერი მკერდამდე ქჭონდა.

— ჩხკეაძე, ბოქაული ჩხიკეაძე! — მოისმა ხალხში.

— არ გესმით, დაიშალენით მეთქი! — კვლავ დასწყვილა ჩხიკეაძემ.

ხალხი დაიშალა. დარჩნენ მხოლოდ ჩხიკეაძე, გოროდოვოი, ზოსიმე და შმაგი.

— რაშია საქმე? — იკითხა ჩხიკეაძემ. — ვინაა ეგ მამაძალი? გოროდოვოიმ მოახსენა.

— ბატონო გრიგოლ, გვაპატიეთ ღვთის გულისათვის. ეგ პირველად ჩამოვიდა სოფლიდან. ჩემი ნათესავია, არც კი იცის ვინ ბრძანდება ბატონი გოროდოვოი. დაინახა იარაღიანი სცემდა უიარალოს და ხომ მოგეხსენებათ ჩვენებური კაცის ამბავი, — შეეხვეწა ზოსიმე.

— ხომ იცი კანონის წინააღმდეგობა რას ნიშნავს?

— ბატონო გრიგოლ, მაგას წინააღმდეგობა არ გაუწევია.

— მაგას ნუ გამოუდგებით, თორემ ციმბირი აქეთ დარჩება. ხმალი გააგდებინა. ეგ ხმალი ჩემი გამოქედლილი როდია. რუს ხელმწიფემ გამოსქედა... მაშ, მიხვდით?..

— მიეხვდით, ბატონო გრიგოლ, შეგისრულებთ სამსახურს... ახლა ხელცარიელი მოედევართ სოფლიდან. ერთ კვირაში მოგართმევთ.

— რა არის მაგ ხურჯინში? — და შმაგის ბარგზე უჩვენა.

ზოსიმე ბრძანების კილოთი მიუბრუნდა შმაგის:

— ბიჭო, ახლავე მიართვი ბატონ გრიგოლს ის ორი ხაჭაპური და სულგუნები. შინიდან, რომ გამოგატანეს...

ჩხიკეაძემ თითი დაუქნია ზოსიმეს:

— ახლა მიპატიებია, შენი ხათრით....

ზოსიმემ კვლავ მდბალი სალაბი მისცა. ჩხიკეაძე გზას გაუდგა. გოროდოვოიმ ხაჭაპური და სულგუნები ჩამოართვა შმაგის და შორი ახლო, მოწიწებით გაჰყვა ბოქაულს.

— შმაგი! — უთხრა ზოსიმემ — შენ ჰქვით თუ არ იქნები ქე დაგაბრუნებ უკან. ახლა კი შენი ნახევარი თვის ჯამაგირი მაგ ბოქაულს მოუნდება. შინ ეჩხებები რუს ხელმწიფეს? მეც სიამაყენებით მივბეგვავდი მაგ გოროდოვოის. მაგრამ მუშა ვარ და უნდა გავჩუმდე...

- როგორ? კაცმა დამარტყას და ხელი არ შეეუბრუნო?
 — უმინუზოდ ხომ არ იქნება. რაღაც მიზეზი იქნება.
 — იარაღიანმა უიარაღოს სცემოს და მოვითმინო?
 — კიდევ არ იშლის თავისას, — გაბრაზდა ზოსიმე. მუქი მუქი მუქი
 სიტყვები დაივიწყე. აქ როტშილდისა და მენტაშევის სამეფოებსა...



მაშ ეს არის სილიბისტრო ლომჯარია? — და შმაგი დააკვირდა ახალ-
 ცაზრდა, ჩაფსკენილ, ბრგე და ლამაზ ვაჟკაცს.

სილიბისტროს მალა აკეცილი მსხვილი უღვაშები ჰქონდა. სახე შე-
 გვრემანი. წვერი გაპარსული. მაგარი, ღონიერი, მოქნეული ნიკაპი. თვა-
 ლები ჰქონდა უცნაური: მსხვილი, შავი, სხივიანი და მიმზიდველი, იმავე
 დროს კეთილი. ძნელი იყო სილიბისტროსთვის თვალის მოშორება. ანდამა-
 ტივით გიზიდავდა და იმავე დროს მოქნეული ხმალივით ელვარებდა — რა-
 ლაცა მანძილზე გაჩერებდა... მკერდი ჰქონდა განიერი და ამობურთული.
 მკლავებში ეტყობოდა მაგარი კუნთები.

„კაცად კაცადი“ — გაახსენდა შმაგის მუკოჩიას სიტყვები.

— შენა ხარ, შმაგი? — ჰკითხა სილიბისტრომ.

— დიახ, ბატონო! — მიუგო შმაგიმ და თავი დაუკრა. უნდოდა წელში
 მოხრილიყო, აი ისე, როგორც ზოსიმე მოიხარა ჩხიკვაძის წინაშე, მაგრამ
 რაღაცამ შეაჩერა. იგრძნო შმაგიმ, რომ ვაჟკაცის წინ იდგა და რომ ვაჟ-
 კაცს სიძაბუნე ეწყინებოდა.

— მუკოჩიას კაზრდილი? — ჰკითხა სილიბისტრომ და ოდნავ გაიღიმა.

„რა კბილები აქ! — გაუელვა შმაგის — რკინას დაჰკენეტს“.

ზოლო სილიბისტროს მოახსენა:

— დიახ, ბატონო!

— კარგი, ძმაო, — უთხრა სილიბისტრომ. — ადგილს გიშოვი. როგორაა
 მუკოჩია? ხომ კარგადაა?

— კარგადაა, ბატონო!

— მუკოჩია და მამაჩემი დიდი ძმაკაცებია. მუკოჩიას ბაღში ჩემი
 ახლობელიცაა. ვაჟკაცობა გეტყობა.

სილიბისტრომ ხელი მოჰკიდა შმაგის, ქარხანაში შეახედა.

— აქ ყველაფერი როტშილდისაა. შენს წონა ოფლს დაგაღვრევენებს,
 რომ ლეკმა პური მოგცეს. აქ ბოროტი მოხელეებია. განსაკუთრებით
 ალექსანდერი და შტუბნერი. გაფრთხილებ მეგობრულად, ნუ შეუბრუნებ
 მათ სიტყვას, ნურც აუხიარდები. მე რომ მიყურებ ექვს ფუთიანს ცალი
 ხელით ვსწევ, ხმალის ერთი დაკერით ხარს თავს გავაგდებინებ, მაგრამ აქ
 ვითმენ... შენ არ დაღონდე, კარგი ხალხი აქაცაა, მუშებში. ნახავ, გაეც-
 ნობი... იარე ჩემთან, გამიხარდება. ბინა სად გაქვს?

— ნოე ჩხაიძესთან, ბატონო! ზოსიმესთან ერთად.

— ძალიან კარგი. ნოე პატიოსანი კაცია. ჩუმი, წყნარი.

— დიდი მადლობელი, ბატონო სილიბისტრო.

— რისი მადლობა. კაცი კაცის წამალიაო, არ გაგაგონია?

მზე ჯერ კიდევ არ ამოსულიყო შმაგი რომ ქარხნის კარებს მიადგა.
 მოსულიყვნენ სხვა მუშებიც. ყველა გამოუძინებელი იყო. ამოქნარებდნენ.

უგულოთ უყურებდნენ ერთიმეორეს. ზოგი პაპიროსს წვივს, სქელ კვამლს უშვებდა და ადგილზე იბეკნებოდა. ერთი ბავშვი კვდილს მიყრდნობოდა და ზეზეურ ეძინა. ერთიც ყუთზე მოკრუნჩხულიყო და თელემდა. შმაგი დააკვირდა ბავშვს. იგი იქნებოდა 10 წლისა და მუცლის ქალი ჩამოშლოდა და შავი გრუზა თმები შუბლზე გადმოსწორდა. ქალი წულა გახეოდა და თითები უჩანდა. ბავშვი ხანდახან თავს ძალზე დაბლა დახრიდა და დაფერდებულ ყუთის კიდეს მიარტყამდა, შუბლს მოისრესდა, ისევე განაგრძობდა ძილს.

ექვს საათზე საყვირი გაისმა. შმაგი სახერბ განყოფილებაში იყო დანიშნული. შევიდა თავის საამქროში და მიაჩერდა დაზვას. დაზვა შეკრილი იყო, შუაში ხერხი ჰქონდა ჩადგმული.

ხერხს გაწეულ-გამოწეული კბილები ჰქონდა. ბორბალი რომ ტრიალს დაიწყებდა, ხერხი ჯერ აქლარუნდებოდა, მერე აგუგუნდებოდა, ბოლოს განუწყვეტლივ ზუილს დაიწყებდა და გარემოს აყრუებდა, თითქოს იმახდა:

— შშია, შშია, მომეტით საჭმელი...

ორი მუშა იმ წამსვე ხეს დასდებდა დაზვაზე. ხე მარდად მიიბრუნდა ხერხთან. ხერხი გაათრებით ჩააგლებდა კბილებს ხეს და აღრილდებოდა. ხეც ხროტინს დაიწყებდა. თრთოდა მთელი ტანით, თითქოს ტკივილს განიცდისო, ნახერხის უღეაშებს ჰაერში გაშლიდა და დაზვის ბოლოს ტანშიშველი ფიცარ-ფიცარ გადმოდიოდა.

ეს ფიცრები მეორე დაზვაზე მიჰქონდათ. იქ თხელ-თხელად და მოკლემოკლედ ხერხავდნენ.

ამ მოკლე ფიცრებს უცდიდნენ შმაგი და მისი ჯგუფი, საყუთო განყოფილებაში მიჰქონდათ.

საყუთო განყოფილებაში ერთი ორომტრიალი იდგა. მუშები დაჰრილ ფიცრებს გვერდით ილაგებდნენ და ყუთებს ქედდნენ. თუ ფიცრის მიტანას დააგვიანდებოდა ჩაქუჩი უსაქმოდ დარჩებოდა, ყუთის მჭედელის თვალში საშინელი სიბრაზე იელეებდა და მუშა ყვირილს იწყებდა. ეს ყვირილი შმაგის არ ესმოდა, ქარხნის ხმაურის გამო, მაგრამ კარგს რომ არ ეტყოდნ ყუთის მჭედელი ეს კარგად იცოდა შმაგამ.

პირველ დღეებში ძალზე გაუჭირდა შმაგის. წელში ნიადაგ მოლუნვამ ზურგი და კისერი ატკინა. მთვრალივით დაბარბაცებდა

— კარგა გაიარე — ჩააყვირა ყურში ვილაცამ და მუჯლუგუნი ჰკრა. შმაგი შეკრთა. იცნო უფროსი მოხელე ალექსანდერი, რომელსაც მუშებმა მეტსახელად „ძალი“ შეწიქვეს.

— რას გაჩერდი, შე მამაძალი! — ისევე ჩააყვირა ალექსანდერმა შმაგის და ხელი მოუქნია.

შმაგამ ფიცრები ჩამოიღო და წელში გაიმართა. ალექსანდერმა ისეთი მუჯლუგუნი ჰკრა, რომ შმაგი წაბარბაცდა.

— პაი, დედასა, — გაუელვა შმაგის, — მამაჩემს არ უცემია ჩემთვის და ბაბუას, ეს კი ვინაა?

და გაშალა ხელი.

უცებ რაღაცა წკრიალით მოხვდა მკერდში. ეტკინა და ხელი მკერდზე მიიღო. ლურსმანი ჩარჭობოდა ტანისამოსში. თავი ასწია და მოშორებით

ზოსიმე დაინახა. ზოსიმე თვალებით არიგებდა, გაჩერდით და თითს ტუჩებზე იღებდა არაფერი წამოგდესო.

შმაგიმ იცოდა, რომ ლურსმნების სროლა სიტყვის მაგიერი სამუალება იყო ქარხანაში; აქ ორასი დაზვა იდგა და ისეთი ჯოჯოხეთი ხმებით იყო, რომ მუშები ერთმანეთს სიტყვას ვერ გააგონებდნენ; ხმებში ყველას ლურსმანი ელო ჯიბეში. ამ ლურსმნებს ესროდნენ ერთმანეთს, როცა ერთმანეთის დაცხება უნდოდათ. ამ სროლაში კარგად იყვნენ გაწაფულნი.

— ჯარიმა!— დაუყვირა ალექსანდერმა შმაგის. — რამდენი გაქვს დღეში?

— სამი აბაზი, — უბასუხა გოგნებულმა შმაგიმ:

— ცხრა აბაზი ჯარიმა. — ბრძანა ალექსანდერმა.

ნოქარმა წიგნაკი ამოიღო, შმაგის მკერდზე თუნუქის ნუმერს დააკვირდა.

— 700, — წაიკითხა თუნუქის ნუმერი ნოქარმა, ის ნუმერი წიგნაკში ჩასწერა და გაყვა ალექსანდერს.

შმაგიმ ვერც კი მოასწრო გონს მოსვლა, რომ ზურგზე რამოდენიმე ლურსმანი მოხვდა. მობრუნდა და კიდევ ლურსმანი ეძებრა მკერდს. მაგრამ ახლა ისე ეძებრა, რომ შმაგი მიხვდა: ლურსმანის მსროლელი, ალექსი ზამბახიძე, გაბრაზებული იყო. შმაგი დაიხარა უცბად, ფიცრები მხარზე გაიღო და გასწია.

როცა ფიცრები ყუთის მჭედელის გვერდით დააწყო, ყუთის მჭედელმა ყურში ჩაუყვირა:

— შენ რა გიჭირს, ბიძია, დღიურ ჯამაგირზე ხარ. ერთი მე მკითხე — სანარდო სამუშაო მაქვს. ყოველი წუთი ფული მიდირს.

— ძია ალექსი, — დაიწყო შმაგიმ, მაგრამ ახლა ვიღაცამ ახალი მუჯღუგენი ჰკრა. ანდრო შანიძე მგლის თვალბით უყურებდა: გზაზე ნუ დგახარო, დრო იკარგებაო.

შმაგი მოტრიალდა. ქარხნის ღია კარებში გაიხედა. გარეთ მოდიოდა თთელქუაბი, ქროდა ცივი ქარი. ქარი ქარხნის ღია კარებში ჰშენით შემოდისო. შმაგიმ ოფლი მოიხოცა, ზურგი ისევ ფიცრებს შეუშვირა და ჩაყვა დაზგებს.

ზოგ დაზვაზე აშალაშინებდნენ, ზოგზე ხერხავდნენ, ზოგზე სპედდნენ, ზოგზე კიდეს მოურგებდნენ. ერთგან უცნაური ღარი იყო. ეს ღარი მჭედლებისაკენ მირბოდა. ამ ღარის თავთან ბავშვები იდგნენ და ლურსმნებს აწყობდნენ. ლურსმანის წვეტები თითებს კაწრავდა და ბავშვებს თითებზე სისხლი დიოდათ. მამიას (შმაგიმ უკვე იცოდა ბავშვის სახელი) მარჯვენა ხელი დასუსტებოდა და მარცხენას იშველიებდა. შმაგიმ თვალი გააყოლა ღარს: ლურსმანზე აქა-იქ სისხლის ლაქები იყო.

ორასი დაზვა კი ღრინავდა, ღრიალებდა, ქშინავდა და ადამიანებისაგან უსიტყვო დამორჩილებასა და რკინისებურ დისციპლინას მოითხოვდა.

(გავრძელება იწება)

ნაიღი პაუსიონ

აღმოსაგლეთ პრესიაში მეზრძოლმა, საბ-
ქოთა კავშირის გმირმა შ. ი. ჩილაჩავამ წე-
რილი მოსწერა მეგობარს ზუგდიდის პარტ-
რაიკომში.

შამაც მეომარს ურყევი ზურგის
დღეს პრესიიდან გოგზაენი წერილს,
ჩემი სალამი საყვარელ ზუგდიდს, —
მზიურ სამშობლოს სალამი წრფელი..

ვიბრძვი და ჩემთვის ფაშისტურ ქვეყნის
საძლეველია ყოველი ქვაც კი,
შავალეხს აზრი და გულიც მეტყვის:
— აღარ დაინდო, მოსპე და დაწვი!

სისხლიან მხეცის ბუნავი იწვის,
ფწვავ და კვლავ მინდა ასე იწვოდეს,
მე, შურისმგებელა, არგამტებს ფიცის
დღეს საბჭოეთის გმირი მიწოდეს.

მედგარ ბრძოლებით შეგვიმუსრია
ბრბო სისხლისმსპელ ბავშვთა და ქალთა,
ცეცხლის აღშია ახლა პრესია,
გადაფარვია ხანძარის კალთა.

მტკიცე მეზრძოლო სამშობლოს ზურგის,
აწ, ბერლინიდან ელოდე წერილს;
ჩემი სალამი საყვარელ ზუგდიდს
მარად ბრწყინვალე და სასურველი..

დავჩაენვი ბაკია თბილისში

1942 წლის დირსსახსოვარი შემოდგომა

-მ ბრწყინვალე დღეს საქართველოში
ბოულიც თუ თოვდა — არა ციოდა,
მთებზე დნებოდა ყინვა და თოში, —
მზე დიდებული ამოდოდა.

ციო წამოსული თეთრი ფანტელი,
ბაღში ღელავდა, როგორც ყვავილი,
როგორც ნათელის კორიანტელი
ვარსკვლავებიდან ჩამოყვანილი.

მოსწრაფოდა ჩვენი დიდება,
ქართულის გული და ქართულის მარჯვენა,
მთელი ქვეყანაც კიდით-კიდემდე
აღსდგა კავკასის გადასარჩენად.

მოვიდა... ერეოლა იგრძნო ტფილისმა,
დიდი სალუტის რეკდნენ ზარები,
და სადღეგრძელოდ ხალხის გმირისა
წამოდგნენ ჩვენი ამირანები.

აჩქეფდა მტკვარში ტალღა ბრწყინვალე
და გული მცხეთის კედლებს აბალა,
მარად მღელვარემ, მარად მდინარემ
სხიუთა მხეფები შემოგვაყარა.

აენთო ზეცა უცხო თვალივით,
და იყო რაღაც არნახული ცა,
დაირხა ბაღში თეთრი ყვავილი,
სიმღერა დიდი გაზაფხულისა.

გაზაფხულის მოსვლა



ქარი დაქპრის მწვერვალებზე,
 ღრუბლებს ვერ ეკარება,
 მთიდან ზათქით ჩამოშალა
 ნისლოვანხ ნამქერი.

გაიღიმეს ვარდისფერად
 განთიადის კარებმა, —
 საქართველო ლექსი არის
 რუსთაველის ნამღერი.

ფერღობებზე გამობრწყინდა
 გვირილა და ენძელა,
 გაზაფხულის უსპეტაკეს
 სამკაულად ნაფერი,

სიყვარული როცა მღერის,
 სხვა სიმღერა მეძნელა,
 საქართველო ლექსი არის,
 რუსთაველის ნამღერი!

როცა დილა გაზაფხულის
 სურნელებას გეახარებს,
 სამბოროდ როს მოიწევს
 ია ყელმონაღერი,

გოგონებო, მოიგონეთ, —
 თავი ნაზად დახარეთ, —
 სიყვარული რომ გვაცოცხლებს,
 რუსთაველის ნამღერი!

ქაბუკები რომ მღეროდნენ,
 რა სიმღერას მღეროდნენ, —
 გამარჯვებით რომ შესცვალეს
 ხალხის დიდი ნაღველი,

მათ ელოდეთ, სიყვარულის
 გამარჯვებას ელოდეთ, —
 ვაჟკაცობა გვიფარავდეს
 რუსთაველის ნამღერი.



დედის სიზღვა

დედის დარდო, დედის ვარდო, დედის სიხარულო,
საითა ხარ, სვით იბრძვი, ერთად ერთო შვილო.
შენთან მინდა დღე დავლიო, ღამე გავაფენო,
თუ ვერ მნახავ, გამაგონე — თვალებს ვანათებო!
რა ხანია რომ დამშორდი, მომენატრე, შვილო,
გამაგონე მაგ ტკბილი ხმა, ვარდათ ამოშლილო,
შენი ტოლი ბარათს გზავნის, შენ სადა ხარ, შვილო!
შავო ბიჭო, შავგვრემანო, კობტავ, მზრებგაშლილო.
სიხარულით, სიყვარულით, ნანით გამოზრდილო
მჯერა, მოხვალ, არ დამტოვებ, დედის ერთა შვილო.

სამსხვეპის ჩრდილში

არ მოველოდი, არა ღმერთმანი,
თუ ამ ცაცხვების ჩრდილში გნახავდი.
მახსოვს, უეცრად შევხვდით ერთმანეთს
გაგიცანი და მითხარ ნახვამდის.

შემდეგ კი თითქოს ლანდათ დამსდევდი,
ხან კი ოცნების იყავ საგანი.
ერთი შეხვედრით მაჩუქე სევდა,
სპეტაკი სევდა ტრფობის მაგვარი.

არ მიფიქრია ახლო გაცნობა,
განმეორება ერთხელ ნახულის,
წარმტაცი იყავ იმ წუთს ანცობით, —
ხომ წარმტაცია ხატიც ხახულის.

მაგრამ ის ხატი მე ერთხელ ვნახე
ისე, ვით შენი წმინდა თვალები.
მე თან არ დამსდევს ხახულის სახე,
შენ კი დღეიდან ვერ გემალები.

ვერ გემალები, საით წავიდე!
შენზე ოცნებით განაწვალები!
ის გელათშია, მე ვიდას ვანდო
შენი თვალები და ნაწნავები.



ს ი მ ლ ე რ ა

მზიარული ხმაურით სუფრიდან აიშალნენ და სააადილო ოთახიდან ტა-
ლავერით დაჩრდილულ აივანზე გავიდნენ. რამდენიმე ქალ-ვაჟი კიბით წინ
ბაღში ჩავიდა, რომელსაც ეზოდან ღობე ჰყოფდა.

მზე გადახრილი იყო. მსუბუქი გრილი ქვედა ქარი ოცნების გამაღვიძებ-
ლად ჰქროდა.

ქვემოთ, ჭანდრებთან, კიშკრიდან მომავალი შინამსახური გამოჩნდა, შავ-
გვრემანი, ჩასკენილი ტანის კაცი.

„სტუმრები ჰყოლია ნიკოს, — გაიფიქრა მან, — გამიკვირდა, ერთი კვი-
რით ჩემს ოჯახში მუშაობის უფლება მომცა, დღეს სამი დღეც არ ჭასულა
და თავისთან დამიბარა. ალბათ, მიხმარება სჭირდება.“

მორიდებული ნაბიჯით კიბეზე ავიდა. აივანზე მყოფთ თავაზიანი თავის
დაკვრით მიესალმა და იქვე გაჩერდა. სქელი, დაშვებული უღვაშების ბო-
ლოები ოდნავ ზევით ჰქონდა აწეული. რუხზოლებიანი შავი შარვალი და
ლურჯი სატინის ხალათი ეცვა. დაბალი კრაველის ქუდი ეხურა. მასპინძელ-
მა თითოთ ანიშნა, მასთან მისულიყო.

— გაეხლით, ბატონო ნიკო, რას მიბრძანებთ?

— ეტლში ცხენი შეაბი, სიმონ, და ბაღის კართან დააყენე. იანეთში
მოგიხდება წასვლა, — კმაყოფილი ღიმილით უთხრა ნიკომ და დაწყებული
საუბრის დასამთავრებლად კვლავ სტუმრებს მიუბრუნდა.

სიმონი მიხვდა, რაშიც იყო საქმე, ჩქარი ნაბიჯით კიბეზე დაეშვა და სა-
ჯინიბოსკენ გასწია.

ნიკო ნიკოლაძე იმ ზაფხულს, როგორც ხშირად წინადაც, რამდენიმე
კვირით თავის მამულში ჩავიდა, სოფელ ჯიხაიშში; ეს მამული საცდელი
მეურნეობის მნიშვნელობით ჰქონდა წამოწყებული და მის მოწყობას დიდ
ყურადღებას აქცევდა. გაშენებული ჰქონდა ხეხილი და ვენახი, ტყე და
დეკორატიული ბაღი, რომელთაც სხვადასხვა ჯიშის უცხო მცენარეები ამ-
შვენებდნენ.

ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე იქ ნიკოს ნაცნობები და მეგობრები. მათ
ხიბლავდა მასპინძლის სასიამოვნო საუბარი, ლამაზი ეზო-გარემო, სადაც
ყველაფერს ნიკოს მზრუნველი ხელი ეტყობოდა.

ახლაც საყულოგახსნილი ფრენში გამოწყობილი აივანზე საუბრობდა
ნიკო. სტუმრების ყურადღება შეეჩერებინა ახალგაზრდა ტოტებგაშლილ
მცენარეზე, რომლის ფოთლებსაც გარშემო ლალისფერი დაჰკრავდა. ეს
მცენარე იტალიიდან იყო ჩამოტანილი და ნიკოს თავისი ხელით სახლის
წინ დაერგო.

— ზოგიერთი კუდაბზიკა ქართული ჩვენს ქვეყანას უკადრისობს, ვერ ვეგუებო. ხომ ხედავთ, როგორ ხარობს ეს დალოცვილი მცენარე, როგორ შეპყრუებია ჩვენს ნიადაგს? — სიცილით სთქვა მიმზიდველი ვირეგნობის მქონე ჰალარა სტუმარმა, რომელიც სხვებზე მეტად აღტაცებული მუსიკერ-და მიდამოს.

მის სიტყვებზე ახალგაზრდა მორთულმა ქალებმა გადაიკისკისეს, სხვებმა გულიანად გაიცინეს.

— მოხუცებაში ხარ შესული და შენს სიტყვას ჰაბტუკური მოხდენილობა ზერჩა, ბედნიერი კაცი ხარ, — ღიმილით უთხრა ნიკომ და საუბარი სხვა მცენარეზე გადაიტანა, რომელიც სახლიდან დაშორებით იყო დარგული.

სიმონმა ნიკოს საოჯახო ერთცხენიანი ეტლი კიბესთან დააყენა. ღონიერი თეთრი ლაფშა გამომწვევად ფრუტუნებდა და დაჭედით ფლოქვებს მიწას სცემდა. დასვენებულ ცხენს უმიმიდა ღგომა, წასასვლელად იწევდა. ნიკომ ეტლს გადახედა: ყველაფერი რიგზე იყო.

ჰალარა სტუმარმა ჯიბიდან საათი ამოიღო, დახედა, შემდეგ თავი მალდა ასწია და სიყვარულით თვალი მოავლო ყველას.

— თქვენთან მზიარულებას რა სჯობს, ჩემო ძვირფასებო, — სთქვა მან, — მაგრამ უკვე დროა წავიდე: მატარებელი არ დამელოდება.

— კარგი იქნებოდა დარჩენილიყავით, მინდოდა თქვენი სტუმრობით გაგებარებინათ ჩემი ოჯახიც, — მიმართა მას ერთმა ხანში შესულმა პირმა, რომლის მკერდსაც დამსახურების რაღაც ბრკვევილა ნიშანი ამუშვენებდა.

— კი, მაგრამ, შენ რომ გესტუმრო, სხვებსაც ხათრს ვერ გაუტებ და, ვინ იცის, როდის წავალ აქედან. ხარჯი მოგეცემა, ოქრობირი — მხარზე ხელის დაკვრით და სიცილით უთხრა სასურველმა სტუმარმა. კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა და ნიკოს მიუბრუნდა: — მინახულე მუთაისში, გავიხსენოთ ჩვენი ახალგაზრდობა. ჩვენ ხომ ორივემ ქუთაისში ავიდგით ფეხი...

ნიკომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. თან, კიბისკენ მიმავალს, მკლავში ხელი მოჰკიდა და ეტლამდის მიაცილა. მათ სხვებიც გაჰყვნენ. აივანზე, დამლაგებელი ქალის გარდა, არავინ დარჩენილა.

სტუმარი ეტლში ჩაჯდა. საზაფხულო კოსტუმში ეცვა და თავშიშველს ქუდი ხელში ეჭირა.

სიმონმა ცხენს ნიშანი მისცა და ეტლი დაიძრა. ცხენმა ფეხის აჩქარება მოინდომა, მაგრამ სადავის ღონიერი მოზიდვით სიმონი აკავებდა, რადგან მიმავალი სტუმრის პატივსაცემად ეტლს ირგვლივ მასპინძლებთან ერთად შემოჯარული სტუმრები მიჰყვებოდნენ.

როცა რკინის ფართო ჰიშკრიდან შარავნაზე გავიდნენ, სიმონმა ეტლი შეაჩერა, იფიქრა: მიმავალ სტუმარს გამომცილებლები დაემშვიდობებიანო, მაგრამ ნიკომ ანიშნა — წადიო.

ეტლი კვლავ დაიძრა.

— ეს როგორ შეიძლება, ნამეტანი! — უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი კაცის გამომეტყველებით სთქვა მიმავალმა და სიმონს ეტლის შეჩერება სთხოვა. სიმონმა ნიკოს გადახედა. ნიკოს თვალები ეტლის შეჩერებაზე უარი ეუბნებოდნენ.

— არა, ნამეტანია... რა სამეფო გვარის კაცი მე მნახეთ! — ეტლიდან გადმოხტომა დააპირა.

ამ დროს ნიკოს შეუღლებ თაეზიანად ხელი შეეგებებოდა რეპორტაჟის საშუალება არ მისცა.

— რახან ასეა, იყოს ნება თქვენი, — განაგრძო სტუმარმა, — მამა-ჩემი ასეთ ამბებს ჩვეული იყო და, შეხვთ, შვილსაც ბედმა გაუღიმა. კვრი გვარზე ხტისო, — გაახსენდა გიმნაზიაში ყოფნის დროს მისთვის ნათქვამი მასწავლებლის სიტყვები.

— ამ ხნის კაცი გახდი, ერთხელ დაგიცდა აქეთ ფეხი და უამისობა არ შეიძლება! — ღიმილით უთხრა ნიკომ და ფრენის გახსნილი საყელო შეიკრა.

ეტლი ნელა მიდიოდა. შარაგზას გამცილებელთა ხალისიანი ხმაური ამხიარულებდა. სიმონი გრძნობდა, რომ მას დიდად პატივსაცემი აღამიანა მიჰყავდა ეტლით და გაკვირვებული ფიქრობდა: „ნეტავი, ვინ უნდა იყოს ეს კაცი, თვითონ ნიკოც რომ ასე პატივისცემით ეპყრობა?“

ნელა მიმავალ ეტლიდან ქაღარა სტუმარი გზადაგზა თავისი მოხდენილი სიტყვა-პასუხით სიცოცხლეს მატებდა საერთო მხიარულ განწყობილებას, თან ქვეყნის კირისტფლის თვალთ გასცქეროდა გზის ორივე მხარეზე ჩამწკრივებულ ხეხილიან ეზოებს, საიდანაც შარაგზისათვის თვალი მიეპყროთ ალავ ყავრით დახურულ ოდებს, ალავ ასლიან მიწურ სახლებს. ეს სუფთა, დაცული ეზოები მათზე მიკრული პატარა ვენახებით ბაღებად ეხატებოდა მიმავალს.

ჭიშკრებთან ბევრგან ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ქალები და ბავშვები. ზოგან მამაკაცებიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე. ისინი ცნობისმოყვარეობით ჯერ ეტლში მჯდომს შეხედავდნენ, შემდეგ გამცილებლებს ათვალერებდნენ და როცა მათ შორის ნიკოს მოჰკრავდნენ თვალს, კვლავ ეტლს მიუბრუნდებოდნენ: გაკვირვებულნი და მომღიმარნი შესცქეროდნენ მასში მჯდომ მოხუცს.

ნიკოს ჭიშკრიდან ერთ კილომეტრზე ეტლი შეჩერდა.

— კმარა, მეგობრებო! — ხმამაღლა სთქვა მიმავალმა, — დიდად გმადლობთ! — ეტლიდან ჩამოხტა და სათითაოდ დაეშვეილობა ყველას.

მის ისედაც ნათელ ქაღარა თმასა და წვერ-ულვაშს ჩამავალი მზის სხა-ვები ეფრქვეოდნენ, თითქოს მიწიერი სივანე აქ უნდოდათ ეპოვნათ.

— სამღურავე არ თქვათ, ამოდენა მანძილი უკან რომ ფეხითვე უნდა გაიაროთ, — სიცილით წამოიძახა ბოლოს სტუმარმა, როცა ისევ ეტლში ჩაჯდა და ქუდი დაიხურა.

სიმონმა ლაფშას სადავე მიუშვა, ცხენსაც ეს უნდოდა, და ეტლი გააჩროლა. შეჩერებული გამცილებლები ახლა ხელის ქნევით ემშვიდობებოდნენ მიმავალს, რომელიც გზის მოსახვევამდე ხშირად იხედებოდა უკან ჰაღლობის გამოთქმული თვალებით.

სიმონი ეტლს რკინისგზის იანეთის ბიქანისკენ მიაქროლებდა. უხერხულობას გრძნობდა, ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა: „ნიკოსას ბევრი საპატიო სტუმარი მინახავს, ასეთი კი არაივინ,“ — ფიქრობდა იგი.

ეტლი სოფელს გასცდა. გზის მარცხნივ ამრიალდნენ სიმინდის მწვანე ყანები აქა-იქ მუშა კაცის საჩრდილობელი ხეებით. წინ, გამწვანებულ სივრცეში, უკვე გამოჩნდა მგზავრთათვის სანიშნო მაღალი ალვისხე მის გვერდით მდგომი ბაჭანის ფიცრულით. ტელეგრაფის ბოძების მწყარნგნა მწყარნგნის ლიანდაგის გასწვრივ გაქიმული, ჰორიზონტამდე გაქიმულნი სტუმარი უჩინარდებოდა. ვაკის სიმწვანე სამხრეთით ვანის მთა-გორებზე მუქ-ლურჯ ფერად იცვლებოდა.

სტუმარი ოცნებაში იყო წასული. მისი მაღლა აწეული წარბები შუბლზე ნაოკთა ტალღებს შლიდნენ. ცისფერი, თეთრად დაწინწკლული ყელსახვევის ბოლო მის განამებულ პერანგზე, ნიავეთ ათრთოლებული, დროდადრო შეიფრიალებდა ზოლზე.

სიმონს თანდათან მოუსვენრობა დაეტყო.

„ეს კაცი რამდენიმე წუთის შემდეგ დამშორდება და ნუთუ ისე უნდა წავიდეს, არ ვიცოდე, ვინ არის?“ — გაიფიქრა.

სიმონმა რამდენჯერმე მიაბრუნა თავი სტუმრისაკენ, ალბათ, უნდოდა რამე ეკითხა მისთვის და თავისი ცნობისმოყვარეობა დაემკაყოფილებინა, მაგრამ სითამამე არა ჰყოფნიდა და ისევ ცხენს გაეხმებოდა.

ეტლმა ოდნავ მარცხნივ გაუხვია. რკინისგზის ბაჭანი იმდენად დაახლოვდა, რომ იქ მოსეირნე მგზავრები ნათლად სჩანდნენ. ახლა ყოყმანის დრო აღარ იყო, თითქოს სითამამეც შეემატათ, სიმონი ეტლის კოფოდან მთელი ტანით მიბრუნდა სტუმრისაკენ და მორიდებული ხმით ჰკითხა:

— ბოდიში, ბატონო, მარა ეტლს ხომ არ შეუწყუხებიათ?

ოცნებაში გართული სტუმარი გამოერკვა. სიმონის თავაზიანობა მოეწონა და ნასიამოვნებმა უპასუხა:

— არა... ისე მოესულვართ, არც კი მიგრძვნია.

სიმონს ეამა ამ კაცის ხმა და ღიმილი. გათამამდა. შუბლის გასაგრილებლად ქული უკან გადაიწია.

— თუ უზრდელობად არ ჩამოშართმევთ, ბატონო, მინდა ერთი რამე გკადროთ, — სიმონი შეჩერდა და მოკრძალებით სტუმარს გადახედა.

სტუმარმა გულისხმიერად თავის მაღლა აწევით მიახვედრა, მზად ვარ მოგისმინოთ. სიმონმაც განაგრძო:

— მცხვენია, ბატონო, ამას რომ ვამბობ, მაგრამ... ისე რაფა უნდა წაბრძანდეთ, რომ არ ვიცოდე, ვინ ბრძანდებით?

— ვერ მიცნობ?

— სამწუხაროდ, ვერა, ბატონო!

— ამდენხანს გეთქვა, შეკაი კაცო! — სტუმარმა შუბლზე ხელი გადაისვა და უხერხულობიდან გამოსაყვანად სიმონს მამობრივად გაუღიმა. შემდეგ წინ წაიხარა და თვალებში ჩახედა.

— წერა-კითხვა იცი? — ჰკითხა მას.

— საუბედუროდ, არა, ბატონო!

— სიმღერა იცი?

— კი, ბატონო, ვიცი. თუმცა მაინცდამაინც საჭებარი ხმა არა მაქვს, მაგრამ სიმღერა ძალიან მიყვარს, — თანაც გაკვირვებული სიმონი ვერ გარკვეულიყო, თუ რად იყო საჭირო სიმღერაზე ლაპარაკი.

— რა სიმღერები იცი? — განაგრძო სტუმარმა.

— თქვენ რომელი გაინტერესებთ, ბატონო?

— სულ ერთია, შენ რომლებიც გიყვარს და გახსოვს.

— კარგი, ბატონო! ეიცი „მრავალყამიერი“, „მყურული“, „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“...

— კიდე?

— „განტრინდი, შავო მერცხალო“... ჩემმა მეუღლემ შინაურულად იცის გიტარაზე დამღერება: „ჩონგურს სიმები გავუბი“, „შვილო, გოგია“... მეც მიყვარს ხანდახან ბანის მიცემა, თუ ხასიათზე ვარ, მაგრამ თქვენ უნდა ნახოთ, ბატონო, ჩემი მეზობლის გოგოები, რა კარგად მღერიან გიტარაზე „საყვარლის საფლავს ვეძებდი“ და „ჩემო ციციანთელა“.

— „ჩონგურს სიმები გავუბი“, „საყვარლის საფლავს ვეძებდი“, „ჩემო ციციანთელა“, „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“, „შვილო, გოგია“ გიყვარს?

— რა საკითხავია, ბატონო?

— მაშ, ქე გცნობივარ! — კმაყოფილი ღიმილით უთხრა სტუმარმა, უკან გადაიხარა და ეტლის საშურგეს მიეყრდნო.

სიმონი გაოცდა. თავბრუდახვეულივით ჯერ ვერაფერი გაიგო. შემდეგ გონებაში თავისთვის რაღაც გაარკვია. ბოლოს, თითქოს საიდუმლო ამოხსნაო, თავისდაუნებლიეთ წამოიძახა:

— თქვენ აკაკი წერეთელი ბრძანდებით, ბატონო?

— ჩემი სახელი და გვარიც გცოდნია.

სიმონი სახტად დარჩა. არ იცოდა, რა ეთქვა, როგორ მოქცეულიყო. „აი, სასწაული!“ — გაიფიქრა მან და სიტყვებს ეძებდა აკაკისთვის სოყვარულისა და პატივისცემის გამოსახატავად.

— ბედნიერი ვარ, ბატონო, თქვენი წამოყვანა რომ მარგუნა ბედმა... აკაკის სიამოვნების ღიმილი არა შორდებოდა სახეზე.

ბაქანს მიაღწიეს. სიმონმა ეტლი გააჩერა, კოფოდან გადმოსტა და საყვარელ ადამიანს ეტლიდან გადმოსვლაში მიეშველა. აკაკიმ კოსტიუმი შეისწორა და ნელი ნაბოჯით ბაქანზე გავიდა. სიმონიც გაჰყვა.

აკაკის დანახვაზე ბაქანზე მყოფ მგზავრებში ცნობისმოყვარეობამ გაიღვიძა და ჩურჩული ატყდა.

მატარებელი ჩამოდგა.

— აკაკი! — სიმღერასავით მოისმა ვაგონების ღია ფანჯრებიდან.

ეს ხმა მთელ მატარებელს მოედო. ყველგან ფანჯრებში მგზავრთა მომღიმარი სახეები გამოჩნდნენ.

აკაკი ვაგონში შეიტაცეს.

როცა მატარებელი დაიძრა, დიდებული სტუმარი ვაგონის დერეფანში კიბესთან იდგა და ხელის ქნევით ემშვიდობებოდა სიმონს. სიმონი ღიმილით უპასუხებდა. მაგრამ, ბედნიერების ვარდისფერ ბურუსში გახვეულმა, არ იცოდა, რღგორი იყო ეს ღიმილი.

მატარებელი წავიდა, ყანების სიმწვანეში მიიკარგა. ბაქანზე სიჩუმე ჩამოვარდა. სიმონი გამოერკვა. ირგვლივ მიმოიხედა. მარტო იყო.

— აკაკი! — ტკბილი სიზმრიდან გამოსულივით სასოებით წარმოსთქვა მან და ეტლს დაუბრუნდა.

აკაკი ოპერის ბაღში

რამ შეგაყვარა სურო და ბაღი, —
 ნუთუ ნიაეი სხვაგან არა ჰქრის?
 ჩამოიარე, ნახე თბილისი —
 ბაღად ქცეული დედა-ქალაქი.
 დგახარ და მშობელ ცა-ფირუსს უმზერ,
 დღეს უწინდელზე ბრწყინავს ცა უფრო.
 მინდა, მოვადე, გაკოცო შუბლზე,
 მინდა, მოვიდე, გაგესაუბრო,
 რაზედ მდღეობა თვეობით, წლობით,
 გვიამბე რამე, ნუ ხარ უბარი.
 ჩამოიარე... თავს გიკრავს გრძნობით
 ყველა ქუჩა და ყველა უბანი.
 ნესტანზე გული აღარ გიტირის, —
 მაშ, რად არჩიე დგომა მარადი?
 შენ ხომ გიყვარდა მგზავრობა ხშირი
 ჩვენი სამშობლოს კარით-კარამდი?
 აყვავებულან გარშემო ხენი,
 შენ კი დასთმევი ბუნება ლაღი...
 მითხარი, სხვიტორს რად შემოწყერი,
 რად ამჯობინე ოპერის ბაღი?
 აღბათ შინ გინდა უსმენდე ხშირად
 მანდ ბულბულების სტყენას საამერს.
 უსმენდე ქართულის მშობლიურ ჰანგებს —
 სარაჯიშვილის უტკებს სალამერს.
 ხარ ოცნებაში მაინც გართული, —
 ოქროდ გადნება თბილისის ღამე:
 დგახარ უძრავად ქვედ აღმართული
 და ზამთარ-ზაფხულ გაცეცია მწვანე.
 გეხევეა, გკოცნის სურო ყელამდი,
 ო, რამდენ განცლებს იტევს ეგ ლოღი...
 მთა-წმინდის მთიდან დაგცქერს ბელადი —
 გმირი, რომელსაც შენ მოელოდი.

აკაკის უხრობი პიესა

აკაკი წერეთელი ქართული თეატრის მეგობარი იყო. მის კალამს ეკუთვნის ოციოდე კარგად დაწერილი პიესა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ დიდებულმა პოეტმა აკაკი ისეთსავე წარმატებას მიაღწია, როგორც ლირიკული ლექსების შექმნის დროს.

ძველად ქართველ მწერალს, როგორც საზოგადო მოღვაწეს, ყველა დარგში უხდებოდა მუშაობა. ჩვენი თეატრი, ქართული კულტურის ერთერთ მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა. იქიდან ქართული სიტყვა მკაფიოდ, თამამად და ყველასათვის მისაწვდომად უნდა დარჩეულიყო.

შავბნელი რეაქციის ბატონობის დროს სცენიდან თქმულ ცოცხალ სიტყვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნაციონალური კულტურის პროპაგანდისათვის და მასებზე იდეურ-მორალურ ზემოქმედებისათვის.

აკაკი წერეთელს ბევრი რამ აკავშირებდა ქართულ სცენასთან. მას უყვარდა ის, როგორც რეჟისორს, მსახიობსა და დრამატურგს. იგი იყო ჭაუჭეთესო დეკლამატორი საკუთარი ლექსებისა და შეფრფვენივით შეპხაროდა სცენიდან თქმულ ლალ სიტყვას. დიდებული მგოსანი თავისი მომხიბლავის ხმის ჟღერადობით და ორიგინალური მეტყველებით ხიბლავდა ქართველ საზოგადოებას. ყოველი მისი გამოსვლა ჩვენი კულტურის ზეიმიად გადაიქცეოდა ხოლმე. ჩემს წიგნთსაცავში დაცულ პროგრამებიდან ირკვევა, რომ აკაკი წერეთელი ქართულ სცენაზედაც გამოდიოდა, როგორც მსახიობი პასუხსაგებ როლებში (მაგ., აკაკი წერეთელს შეუსრულებია გ. სუნდუკიანცის „ხათაბალაში“ გიორგის როლი, მოლიერის „სკაპენის ცუდლუტობაში“ ეერონტინის როლი და სხვ.). გარდა ამისა აკაკი ქართულ თეატრში 1904 წლის სეზონში მიწვეული იყო, როგორც რეჟისორი. ა. სუმბათაშვილის „ღალატი“ პირველად აკაკის რეჟისორობით დაიდგა.

ძველად ჩვენი სცენა ღარიბი იყო ორიგინალური პიესებით. მუდმივად დასის ჩასახვის ხანაშიც (1879 წ.) ქართული თეატრი კვლავ გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის პიესებით საზრდოობდა. იმ პერიოდის ყველა მწერალი ცდილობდა ამ ნაკლის შეეცებას (ა. ყაზბეგი, დ. ერისთავი, აკაკი, რაფ. ერისთავი, ასიკო ცაგარელი, გ. თუმანიშვილი, ბ. ჯორჯაძე). რიგი ორიგინალურ პიესებს ჰქმნიდა, რიგი რუს დრამატურგ კრილოვ-ალექსანდროვის მსგავსად, გადმოკეთებული პიესებით ავსებდა ჩვენს ქართულ სცენას. საკვდრეელია პირდაპირ: თუ ქართველი მწერლების ორიგინალური პიესები დრამატურგულად სუსტი იყო, გადმოკეთებული პიესები უფრო ლაზათიანი გამოდიოდა... მერე როგორ სწყუროდა ჩვენს სცენას კარგი პიესები! იშვიათად თუ ჰყოლია სცენას ისეთი მაღალნიჭიერი მსახიობები, როგორებიც იყვნენ: მ. საფაროვ-აბაშიძისა, ნატო ვაბუნიანი, ეფ. მესხი, ელ. ჩერქეზი-

შვილი; ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ვ. გუნია, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, ახალგაზრდებიდან: გ. შაფიჩიშვილი, ნუცა ჩხეიძე, ტახო აბაშიძე, ვ. შალიკაშვილი, ა. იმედაშვილი, დ. ჩარკვიანი, ი. ზარდალიშვილი, დ. მაგლობლიშვილი ე. ფოქაძე, ე. ზინკელი. ყველა ესენი ხშირად ერთ საღამოს ერთ პიესაში ერთად იმართდებიან... ცოდვა არ იყო ამ ტალანტებს გასაქანი არ ჰქონოდათ! პიესები კი არ სჩანდა, არ სჩანდა იმ დრომდე, ვიდრე სცენას არ გამოუჩნდნენ დაუვიწყარი სახელები: ივ. მაჩაბელი, ნიკო ავალიშვილი, ივ. მაჭავარიანი და გრ. ყიფშიძე, — რომლებმაც დიდის გემოვნებით და შესანიშნავი ენით სთარგმნეს უცხოეთის კლასიკოსები. ამ ოთხმა მთარგმნელმა საპირკველი ჩაუყარა ევროპულ პიესების განსახიერებას ჩვენს სცენაზე, ხელი შეუწყო ლადო მესხიშვილის ნიჭის გაფურჩქვნას და განტვირთა ქართული რეპერტუარი „გადმოკეთებული ვოდვეილების“ ნიაღვრისაგან.

ევროპული დრამებისა და ტრაგედიების თარგმნამ გამოიწვია აგრეთვე ორიგინალური დრამატურგიის ერთგვარი გამოცოცხლება და ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ცხოველი დაინტერესება ჩვენი თეატრის სცენადიით. ვასულ საუკუნეში, ი. ჭავჭავაძის, გარდა, თითქმის ყველა ქართველმა მწერალმა სცადა გარკვეული ხარკი მოეხადა ნაციონალური დრამატურგიის წინაშე.

აკაკი წერეთლის ერთი მძლავრი აგურიც ამშვენებს ახლად ფეხადგმულ ოთხმოციანი წლების მშობლიური დრამატურგიის შენობას.

მწერლობის ეს რთული ენარი, — რომელსაც თვით დიდმა ილიამ ვერ შემართა ხელი, — აკაკიმ თავისი შემოქმედების ბრძმედში პირნათლად გაატარა და ზოგიერთ მკრთალ პიესასთან ერთად, მან დაგვიტოვა ორი შედეგური — ორი შესანიშნავი დრამატიული ნაწარმოები — „პატარა კახი“ და „თამარ ცბერია“.

ჩვენ მიერ გამოტანილი აკაკის „განთიადი“, რომელიც დღეს პირველად ქვეყნდება, პიესა კი არ არის, ერთად შეკრული და ერთი დედა-აზრით ამტკყველებული, არამედ ცალკეული სცენები, რომელსაც არ აკლია აკაკისებური ჰუმორი და პერსონაჟების ხასიათის საოცარხ გამოკვეთა.

პიესის მოკლე შინაარსი, „ივერიის“ რეცენზენტის მიხედვით, ასეთია: კიკოლა გლეხს და საყვარლისეულს ჰყავთ ორი ვაჟი — მიხა და ლექსო. მიხა რუსეთში დიდხანს ყოფნის შემდეგ, საცა ის ვაჭრობდა და ბუფეტებს ინახავდა, ფულიანი ბრუნდება სახლში და თავისი დედის აღტაცების წყაროდ ზღბა, როგორც „ნასწავლი“ და გაგებული კაცი. მისი ძმა ლექსო სახლში მუშაობს, ეხმარება მამას მის საქმეში, წიგნებს კითხულობს და თავგამოდებული დამცველია გლეხის საქმისა, მიწის მუშაობისა. მიხა კი თავისიანებში ვერ სძლებს, მთელ დროს უსაქმო თავადებთან ატარებს, მათთან მეგობრობით მოაქვს თავი, რისთვისაც მისი ჯიბე მუდმივად მსხვერპლია უსაქმო მეგობრების მაღისა და ქეიფის სიყვარულისა. მიხას, როგორც „ნასწავლს“ და ფულიან კაცს აზნაურიშვილი სპირდონიც კი არ უჭერს თავის ქალს ნუცას, რომელიც უყვარს ლექსოს. მაგრამ რუსეთიდან მოულოდნელად დაბრუნებული ცოლი მიხასი ამკლავნებს რა კაციც ბრძანებულა „მიხაილ ნიკოლაიჩი“, როგორც მას მეზობლები ეძახიან და ამნაირად ნუცა ისევ ლექსოს რჩება... იღდა პიესისა — ის განთიადია, რომელიც ერთი მოქმედი პი-

რის, დათიკოს სიტყვით, „ჩვენს ცხრერებას გლეხებისა და თავადუნაურთა კავშირის სახით მოველინება, როცა ორივე მხარე შეიგნებს თავის სრულყოზას სამშობლოს წინაშე და გასდებს ახალ ხიდს იქ, საცა ეს უკანასკნელი აქამდის ჩატეხილი არის, ეს კავშირი დაიხსნის ჩვენს ქვეყნის უცხო ქარხთა და პარაზიტთა ბატონობისაგან და უკეთესი მომავლისაკენ წინაშეაღებულად შეიქნება“. („ივერია“ 1904 წ. № 20).

„განთიადს“, როგორც პიესას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს, ეს უფრო გამომკლავნდა მისი სცენაზე წარმოდგენის დროს.

როგორ დაიდგა ეს პიესა ქართულ სცენაზე?

„განთიადმა“ მგზნებარე კამათი გამოიწვია პრესაში: იგი წარმოდგენილ იქმნა 1904 წელს, 25 იანვარს ელისაბედ ჩერქეზიშვილის საბუნეფისოდ, თვით აკაკის რეჟისორობით (აკაკი ამ სეზონში რეჟისორად იყო მიწვეული ქართულ თეატრში).

როლები ასე იყო განაწილებული:

კ ი კ ო ლ ა — ა. ადამიძე

ს ა ყ ვ ა რ ლ ი ს ე უ ლ ი — ე. ჩერქეზიშვილი

მ ი ხ ა — ი. ივანიძე

ლ ე ქ ს ო — ნ. გვარამე

ს პ ი რ დ ო ნ — ვ. შალიკაშვილი

და თ ი კ ო — დ. ბაქრაძე

ნ უ ც ა — ბ. ნებეირიძისა

ა რ უ თ ე ნ ა — ვ. აბაშიძე

და რ დ უ ბ ა ლ ზ ა ხ რ უ მ ა ლ ი ჩ ი — გ. გედევანოვი

ი ვ ა ნ ე — ა. იმედაშვილი

ნ ი კ ო — ვ. მატარაძე

მ ი შ ო — ანანიაშვილი

როგორც ვხედავთ, ამ პიესის მონაწილენი აბაშიძის და ჩერქეზიშვილის გამოკლებით, ყველა ახალგაზრდა მსახიობი იყო, რაც დადებითად უნდა ჩაეთვალოს თეატრის ხელმძღვანელებს. წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა. ყველა ერთმეორეს აბრალებდა. და ასტყდა გაზეთში პიექრობა — „პასუხები“ და „პასუხის პასუხები“¹⁾. ზოგიერთი რეცენზენტის აზრით: „განთიადი არც დრამაა, არც კომედია, არც ლეგენდა. იგი გაზეთის ფელეტონებს უფრო ჩამოკავს, თუმცა ეს ფელეტონები საუცხოო ენით არის დაწერილი და შიგ ბევრი მახვილი და მოსწრებელი სიტყვა-პასუხია“ („ცნობის ფურცელი“ 1904 წ., № 2391).

ამავე აზრისაა „ივერიის“ რეცენზენტიც. იგი სწერს: „პიესის მსგეღლოზა მოსაწყენი იქნებოდა, რომ მასში უხვად არ იყოს გაბნეული მისი ნიჰიერი ავტორის სატირისა და სიმახვილის ნაპერწყლები. ეს იყო მიზეზი, რომ მოუღმა პიესამ სიცილზარზარში ჩაიარა.“ („ივერია“ 1904 წ. № 20).

ამ რეცენზიების საპასუხოდ (განსაკუთრებით „ცნობის ფურცლის“ რეცენზენტის საპასუხოდ) „ივერიაში“ დაიბეჭდა ორი წერილი, ერთი ეკუთვნ

¹⁾ საღ ჯვა წერილი დაიბეჭდა ამ პიესის გარშემო: 1) „ცნობის ფურცელი“, 1904 წ. № 2391; 2) „ივერია“, 1904 წ. № 20; 3) „ნოვოე ობოზრენიე“, 1904 წ. 27 იანვარი; 4) „ივერია“, 1904 წ. № 23; 5) „ივერია“, 1904 წ. № 24; 6) „ცნობის ფურცელი“, 1904 წ. № 2399; 7) „ივერია“, 1904 წ. № 30; 8) „ივერია“, 1904 წ. № 34.

ენოდა მობენეფისეს — ელისაბედ ჩერქეზიშვილს, მეორე პიესის ხეტორს — აკაკი წერეთელს.

ელისაბედ ჩერქეზიშვილმა სასტიკად გაილაშქრა „ცნობის ფურცლია“ რეცენზენტზე, რომელმაც არ მოიხსენია მობენეფისე ^{წიგლის წიგნით}ში. ჩერქეზიშვილი სწერს: „რეცენზენტი არაკეთილსინდისიერად ირჯება, აკაკის პიესა „განთიადი“ ამაგა და თვით მობენეფისეს შესახებ კრინტი არ დასძრაო...“ „ვინა ხარ ინიცილებს რომ ამოპფარებიხარო („ცნობის ფურცლის“ რეცენზიას აწერია: ვ. ს. ეს იყო ქართული თეატრის ყოფილი რეჟისორი ვასო სულბანიშვილი, — ი. გ.), ნილაბი ჩამოიხსენი და შენი ნამდვილი სახელი და გვარი გვაუწყე, რომ დაგიჯეროთო...“ „ლიტერატურული ზრდილობა მოითხოვს, — განაცხადობს ჩერქეზიშვილი, — რომ თეატრალურმა რეცენზენტმა, როცა სხვა მსახიობებს ასახელებს, ერთის სიტყვით მაინც, ავად თუ კარვად, მობენეფისეს მოიხსენიოს, ეს არ იწება „ცნობის ფურცლის“ რეცენზენტმა და ალბად იმიტომ, რომ ჩვეულმაც და ზრდილობაც მეტ ბარვად მიაჩნიაო“ („ივერია“ 1904 წ. № 23).

აკაკი წერეთლის პასუხი აშენებულია იმ „ცილისწამებზე, რომელიც თითქოს პოეტს პიესის მსვლელობის დროს ეთქვას: „ჩემს პიესას არ თამაშობენო“... აკაკი პიესის სჯესტად ჩატარებას მიაწერს მსახიობი ქალის ავად ვახლომას. პოეტი დასძენს: „უშთაფრესკ როლი (ე. ი. ნუცას როლი — ი. გ.) უნდა ეთამაშნა ქ-ნ ჩხეიძეს და, რადგან ეს არ მოხერხდა ხელად გადაეცით ქ-ნ ჯავახიშვილს, სწორედ იმ საღამოს როცა ფარდა უნდა ახდლიყო. უეცრად ავად ვახდა ჯავახიშვილის ქალი და სხვა არაეინ იყო მომზადებული... ხელად გადაეცევით ტანთ ქ-ნ ნებიერიძეს, რომელმაც არც შინაარსი იცოდა პიესისა და არც ერთი სიტყვა, გამოერიცხე დიდი სათქმელი მონოლოგები და ასე სუფლიორის შემწეობით მხოლოდ რეპლიკებს აწვდიდა სხვებს და ეს წინდაწინვე კიდევ მოახსენეს დამსწრეთ“ („ივერია“ 1904 წ. № 24).

აკაკის პიესის გადაღებაც სდომნია, მაგრამ ვერ მოხერხდა თურმე.

პიესაში კარვად უთამაშნიათ შემდეგ მსახიობებს: ე. ჩერქეზიშვილს, ვასო აბაშიძეს, ვ. შალიკაშვილს, ა. იმედაშვილს და ა. ადამიძეს.

„განთიადი“ აღარ განმეორებულა ჩვენს სცენაზე.

არც დაბეჭდილა.

1910 წელს „თეატრი და ცხოვრება“ აცხადებდა, რომ აკაკის ახალი პიესა „განთიადი“ ამ ახლო ხანში ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდებაო („თ. და ც.“ 1910 წ. № 38, გვ. 16). მაგრამ „ჟურნალის აკრძალვის გამო პიესა გამოუქვეყნებელი დარჩა“ (ლევ. ასათიანი: „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“ 1940 წ. გვ. 457).

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში აკაკის ავტოგრაფებს შორის, დაცულია ერთი რვეული, რომელიც წარმოადგენს აკაკის პიესის შავს (იხ. საჭ. მუზ. ხელთნაწერი № 1474-H). ეს სამუდებო მასალა ფანქრითაა ნაწერი და ძნელად იკითხება. რვეულს სათაური არა აქვს. განსვენებულმა სერგო გორგაძემ ამ ხელთნაწერს — ალბად პირობით — უწოდა: „პიესა იმერთა ცხოვრებიდან“ („აკაკის ბიბლიოგრაფია“ — ხელთნაწერი, გვ. 296). იი ეს გორგაძისეული პიესა ის პიესაა, რომლის სუფთად გადაწერილი პირიც ჩვენ ვი-

ხილეთ ცენტრარქივში და რომელსაც ჰქვია: „განთიადი“ (იხ. ცენტრარქივის საცენზურო საქმეების ფონდი № 114, საარქივო — № 2011).

ამ პიესის საუბლიკაციოდ ჩვენ ძირითადად დავეყრდნეთ არხივში შემონახულ ეგზემპლიარს. ეს ეგზემპლიარი ავტოგრაფთან შედარებით საგონივრულად არის დამუშავებული, მომკმედი პირები ცალკეა გამოყოფილი, ენა დახვეწილია და ჩამატებულია მთელი რიგი ახალი დიალოგები და ფრაზები. გზადაგზა დავიხმარეთ საქ. მუზეუმში შემონახული აკაკის ავტოგრაფიც, რომელსაც, სხვათა შორის, არც ერთი ფურცელი არ აკლია, როგორც ეს ეგონა ახალგაზრდა მკვლევარს ს. ხუციშვილს („ლიტ. საქართველო“, 1940 წ. № 3).

რატომ დავეყრდნეთ ცენტრარქივის ეგზემპლიარს? იმიტომ, რომ ეს ეგზემპლიარი აკაკის ავტოგრაფიდან უნდა იყოს გადაწერილი, არა იმ ავტოგრაფიდან, რომელიც საქ. მუზეუმშია დაცული, არამედ ამ ავტოგრაფის პირიდან. საქმე ის არის, რომ ძველად სცენაზე წარმოსადგენად მიღებული პიესა ორ ცალად უნდა გადაწერილიყო, ორივე ეგზემპლიარი იგზავნებოდა ნებართვისთვის საცენზურო კომიტეტში, ნებართვის მიღების შემდეგ ერთი ცალი თეატრს ეგზავნებოდა, ერთი კი კომიტეტის საქმეებში ინახებოდა. როგორც ღრესღლეობით ირკვევა, „განთიადის“ ოთხი ცალი არსებულა: ორი ავტოგრაფი და ორი სხვის მიერ გადაწერილი. ეს სხვის მიერ გადაწერილები ავტორს აღარ უბრუნდებოდა უკან, ერთი ცენზორს რჩებოდა (ეს ეგზემპლიარი ამჟამად იბეჭდება) და ერთიც თეატრის ბიბლიოთეკისათვის იყო განკუთვნილი (რომელიც, ალბანდ, 1914 წელს ქართული თეატრის ხანძრის დროს დაიღუპა სხვა ხელთნაწერ პიესებთან ერთად). აკაკის ავტოგრაფები? აკაკის ერთი ავტოგრაფი საქართველოს მუზეუმშია ამჟამად დაცული და აქედან გადაწერილი, მეორე ავტოგრაფი კი სწორედ ის ავტოგრაფი უნდა იყოს, რომელიც „თეატრმა და ცხოვრებამ“ მიიღო აკაკისგან დასაბეჭდათ და რომელიც ამჟამად შესაძლოა მის რედაქტორს — იოსებ იმედაშვილს — აღმოაჩინდეს ან-და იავარკმნილი იყოს ყანდარმებისაგან, როცა ეს უკანასკნელი „თეატრსა და ცხოვრების“ რედაქციას ეწვივნენ...

„განთიადი“ დაწერილია 1903 წელს. ცენზურიდან ნებართვა მიღებულ იქმნა 1904 წელს, 8 იანვარს, სცენაზე წარმოდგინეს ამავე წლის 25 იანვარს. პიესა პირველად იბეჭდება.

განთიარღ

თანამედრღვე ცხოვრებიდან აღებული სოფლური სურათები ნ მოკმედებად.

მომგვადნი პირანი:

1. კიკოლა — იმერელი გლეხი, ძველებური ტიპის.
2. საუვარღისეული — მისი ცოლი, ნამოახლი.
3. შიხა — დროს შესადერად გაუკულმართებული } მათი შეილები.
4. ლეკო — ტართულად გაზრდილი }
5. ხირღინ — სოფლელი ძველი ტიპის აზნაური.
6. ღათიკო — საკნიაზო კლასიდან გამოსული } მისი შეილები.
7. ნუცა — შინ გაზრდილი ძველებურად }
8. არუთენა — სასტუმროს პატრონი.
9. ივანე — ბუღეტის გამგე.
10. ნიკო — კნიაზი.
11. შიშო — კნიაზი.
12. გრიშა — კნიაზი.
13. ვაქტორ.
14. დარღუბალ ზახრუმაღინი — აღაგის მომლოდინე და დროებით წესიერების დამცველი.
15. სტუმრები და მსახურები.

მომგვადება პირმელი

კრამიტით დაბურული საბლის წინ, იმერული წმინდა ეზო. შუაში ცაცხვის ხეებია
ხის ძირა! -- ქვა ზოკეკას სკამლოგინები.

გამოხვლა პირველი.

კიკოლა — (ჩამომგდარია სკამლოგინზე. ურმის გოგორასა სთლის და
დაბალის ხმით ურმულს დაღიღინებს):

„აღარა ეხალისება
ქადარა შერთულ ბერსაო,
ხელ-და-ხელ დათვის დამკერსა,
რომ ემეტროდა დეესაო“.

პაი, ბეჩაე, ჩემო სიყმაწვილევ, ცხრა ცულის ტარზე რომ ვხტებოღი
ეკ, ახლა ტანმჩატედ კარის საძირკველზედაც ველარ გადამიბიჯებია
(ყოტა ხნის სიჩუბის შემდეგ დაიწყებს ისევ სიმღერას):

„სიბერე ასე ძნელი,
სიბ ჭეასა დედარება,
დაჯდება, ვიღარ ადგება,
ადგომა დეზარება“.



სახლიდან ქალის ხმა: ლექსო, ლექსო! ბიჭო, არ ჯეჩხულებ-
დამდგარო! ლექსო! თი, რატომ შენ არ გაუწყალდი დედა-
ცელში, რომ საჭირბოროტოდ აღარ გამჩენოდი!
კიკოლა—ჰეეე, აქაქანდა! არიქა, ალიონმა არ დაასწროს! (საყვარლის-
ეული გამოდის და ნელნელა უახლოვდება. კიკოლა ზურგშეპყვეულია
და ვერ ხედავს). „ჩვეულზე უმტკიცესიაო“, ვერ მოიშლის
თავისას— ასე უნდა იყეფოს დაღამებამდი.

გამოსვლა მეორე.

ისევ ის და საყვარლისეული.

საყვარლისეული—(უკმაყოფილოდ) იდიდინე, იდიდინე, ვითომ და
კანდელაკი ხარ! ი შენი ბლიაძე ბიჭიც გვერდში მოისევი და აშენდა
ოჯახი! მამ ასე უნდა იყეფოსო, რომ ბრძანებ, სხვა რაღა უნდა მჭირ-
დეს შენს გადამკიდეს? გაძალღებული ცხოვრება ვის არ ააყვებს!
კიკოლა—(განზე) აუცილა კიანური!
საყვარ.—სად არის ი ბიჭი?
კიკოლა—მეზობლიდან გადმოგვძახეს, თქვენი საქონელი შეველეებს
დაუქერიათო და იმათ მიამურა.
საყვარ.—მერე და ი ყმაწვილი რომ ტამოიღვიძებს, ვის უნდა დაასაჭ-
მოს, თუ რამე დასჭირდა?
კიკოლა—ვინ ყმაწვილია?
საყვარ.—ვინ უნდა იყოს, მიხა...
კიკოლა—(თავისთვის დაცინვით) პოო, შენი მიხაილ ნიკოლაიჩი... მამ
საყვარ.—რას დუღუნებს?
კიკოლა—იმას, რომ ვისაც ფაფა უყვარს, კოვზიც იმასვე უნდა ეჭიროს
ხელშიო. რა ვარანტოვი ეგ არის, რომ ბრძანების მეტი არა უნდოდეს
რას!
საყვარ.—ი ბიჭი რაღას აკეთებს?
კიკოლა—ლექსო? იმას სხვა საქმეც ბევრი აქვს. ხომ ხედავ, რომ მე
ბევრი აღარა შემიძლია რა, ის არის ათელი ოჯახი.
საყვარ.—(დაცინვით) ან კი როდის შეკძლებია, რომ ახლა შეგეძლოს?
კიკოლა—პო-და... შით უფრო. იმასაც რაღა სხვისი სამსახურისა სცხე-
ლა. მერე კიდევ ემსახუროსო რომ იმახი: მამ არი, ვანა ყმა არი?
საყვარ.—კარგი ერთი, ნუ მოყვები უთავბოლო როშვას! სულაც მაგან
გააფუჭა, რომ მაგისთანებს აგონებ.
კიკოლა—ვაგონებ, თვარა თითონ კი ვერ მიხედება, არა გაეგება რა?
დედაცაცო, რა არი, რომ ი ლეთისნიერი ბიჭი ამოგიჩემებია გერივით,
თითქო დედინაცვალი იყო მისი. ერთხელ ტკბილ სიტყვას არ გააგო-
ნებ. სხვა რომ იყოს, აქ აღარ დაგრდგებოდა, გადავარდებოდა სადმე.
მე და ჩემმა ლმერთმა.

- საყვარ.—აქი ბრძანდებოდა წასული და რა მოიტანა? რა ისწავლა, გარდა მოშაირობისა და ლაღზანდარობისა?
- კიკოლა—მაგითი ვის რას უშლის? რას აშავებს?
- საყვარ.—ეგ არის რაღა, მოუწონენ?.. შენ კანდელაკურე ეფიფინე, ხოლმე, იმანაც სტერიი აიღოს და მეტი რაღა გინდაღ...
ოჯახი! რაც მამა ხარ, ის შეილია. შენ რომ გგავს, შიტომ ესარჩლები.
- კიკოლა—ჰო—და, მეორე ხომ შენა გგავს გაჭრილ ვაშლივით... ვნახოთ, რა ქვეყანას ააგებთ ან შენ და ან ისა...
- საყვარ.—ვიპ, რაში მოგეწონება!.. ერთი შენ და ი შენი მოწონებული შეილი ხართ მიღებული თავადანაურობაში და მეორე ჩემი მიხა... თვალში რომ ჩაუყვარდეთ, ხელს არ ამოისმენ, ენაცვალოს იმას დედა!
- კიკოლა—(ნაღვლიანად იღიმება) ჰმ! თვალში? ვიცით, შეილოსა, იმათი მოყვრობაც. ი რაღაც კრი გროში ჩამოყოლია ი შენ შეილს, იმას უბოდიშებენ და როცა გამოსცინცლავენ, მერე ენახავთ, სადაც მიიწვევენ.
- საყვარ.—ორი გროში შენც კი გჭონია, გლუხკაცის პირობაზე არა გიჭირდა რა, მაგრამ კარზე ტალახი არავის აუყენებია შენთვის, რომ დიდკაცების ოჯახში გებატიყებიანო.
- კიკოლა—(უქმაყოფილოდ) რომ კიდევ დამპატიყონ, რა მაქვს საერთო, რომ იმათ ავეტორღილო?.. ბატონყმობა, ღვთის მადლით, გადავარღნილია... ჩვენ ჩვენთვის და ისინი მათთვის!..
- საყვარ.—გადავარღნილია, თვარამ, შენმა გახარებამ, რაღა ის ზოიშა—ლა, მას უკან აუღ ია და ვარდი გეფინება წინ.
- კიკოლა—რათ მინდა, რომ მეფინებოდეს? შენ ხომ მაინც ზედ შხამსა და ნაღველს გადაასხამდი... (თავის ქნევიით) ნამოახლი ქალი... მტრისას... მტრისას!.. (ჩოხას იბერტყავს).
- საყვარ.—ახლა ამბობ მაგას? (მეფარდება) ახლა? მაშინ ხომ კარგი ვიყავი, ხელოსნობა რომ გაშოენიე—მარანბეღელი ხელში ჩაგიგდე და მთელი სოფელი შენს ბედს შემონატროდა...
- კიკოლა—აი დაიქცეს ის დღე!.. ბატონის ნებას ველარ წაუყედი, თვარა ვიცოდი რაც შესართავი იყავი, შეილოსა...
- საყვარ.—შენმა თავის ტყველცამ, თუ მე არ შეგერთე, მარიამ დედოფალი წამოგყვებოდა! ვერ უყურებთ ამ უჯიშოს? შენისთანებს ეჭირათ ჩემსკენ თვალის!..
- კიკოლა—რა ეჭირათ... რა ვიცო... მაგრამ გვირგვინს კი არავინ წამოეპოტინებოდა...
- საყვარ.—ვითომ რატომო?
- კიკოლა—აი იმას ჰკითხე; რატომო! (თითს მიაშვერს ჰისკრის კარები—საქენ, სადაც სპირლონი გამოჩნდება) ეგეც ბატონთან ნამყოფი აზნაუშვილია და ეცოდინება... მგონია, აქ მოდის... (უქმაყოფილოდ) ნეტავი რა უნდა ასე ადრე?
- საყვარ.—რა უნდა და შენი სალამი... ალბათ, მიხასთან მობრძანდება, თვარა შენ არც აქამდი შეუწუხებიხარ... წავიდე, ერთი ი ყმაწვილი გაეაღვიძო...

კიკოლა—(თვალს გააყოლებს) მართალი ნათქვამია, „ძალის კუდი კალაპოტშიაც არ გასწორდებაო“, ნამოახლა რომ არის, კუდიც ბატონებისაკენ აქვს გაშვებული და შვილიც მისთანა გამოუვიდა... სულ იმ დიდკაცობაში მიუღის სული ორივე დედა-შვილს; ვერცემხვდარან, რომ მათი ფანდის არ არიან, „რაც არ შერგებო, ბატონ-შემტყვებო“, ტყუილა კი არ არის ნათქვამი... (ვითომ ვერ ხედავს მომავალ-სტუმარს, ურმის თვალს დაუწყებს ჩხიკინს და ლიღინობს):

„ჩინველს ღმერთი გაუწყრება,
ფრთები მხრებში გამოუვა,
ზედას ახვლას მოინდომებს,
გზაში სული ამოუვა“.

გამოსვლა მესამე.

ისინივე და სპირდონ.

სპირდონ—(მიუახლოვდება ნელნელა) ნიკოლოზს გაუმარჯოს... ნიკოლოზს!

კიკოლა—(წამოდგება ზეზე) ოპი ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოსთ, ჩემო ბატონო, ვაი ჩემს შერცხვენას, რომ ვერ დაგინახეთ.

სპირდონ—აგრე იცის დაფიქრებულმა მუშაობამ.
(ხელს აძლევს)

კიკოლა—(უკან მიიქვს ხელები) რატომ ირჯებით, შენი ჭირიმე. ჩემო ხელი რა თქვენი საკადრისია... ნუ ინებებთ!

სპირდონ—ვეყო, შენი ხელი რა სხვისაზე უარესია! (მხარზე ადებს ხელს) საზოგადოდ კი, მართლა, რომ არც მე მიყვარს ოფლიანი ხელის ზელა, მაგრამ რას იზამ?.. სად წაუხვალ ქვეყანას. „რა სოფელშია მიხვიდეთ, იმ სოფლის ქუდი დაეხურეთ“, ნათქვამია, დრომ მოიტანა.

კიკოლა—კაი, შენი ჭირიმე... (სახეს იკმუხვნის) ნეტავი, თქვენის კარგად ყოფნით, არც ეგ მოეტანა და არც ჩვენი წაეღო.

სპირდონ—ჩვენი?

კიკოლა—ჰო, ძველებური ზრდილობა და თავაზიანობა კი აღარ შეგვარჩინეს და... სულ დაგვეკარგა... უფროსს ვილა აცლის ეხლა სალამს? ვინც უნდა შეგხედეს, გინდ ერთი ვინმე ვიგინდარაც იყოს, პირველად ის გიტუტურებს ხელს... დაბრძანდით, ჩემო ბატონო.

სპირდონ—(ჯდება ქვაზე, ეპატიება, რომ გვერდით დაისვას) შენც დაჯექი...

კიკოლა—გმადლობ, მე აქაც არა მიჭირს რა, აგერ გიახლებით ჩემთვის (ჩამოჯდება ახლოს მეორე ქვაზე).

სპირდონ—სხვა, რასა იქ? აღარსა სჩანხარ. ხომ კარგადა ხარ?

კიკოლა—თუ კი სიმართლე ეთქმის სიბერეს, გახლავარ მეც...

სპირდონ—რატომ არა? კარგი სიბერეც კარგია, ჩემო ნიკოლოზ. სხვებმა იკითხონ, თვარა შენ რა გიჭირს? (საყვარლისეული გამოდის და სკამები გამოაქვს) ახლა შენ ჩიტვიით უნდა იყო გაყმაწვილებული... მაგ-სთანა განესტოიანებული შვილი დაგიბრუნა ღმერთმა... ეგ არის და მთელი ქვეყანა.

გამოხვლა მეოთხე.

ისინივე და საყვარლისეული.

სპირდონ—ოი საყვარლისეულს ვახლავართი მოგვილოცეს შეილას დაბრუნება.

საყვარ.—(მძიმედ თავს დაუკრავს) გმადლობთ, ჩემო ხელმწიფეჯ! ღმერთმა თქვენც გაგაზაროსთ თქვენი ღათიკოსა და ნუცას ბედნიერებით...

სპირდონ—დაბრძანდით!

(მოუთითებს სკამზე).

საყვარ.—უი შე! რას მიბრძანებ, ჩემო ბატონო! ჩვენ აგერაც კარგა გიახლებით.

(მოიფრთხობს იქვე მოღზე).

კიკოლა—იმ ბიჭს არ შეატყობინე?

საყვარ.—ყმაწვილს? იახლებათ, ახლავე იახლებათ (სპირდონისაკენ) წუხელი გვიან გეახლათ; ვალმა გახლდათ მიწვეული თაეადიშვილებში. აღარ გამოეშვათ და თითქმის თენდებოდა, რომ დაბრუნდა სახლში.

სპირდონ—ნათლობაში იყო... ჩემი ქალიც გვიან დაბრუნდა.

საყვარ.—ბრძანდებოდა?

სპირდონ—როგორც იქნა, გააბედვია ძმამ! ძალის ძალობით, თვარა ჩემ ნუცას არ უყვარს აქეთ-იქით სიარული...

საყვარ.—არ უყვარს ხალისიანობა?

სპირდონ—ხალისი არ ჰკლია, მაგრამ ოჯახშია გართული... შინ გაზრდილი რომ არის—აღარ ეხერხება სხვაგან აქეთ-იქით სუფესავით ტანტალი... რაღაი დედა მოუყვდა, შინ დამრჩა... ველარ შეეძელი გამებარებია და განათლება მიეცა, თვარა შინაურობაში—ღმერთმა კარგი მოგცეს—კარგი ის იყოს... მისით სული მიდგია...

საყვარ.—ღმერთმა ორივე ქალიც და ვაჟიც გვრიტებივით გიბედნიეროსთ... ჩემო ბატონო.

სპირდონ—გმადლობ... ნუცა უფრო დედასა ჰგავს... ნეტავი იმ ოჯახს, რა ოჯახშიაც ის შევა; ვაჟი კი უფრო ჩვენკენ არის.

საყვარ.—„კვიცი გვარზე წაეაო“, მოგესხენებათ.

გამოხვლა მეხუთე.

ისინივე და მიხა.

მიხა—(რუსულად ჩაცმული—მადალყელიანი ჩექმებით, მოკლეკალთებიანი სერთუკით გამოდის. ყველა წამოდგება, კიკოლას გარდა. მიდის პირდაპირ სპირდონთან და ხელს აძლევს) ზრასტიტე კნიაზ!

სპირდონ—ააა! ზრასტი, რუსო, ზრასტი!.. (ხელს უნძრევს) გზაში, რომ შემყროდი, ინჯილერი მეგონებოდი ან ვილაც პოსლენიკი ჩინონიკი...

მიხა—(სიცილით) დაბრძანდით.

(მოაწოდებს სკამს, მეორეზე თვითონ დაჯდება).

სპირდონ—არა, მე ზე უფრო მეხერხება ამ მამაპაპურ სკამლოგინზე (ჯდება).

მიხა—არ გაცივდეთ კი მაგ ქვაზე.

კიკოლა—ჰმ! ეს, პირიქით, სიგრილისათვის არის გამოგონილი ღე...

სპირდონ—ვეეო, რა გამატივებს, ფაფა ხომ არა ვარ?

მიხა—თქვენი ნებაა. (სიჩუმე) ანგელოსმა ამოიარა. უარქუნეული

საყვარ.—ანგელოსმა, ვენჯეცვალე მის მადლსა და ძალს... უარქუნეული

(აქეთ-აქით იხედება).

მიხა—(სიცილით) ასე იტყვიან ხოლმე რუსები, როცა სიჩუმე ჩამოვარდება.

სპირდონ—ჩვენში კი „ენა ჩავარდაო“ (თმას ისწორებს) ხში მადლობა ღმერთს, რომ მაგრე კარგად მოიარეთ ის შეჩვენებული ქვეყანა. იქითკენ ბევრს აგზავნიან გაუციობავად, ძალიან ბევრს, მაგრამ რომ ველარაინ ბრუნდება... ასში ერთი თუ გადაჩრება და შენ კი აგერ გაბედნიერებული დაგვიბრუნდი... ქეშმარიტად მოხარული ვართ ყველა.

მიხა—გმადლობთ, კნიაზ!

კიკოლა—ქრისტემ დიდი ღლე მისცეს! ღრუბენატორი შეწყვიტა ძალიან.

სპირდონ—ღუბენატორი?..

კიკოლა—(თავმოშწონედ) დიან, მოახსენე, შეილო, რაც იყო და როგორც.

მიხა—ჩემი გვარი რომ ამოიკითხეს და გუბენატორმა ყური მოჰკრა—რაღაც გაახსენდა და მკითხა: „კიკოლა ცოცხალიაო“. გამიკვირდა და მოვახსენე, ცოცხალი გახლავსო, მამა არის ჩემი მეთქი.

კიკოლა—ის იყო და ის, მერე თურმე აღარ გაჭირვებია რა ამ ბიჭს. მე და ჩემმა ღმერთმა, მართალი ნათქვამია „კარგი საქმე ქვაზე დადევ და რომ დაბრუნდები, ქვაზე დაჯედებაო“. როდინდელი როდის მოგვონებია იმ ღეთისაგან კურთხეულს და სადაური საღ გამოდგომია ამ ჩემს შეილსაც.

სპირდონ—რა ყოფილა, ვეეო, მაგისტანა?

კიკოლა—მაინც და მაინც ბევრი არაფერი მაგდენი.

სპირდონ—მაინც, მაინც?

კიკოლა—ომარტაშობის დროს სამეგრელოში ვახლდი ბატონს. მაშინ ბიჭათაც არა მიჭირდა და გულსაც მერჩოდა... ჩვენი მილიცია მარჯვეთ იყო, მაგრამ სახელი კი ჩემოდენი და განსვენებული თქვენი ძმის ოდენი მაინც არავის უნახავს. თქვენ ძმას ჯვარი და ტემლაკიც მისცეს... ჯვარი, მე და ჩემმა ღმერთმა, შეეც მერგებოდა, მაგრამ ცხოვნებულმა ჩემმა ბატონმა თავისთვის გამოითხოვა და მე კი დავრჩი ასე ბელცარიელი...

საყვარ.—ჰი! ახლა კი ნუ გააჭიანურებ შენებურად, შეილზე უამბე.

კიკოლა—(უკმაყოფილოდ) არ დამაცლი?.. მაშინ გახურებულ ომში და სროლაში ერთი დაჭრილი რუსის აფიცარი გადავარჩინე სიკვდილს... ჩხუბიდან ზურგით გამოვიტანე და თურმე ის ყოფილა ის ღრუბენატორი... წმ, წმ, წმ! აბა, ამაზე არის ნათქვამი, მთა მთას ვერ მოხედება, თორემ კაცი კაცს კიო.

საყვარ.—იმას ხელი შეუწყვიტა ამ ყმაწვილისათვის, თვარა ქონება კი არ მიუტია.

მიხა—დიახ, ხელი შემიწყო და ჭონება მერე მე თვითონ შევიძინე.

საყვარ.—თითონ შეუძენია, ენაცვალოს დედა!

მიხა—ერთს ხანს თავის ოჯახში ვცვანდი აყვანილი. ხან ერთ/საქმეს მომანდობდა ხოლმე და ხან მეორეს. მეც ერთგულედაც ვცვანდი და გამოვიკეთე ჩემი საქმე. ჭკუა თუ აქვს კაცს და მესაფრებდა კიდი მომგები ქვეყანა ის ირკუტსკი.

კიკოლა—ყველა დეთის საქმეა, შეილო, ტყვილა ნურვინ რასმე დაიტრაბახებს, უღმრთოთ არა იქნება—რა, არა...

სპირდონ—ნურც სულ მაგრე იტყვი, ჩემო ნიკოლოზ! „ნიორმა იერუსალიმი მოიარაო და მყრალი სუნი მაინც კიდევ თან მოპყვაო“. — კაციც არის, კაციც.

საყვარ.—დღეგრძელი ბრძანდებოდეთ! ბედი ყველასთან მიდის, მაგრამ ყველა კი ვერ შეიშნობს!.. იმასაც ჭკუა უნდა.

სპირდონ—ოღონდაც! ოღონდაც! უჭკუოთ არა გაკეთდება რა...

მიხა—მართალია, კნიაზ...

სპირდონ—კნიაზოვო? (იყინის) მვ სადაური კნიაზი ვარ, ძმაო? ვინც იყენენ, იმათაც აღარ აკნიაზებენ ეხლანდელ დროში, თეარა...

მიხა—სულ ერთია!.. არა უშავს—რა, ენა მაქვს მიჩვეული. იქ, ვინაც იჩობით არ იხსენიებენ, სულ კნიაზს ეძახიან.

სპირდონ—თქვენ რას აძახობენ?

მიხა—მიხაილ ნიკოლაიჩს!

კიკოლა—ეგ აქ არ გამოგადგება, შეილო... ჩვენში, მიხაილ ნიკოლაიჩს მთავარმართებელზე იტყვიან ხოლმე (სიჩუმე). აგერ ი ბიციც მოდის (ლექსო გამოჩნდება, შორი-ახლოს გაჩერდება და თავს უკრავს ყველას).

გამოსვლა მეექვსე

ისინივე და ლექსო.

საყვარ.—მადლობა ღმერთს, რომ მოგაგონდა დაბრუნება.

ლექსო—უსაქმურად არ მივლია, არც ჩემს ნებაზე.

კიკოლა—რა გითხრეს?

ლექსო—რალას მეტყობდნენ მეტს, დაუჭერიათ და საბალახოს ითხოვენ.

სპირდონ—რა დაუჭერიათ?

კიკოლა—საქონელი.

სპირდონ—თქვენი?

ლექსო—ჩვენიც და სხვებისაც.

სპირდონ—ჰმ! დაიჭერდნენ მა რას იზამდნენ, ძნელი ასატანია ჭირნახელის გაფუჭება... ყველამ თავის საქონელს უნდა მოუაროს.

ლექსო—კი, ბატონო, მარა ი ჭალებიც რომ გაფოლორცებულა. ყანებს ღობე აღარ აყლია და თხრილი.

სპირდონ—ხედაბუნების შემოღობვა ვის გაუფონია! ჩემს ნახსოვრობაში აგრე ყოფილან სულ გამეხებული ყანები ჭალებში...

კიკოლა—მართალია, მაგრამ შიგ შეველეებიც იდგენ ხოლმე. მეც ბევრჯელ შემხედრია ბატონყმობის დროს შეველეობა და პირეტყვს რომ დაინახადით მომავალა. არ ვუშვებდით. გადავრეკავდით ხოლმე—მეველე ამა რისი შეველა. თუ ამასაც არ იზამს.

ლექსო—ახლა გადარეკა კი არა, პირიქით, მირეკენ ყანებში, მეწისქვილე მეუბნებოდა, რომ წყლის დასაღვებად ველარ ჩამოდის პირუტყვიო... დაინახევენ თუ არა მეველეები, ძალის ძალით მიდენიან უმწყესურ საქონელს ყანებშიო, რომ მერე დაიჭირონ! და ქვემოთ აიღონო. ახლაც ისე იზამდნენ, თვარა ჩვენ ნახირს, რა უნდა იქითიკენ?

კიკოლა—გაუფუჭებიათ რამე?

ლექსო—ღერი, ნამცეცი!.. რა უნდა გაუფუჭებიათ, რომ ფარსაგად ჯერ არც კი ამოსულა-რა...

კიკოლა—რატომ არ წამორეკე.

ლექსო—ვინ დაგანება? საჩხში ჰყავთ დამწყვდელი. სულზე თითო მანეთს თხოვლობენ.

მიხა—ვინ არიან ეგ მეველეები? ჩაჩნები?

ლექსო—აღარც ნაკლები! ჩვენი ყმაწვილები.

მიხა—ვინ ყმაწვილები?

ლექსო—ნაბატონარის შვილები.

მიხა—თავად-აზნაურები? სტრანნი!

სპირდონ—რას ამბობ?

მიხა—გასაკვირვალა.

სპირდონ—ნუ გიკვირს! დრომ მოიტანა, დრომ! (ამოიოხრებს) იმათაც ან კი რა ქნან. მოჯამაგირე გაძვირდა... ვილასა აქვს მათი თავი...

სიღარიბე და გაჭირვება ძნელია... მეველეობასაც აკისრებებებს კაცს და მეწისქვილეობასაც.

ხაყვარ.—უი, უი, ღამიღგეს ყურები და დამეფსოს თვალები! რა მესმის და რასა ვხედავ, ბატონიშვილები და მეველეები (თავის ჭნევით). ახლა რომ დიდი ბატონი წამოაყენა და წამოახედა!.. უიმე, დედავ! დედავ!

(წუწუნებს).

ლექსო—მართლა რომ გაუკვირდებოდით, მათ დროში ვის გაუგონია ან საბალახო და ან ტყის ფასი ჩვენს ქვეყანაში.

სპირდონ—ჰმ! თქვენ კი, შეილოსა, ბატონყმობა რომ გადავარდა, ფეხზე აღარ იდექით სიხარულით და... მაშინ თუ თითო ბატონი გყავდათ, ახლა რომ ასი და ორასი გაზისთ კისერზე!..

კიკოლა—რაც მართალია, მართალია ერთი ჰირი მოვიხადეთ და ასი გაგვიჩნდა! ახლა არ ვიცით, რომელ ერთს გადაურჩეთ... მაშინ კი, ვისაც ღვთისნიერი ბატონი ჰყავდა, არა უჭირდა-რა... მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს ღვთისნიერები აღარსად სჩანდნენ და...

სპირდონ—(აწყვეტინებს სიტყვას) ჰირეული და ცუდი ყველგან გამოერევა. კარგი ბატონის ყმას.თითსაც ვერვინ დააწებდა: საზოგადოდ ასე იყო და თუ ზოგიერთებს ცუდათ ეპყრობოდნენ, იმიტომ, რომ ორგულ-ერთგულლებას არჩევდნენ. ეჰ! რაც იყო-იყო, მორჩა და გათავდა. ძველს ველარ დაუბრუნდებით... მაგრამ დღეს კი უკეთესობაა ვითომ...

ლექსო—მართალია, ვაის გაყრილები—უის შევეყარეთ... და ერთი მეორეს ვერ ამართლებს, მაგრამ, მაინც, თავისუფლება და თანასწორობა დიდი ბიჯიან ცხოვრებაში.

საყვარ.—მე, „ეუმი ფეხი გამოყო, მეც ნახირ ნახირო“, შენ რა გრჯის რომ ეჩრები?

კიკოლა—მართალს არ ამბობს თუ? მაშინ ყოლიფერი ერთი ბატონის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული — გლეხის ბედის და უსადობაც და ახლა კი...

სპირდონ—(სიტყვას აწყვეტინებს) ყველა ბატონია... ყველა გარეწარი და გადამთიელი... გლეხსაცა და ჩვეიც, ორივეს თოკი ჩაგვაბებს და ორივეს სხვა და სხვა კეთისსევენ შიგვრეკაფუხ, რომ ერთმანეთი დავალრიოთ. შოდი და ამისთანა დროში-ნუ დადგები შეველეთ! ნუ დაიპერ გლეხის საქონელს! დაუთმე საბალანო გაითროტება უნდათ ჩვენი — გაგვაბოროტა დრომ და გადაგვიდა ერთმანეთს.

საყვარ.—მართალს ბრძანებთ, ჩემო ხელმწიფევი და უი ამისთანა დროს, რომ ბატონის შვილები შეველეებად არიან. გლეხების ხელობას აღარ თაკილობენ... რა დროს მომსწრე ვარ და რასა ვხედავ. დამიდგეს თვალები. უიმე! უიმე!

ლექსო—საქმის გაკეთება რა საუკადრისოა და საძრახისი, დედი. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ საქმობის მაგიერ, რაც არ ეკადრებათ, იმას ჩაღიან, ცარცვა-გლეჯა რა შეველეობაა.

საყვარ.—სსუ, ხუ გაიგებლე ენა რაც შენი საქმე არ არის და არც ვინმე გვითხავს.

სპირდონ—არა, შეილოსა, ნურც მაგრე იტყვი. ნათქვამია: „ზოგი თხისსევენ და ზოგიც მგლისსევენ“.. ნურც იმ ყმაწვილებს გავამტყუნებთ, იმათაც რა ჭნან, ორი კვალი მიწის მეთი აღარა დარჩენიათ-რა და არ მოუღარონ, აუშვია სოფელს ამდენი ნახირი უმწყესურად და ლამის ქვეყანა ამოაგდონ.

მიხა—(სიტყვას ჩამოართმევს) უმწყემსოდ? როგორ თუ უმწყემსოდ? ეგ როგორ იქნება?

ლექსო—(განზე) რა მალე დაეიწყებია, თითქოს იქ დაბადებულიყოს...

სპირდონ—მაშ, იქ, სადაც თქვენ იყავით, როგორ და არის?

მიხა—რუსეთში? ვანათლებულად, იქ სოფლის ნახირს ოჩერედით მწყესიან... მუზიკით გარეკენ ზოლმე დილდილობით და სადამოსაც მუზიკით აბრუნებენ.

სპირდონ—იმე! იმე! მართალს ბრძანებ? რა ყოფილა ეს!

მიხა—რაეოკს ეძახიან, იმას რომ დააძახებენ, პირუტყვებმა მერე თითონ იციან თავისი გზა... წასვლისაც და მოსვლისაც...

ლექსო—ეგ აქ არ მოხერხდება. იქ თვალგადაუწყვდენელი მინდვრებია საძოვრები და აქ კი ჩვენი მიწები ხელისგულის ოდნად არიან დაფარატივებული და რომ გარეკო, სად უნდა გარეკო?

საყვარ.—შენ რაღა იცი იქაური ამბები, რომ ეჩრები სიტყვა-პასუხში? იქ როდის ყოფილხარ?

ლექსო—რომ არ ეყოფილვარ, ვანა აღარ გაგვიგონია და არა წაგვიკითხავს-რა.

საყვარ.—ჩუ! სამოვარი შიშინებს! წადი, შეილო, მიხედე... არ დაიწვას, ჩაიც დაანხი და მოგვიტანე.

(ლექსო მიდის).

სპირდონ—ახლა რაღა დროს ჩაია, სამხრობამ მოატანა...
 საყვარ.—ჯერ არა გზლებია ჩემი მიხა და თქვენც ეგებ მიიჩქვით...
 მიხა—ჩაის, ვნიაზ, დრო არ გააჩნია. რუსეთში დიდიდან აღამომღეს სულ სვამენ...

ერქვესული
 გიგლაძისთვის

სპირდონ—ეტყობა, შაქარი ოხრად უნდა იყოს
 მიხა—ზავოდები იქ არის და აქაც იქიდან მოაქეთ.
 სპირდონ—ეტყობა... ეტყობა, რომ არა ზოგავენ, არ ენანებათ.
 მიხა—იქ ცოტას ხმარობენ. პრიეტსკითა სმენ.

სპირდონ—შაქრით არა?
 მიხა—პრიეტსკით, ეს იგი შაქარს ცოტას მოკენეტავენ და ჩაის კი ბევრს დააყოლებენ. ერთი ნატეხი თუ გინდა ათს სტაქანს ეყოფა. დალევითაც სულ სხვანაირად სმენ იქ და გემოც უკეთესი აქვს.
 საყვარ.—მართალია, რომ სულ სხვა გემო ჰქონია. ჩემი მიხა რომ სვამს, მეც ისე ვსინჯე და უფრო მეგვმჩიელა.

მიხა—ყველაფერს თავისი შესაფერი ჩესტი უნდა (გამოაქვს ფოდნოსით ჩაი ლექსოს) აი კიდეც მოიტანეს. მიირთვით ვნიაზ... (აიღებს სტაქანს და წინ დაიდგამს. მიხა ფინჯანზე ასხამს ჩაის, მერე ქვეშიდან სამს თითს შემოუყენებს, შაქრის ნატეხი ხელში უჭირავს, სულს უბერავს ჩაის და ისე ხერებავს. საყვარლისეული შიჩვრებია მიხას, იმასა ჰბადავს და ისე სვამს) აი პრიეტსკაც ამას ეძახიან. თქვენ თუ ასე არ დალევთ, შაქარი უყავით, უშაქროა.

სპირდონ—უშაქროა? აჰ! პრიეტსკა ჩემი საქმე არ ყოფილა. (ბლომად იღებს შაქარს, ყრის სტაქანში). მე სულაც შაქრის გულისათვის ვსვამ, თუარა რა დამალევინებს ცხელ წყალს ნიკოლოზ, შენ რატომ არ მიირთმევ?

კიკოლა—მე? თუ ღმერთმა ღვინო არ გამომილია, მავას რაფა მივიკარებ სიახლოვეს... მაგითი ჩავიმდღურავ სწორედ გულ-მუცელს (ლექსოს). შეილო, შენ ახლა მაგდენად საჭირო აღარ ხარ... დალევით, თითონაც დალევენ, შენ წადი და პირუტყვები გამოაშვებინე, ცოდვა არიან ამდენ ხანს მშიერ-მწყურვალნი. წაუღე რაც ერგებათ, ეგებათ ათ შატრს დაგჯერდნენ... შევეპარე.

მიხა—მოიცა, ნურაფერს ნუ მისცემ, შენ ჩემს მაგიერად სთხოვე, გამოუშვან და თუ არ ქნან, მერე მე ვიცი!

კიკოლა—რაფა, შეილო, ჩხუბს უპირებ თუ?
 მიხა—მე ვიცი, იმათი ამბავი: ერთი არუთენას ღუქანში დაებატიყო, რჯულზე გაუმასპინძლდე და ჩვენსას კი არა, სხვის საქონელსაც კი შემოეარეკინებ ამ ჩემს ეზოში.
 (იცინის).

საყვარ.—(სასოებით შეჰყურებს. თავისთვის) იჰ, ენაცვალოს დედა!
 ლექსო—(სპირდონს) თქვენი კამბეჩისას რაღას ბრძანებთ.
 სპირდონ—როგორ თუ ჩემი კამბეჩისას?
 ლექსო—ისიც იქ აწყყდევია.
 სპირდონ—ვეფო, ჩემ კამბეჩთან რაღა ხელი ჰქონდათ?
 ლექსო—ისიც ყანაში შეუსწრიათ.
 სპირდონ—არ ეცოდინებოდათ, რომ ჩემი იყო.

- ლექსო—იქ გახლდათ თქვენი პატარა მწყემსი, ბევრი ეხვეწა, მაგრამ არ
ქნეს, არ დაანებეს.
- სპირდონ—შეურაცხეთ კეთილშობილებას! ჩვენც აღარ გვზოგავს, კე-
თილშობილებსა?
- ლექსო—სიცილი დააყარეს: „რაეოთ, აზნაურის კამბეჩი რა ჩემსი იმი-
ტომ გლუხიკაცისაზე უფრო ზრდილი და ჰკუიანი იქნებაო თუ“
- სპირდონ—მაგას როგორ იტყოდნენ?
- ლექსო—თქვეს და გაათავეს.
- სპირდონ—თავს ლაფი დაესხა იმათ დიდკაციშვილობას. აღარ გვზო-
გავენ თავადიშვილები აზნაუშვილებს. აი, ბენაე, მაგათი მშობლებიც
კი არ იკადრებდნენ მაგისთანა საქციელს სწორედ.
- კიკოლა—ეპ, რა ქნან იმათაც, ჰირნახულის გაფუჭება ძნელია.
- სპირდონ—ვეფო, რა არის წასახდენი, რომ ჯერ ხეირიანად ჯეჯილსაც
არ უჩანს პირი?
- კიკოლა—რაც წელან გახლდათ, ის იქნება ისევე. რასაც ჩვენი ძროხებ-
ხორები წახდენდენ, იმას არც თქვენი კამეჩი დააყრიდა ხეირს.
- სპირდონ—(გაჯავრებული წამოდგება) ან თქვენი რას წახდენდნენ და
ან ჩვენი? ეგ სულ სასულო კლიაუზნობაა, სხვა არაფერი.
- მიხა—მოითმინეთ, კნიაზ, ნუ ჯავრობთ. დაბრძანდით (ლექსოს) სთხოვე
ჩემს მაგიერ, რომ ამათი კამბეჩიც გამოგატანონ (სპირდონს) თქვენ
ჩაი ინებეთ.
- სპირდონ—(ჯდება) მადლობელი ვარ, მადლობელი. ვმ. ამდენ უსაქმურ
კაცის გადამკიდეს ტებილად ველარც არა გვისვამს და ველარც ვე-
პამია-რა.
- მიხა—არაფერია, კნიაზ. ეგ პუსტიაკი საქმეა. პო, იმას მოგაზსენებდი,
ჩაის სმასაც თავისი ზაქონები აქვს-შეთქი. იქ სულ ისე სმენ, როგორც
მე დავლიე.
- სპირდონ—სულსაც მანგრე უბერავენ?
- მიხა—უსუსტრად!
- სპირდონ—ახირებული ყოფილა, თქვენმა მზემ, მოიციადონ, ჯერ გა-
ციედეს და მერე ისე დალიონ, რა ეჩქარებათ, რა სული მისდით?
- მიხა—განა სიჩქარის საქმეა, სულს რომ უბერავენ, ცოტა ოდნავ ყელში
გრილად მიდის და მუცელში კი ცხლად ჩადის და კიდევ ეს არის,
რომ არგებს კაცს.
- საყვარა—შენ გენაცვალოს დედა-შენი მაგ სიტყვა-პასუხში, ყველაფერი
რომ იცის!
- სპირდონ—მერე და რათ უნდათ, რომ მდუღარე ჩაიყენონ, გულ-
გვამში?
- მიხა—თბილად ინახავს მუცელს და არგებს... იქ ხომ, რუსეთში, დიდი
სიცივე იცის.
- სპირდონ—მართლა, გამიგონია, რომ გააფურობებ, კენჭივით ეცემო.
- მიხა—სწორედ, კნიაზ.
- კიკოლა—მამ, მაგ ჩაისაც მიტომ ისხმენ და ისხმენ მუცელში, არ გაგ-
ყინვოსო?

მიხა—სწორედ, სანამ ათჯერ მაინც არ წამოთუვათ ოფლი. მისინ კი ასე გადააბრუნებენ ხოლმე სტაქანს.

(გადააბრუნებულ სტაქანს დადგამს ფინჯანზე. საყვარლისეული დიქტონი გადააბრუნებს სასვე სტაქანს და ჩაის მუხლუმზე გადაიხამას).

საყვარლისეული

საყვარ.—(წამოვარდება ზეზე) უი, დამიდგეს თვალები, მკვამრომევიდა..

(გარბის სახლისაკენ. ყველანი წამოცივივდებიან ზეზე).

სპირდო—მდღარე გადაეხსა, ხუმრობა არ არის, მიხედვით!

მიხა—არა უშავს-რა. მაზი მაქვს... ვაზელინი უნდა.
(მიდის).

კიკოლა—გაიფუფქა, შენი მტერი, გაფუფქულა ვოჭივით. ი ბიჭი რაღას ჩერჩეტობს, „უნდა ვაზელინივო“. მში რაფა იქნება ახლა, რომ ზელა დაუწყონ, შენს მტერს გაძრობია, იმას ტყავი გაჭერება... მართლა არ გაუჭირვონ რა. წავიდე მივხედო. (განზე) აზნაურშვილის არც სტუმრობა ვარგა და არც მასპინძლობა! რა მოარბენივბდა ამ ოჯახ დაქცეულს? სულ ამისი ბრალია! (მიუბრუნდება სპირდონს). ნურაფერს უკაცრაჭად, წავიდე, ერთი მეც მივხედო იმ ცოდვის შვილს.

(მიდის).

სპირდო—(იციანის) ახია ამათზე! ჯერ ჩვენთვისაც მეტია, კეთილშობილებიანათვის, ჩაი, თვრა ამათ რა რჯით წამხედურობას. გლებმა თუ იშოვოს ღვინო, დალიოს, თუ არა და ცევი წყალი ფლურჩოს. მორჩა-გათავდა! მში ჩაი! პრიეტსკაო! არ იციან, რომ რაც არ ერგებათ, არ შეერგებათ. ახლა უბერონ სული.

(მიდის ნელ-ნელა სიცილით).

ფარდა ეშვება.

მოგმადება მიტრა

სცენა პირველი

სასტუმროს ბუფერ

გამოსულა პირველი.

არუთენა—(დაეთარს სინჯავს) ერთგვარი მცენარეაო, ამბობენ, ყვავილის გამოღება არ იცისო, მაგრამ ერთხელაც არის უთულოდ მოიტანა ნაყოფისო... სწორედ ქართველების ნისიასა ჰგვანება. განსვენებულის პაპი-ჩემის ფორემას ნისია, რომელსაც სამი დავნოსტი ვასულე ჰქონდა, ამ დღეებში გაეინაღდე (იციანის). შეურჩიე დრო, კნიაზს ფულეები რომ აწუხებდა, და გამისწორდა. ვინ სთქვა, რომ „ნისია სხვისიაო“? ჩვენ, ეჩმიადინის მადლით, ეს არ გვეთქმის. ღმერთს ჩვენთვის ჰკუთვნოვითა და ყაიხაფიე უბრძანებია. მაგრამ ბედი კი ჩვენკენ არ არის: არა გეწყალობს. ჩვენ ვაშენებთ და ვერ აგვიშენებია, ესენი კი ამცევენ და ვერ დაუქცევიათ. მართლა რომ ღმერთი სწყალობს ამ ხალხს, ნატრას თვალი ხელში უჭირაეთ და ეს ქვეყანაც შიოს მარანია. ეს პატარა ქვეყნის კუნძული რომ ხელში ჩაგვივია, ჩვენ ვინღა გვემჯობინებოდა. ქვეყანას ხელში დავიჭერდი. მაგრამ, ეპ, რასა იქ, თუ ბედიც არა

გწყალობს! სად არის? თავმა სთქვაო, „თუ ბედიც ხელს შემიწყობს რკინას გამოვზრავო, თუ არა და ყველიც კბილს მომტეხსო“. ბედია ყოლიფერი. ათასს წელიწადზე მეტია მამა-პაპიდან აქა ვბრთ... უკეთოთ სიზმარიც არ გვინახავს და მაინც ვერას გაფხფიყვებარცელ-მარცელა ვაგროვებთ, გროშს გროშზე ვაწებებთ ადამიანსაჲს კი მაინც არ ივსება. ესენი კი იქ მკიან, სადაც არ უთესიათ. დღეს რომ გამოვლევათ, ხვალ კიდევ რადაც გამოუჩნდებათ. იდამს აქეთ ქვეყანა შევ ქვას უფროხის, გაურბის, ესენი კი შავმა ქვამ გამოაბრუნა და თავისას მაინც არ იშლიან. სულ ლხინი, ლხინი და მრავალუამიერი.

გამოხვლა მეორე.

ისევ ის და მიხა

მიხა—ჯერ არა გიქმევიარა და ეხლავე დაეთარს ებოტინები?
 არ უთენა—(ღიმილით) ეს თქვენი არ გახლავსთ, საკნიაზოა, „ერთხელაც იქნება“...

მიხა—რა იქნება ერთხელაც? რას ამბობ?
 არ უთენა—ეს სახელი გახლავს ამ დაეთრის.
 მიხა—სახელი?

არ უთენა—ჰო. დაეთარი ზომ ყველა ერთნაირი არ იქნება, სხვა და სხვაა. და სახელიც თავისი შესაფერისი აქვსთ: ერთს „უეჭველში“ ჰქვიან, მეორეს—„ერთხელაც იქნება“ და მესამეს—„ვინ იცის?“ „უეჭველში“ თქვენისთანა ნაღდ მუშტრებს ჩაფწერთ ხოლმე, მეორეში—კნიაზებს, მესამეში კი—შარლატანებს.

მიხა—შე კი არც ერთში არ ჩაგაწერიანებ ჩემ თავს. ნისია-ვისია არ ვიცი!..

არ უთენა—ეგ უფრო კეთილი.
 მიხა—წარმომიდგინე ანგარიში და მიიღე ხელად. მაგრამ ესეც კი იცოდე, რომ თქვენებურად არ მომგეცე, თვარა მეც ჩვენებურად გაგიფრენ მწყერებს.

არ უთენა—მერე სასამართლომ უნდა მიუტეოს მიმინო.
 (იცინის).

მიხა—სიტყვა-სიტყვაა, შეილოს. ზომ გახსოვს, რაც გვითქვამს. პორცია ნახევარ ფასად და ღვინობიც ფას ნაკლე. მოტყუების იმედი ნუ გექნება. ბუფეტის ანგარიში მეც ვიცი. გასტინიცები მისთანები მკუჩრია, რომ მაგ შენ გასტინიცებისთანას ასს ჩაყლაპავდნენ. აბა შენ იცი, თუ არ შემარცხვენ.

(მიდის)

არ უთენა—(მარტო) დახეთ ბედს! ხედავთ რა გულზეა, ხერიიანად სიტყვადაც იღარ კადრულობს... გუშინ სხვის ღირებებს პილაგდა, თითო მუჭა ძაგარი ბაზარში ვასასყიდად დაჰქონდა. სიღარიბემ გადაჰკარგა, რუსეთში ამოაყოფინა თავი და დღეს კი იქიდან სოვდაგრად დაბრუნებულა, კნიაზებში ქეიფობს და ზაკაზებსაც მაძლევს. აი რა უნთხრა იმ ბედს, რომ ქკუას არ ეკარება. ბედი? ლატარიის კოლოფია. ქვეყნის ჩარხი ტრიალებს, ზოგს მომგებიანი ბილეთი გამოუღდის, ზოგს ფუჭი... (ჩაფიქრდება) ჰე! ზაკაზებსაც მაძლევს.

გამოხვლა მესამე.

ისევ ის და ნიკო კნიაზი.



- ნიკო—ეგ კი არ გაძლეეს ზაკაზს, ჩვენ გაძლევთ. ჩვენ ^{ჩვენს} ^{მეგობრებს} ^{მეგობრებს} ^{მეგობრებს} მაგას წყლის პირს უნდოდა სადილი გაემართა, მაგრამ ჩვენ არ დავთანხმადით და შენთან მოვიყვანეთ, გესმის?.. სუფრას სად შლიან?
- არ უთენა—გამოლილია ბაღში, წმინდა ჰაერმა მადის მოყვანა იცის.
- ნიკო—სტუმრები სად არიან?
- არ უთენა—ოთახში თამაშობენ.
- ნიკო—დღეს დიდი სმა გვექნება, ქალები ხომ არ არიან.
- არ უთენა—სადაც თქვენ იქნებით, იქ სმას წინ რა დაუდგება.
- ნიკო—მე დღეს სმის გუნებაზე ვერა ვარ, გუშინ, რაც ფულები მქონდა, სულ „ონლორთში“ წავაგე, და როცა ჯიბე მოწყენილია, გულიც აღარ ხარობს.
- არ უთენა—(განზე) ფული უნდა... დავასწრებ (ნიკოს) კნიაზ, თქვენზე ცოტა ნისიაა.
- ნიკო—როდინდელი?
- არ უთენა—შარშანდელი.
- ნიკო—რამდენია?
- არ უთენა—შვიდი თუმანი.
- ნიკო—მეც არა ვსთქვი... შენ ერთი გააკრტგლე, თუ ჰქუა გაქვს, რომ არ დამაეიწყდეს, შოიტა კიდევ სამი თუმანიც და ასი იქნება.
- არ უთენა—ცული წყალში ჩამვარდნია და ნაჯახიც თან ჩავეყოლო?
- ნიკო—(წყენით) ჩავეყოლო, თვარა დიდ ზარალში ხარ, შენმა მზემ!
- არ უთენა—ბარემ ვართ, კნიაზ, მაგრამ ვითმენთ... ხათრია...
- ნიკო—ეგ ნისიები დიდი ხანია განადღებულა. ეგ განა ნამდვილი გალია?
- არ უთენა—ეა, მაშ?
- ნიკო—ეგ თქვენი ჰქუის სარგებელია და ჩვენი უჰქუობის შტრაფი, მაგრამ რაღა გაეწყობა!
- არ უთენა—ეა, ვალს გადახდა არ უნდა?.. მაშ ტყუილა ჩამიწერია?
- ნიკო—ჩაგიწერია... რატომატ არ ჩასწერდი, დაგეზარებოლა?.. თქვენი „ვეფხვის-ტყაოსანი“ დავთარია და საბარება კი—ვექსილი.
- არ უთენა—კნიაზ, ვერ გამიგია, რასა ბრძანებთ?
- ნიკო—იმას, რომ ტყუილა გადადინხარ ჩემ წინ მალაყს. ჩვენ ხან-და-ხან ფული გვაგლია ხოლმე, თვარა ჰქუა კი არა. არ ვიცით, რომ ჩვენი ნისია სხვის ნაღბზე უფრო მომგებიანია შენთვის, თვარა რა შვილი ხარ, ხათრი დაგვიჭირო. მაგრე ნუ იქნება, თვარა, ხომ იცო, რომ ტოლიბაში მე ვიქნები... ვინ ოხერი შენი გამოჯავრებული ან თვითონ დალევს ლეინოს და ან სხვას ასმევს...
- არ უთენა—მერე, მე რა, კნიაზ?
- ნიკო—შენ ბოლოკი და ხბოს თავი. მაშინ ნახავ—რაც.
- არ უთენა—(იცინის) მაშ, რაღა ტოლიბაში იქნებო, თუ არც შენ დალევ და არც სხვას დაძალებ? მასპინძელს მაშ როგორ მოუღბენ, თუ არც შენ დათვრები და არც სხვებს დაათრობ?
- ნიკო—ღიბ, მასპინძელს მოუღბენ, რომ შენ ჯიბე გაგისქელო.

არ უთენ—სად ღვინო და სად ჩემი ჯიბე?

ნიკო—აღუუ, ნეკზე არ მიკბინო. შუა სმამდი სულ კახურს, ცოლიკაურსა და ყიფიანის ღვინოს შემოგზავნი და მერე კი, როცა შეჩარხობდებიან, წყალ-წყალას მოაყოლებ და კახურად იანგაჯეშენ? ან შეილი ხარ? დღეს ეს აღარ იქნება. მე, ფხიზელი, ძმა-ბიჭებს: ყურს, ვუღალატებ, გესმის?

არ უთენ—(განზე) ხედავთ, როგორ ვაეშმაკდნენ? (ნიკოს სიცილით) ვინ თქვენ და ვინ ლხინში მოწყენა რომ არ შეგშვენისთ.

ნიკო—ფუფულობა კი შეშვენის?

არ უთენა—თქვენ ნუ მოიწყენთ და ფულს ღმერთი გააჩენს.

ნიკო—გააჩენს! აბა, შეილო, მე პირდაპირი კაცი ვარ, პირში თქმა მიყვარს: ცოდვა საზიარო იყოს და მთიბა სამი თუმანი.

არ უთენა—ხელათ არა მაქვს!

ნიკო—მთიბა, რაც გაქვს (ართმევს). შენც სუ და მეც სუ.
(მიდის).

გამოსვლა მეოთხე.

არ უთენა და ვიქტორ

ვიქტორ—მეც სუ და შენც სუ, არ უთენ. ფულებს არიგებ.

არ უთენ—(უკმაყოფილოდ) დასართებელი ვინ რა მომცა?

ვიქტორ—მაშ გემართა ნიკოსი?

არ უთენ—რა გემართა?

ვიქტორ—ფულები რომ მიეცა.

არ უთენ—როდის რა მიმიცია?

ვიქტორ—შენც სუო და მეც სუო, რომ ვითხრა, მაშ რმ იყო?

არ უთენ—ჰო, შენც სვი და მეც ვსევამო — მეხუმრებოდა.

ვიქტორ—არ შეიძლება მეც გამჩიოთ ხუმრობაში?.. არა მივიცია-რა?

არ უთენ—(განზე) ვა, დაუნახავს! (ვიქტორს) ჰო, მობარებული მქონდა და ის გამომართო.

ვიქტორ—არ შეიძლება, მეც მომცე ერთი ბუთი მანეთი, ვითომ ჩემიც გბარებია!

არ უთენ—არა მაქვს, ჩემმა მშემ... (განზე) რა შეილია, მიაბარე მგელს ბატკანი.. (ვიქტორს) რომ მქონდეს, არ დაგიჭერ.

ვიქტორ—მართლა?

არ უთენ—მართლა, ღმერთს გეფიცებდი...

ვიქტორ—მჯერა (მიდის, თავისთვის) თუ კაცი ვარ და შეგზანნიებ.

გამოსვლა მეხუთე.

შემოდინ მიშო კნიაზი და გრიშა კნიაზი. არ უთენას უფრადლებას არ ატყვიან. თავისთვის ლაპარაკობენ.

მიშო—არა, მე ვიზე ნაკლები ვარ, რომ ძაღლადაც არ ჩამავდო. ას მანეთს დაეცესხე და უარი მითხრა... თუ ეს უღვაში მსხმია, დაუსვამ ფასად, მაგრამ ეს სულ ნიკოს ბრალია, ჩაივდო ხელში და სხვას აღარ იკარებს.

გრიშა—რას აპირობ მაინც?

მიშო—ის მე ვიცი... ერთს ჩემებურად რომ შევქეოდიანდობი, სულ
ლაწალუწს დაეაწყებინებ აჭაურობას...

არუთენ—(თავისთვის) ვა, ჩემი პრიბორო, ეს კარგია...

გრიშა—თავი დაანებე, თუ ღმერთი გწამს, არა მოხდეს...

მიშო—რაც უნდა მოხდეს, ერთს კი ჩავადარებ ფათრეთში, რომ გულის
ჯავრი ამოვიყარო და... რას იქმნება? რაც უნდა იყოს, მაინც გლახია...

გრიშა—გლახია თუ რაც არის, ხელები იმასაც აქვს.

მიშო—მას ხედავ?

(სწვენებს ხანჯალს).

არუთენ—ვა, ვა (ყმაწვილებს) პრისტავი ჰყავს მოწვეული.

გრიშა და მიშო—(მიიხედავენ მისკენ) რაო, პრისტავიო?

არუთენ—დიახ, ისიც დაუბატონია.

გრიშა—რად შინდო?

არუთენ—იქ ასე იციანო, ყოველ შემთხვევაში, რომ რამე მოხდეს, პო-
ლიცია დასველებული გვეყოლებაო.

მიშო—მამა უცხონდა, თუ დასველება შეიძლება, გაშრობა კი აღარ მო-
ხერხდება?.. ნუ გამოჯავრებენ, თვარა იმასაც თან მივაყოლებ. ერთი
ჩვენც ვნახოთ, ის ქვეყანა, რა ქვეყანაა.

(მიღიან).

არუთენ—ვა, ვა! აღარ ხუმრობენ (დაფიქრდება). ბიჭო, ბიჭო, ივანე!

გამოხვლა შექცხე.

ისევ ის და ივანე.

ივანე—რას მიბრძანებ?

არუთენ—შენ აქ მარტო ხარ, თუ გეხმარება ვინმე?

ივანე—ნაცნობი ბიჭი მოვიხმარე.

არუთენ—ქირით?

ივანე—ირა, ისე მეზობლობს.

არუთენ—მამ კარგი, შეილო. ახლა წადი და დამტერეული ქურტლები
რომ გვიყრია გოდორში, სალაროში რომ დგას, ხომ იცი, აქ მოიტანე.
შენ, თუ ვინიცოდაა, გკითხონ, სულ დღეს დაიმტერა-თქო.

ივანე—კი, ბატონო.

(მიდის).

არუთენ—ძალიან კი ტრაბახობს, „ვერაინ მომატყუებსო“. ვნახოთ
იქ მაგას თუ ვირები უტყავებია, აქ ჩვენ რწყილსაც ვატყავებთ (ივანე-
ს შემოაქვს გოდორით დამტერეული ქურტლები). ე, ოპ, მაგრე, მიდ-
გი კუთხეში. დასხდნენ?

ივანე—ახლა ჯდებიან.

არუთენ—ლაქიებს ისე მიაწოდე ხოლმე ყოლიფერი, როგორც მე გით-
ხარი.

ივანე—კი, ბატონო!

არუთენ—ბოთლები არ აგერიოს, მზარეულს ხომ გადაეცი, რომ საქმე-
ლებს შეტი პირპილი უყოს მარილიან ერთად. ტარხუნასაც ნუ ვა-
მოლევთ, ღვინოს ასმევს, იცი?

ივანე—ვიცი, ბატონო, განა, პირველია?

არ უთენ—თუ რამ გაჩუქონ, ან შენ, ან ლაქიებს, ვინ იცის, კნაზები არიან, მომიტანეთ და ნახევარს თქვენ მოგცემთ.
 ივანე—კი, ბატონო. (თავისთვის) შენ გეტყვით და შენ მოგიტანებთ სწორედ!
 (მოდის და თან იღრიჭება).

არ უთენ—კურდღელს კურდღლის ქონითვე სწვენ თვალებსა. მზარეულ-ლებიც და მისამსახურეებიც მათივე გვარისა არიან... მაგით რომ ერთმანეთის გატანა იცოდნენ, ჩვენ რაღას ვიხეირებდით? ბაღეც სხვისია და მუთეგზეც, ჩვენ კი ამღვრეულ წყალში თევზებს ვაჭერი-ნებთ და დღესაც იმედია ორაგული გაეზმის.
 (გადმოიღებს დავთარს და ათვალიერებს).

ფარდა.

სენა მიორა *

ბღში სუფრაა ვაშლილი. სადილად სხედან მიხა, ნიკო, გრიშა, მიშო, ვიქტორ და თიკო და სტუპრები.

მიხა—იმ ერთის თქმისა არ იყოს, „რატომ არ მოილხენო“, და „კი, ვსკამო“ ამ ჩვენს სუფრასაც პირი ჩამოსტირის.

ნიკო—ასე იცის უტოლიბაშო სუფრამ.

გრიშა—როგორც უღორისთაოდ ქორწილი, ისე უტოლიბაშოდ ლხინი არ მოხერხდება ჩვენში.

ერთი სტუპარი—მაშ შენი საღვეგრძელა იყოს, მოგვილოცავს ტოლიბაშობა.

გრიშა—უკაცრავად! დიაკონმა სწიროს და მღვდელმა მადლობა უთხრას? აქ არა გეყავს ნაქურთხი ტოლიბაში ნიკო.

ხმები—მართალია, მართალი სიკვდილსაც დაეიწყებია! როგორ დაგვა-ვიწყდა. ნიკოს გაუმარჯოს, ნიკოს! მოგვილოცავს ტოლიბაშობა!

ნიკო—არა, მე დღეს ვეღარ ვიკისრებ ტოლიბაშობას, რადგანაც ნათლობა გვაქვს დღეს, მოლხენაც არაჩვეულებრივი. სხვანაირი უნდა ტოლხელობაც.

მიშო—როგორ თუ ნათლობა?

ნიკო—მაში ეს ჩვენი მზა და ამხანაგი მასპინძელი აქ იმ ცივ ქვეყანაში ვოდვით მოუნათლავთ მიხილ ნიკოლავიჩად და ახლა აქ უნდა ჩვენ გამოენათლოთ ღვინით „მიხად“.

სტუპრები—ხა, ხა, ხა, ხა! მართალია, მართალი! გრავო, ნიკო! ნათლობაც შენ უნდა იყო და მირთნიც შენ სცხო. მოგვილოცავს ტოლუ-ბაშობა!

ნიკო—ბატონი ხარო, მაგრამ, მხოლოდ ერთის პირობით, პატროსანი სმა უნდა იყოს. სასმო პირსაწმენდად უნდა გაიპინდეს ხოლმე, ძრო-ში არშია და ქობა არ უნდა გამოინდეს. „ეს ბოთლმა მაპატოვო“, ეს „გადამელეარო“ და სხვა ამგვარი რამ არ გაეიგონო. ის შტუკები განგებ რომ აიკანკალებენ ხოლმე ხელებს და ღვინოს ღვრიან, ისე რომ თეფში სტაქნებს აიტეტივებს ხოლმე, დღეს ადარ მოხერხდება: ერთი სიტყვით, პატროსნება უნდა დავიცვათ... ვისაც არ შეგიძლიათ ამ პირობების ასრულება, ახლავე, ამ თავითვე გამოტყდით. შენ რას იტყვი, მიხა?

მიხა—მასპინძლობა ჩემი და მოლხენა თქვენ იცით.

ნიკო—შენ, გრიშა?

გრიშა—მოკლას ხარი თევამ!

ნიკო—შენ, მიშო?

მიშო—მე სხემის როდის გავქცეულვარ, რომ ახლა ვიხილავარ?

ნიკო—კეთილი. შენ რას იტყვები, დარდულა, რას იტყვი?

პრისტავო—თანამდებობის კაცი და სმა განა შეიძლება?

ვიქტორ—მაშ მარტო ჭამა?.. ყლაპვით ხომ მეტსაც ყლაპვით?

ერთის ტუშმარი—ვისაც ჭამა უყვარს, ის აღარც სმას უნდა ერიდებოდეს.

ნიკო—რაიო, რაიო? აქ თანამდებობას რა უნდა? შენ აქ, როგორც ჩვენი ტოლი და ამხანაგი და ჩვენებური კეთილშობილი, ისე ხარ მოწვეული, თანამდებობა კარზე უნდა იდგას.

პრისტავო—კარგი, ბატონო, ვიხსენებ, თუ დღემდე არ მოუკლავარ დენოს, მგონია, ვერც დღეს მომერიოს.

ხმებო—ჰა, ყოჩაღ, ყოჩაღ! ცხრაჯერ რომ გადაგნათლონ, მაინც კიდევ ჩვენი ხარ!

ნიკო—შენ რაღას იტყვი?

ერთის ტუშმა—აბა რა საკითხავია ვინ იქნება მისთანა, რომ მაშა-შაპას უღალატოს და ქართველობაზე ხელი აიღოს?

ხმებო—მართალია, მართალია! აქ ყველა თავდადებული ქართველები ვართ.

ნიკო—მაშ ახლა მე ვიცი... მომგვარეთ ზაზიანი, ზაზიანი. არუთენს არუთენს!

გამოსვლა, ნეორე.

ივინივე და არუთენა

არუთენ—რა გნებავთ, კნიაზებო?

ნიკო—შენი გამონაცვალი! რა უნდა გვიხდოდეს? შემოგვხედე ერთი, ვინა ვართ და რა ბიჭები!

არუთენ—ვა, განა არ ვიცი!

ნიკო—თუ იცი, მაშ ეს რა არის? ეს სათითურები ვინ მოიტანა აქ?

არუთენ—სათითურს რა უნდა, დღეს აქ ქალს არ გაუფლია. წუხელი თუ ვისმეს დარჩა...

ნიკო—ვერ ხედავ? (მიუშვევს ჭიქას) ეს რა არის, თუ არ სათითური? გინდა, რომ გადაგეცდეს, ყელში გაგვეხიროს და დაეღრჩოთ? (დაახლის იქვე ძირს ქვაზე და მოამსხვრევს). ასე დაიქცეს შენი ოჯახი!.. ყმაწვილებო, გადაყარეთ ეგ სათამაშოები... ბავშვებო ეგონივართ რომ გვატყუებს?..

(ქვაზე ამტვრიან სტაჟებს).

არუთენ—რათ ამტვრევთ? ჩემი გაკეთებულია, ან თქვენი?

მიხა—(ივინის) არა უშავს—რა, მე მიანგარიშე.

არუთენა—დალოცვილო, ასე უბრალოდ გატეხა?.. განა მაკარიის საქონელია გრანიციდან მომიტანია... დღეინი ექვსი მანეთია.

ვიქტორ—გიცხონდა სული!.. ღვთისიას დღესანში ნაყილია თვითო სამსამ კაბიკად.

არუთენა—ისა და ეს მერე ერთია?

მიხა—ეიცით, რაც არის, გამოვირგლებით.

ნიკო—შენ კიდევ აქ წუწუნობ? გასწი, ყანწები მოიტა!

არუთენა—ერთის მეტი რომ არ გახლავთ?

ნიკო—არა უშავს-რა, ერთი იყოს და კარგი!

ვიკტორ—სანამ ყანწი მორიგისად ჩვენამდი მოაწევდეს, ჩვენ ხაზა ამოგვიშრება... ყანწს დიდრონი სტაქნებიც მოაყოლოს.

ნიკო—ჩაის სტაქნებიც...

(შემაჯვრეს მსახურებს სტაქნები და არუთენას დიდი ყანწი).

არუთენა—აი ევრცხლით მოჭედნილია! თქვენი საკადრისი.

ნიკო—ჰო, ეს კარგია..

(ატრიალვს ხელში).

მიშო—არა უპირს-რა... არუთენ, ვის ვალში დაგრჩენია?

არუთენა—ვიცომა გირაოში?... რასა ბრძანებთ!.. ღმერთმა ნათელი დააყენოს იმ დიდ სოფელში მისს სულს, ცხონებულმა კნიაზ ალმასხანმა დანათლიაებ ჩემს არშავს.

ნიკო—ღაიცათ ერთი, რა დროს გამოთბება. ვისიც უნდა იყოს, მოიტათ.

(გულში იკრავს და იმღერის):

სუფრას ამშვენებს სოფელი დოქი,

ბოთლებას ნიკონს გაუწყდეს ჭკიქი

წაიღეთ მილე, რათ მიწა ჭიქა?

გატყდეს ვეძებდე მე აჭა-იქა!

შეგრამ ეს ჩვენი ნაეტობი ყანწი,

რამდენიც გინდა, ასწი და მსწი.

ფი-ოპც გაგიტყდეს? თქვენც არ მომიკვდეთ

ოღონდ უბრძანე, ერთი დასხი...

გაგრამ ყმაწვილებო, ამ თავითვე პირდაპირ ყანწით დაწყება არ იქნება, იმასაც თავისი დრო აქვს. ჯერ უნდა შევეჩინედილდეთ... რუსებმა რომ სადილს წინეთ ზაკუსკა იციან, ჯერ კუთხეში პატარა სტოლბდან დაიწყებენ ცუცნას და მერე დიდ სტოლზე გადმოდიან, ჩვენც აე... ჯერ სტაქნებით უნდა დავიწყოთ და მერე ყანწებზე გადავიდეთ. აბა, აივსეთ ჯერ თითო სტაქანი... შხადა ხართ?

ხმები—შხადა ვართ, გიცდით!

ნიკო—როგორც ლოცვებში—მამაო ჩვენო, იყე სადღეგრძელოებში ეს სადღეგრძელო პირველია. ამიტომაც ერთი სტაქნით არ შეიძლება ამისი აღილღია, თუ თან ყანწიც არ მივაყოლეთ. ღმერთმა ნუ მოშალოს ჩვენ სამშობლოში ეს მამა-პაპური გულუხვობა, ლხინი და ქეიფი... სანამ „მრავალკამიერი“ არ გადაეჭრება, ჩვენც არა გვიპირს-რა: გაუმარჯოს საქართველოს!

ყველა ერთხმად—გაუმარჯოს საქართველოს! (სმენ).

ნიკო—მორჩით სტაქნებს? აბა, ყხლა ყანწით უნდა ავამღეროთ სულ-მოუთქმელად, პირიდან მოწორება არ შეიძლება... სანამ ძრო ჭრიკინს არ დაიწყებს. ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ მამულიშვილებს, რომელთაც კიდევ ახსოვთ თავისი საწყალი ქვეყანა. არც მწვადს ივაწყებენ, არც აზარფეშას, და შეუხუნა მწვადებს კატლეთ-მათლეთებში არა სცვლიან. გაუმარჯოს ჩვენს კამპანიას!..

ყ ე ე ლ ა — გაუმარჯოს! ვაშა! ვაშა!

(ღუხანა იმღეროან საწრიბინთ მრავალეამიერს).

გ ა ქ ტ ო რ ი — (წამოდგება ზეზე):

„სხვა საქართველო სად არის,
რომელი კლბე ქვეყნისა,
ერი პურადი, გულადი
მტრთა მიმცემი რისხვისა“.



ერეკნისა
ხეობისა

აი ამის მთქმელს კი ვენაცვალე ენის კლიტეში. გაუმარჯოს საქართველოს!

ხ მ ე ბ ი — გაუმარჯოს, გაუმარჯოს! ვაშა! ვაშა!

(იმღეროან და ცმუტავენ).

ჩვენია, ჩვენია,
საქართველო ჩვენია,
როცა სმა და ლბინია
არავის გვეშინია
ჩვენია, ჩვენია,
საქართველო ჩვენია!
ციც ღვინოს ვსვამთ,
ცხელ შწვალსა ვსვამთ
ჩესტნად, არვის გეცხვენია,
ჩვენია, ჩვენია,
საქართველო ჩვენია!

პ რ ი ს ტ ა ე ი — (ამფოთებულნი აქეთ-იქით იყურება) ნუ... ნუ უღობნო!

მ ი შ ო — რა ნუ უღობნო?

პ რ ი ს ტ ა ე ი — რომ ყური მოჰკრან... ნუ ხარაშო!

მ ი შ ო — „ნუ ხარაშო“, თუ არა ბუნტია!..

პ რ ი ს ტ ა ე ი — სამსახურის კაცი...

ნ ი კ ო — რასა შფოთავ; შენ ვითომაც არც კი გაგიგონია...

მ ი შ ო — შენ გადაფიცე, არ გამიგონია-თქო და ჩვენც გიმოწმებთ.

გ ა ქ ტ ო რ ი — მამა-ბიჭები არა ვართ. გინდა სიზმარსაც დაგიმოწმებთ... შენ ერთი ბანი გვითხარი.

(იმღეროან):

„ჩვენია, ჩვენია,
საქართველო ჩვენია“.

პ რ ი ს ტ ა ე ი — (ყურებში თითებს იცრბს და დგება) ნუ ხარაშო, ნუ ხარაშო!

ნ ი კ ო — კარგი, კმარა, გაათავეთ! აავსეთ სტაქნები: ეს ღმერთმა აღდგურძელს ის პირუტყვი, რომლის მიზეზითაც დღეს ჩვენ აქა ვართ მოწვეულნი. ალავერდი, მასპინძელო.

მ ი ხ ა — ეს როგორ უნდა გაგიგოთ, კნიაზ?

ნ ი კ ო — რომ შენი ძროხები არ დაგვეჭირა, ეგებ არც კი დაგვეპატიებდა.

მ ი ხ ა — რასა ბრძანებთ, კნიაზო, უკაცრავად კი ნუ ეიქნები, და სწორედ არ გამხსენებია პირუტყვები, როცა თქვენა გაპატიებდით.

ნ ი კ ო — გეხუმრები, კაცო! კი ნუ გწყინს. ჯანიოზ ექიმს უთქვამს, „ხუმრობა მაძლარი კუპის მალამოთა“! ჩვენც ვხუმრობთ, საქმელს ვინელებთ.

მ ი შ ო — იქ კი ნუ გგონია შენი თავი, რომ დაითრობიან და ტირილს მოკყვებიან ზოლმე...

გ რ ა მ შ — ზოგი ასი წლის მკვდარს იგონებს, ზოგი ცოცხალს სტირის...

დათიკო—ჭართული ლხინი ხუმრთბა და სიცილია...

ნიკო—ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი ახლად მონათლული მიხა! ღმერთმა ჩვენ მაგის მასპინძლობა ნუ მოგვიშალოს და ~~მაგას~~ ჩვენი სტუმრობა... ალავერდი, ყმაწვილებო!

მიშო—მაგას რუსული „მნოგაია ლეტა“ უფრო იამებენ ^{მარკინული} „მნოგაია, მნოგაია, მნოგაია ლეტა“...

პრისტავი—ოჰ, შენ კი გენაცვალე მაგ ყანყაროში! მწგრე, მანგრე-მნოგაია; მნოგაია! ნეტავ ახლა შემოახედა ჩემს უფროსს და გააგონა... არც ეხლა დაიჯერებს, რომ განათლება შემოდის ჩემს საპრისტაოში (ღრხალებს) მნოგაია, მნოგაია, მნოგაია!

ვიქტორ—ბიჭოს, შენ ავი არა მღეროდი?

პრისტავი—(იციინს) სემინარიაში პეეჩად ვიყავი... პირველი ბასი... (იმღეროს. სხედასხვა ხმებზე მღერაიან ხან წერიალ და ხან შხვილად).

ნიკო—კაია ახლა, ნუღა წაიღეთ ყურთა სმენა! სინიღისიც კარგი საქონელია. ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ის მარჯვე შეველე, რომელიც მოვალეობას კარგად ასრულებს—ვირებს რქებით იჭერს და ძროხებს კუდით. დათიკოს სადღეგრძელოა!

დათიკო—თქვენ რომ ვირსაც და ძაღლსაც კუდით იჭერთ. ჯერ თქვენი სადღეგრძელო იყოს.

ხმებო—დათიკო იცოცხლე! იცოცხლე! გაგიმარჯოს!

დათიკო—გმადლობთ, იმ პირობით კი, რომ მრავალყამიერს მაგირს სიმღერები უსოჭვათ—შე გადაარჯულებული არა მიყვარს-რა... აბა, ერთი ლეჩხუმური, რომ ლხინი გახურდეს...

მიშო—ორპირი სიმღერა და სმაც ორპირი გავაჩინოთ, თქვენ იტით და ჩვენ აქეთ, გაეჯიბრდეთ.

(იმღერაიან ორპირად).

ერთი პირი—დავლიეთ და დავუღვივოთ,
დავლიეთ, დავღობოთ.

მეორე პირი—დალიეთ და დაგვილიეთ,
დალიეთ და დალიეთ.

ერთი პირი—თუ დაუღვეთ ღვინოს კახურსა,
არც თვალს გვატყენს და არც ყურსა!
დავლიეთ, დავლიეთ.

მეორე პირი—თუ დაუღვეთ წმინდა კახურსა
არც თვალს გვატყენს და არც ყურსა.

ერთი პირი—დავლიეთ ღვინო მარგული,
რომ გაგვიმთელოს მან გული.
დავლიეთ, დავლიეთ.

ხმებო—ჰაი-ჰა. წამოვიდა ჩვენკენ ლხინი, წამოვიდა.

მეორე პირი—ჭრიჭინ-ჭრიჭინ, საქმე გიჭირთ!
დალიეთ, დალიეთ!

ერთი პირი—თქვენ თუ გიჭირსთ, ჩვენ არ გეჭირს!
დავლიეთ, დავლიეთ!

მეორე პირი—ჭრიჭინ-ჭრიჭინ! თქვენს საქმესა ჩვეუჭრიჭინეთ! თქვენ კი
ჭრიჭინ, ჩვენ არ ჭრიჭინ, ჩავიჭრიჭინეთ!

ხმებო—ღვინო გეწყურია, ღვინო...

ვიქტორ—ტოლუბაში სად გაქცეულა?... ხედავ, არუთენას ევაკრება რაღაცას... სადღეგრძელო მიუტოვებია, წყურვილითა გველას.

ხმე ბი—მართლა, მართლა! ტოლიბაში! უუ!

(იმღვრიან).

ტოლუბაში ჩანჩალა,
ლენო გეასვი ჩქარ-ჩქარა!

ერკენულნი
ბიბულნი

(იმღვრიან და დანა-ჩანჩალს აჩხარუნებენ თევზებზე):

მასპინძელი უხვია,
თუ არ გადაუხვია...
ტოლუბაში სადა ხარ,
მოწყენილი რადა ხარ?
აზნაურო ბუაძე,
როდის მოხვილ ვკლავზე-
ტოლუბაში ჩანჩალა,
ლენო გეასვი ჩქარ-ჩქარა!

ნიკო—(მობრუნდება) ოპ, ოპ, ნუ წაიღეთ ყურთა სმენა. რა სულა მიგიდისთ, ჯერ ყანწიც კი არ დავგებრუნებიათ.

ხმე ბი—დიდი ხანია მოვრჩით...

ნიკო—ვის გაკლიათ?

ვიქტორ—მე მაკლია.

მიშო—ეგ ხომ დიდი ხანია ვიცით.

ვიქტორ—ქკუა თუ ფული? ის ხომ საცნიაზო დიბლომია და ზოგი თქვენს უჯრაშიც მოიკითხეთ.

მიშო—ნუ იცი კნიაზების ხელის წამოკერა. სხვა რომ არა იყოს რა, ნახევრად შენ მათი სისხლი გიდგას—აზნაურისმილი ხარ, ბოლოყარტიანი ყაზახი ზომ არა ხარ სხეებსავეით.

(შეხდავს წიბას).

დათიკო—უხეირო თავადიშვილობას ზეირიანი გლეზობა სჯობია, მაგრამ აქ ზომ დეპუტატ-სობრანიე არ არის, რა დროს მაგაზე ლაპარაკია?

ნიკო—ვიქტორ, სულ შენი ბრალია ამ აყალ-მაყალის ატება, რატომ არა სვამ?

ვიქტორ—დაეღვედი, მაგრამ მეშინია, თევზმა არ მაწყინოს... უმია...

ზოგიერთები—სად არის თევზი?

ვიქტორ—წყალში.

გრიშა—სად? რომელ წყალში?

ვიქტორ—აი აქ რომ ჩაუყენებიათ, ყანწში... აბა ნახეთ, მართალია, მთვრალეები კი ვართ, მაგრამ არც იმდენად, რომ წყალი და ღვინო ველარ გავარჩიოთ. არუთენ, მოგვილოცავს ანტეკრისტობა!

არუთენ—ანტეკრისტე რად ვიქნები, —ვა!

ვიქტორ—ქრისტემ ღვინოში წყალი ღვინოდ გადააქცია და შენ ღვინოს წყლად აქცევ. აბ: ნახე...

(მთუვერს სტაქანს).

ნიკო—კარგი ერთი, ნუ ხეშობ, ბოთლიდან არ ჩაგისხეს?

ხმე ბი—აბა ვნახოთ ეს ბოთლები, ეხლა რომ შემოიტანეს... (სინჯავენ) მართლა, ეს რა ამბავია? წყალღვინო, ნაქაჩია.

არუთენ—ვა, ბიჭებო! ეს რა ამბავია? რა აგირევიათ?

ვიქტორ—ვიფომდა არ იცი. ჩვენ თუ გინდა, არად ჩაგვაგდე, მაგრამ ამ თანამდებობის კაცს მაინც როგორ უბედავ მოტყუებას.

ბრისტავეი—(შეფერებით) პოდლოგი.. მაშენიჩესტვო! უნდა პროტოკოლი შევაცუნო.

არუთენ—რას ბრძანებთ? რისი პროტოკოლი? რისი მაშენიჩება.. შემლიათ და წყალი შეუტრევიათ... წაიღებენ და ნაძღვეფტრეფტრეებენ... გნებავეს შაფანცკის მოვატანებ?

ვიქტორ—მერე იმასაც მტკვარად გადააქევე. პირველი კი არ არის, მაგრამ დღეს კი ცოტა აღრე მოგსვლია... ჯერ ისე მთვრალიც არა ვართ... ეს წყალ-წყალა კახურის ფასად გაქნება ჩაწერილი დავთარში... აღარა გაგვეგება-რა. გარჩევა აღარ შეგვიძლია და გვატყუებ, რაღა!

არუთენ—ეგ მაშინ უნდა ბრძანოთ, რომ მართლა ჩამეწეროს.

ვიქტორ—აბა, გამოიტანე, გვაჩვენე!
(არუთენა გაღი).

ნიკო—რა ვქნა, ამ ჩემს ბოთლში კი წმინდა წალიკაურაჲ და...

გრიშა—ეგ წინანდელი მოტანილია, აბა, სხვა ბოთლები ნახე.

არუთენ—(შემოაქვს დავთარი) აბა ნახეთ, რა და რა სწერია.

ვიქტორ—ეშმაკმა იცის—რაები არ გიწერია! (ამოხვეს ერთ ფურცელს და გადასცემს მეორეს) აბა, შეამოწმეთ ერთი...

მეორე—მართლა, ეს რა ყვავის ბრჩილებია? (ამოხვეს ისიც და სხვა გადასცემს) აბა შენც ნახე...

მესამე—მართლა, რომ ესმაკის პონერკია...
(ხეც და სხვას აძლევს).

არუთენ—გზა ვა! ვა! რას შერბით, მღუბავთ, ეგ როგორ იქნება?

მიხა—(იციხის) არაფერია, ნუ გეშინია, გავსწორდებით.

არუთენ—რასა ბრძანებთ. ეგენი თავიანთ ნისიასა ხევენ, განა მარტო თქვენსასა...

მიშო—არუთენა ვერ გაბედავდა, რომ წყალი ღვინოდ შემოეპარებია, მაგრამ აქ სულ სხვა შტუკებია, მასპინძელი დაარიგებდა.

მიხა—კნიაზ, მაგას როგორა ბრძანებთ! რა გამჭირვებია, რომ ნაგისთანა რამ ვიკადრო? ეგ ჩვენი ხელობა არ არის!

მიშო—რა შეილი ხარ, რომ არ იკადრებ? თუ არ დაგიშლია, ის, რაც ჩამოგიტანია, სულ პროფესორობით გაქვს ნაშოვნი, ან გზა გვარედინზე გიშოვნია...

ნიკო—არა გრცხვენია, მიშო, რომ დათვრები, აღარა გაგეგება-რა და ყველას უსიამოვნებაზე იწვევ... მიხა, ყურს ნუ ათხევენ, თუ ძმა ხარ...

მიშო—პირში თქმა რომ მიყვარს, მიტომ ვეჯავრები ყველას... ვიცი, შეილო, რათ ექალაჩუნებით მაგ ვაებატონს, თვარა ეგ რა ჩვენი ტოლი და ცალია, რომ გუერდში ამოგისვამს... გლეხის შეილი... თქვენ რაც გინდათ ის ქენით და მე კი ისე არ დავამცირებ ჩემს ღირსებას, რომ გლეხს თავი მოუხარო.

მიხა—კნიაზ, თქვენი ნებაა, ვინ რა მოგახსენათ, რომ მიწყრებით?

მიშო—შენა გვონია, ვერ მიგიხვდი, საითყენაც გადაჰკარი?.. და ვისა სცემდი გაჭირვებაზე რომ ჩამოაგდე ლაპარაკი? ჩვენ ჩვენს სიღარიბეს არავის ვუცვლით სიმდიდრეში—ჰმ, „გაჭირვებული არა ვარ“.

აქაო და ორი გროში უშოვნია, თავი მოაქვს. მართალი ნათქვამია:
„გლეხი კაცი თუ გვერდში მოისვი, მძახლობას მოგანდომებსო“.

(დგება, წასვლას აპირებს).

მიხა—ენიაზ, ვის რა გაწყენით? დმერთი, რჯული, შექცდნენ ხართ.

დათიკო—დაანებე თავი, მანგრე იცის პირვეულობა, მთვრალსა...

მიშო—(მიუბრუნდება) რაო, რაო? ვინ არის მთვრალი?

დათიკო—ვინა და შენი რა დაგემაართა, რომ აყალ-მყალს სტეხ?

მიშო—შენ რა ვინდა? სიკედლიმა ხომ არ გიკბინა.

დათიკო—ვისაც უკბინა, ის მე ვიცი...

მიშო—შენ რა თავს გამოიღვე. ვინ რა გითხრა? რა გინდა...

დათიკო—მასპინძლის გალანძღვა, ჩვენი შეურაცყოფა და ყოველთვის
კი არ დაგიომობენ უსაქციელობას.

მიშო—დამითმობ თუ არა, ყურებზე ხახვი არ გადამაქრას შენისთანა
აზნაურუკამ.

დათიკო—(გულმოსული) შერცხვეს ის აზნაურშვილი, რომ შენ ჩამოგი-
ვარდეს.

ხმები—(აქა-იქ)—ჰა, ჰა, აქ აზნაურობაზე ნუ იქნება ლაპარაკი!

ხმები—(აქა-იქ)—არც თავადიშვილები გახლავან თქვენი ხელწამოსაკრავი.

დათიკო—ღირს ამის გულისათვის თავის გამოდება? გახეთქილია!..

მიშო—მე შენ გაგიხეთქ თავს.

(ფერის სტაქანს).

დათიკო—(წამოაკლებს ბოთლს ხელს და მიასურებს, სხვები მისცივი-
დებიან და დაიჭერენ).

მიშო—(ხანჯალს იღებს) გამოუშეით! მობრძანდეს!

დათიკო—გამიშეით, რომ ცხვირ-პარი ჩაფუნაყო.

(იწვევენ ერთმანეთზე, სხვები არ უშვებენ, საზოგადო ხორხონია, სტოლს გადაბრუნებენ და ჭურჭლები იმტყვებენ).

არტთენა—მოდო და შეადგინე პროტოკოლი... კიდევ კარგი, რომ
წყლიანი ღვინო სვეს... სულ წმინდა რომ ყოფილიყო, ხომ ამოგ-
ეწყვეტდნენ.

(გარბის ოთახიდან).

პრისტავი—(გარბი-გამორბის) რას შერებით, რას? ეტო უფას, უფას!..

მიხა—ენიაზებო, როგორ გეკადრებათ, პუსტაეე საქმეზე...

დათიკო—არა, მიხაჯან, მე შენს გალანძღვას არავის შევარჩენ...

მიხა—გამადლობ, მაგრამ ეს ხომ პუსტიკი რაშეა! ღვინოში რა არ ითქ-

მის... კნიაზ მიშომ, რომ კიდევ გამლახოს, ავიტან, არასა ვკადრებ...

ჯერ ერთი რომ უფროსია და მეორე კიდევ ცოტა გაჯავრებული

არის ჩემზე... არადერია, მოერიგდებით.

მიშო—შენ ამბობ მაგას? მალაღენი კაცი ყოფილხარ და არ ვიცოდი

(აგებს ხანჯალს). მოდი, ერთი გაყოცო... დღეის იქით შენც ძმა და

მეც ძმა... (პკოცნის) აი შე პლუტო. კარგი ბიჭი რომ ყოფილხარ, მი-

ტომაც გიხეირნია იმ ოხერ ქვეყანაში...

მიხა—აბა, კნიაზ, შენი ძმობის ვირიამე, ლხინა, ნუ ჩაგვამწარებ, შერიგ-

დით შენ და დათიკო. დათიკოჯან, თუ ჩემი ხატრი გაქვს...

მიშო—ბატონი ხარ, შენი გულისათვის წყალში გადავარდები.

დათიკო—შესარიგებელი კი არა ხარ, მაგრამ რა უყო.

(პკოცნის ერთმანეთს).

ხმე ბი—ბრავო, ბრავო! ვაშა, ვაშა! გაუმარჯოს საქართველოს!
ნიკო—მე ამ შერიგების თანახმა არა ვარ თუ ერთი ლხინი, შესარიგებე-
ლი, კიდევ არ გადავიხადეთ...

მიხა—ბატონი ბრძანდებით, როცა გნებავთ
გრიშა—რაღა შორს მივდივართ, ეს ლხინი მაინც არ დაგვიწყობს...
ახალი სუფრა გავშალოთ ხელად, მორჩა და გათავდა...

ხმე ბი—ახალი პური, ახალი პური! გაუმარჯოს ახალ სუფრას!.. ვაშა, ვა-
შა! გაუმარჯოს საქართველოს!

მიხა—თქვენი ნებაა, მაგრამ არ ემგობნებოდნენ, რომ ადგილი ვიცვა-
ლოთ, აქ მაინც ცხელა და წყლის პირს ჩავიდეთ, ჩაი მოვატანოთ,
ზედ ახალი სუფრაც მოვაყოლოთ და გათენებამდის ვილხინოთ.

აქე ბი—აგრე იყოს... იქ აჯოჯბს, იქ! აბა, ხაზეინ.

ვიქტორ—სულ სიმღერით ჩავიაროთ ბაზარი.

(არღუნა შემოდის).

ნიკო—აბა, აქაურობა მიაღაგ-მოაღაგე და იქ გავშალოთ სუფრა.

არუთენ—კეთილი, მიბრძანდით და მზად იქნება.

გრიშა—მიხა! დუბინუშკა არ იცი?

მიხა—მაგის მეტი რაღა ვამიგონია, კნიაზ!

გრიშა—მაშ ერთი დაგვიწყე და ჩვენც მოგძახებთ... რა სერი იქნება...

სულ სიმღერით ჩავიდეთ იქამდე. გზაში ვინც შემოგვხვდეს, მიუმა-
ტოთ თოვლის გუნდასავით. ისე უნდა ვილხინოთ, რომ მთელი ბაზრე-
ლები ავაღაბარაყოთ, მტრებს თვალი დაუყენოთ! (ხელი-ხელ გაყრი-
ლი მიდიან ბარბაცით, სიმღერით) ეი, ეი, დუბინუშკა, უხნემ (და სხვა).

პრისტავი—მეც გავყვებოდნენ, მაგრამ ნელოგო. მთავრობა ვარ... მე-
რე, მერე ჩავალ დღია პორაიდვე. ჩუ! (სიმღერას ყურს უგდებს და
თვითონაც მღერის). თი დუბინუშკა უხნემ... ზელიონა სამა პაიდიოტ—
პაიდიოტ... (ფხებებს აყოლებს). პადიორანემ, დიორანემ, კში რაც გინდა
თქვი და ძალიან საქმეა გარე... განათლება... მოდი და შეადარე ჩვენი
ოდელია... სამა პაიდიოტ—პაიდიოტ... პოდორანემ, დიორანემ...

(ბარბაცობს).

არუთენ—(შემოდის) გთხოვთ, პროტოკოლი შეადგინოთ...

პრისტავი—პროტოკოლი. ააა...

არუთენ—მო, პროტოკოლი ან უბრალო რამ მოწმობასავით, რომ დავთ-
რები დამიბიეს და კურკლები დამიმტვრიეს.

პრისტავი—ააა, პონიშაიუ... ბლუტტი (ცხვირზე ხელს ურტყამს). ზავო-
რა. შენ შენი პროტოკოლი მოამზადე და მეც ჩემსას მოგცემ.

ივანე—(შემოაქვს ვოდორი და ღვამს).

პრისტავი—ეგ რა არის?

ივანე—აქ ძველი დამტვრეული კურკლეულობაა. ახლები უნდა მოგხვე-
ტო, შიგ ჩაეყარო და შეურთო.

პრისტავი—პონიშაიუ. ხაზეინმა გითხრა?

ივანე—კი, ბატონო, ხაზეინმა მითხრა.

არუთენ—რას ამბობ, ბიჭო. ეგ ვინ გითხრა?

პრისტავი—ნუ ბრატ, შენ მაშენიკი ხარ, მაგრამ მეც ვიცი ჩემი საქმე.
ახლა კი ველარ გადავირჩები ბატარა პროტოკოლით, მაგრამ ჯერ არ

მცალია, ხელ იყოს. ფეხები დამიბეჭუვდა* დიდხანს ჯდომით, ცოტა უნდა მოვისვენო, გაქვს წმინდა ოთახი?

არ უთენ—გახლავს, თქვენთვის ყოლიფერს მოვახერხებ.

პრისტავე—ბალიშქვეშ ქალაღლი ამომიდევო, რომ გამტყუდეძეძე, ხელათ პროტოკოლს შევადგენ, მაგრამ კატინკას კი გამტყუდეძეძეძეძის? უიმისობა არ იქნება...

(მიღის ბარბაციო).

არ უთენ—(თვალს გააყოლებს) მოდი და იცხოვრე ამისთანა ქვეყანაში.. ჰმ! კატინკო... მამა უცხოუნდა, დიდი ვინმეა, რომ უკატინკოთ არ დაიძინოს. სხვას კი არ დამჯერდება, ნაკლებს? (ივანიკას) და შენ კი გაყურებივებ შენს სეირს... გასწო, დამეკარგე!.. ლაქებს უთხარი, ყოველისფერი წყლის პირს ჩაიტანონ... მოამზადეთ!.. მანდ ბუფეტში ვინ გეხმარებათ, ერთი ისიც ვნახო.

(ივანიკა გადის).

გამოსვლა შესამე.

ივანიკა და ლექსო.

არ უთენ—(დაჯდება, დაფიქრდება, შემოდის ლექსო. ვერ ხედავს ლექსოს). მიმდერიან კნიაზები წყლისაყენ, უნდა ჩაეარდნენ რაღა... მართლა, რომ კრიკინა-პუკინი მაგათს საქმეს! აფსუს! საქართველო, რა ედემის ბალის აღვის ხე იყავი... და როგორ გიხმება შტოები?.. ეჰ, ტურასტავს! ყოლიფერი შენი საქმეა. „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა სებალნაროსაო“, უთქვამს რუსთაველს, მაგრამ როგორ დაეიჯერო, რომ ეს ქართველს უთქვამს, ამას ჩვენი ვინმე იტყოდა ხელოკა და ის გიდათარგმნიდა... კარგი ნათქვამია. ახლა ჩვენმა ზემაც გაიხაროს ამ ედემში... (მზიარულად პირჯვარს იწერს) ღმერთო შენით, ღმერთო შენით! ვგონებ, რომ შორს აღარ იყოს ის დრო... ესენი კი... (დაცივებით) გულს არ იტეხენ... ნეტავ რისი პატრონები?.. და თავისას არ იშლიან. იმდერიან, ჩვენიაო, ჩვენიაო, ერთი იმათ ჰკითხოს კაცმა, ვის მაგიერად იმდერიან. იმათ მაგიერ (გაიშვერს ხელს ოთახისკენ) თუ ჩვენს მაგიერ?..

ლექსო—(გამოეცხადება და შეჰყვირებს) ჩვენს მაგიერ.

არ უთენ—(ზეზე წამოვარდება, დამფრთხალი) ვინ ხარ შენ?

ლექსო—მე იმ ხის ფესვი ვარ შტოები რომ უხმება და თქვენც ზედ ხორცმეტად აზიხართ! ხომ გაგიგონია: „ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს ნადირსა შავი ტუისასაო“ — ბევრჯელ გამხმარა ჩვენზე ამონაყარი შტოები, მაგრამ მის ნაცვლად სამაგიეროდ ახალს უჩენია თავი. ნუ გრხარია, არ უთენ. ახალ შტოებს თქვენც თან გაჰყვებით და ამ ედემში კი ისევე ჩვენი ძირი იხარებს.

არ უთენ—ვა!.. რას ამბობს? გივია? კარაულ, პოლიცია!

(გარბის).

ლექსო—მოიხმარე, ეგეც მოიხმარე, არაფერია, გაგიძლკბო!

ფარდა ეშვება.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



გაგონების მიმოხილვა

აკაკი წერეთლის დიკხა

(სიტყვა წარმოთქმული აკაკი წერეთლის სსკენისადმი მიძღვნილ სილაშხვზე).

ამ ოცდაათი წლის წინათ, ათიოდე თვით აღრე აკაკი წერეთლის გარდაცვალებამდე, დასავლეთი ევროპიდან საქართველოში დაებრუნდი. ჩქარა ერთი მოხსენების წაკითხვა მომიხდა ქართულ თეატრში, სადაც ამ ეამად გროზოვდოვის სახელობის რუსული დასია. როგორც მახსოვს, მოხსენების თვმა ასეთი იყო: ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და მოაზროვნე.

სანამ ფარდა აიხსნებოდა, ჩემთან მოვიდა ვასო აბაშიძე და მეოთხა, ხომ არ ღელავ, წყალი ხომ არ მოვატანინოო. მე, რასაკვირველია, ერთი ჭიქა წყალი ვერ დამამწვიდებდა, ვინაიდან პირველად თუ მეორედ გამოვდიოდი ასეთი პრაგმატიკობანი აუდიტორიის წინაშე, მაგრამ სამუდამოდ თბილ მოგონებად დამჩრჩა მხრუნველობა, რომელიც სახელგანთქმულმა მოხუცმა მსახიობმა ჩემდამი გამოიჩინა.

როდესაც ფარდა აიხსდა, ჩემი შეშფოთება კიდევ უფრო გაძლიერდა: მე დავინახე, რომ პარტურის პირველ რიგში აკაკი წერეთელი იჯდა. მის მალა აწეულ თავს თითქო ვერცხლის შარავანდელი ფარავდა. სახეზე ღიმილი უკრთოდა; ამ ღიმილის გადმოცემა შეუქმლებელია, მაგრამ ის არასოდეს არ დაავიწყდება იმას, ვისაც თუნდ ერთხელ უნახავს. მართალია, ევროპაში რამდენიმე საუცხოო ძეგლი მქონდა ნახული, ეან-ჟაკ რუსოსი, ვოლტერისა, ვიქტორ მიუგოსი, მარშალ ნეისა, — მაგრამ მომეჩვენა, რომ ეს მოხუცი ქართველი პოეტი ყველაზე მონუმენტალური იყო ჩემ მიერ ნახულ ძეგლებს შორის.

ჩვენი ნიჭიერი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, რომელსაც ასე ეხერხება არა მარტო მარმარილოს, არამედ ებრალო ქვის გასულიერებაც, მართებულად მოიჭკა, რომ აკაკი წერეთლის ბიუსტს ოლიმპიელის იერი მისცა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ თუმცა არიული რასის თეორეტიკოსები ამტკიცებენ, ელინური საწყისი სრული წინააღმდეგობაა ებრაული საწყისისათ, აკაკი წერეთლის გარეგნობა უარყოფდა ამ შეხედულებას. იყო რაღაც ერთსა და იმავე დროს ოლიმპიურიც და რაღაც ბიბლიურიც ამ ღიდ აღამიანში, რომელმაც წერა-კითხვა დავითინთა და სამოციქულოთი ისწავლა, შემდეგ ქართლის ცხოვრების და კლასიკოსი ავტორების ერთგული მკითხველი დარჩა და თავის პოეტურ შემოქმედებაში მუდამ მონუმენტალური სტილის განხორციელებას სცდილობდა. მონუმენტალური სტილის ძიება ახასიათებდა არა მარტო მის პოემებს — „მედვიას“, „თორნიკე ერის-

თავს, „თამარ ცხიერს“, „გამზრდელს“, არამედ მის პატრიოტულ და სატრფიალო ლირიკის მრავალ შედეგრსაც.

აკაკი წერეთელი უდიდესი ლირიკოსი იყო არა მარტო ქართველი, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. როგორც ლირიკოსი, როგორც მწიგნობარი და ყველა იმ საგანს, რომელთაც ყველა ქვეყნის და ენის მშობლები უმღეროდნენ პოეზიის დასაბამიდან, — მშვენიერ ბუნებას, სამშობლოს, საყვარელ ქალს და სხვ. ამ ქართველი პოეტისათვის, რომელიც სალიტერატურო ასპარეზზე ფხიზელ, პოზიტივისტურ მეტხარამეტე საუკუნეში გამოვიდა, თითქო განსაკუთრებით ძნელი უნდა ყოფილიყო ორიგინალური სიტყვის თქმა სატრფიალო პოეზიის დარგში. რა უნდა ეთქვა მას ახალი ამ დიდი მსოფლიო პოეტების შემდეგ, — ანაქრეონისა, ოვიდიუსისა, პროვანსალელი ტრუბადურებისა, რუსთაველისა, პეტრარკასა, გოეტესა, ჰაინესა, ბუშინისა და მრავალ სხვათა შემდეგ, — რომელთაც თითქო ერთიკელს გრძნობის ყოველგვარი ნიუანსი გამოჰხატეს და ქალის გულისკენ მიმავალი ყველა გზა და ბილიკი განვლეს?

ამ დიდი სიძნელის მიუხედავად, რომელიც ყოველ გვიან მოსულს ხედება ცხოვრების და შემოქმედების ასპარეზზე, აკაკი წერეთელმა ერთიკელის ლირიკის საუცხოვეო შედეგები შექმნა, მომხიბლავი თავისი გულწრფელობით, უშუალოდ და ფორმის ორიგინალობით.

რა თვისება აძლევს განსაკუთრებულ ორიგინალობის ელფერს აკაკი წერეთლის სატრფიალო პოეზიას? მისი მჭიდრო კავშირი პატრიოტიზმის გრძნობასთან. პატრიოტიზმის გრძნობა ისეთი სიძლიერით ფლობს პოეტის ცნობიერებას, რომ თვით მის უღრმეს ერთიკელ განცდებს ჩრდილავს და მკითხველისათვის ხშირად ძნელია გამოიყნოს, ვის უმღერის აკაკი წერეთელი, საყვარელ ქალს თუ მისი სახით წარმოდგენილ სამშობლოს. გაიხსენეთ მისი ცნობილი ლექსები „აღმართ აღმართ მიედითდი“, „სატრფოს“, „სურვილი“ და სხვ.

აკაკი წერეთელმა სატრფიალო ლირიკაში სულიერი სიღრმე და ზნეობრივი პათოსი შეიტანა. არასოდეს არავითარი სიტლანქე არ ბღალავს მის ერთიკელ განცდებს. საყვარელი არსება მას წარმოდგენილი ჰყავს, როგორც ციციანათელა, რომელიც შორეული ცეცხლით უფრო დამწვევლ გრძნობებს გამოიწვევს, ვიდრე სიახლოვით გამოიწვევდა. პოეტი საუცხოვლოდ გადმოსცემს საყვარელის რთულ ფსიქოლოგიას, ყველა მსწრაფლ-წარმავალ და ცვალებად განწყობილებას, რომელიც შეყვარებული ადამიანის სულს ეუფლება, — გრძნობის გაღვივებას, განშორებით გამოწვეულს, იმედსა და სიხარულზე ჯდასკვლას უიმედობისა და მწუხარებისაგან. ის გვარწმუნებს, საყვარულს მეტი სიმწარის მინიჭება შეუძლიან, ვიდრე სიტკბოებისაო, მის მიერ გამოწვეული სიამოვნება წუთიერია, წამება კი ზანგარძლიერო, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ღირს მისი გულისთვის საუკუნო ცხოვრების განწირვაო.

რაღ ან იწვის, არ ანათებს, უჩინარად ღებება ნელა.
მოდო დამწვი, საყვარულო, მიაშლქე, სადაც ბნელა!
ერთი წამიც კი სიცოცხლის, თუ სხივების მომფენია,
უჩინათლოა და უგრძნობელს საუკუნეს მიჩვენია...

მუჟს სიწმინდე სიყვარულის, ისეც ისე, როგორც ძევიად,
და გულს ეუბნებ საკრთხველად, ზედ სიცოცხლის დასაწველად!
თუმც ეს მსხვერპლი საიდუმლო საიდუმლოდ იწვინა, ჰქრება,
მაგრამ ზოგჯერ ჩემს ტანჯვაშიც არის დიდი ნეტარება.

უკრეწველი

თავისი ერთიგული ლირიკის შედეგებსა «ქებათა-ქებებში»...
თელს სიყვარული წარმოდგენილი აქვს, როგორც კოსმიური ძალა, რომელიც მთელს სამყაროს განაგებს მთვარის გარშემო ფერხულში ჩაბმული, ვარსკვლავებიდან დაწყებული სურნელოვან ყვავილებსა, ჩხრიალა წყლებსა და აზრიალებულ ფოთლებამდე. ადამიანი ამ საქორწილო მაყურებელში შედის და გრძნობით ითვრება. თვით ღრუების მიმდინარეობა თათქო აღარ არსებობს მისთვის. მის სულს მარადისობის შეგრძნობა იპყრობს და მისთვის მისაწვდომი ხდება ბუნების ღრმა საიდუმლოება, რომელიც მარტოოდენ ფხიზელი ტყუით არ შეიძლება. ესაა სიყვარულის გრძნობის უაღრესად პანთეისტური განცდა.

რამ იმამალა, ვინ მაგრძნობინა ეს საიდუმლო ლეთიური ძალა?
ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება ძლევაშისილათ გარდაშიც, ლა?
შენ, სიყვარულო, ცისა და ქვეყნის კავშირო და თან ზუამავალო,
შენ, რომლის ერთს წამს, იმ სანეტაროს, მზად ვარ სიცოცხლე შილად ენაცვადო.
მე მას ეუჯალობ, ვისაც განგებამ მშვენიერება უსზიციისყარა,
ვინც ვარდს ელფერი, იას სინაზე და ბულბულს შიია ენა მოჰპარა...
და სამქვეყნოდ გულგრილ მოხუცი, დღესაც თავენს ესეც, როგორც შირველად,
თითო ჰაბუცი ვიყო მე ეხლა და ევაფილიყვ მოხუცი ძევიად...
სხვებმა სიან ღვინაო.. მე უღვინოდაც შთერალი ვარ შეტის სიხარულითა,
ემატა სოფელს მშვენიერება ჩემს თავაში მისი სიყვარულითა.

ამ ტრეფობის სუერიულ ჰარმონიაში პოეტის სიყვდილის წინ ტრეფიგული მოტივები იჭრება; სიყვარული ჰქრება ლამპარივით, მასთან ერთად ჰქრება ინდივიდუალური არსებობაც:

აღარ გსურს ჩემი ანობა,
მნათე ხარ სხვისი ლამპრისა...
დამწუნებულსა ბულბულს
გიყვარს ჰიკიკი სხვა შხრისა...
უშენოდ ვეღარ ჰიკიკობს,
ენა ჩავარდა ბულბულსა,
მიუახლოვდა სიყვდილი,
შხამი აჭურა მის გულსა.
მაგრამ ეს შენთვის ერთია,
ცოცხალი ვიყო, ვინდ მკვდარი!
აღარ იენთვის აწ სხვისგან
ჩემი დამჭრალი ლამპარი!

ტრეფიალებს გრძნობა აკაკი წერეთლის ლირიკაში ყველგან დიდ ზნეობრივ იდეალებთან არის დაკავშირებული: პატრიოტიზმი, ოჯახური მორალის დაცვა, გრძნობის გამტანობა, უანგარობა — აი რას მოითხოვს პოეტი საყვარელი ქალისაგან; და თვითონაც მზადაა ასეთი მორალურად გამართლებული გრძნობა მიუძღვნას მას. მაგრამ, როგორც ადამიანის სულის დიდი მცოდნე, ის ძალიან კარგად ხედავს თავისი თანამედროვე ქართველი ქალების ნაკლს, მათს თავქარიანობას, ზერელობას, დედაენისა და ეროვ-

ნული კულტურის უგულვებელყოფას, იმ ვალდებულებათა დაეწეებას, რომელთაც ქალს იჯახი, საზოგადოება, სამშობლო ქვეყანა აკრძებს. და პოეტი თავისი თანამედროვე ქალების რეალისტურ სახეებს იძლევა, ხანდახან გროტესკულსაც, სატირისა და ირონიის მახვილათ ეჭყნის. ის მათ უბირდაპირებს ძველ ქართველ ქალებს, წმინდა ნინოს, ანკელოვას, ქეთევან დედოფალს, ის ხანდახან თავისთვის ჰქმნის იდეალური სატრფოს წარმოდგენას, არა სქემატურს, არა აბსტრაქტულს, არამედ ადამიანურსა და შეემაირულს, ერთსა და იმავე დროს.

არანაკლებ ორიგინალურია აკაკი წერეთლის პატრიოტული ლირიკა. ამ მხრივ მას ბევრი პარალელი არ მოეპოვება მსოფლიო ლიტერატურაში.

ტრაგიკულმა ისტორიულმა ბედმა, დაუსრულებელმა ბრძოლებმა, სისხლის ღვრამ და ტყვევნა-რბევამ ქართველ ერში წარმოშვა ერთგვარი სულიერი განწყობილება, რომელიც რამდენიმედ ძველი დროის უბრაულობის მესიის რწმენას ჰგავდა. ეს რწმენა განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნეში გამოძვლავდა, იმიტომ, რომ რუსეთის იმპერიასთან შეერთებამ ქართველი ერი ვერ გაანთავისუფლა იმ, ხაშინელი საფრთხისაგან, რომელიც მას თითქმის მთელი მისი ტრაგიკული ისტორიის მანძილზე ემუქრებოდა, გადაგვარების და დედამიწის ზურგიდან აღგვის საფრთხისაგან. და აი როგორც ძმადგარი მტრებისაგან შევიწროებულ ან ბაბილონის ტყვეობაში. მყოფ ისრაელებს წინასწარმეტყველები აღუთქვამდნენ, რომ მათ მოეგლინებოდა მსხნელი მესია, რომელიც დვთის რჩეულ ერს შველ დიდებას დაუბრუნებდა, ისე დიდი ქართველი პოეტები ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი საქართველოს აღუთქვამდნენ, რომ მოახლოებული იყო ეამი მისი განთავისუფლებისა და აღორძინებისა.

ილია ჭავჭავაძემ ამ რწმენას თაფლადირველად უფრო რეალისტური და მეცნიერული განხრა მისცა: „ამრდილში“ მან ის აზრი გამოსთქვა, რომ საქართველოს და მთლიანად კავკასიის განთავისუფლება შრომის განთავისუფლებასთან ერთად მოხდებოდა. „ბაზალეთის ტბაში“ ერთგული ხსნის იდეას უფრო რელიგიური განხრა აქვს, იგი მას ამ ლექსში რჩეული გმირის მოვლენის იდეას უკავშირებდა.

აკაკი წერეთლის აზროვნებაში მესიანისტური იდეა ყოველთვის უფრო მითოლოგიურ და ბიბლიურ სახეებთან იყო დაკავშირებული. პოეტი ხშირად გამოსთქვამდა იმედს; რომ კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული ამირანი თავს აიხსნას, ის თავის თავს ხშირად იერემია წინასწარმეტყველს, ან იოანე წინამორბედს აღარებდა.

აკაკი წერეთლის პატრიოტული ლირიკისთვის დამახასიათებელია გადასვლა მესიმიზმიდან ოპტიმისტური განცდებისაკენ, თანამედროვე ქართველობის გმობიდან წინაპრების იდეალიზაციისაკენ, უიმედობიდან და სასოწარკვეთილებიდან იმედისკენ. რაც უფრო ხანში შედიოდა პოეტი, მით უფრო ძლიერდებოდა მის შემოქმედებაში ოპტიმიზმის ნაკადი, თუმცა

უნდა ითქვას, რომ ტრაგიზმის გრძობა მის პატრიოტულ ლირიკაში საბოლოოდ არასოდეს არ გამჭარალა. მის ფანტაზიას ხშირად სტუქურებიან საქართველოს ისტორიული წარსულიდან გამოწვეული სახეები: არგონავტები, რომელნიც ფრთხილად მოსცურავენ ფაზისის მრისხანე, ეტყულესზე, მეღეა და მისი მომტაცებელი იაზონი („ქუთაისი“), ნესტანა ღვინჯიანი და თინათინის შუა მჯდომარე თამარ მეფე („სიზმარი“), გიორგი სააკაძე („ჭალარა“), კრწანისის გმირები, ერეკლე მეფე და სხვები. ერთს ცნობილ ლექსში პატრიოტულ გრძობას რელიგიური გრძობის ელფერი აქვს: სამშობლო წარმოდგენილია, როგორც ხატი, მთელი დანარჩენი ქვეყანა, როგორც სახატე, ხოლო ერთგული მამულიშვილის სიცოცხლე, როგორც წმინდა სანთლის უხმო და უძრავი წვა გარემომცველ სიბნელეში:

მიყვარს, როდესაც ხატის წინ ანთია წმინდა სანთელი,
და საიდუმლო პარხალით ბნელს ჰფანტავს მისი ნათელი,
მუდროდ, უხმოდ და უძრავად დნება, ვით! მსხვერპლი დიადი,
რომ მადლით გასაქტაკოს თვალწინდელი წყვედადი...
სანთელი ჩემი ზორცია, სიცოცხლე შოკლე პატრული,
ნათელი — ქვეა გონება, იმითვან გამონაშუქი,
ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა,
და რომ ვიწვოდ, ედნებოდ, არ შემაძლია მეც განა?

აკაკი წერეთლის პატრიოტული ლირიკის შედევრად, სრულიად სამართლიანად, მისი „განთიადი“ ითვლება. როგორც ცნობილია, ეს ლექსი დაწერილია ერთი ტრაგიკული შემთხვევის გამო, რომელიც ოთხმოციან წლებში მოხდა. თამამი პატრიოტული გამოსვლისთვის მეფის მთავრობამ დაატუსაღებინა და სტავროპოლში გადასახლებინა მოხუცი ქართველი მოღვაწე დემიტრი ყიფიანი, რომელიც იქ მოკლული იქნა. მისი გვამის თბილისში გადმოსვენებამ და მთაწმინდაში დასაფლავებამ გრანდიოზული ნაციონალური დემონსტრაცია გამოიწვია, ამ დემონსტრაციას წინ აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე მიუძღოდნენ.

მაშინ, როდესაც აკაკი წერეთლის ზოგიერთი ლექსი ჩვენი თანამედროვე მკითხველისათვის კომენტარიების მიუშველებლად გაუგებარია, „განთიადი“ ზოგადი ადამიანური იდეების და განცდების სიმალეზეა აყვანილი და მის გასაგებლად აუცილებლად საჭირო არ არის მისი გამოწვევი კონკრეტული გარემოების ცოდნა. რა არის უდიდესი ბედნიერება რაინდი პატრიოტისთვის, რომელიც უცხო ქვეყანაში სამშობლოს კეთილდღეობას შეეწირა? საქართველოს ზეცასხვა ზეცას არ ჰგავს, როგორც სხვა ხმელეთს არ ჰგავს მისი ხმელეთი. თვით შუე და ვარსკვლავებიც კი აქ სხვანაირად ანათებენ. ამიტომ ქართველი მამულიშვილისათვის უდიდესი ბედნიერებაა სამუდამო ძილით დაძინება საქართველოს კალთებს ქვეშ.

აკაკი წერეთელს ტასოცარი მოქალაქეობრივი გამბედაობა ახასიათებდა. ალექსანდრე მეორის მკვლელობას ის მიესალმა თავისი ცნობილი „გაზაფხულით“, რომელიც სწორედ გაზეთ „დროების“ შავ არშია შემოვლებულ ნომერში მოათავსა; პოეტმა დიდი გამბედაობა გამოიჩინა აგრეთვე რუსეთ-იაპონიის ომისა და გამანათვისუფლებელი მოძრაობის დროს. 1905 წელს მან, სხვათა შორის, გამოაქვეყნა თავისი ცნობილი „ხანჯალი“, რომელიც

ოცი წლის წინათ პქონდა დაწერილი და, სანამ დაიბეჭდებოდა, ხალხში ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა.

ნესტორიცა ხარ, პასრიც ხარ,
 ორივე გვერდით მჭულიო,
 გპატრონობს გული ფოლადი
 და გიპყრობს რკინის ხელიო...
 მიმოციქულე მტრის ვულთან,
 მიუპლვენ ჩემი საღამი,
 ის ფოთომ საწერელია,
 ჩატკვე, როგორც კალამი.
 მისი წითელი მეღნათა
 შემაღებინე ვალარა,
 იმისა კენესა იქნება
 ჩემთვის დაფი და ნალარა.

ეროვნული
 ბიბლიოთეკა

ეს პოლიტიკური ლექსი, რომელსაც პოეტის თანამედროვეებმა ქართული მარსელიეზა უწოდეს, მთელ ქართველ ხალხზე დიდ შთაბეჭონებელ და ამაღელვებელ გავლენას ახდენდა თვითმპყრობელობის არსებობის დროს. მაგრამ აკაკი წერეთლის „ხანჯალი“ გასაგებია ჩვენთვისაც, განაკუთრებით დღეს, დიდი სამამულო ომის პირობებში, როდესაც უცვთილშობილესი პატრიოტული გრძნობა სრულად ბუნებრივად სამართლიანა გულისწყართმის და შურისძიების გრძნობაში გადაეიდა.

აკაკი ნაკათელი და ხალხური მუსიკა

გასული საუკუნის ქართველ მწერალთა შორის აკაკი წერეთელს ერთი უდიდო უპირატესობა ეკუთვნისა მან ყველაზე ძლიერი გავლენა მოახდინა ქართულ მუსიკაზე. ჩვენი რომანტიკოსების, განსაკუთრებით ალექსანდრე შავეჩავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ, რომელთა ლექსებს ქართულ სალონებში ბესიკთან და საიათნოვას მუხამბაზებთან ერთად მღეროდნენ, ერთხანს შეწყდა პოეზიის უშუალო ზეგავლენა მუსიკაზე. მისი განახლება აკაკი წერეთლის პოეზიის ერთი უდიდო დამსახურებაა, რომელსაც ამ ჯერზე ის სიახლე და თავისებურებაც დაერთო, რომ პოეზიისა და მუსიკის ტრადიციული აღიანსი უფრო ფართო დიაპაზონით დაიწყო და მის განვითარებას დიდი და ნაყოფიერი მომავალი გადაეშალა წინ. რომანტიკოსების წინაშეც აკაკის შემოქმედებას ერთი უპირატესობა ჰქონდა. ჩვენი რომანტიზმი კამერული მწერლობა იყო. ამიტომ მისი შთამაგონებელი ძალა არ გაცილებია კამერული მუსიკის ფარგლებს. რომანტიკოსებმა განაახლეს ქართული ბაიათი, მუხამბაზი და რომანსი. ამაზე უფრო ვრცელი იყო აკაკის გავლენის სფერო. მისი ლექსები გადაიქცნენ არა მარტო ერთხანს რომანსებად, არამედ პოლიფონიურ ხალხურ სიმღერებადაც, ხოლო ისტორიულმა დრამებმა საფუძველი ჩაუყარეს ქართული ისტორიული ოპერის ქანასს. უფრო მეტი: აკაკის პოეზიის შთამაგონებელი სული გადმოეცა ჩვენს საუკუნესაც და განსხვულდა ისეთ რთულ სინთეტიურ მუსიკალურ ფორმაში, როგორაცაა სიმფონია.

მე აქ არ ჩამოვთვლი იმ მუსიკალურ ნაწარმოებებს, რომლებიც აკაკის ტექსტებზეა შექმნილი. ბევრი მათგანი პოეტის ლექსებზე ნაკლებ ცნობილი არაა. მათ ჰანგებს გაიგონებთ ყველგან, ოჯახსა და გარეთ, ღმინსა და მწუხარებაში, შრომასა და ბრძოლაში. აკაკის ამღერებულ ლექსს თან სდევს მომხიბვლელი თილისმა. ის რაღაც მაიძულებელი ძალით აეკვიატება ხოლმე ადამიანს, როცა გული მოკარბებული გრძნობით აღივსება, სულ ერთია დალხინებისა იქნება ეს გრძნობა, თუ სასოწარკვეთილებისა.

ამრიგად, როდესაც ვლაპარაკობთ აკაკის პოეზიის გავლენაზე მუსიკის სფეროში, ჩვენ იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ ამ გავლენის ინტენსიური და ექსტენსიური ძალა უაღრესად მნიშვნელოვან და სრულიად განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს.

აკაკის როლი მუსიკალური კულტურის განვითარებაში სრულიად მართებულად შეგვეძლო შეგვედარებინა პუშკინის ანალოგიური როლისათვის, რასაკვირველია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ რუსეთის განვითარებულ მუსიკალურ კულტურას გაცილებით მეტი ენერჯია ჰქონდა პოეტური სიტყვის ათვისებისათვის, ვიდრე ქართულს. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ აკაკის პოეტურმა სიტყვამ თავისი ამღერების საფე-

რო ჯერ ხალხის წილში ჰპოვა. ეს ფაქტი თავისთავად დიდად საყურადღებოა და სრულიად საწინააღმდეგო სურათს წარმოადგენს იმისას, რასაც პუშკინის მაგალითზე ვხედავთ. აქაის პოეზია ქართველი კომპოზიტორების შემოქმედებაში ხალხური მუსიკის გზით მოიმართება, მაშინვე რთულდება პუშკინის გავლენას საწინააღმდეგო მიმართულება ჰქონდა. ვთქვათ, გენსხვავებაც არ უნდა იყოს აქ, ერთი რამ სრულიად უცილობელია: პუშკინმა და აქაიმ თანაბრად და სამართლიანად დაიმსახურეს მუსიკის მუზის მაღალი სახელწოდება.

მაგრამ ჩვენი დაკვირვების საგანი ამჟამად ვიწროდა შემოფარგლული. ჩვენ გვინტერესებს აქაის პოეზიის ის ფესვი, რომელზედაც ამოიზარდა ქართული ხალხური სიმღერა. ცხადია, ამ ვიწრო საკითხის მნიშვნელობა საყურადღებოა ინდივიდუალური მუსიკალური შემოქმედების თვალსაზრისითაც. საქმე ისაა, რომ პოეტური სიტყვისა და მუსიკის სინთეზი საზოგადოდ ერთ გარკვეულ ესთეტიკურ საფუძველზე ხორციელდება. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ საშუალება გვქვია ხალხური სიმღერის მაგალითზე ეს სინთეზი მის პრიმიტიულ და ნათელ ფორმაში განვიხილოთ.

მაშ, რით აიხსნება აქაის პოეზიის გავლენა ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაზე?

რა თქმა უნდა, ამ გავლენის მიზეზები ორგანოი ხასიათისა შეიძლება იყოს: ზოგადი და სპეციალური. ზოგადი მიზეზები იმ ესთეტიკური ფორმების სფეროში იშლება, რომელიც პოეზიას და მუსიკას ერთიმეორესთან ახლოვებენ და, მაშასადამე, მათი ურთიერთზეგავლენის საფუძველს ქმნიან, ხოლო სპეციალური მიზეზები თვით აქაის შემოქმედების თავისებურებაში მარხია.

ახალი დროის ხელოვნებათა განვითარების ერთი ნიშანდობლივი თავისებურება, სხვათა შორის, იმაში მდგომარეობს, რომ ცალკე ხელოვნებათა საზღვრები ელასტიური და მოძრავი გახდა. ისინი იჭრებიან ერთი მეორეს სფეროში და გავლენას ახდენენ ერთი მეორეზე. თანამედროვე პოეზიას ხშირად უდგენენ ისეთ ამოცანებს, რომელიც სახვით ხელოვნებათა თავისებურებას უმასუბებენ და თავის სრულყოფილ გადაჭრას მათ საკუთარ საზღვრებში ჰპოვებენ. ასე შემოიჭრა პოეზიაზე პლასტიკისა და ფერწერის სპეციფიკური ცნებების კატეგორია. ასე, მაგალითად, პოეზიისათვის პლასტიკური ფიგურები, პორტრეტები, პეიზაჟები, საღებავები და კოლორიტები რეალურად შესაძლებელი ცნებებია, რომელთაც ისევე შეუძლიანთ შეისხან ხორცი პოეტურ სიტყვაში, როგორც სახვით ხელოვნებაში. ვაცილებით უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ვილაპარაკოთ პოეზიისა და მუსიკის ურთიერთზეგავლენაზე, რადგან ერთიც და მეორეც, პოეზიაც და მუსიკაც, ტონალური სტილის ხელოვნებას წარმოადგენენ, ერთი სიტყვით დღეს უკვე ჩამორჩენილად გამოიყურება ლესსინგის ცნობილი ნორმატიული ესთეტიკური თეორია, რომელიც მტკიცედ შემოზღუდულ სფეროებს და ამოცანებს ადგენდა ცალკეულ ხელოვნებათათვის.

მაგრამ თუ ხელოვნებათა საზღვრების სიმტკიცე საკმაოდ შეირყა, ითუ ეს საზღვრები ელასტიური და მოძრავი გახდა, ეს, ცხადია, არაერთარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ხელოვნებათა ურთიერთზეგავლენის შესაძლებლობა განუსაზღვრელია, ან საერთოდ ის პრობლემას აღარ წარმოადგენს. ამ რთული საკითხის ზოგად ანალიზს თავი რომ დაეანებოთ და

პირდაპირ ჩვენს საგანს დაეუბრუნდეთ, აქ ერთი განხილვებია უმთავრესად აღსანიშნავი. საქმე ისაა, რომ მუსიკა გარკვეულ სპეციფიკურ მოთხოვნილებას უყენებს პოეზიას. ყოველი პოეტური ნაწარმოები როდესაც შეიძლება გახდეს მუსიკალური დამუშავების ობიექტი, ყოველთვის უნდა იქნას თავად როდესაც წარმოადგენს მასალას ვოკალური ან ინსტრუმენტალური ამღერებისათვის. თუ რომანსი მოითხოვს ნათელ ემოციურ თემას, ოპერისათვის საჭიროა მარტივი, მაგრამ დამაბული დრამატული სიტუაციები, ფსიქოლოგიურად რთული და ღრმა ხასიათები, ხოლო სიმფონიისათვის რაიმე ზოგადი ფილოსოფიური იდეა. მაგრამ არის ერთი მომენტი, რომელიც საყოველთაოა ყოველი მუსიკალური თანრისათვის და რომელსაც მუსიკა ყოველთვის მოითხოვს პოეტური ნაწარმოებისაგან.

მუსიკა უფრო ახლო დგას ადამიანის გრძნობათა სამყაროსთან, ვიდრე რომელიმე სხვა ხელოვნება. მუსიკის ენა ემოციის ენაა. სიმღერაში ადამიანი უშუალოდ გამოსთქვამს იმ გრძნობებს, რომელიც მისი გულის დამატყვევებელ ფიქრებს, აზრებს, სურვილებს და მისწრაფებებს უკავშირდება. მუსიკა პოეტური სიტყვის ემოციური კომენტარია.

ამიტომ საკვირველი არაა, თუ მუსიკა პოეზიისაგან მოითხოვს ისეთ განცდებს, რომელთაც ემოციური აქცენტი აქვთ და არა ინტელექტუალური, ისეთ განცდებს, რომელნიც გრძნობათა სფეროდან მიიშრებიან აზრის სფეროში და არა პირიქით. ასეთი პოეტური ნაწარმოები, თუ ვნებავთ, ერთგვარად გულუბრყვილო უნდა იყოს, მას ბავშვის გული უნდა ჰქონდეს, ჩხლი და ნაზად მგრძნობიარე. ასეთი პოეზია უშუალოდ გულს ეჭიდება, ან ვაჟაკური მოწოდებით ეღერს, ან გმირთა ძლევა-მოსილ ყოფინას წარმოადგენს, ან უინტიმესი სინარულის ქსელში გაგხვევს, ან გულის სასიამოვნო ტკივილს აგიშლის.

გასაგებია ისიც, რომ მისი ენა უნდა იყოს მარტივი, საღა, ნათელი, გამჭვირვალე.

გრძნობებს უშუალო ენა ყოველთვის ასეთია. გრძნობა ადამიანის გულის-თქმას წარმოადგენს, ხოლო თუ გული საკუთარ სფეროშია ჩხება და ინტელექტის სფეროში არ გადააქვს თავისი განცდა, ის ყოველთვის უბრალოდ ლაპარაკობს. გრძნობა არასოდეს არაა არც ყბედი, არც ბუნდოვანი.

თუ რატომ არ უყვარს სიმღერას ამაღლებული პათეტიკური სტილი, გართულებული და გაუცნაურებული პოეტური ხერხები, მაგალითად, რთული მეტაფორები ან ვრცელი შედარებები, რომლებშიაც მახვილგონიერი და დამაბული ინტელექტუალური ოპერაციები გამოსქვივის. ამ გარემოებას განსაკუთრებით აღვნიშნავ იმისათვის, რომ ზოგიერთი თანამედროვე ქართველი პოეტისათვის შეიძლება ჯერ კიდევ საიდუმლოებას წარმოადგენს ის, თუ როგორი პოეტური ხერხებით უნდა დაიწეროს სასიმღერო ლექსი.

დაეკვირდეთ ამის შემდეგ აკაკის პოეზიას და ჩვენ აღვიღად შევნიშნავთ, რომ მისი შინაგანი და გარეგანი ფორმა პარამონიულად ეხამება მუსიკალური სტილის ესთეტიკურ ნორმებს.

აკაკის ლექსი სრულიად განსაკუთრებულ ნაქადს წარმოადგენს ქართული პოეზიის ისტორიაში. ნიკოლოზ ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკის შემდეგ აკაკი წერეთელმა დაამკვიდრა ახალი ლექსი. ეს არის პოეზია საბრძოლო მოწოდების, გმირული შეტევის, სინარულის, აღტაცების, სევ-

დის, სასოწარკვეთილების, ერთი სიტყვით, პოეზია გრძნობის, რომელიც განსხეულებულა უშუალო და მარტივ პოეტურ ფორმაში.

ბარათაშვილის შემდეგ და ილია ქავჭავაძის გვერდით აკაკი წერეთელი ამკვიდრებს იმ ახალ პოეტურ სტილს, რომელშიაც განცხდომის მუშაობა უნებელი არიან ჩვენსკენ თავისი გრძნობითი ტონით. აქ ჩვენი მსახიობი ენა სადა, გამკვირვალე, მოკლებული იმ რთულ პოეტურ ხერხებს, რომლებსაც ვერ ეთვისება მუსიკა.

აკაკი პოეტია სმენის par exelians, მისი ლექსები თავისთავად მღერიან, რადგან გრძნობათა სათუთი ძაფებისაგან მოქსოვილ ქმნილებებს წარმოადგენენ.

მოვიყვანოთ თუნდ ერთი მაგალითი. აი ლექსი, რომელსაც საქართველოს ყოველ კუთხეში მღეროდნენ:

„შშენიერო, შენ გეტრფი,
შენი მონა ერთგული,
შენთვის სულდგმულს, შენგანვე
შენთვის მამგერს ეს გული“

მიგულემა ცხეში,
ცხრაალიტულში მკდომარე...
შეთვისებან ვამირებს
გამგერა მოყვარე!

ტბილიდ ვაქმევს, ტბილს ვასმევს,
შეხვებულს ბანკოას;
დედის ხმაზე ვიმღერის
დედინაცლის ჩანგითა.

გაუფრთხილდი, ნუ გჯერა
მაგის ტბილი „ნანინა“,
შენზე წინად სხვაც ბერი
მოხიბლა, შეაცდინა.

გაუმაგრდი ვანსაცდელს
აიტანე ტყეობა!
გწვევის ნესტან-დარეჯნის
მაგალითი... შეუბა...“ და სხვ.

ეს შეტრჩეველი მაგალითი ტბიური ნიმუშია აკაკის პოეტური სტილისა. აქ მთელი გამაა გრძნობებისა: მაღალი პატრიოტული სიყვარული, სევდა, შიში, მაგრამ იმავე დროს ურყევი მხნეობა, რწმენა და იმედი. ასე საუცხოოდ ენასკვებიან ერთმანეთს მინორი და მაჟორი. მაგრამ ამ გრძნობათა რთული ქსოვილის გამოსახატავად პოეტს არც ერთი მყვირალა ეპიტეტი და რთული მეტაფორა არ გამოუყენებია. მისი ჭერწერა შესრულებულია აკვარელით, რბილი, სათუთი საღებავებით.

ამრიგად, თავისებურება აკაკის ლექსისა, რომელიც უნაწეს გრძნობათა ძვირფასი თვლებითაა მოზაიკურად შექმნილი და სადა, გამკვირვალე სიტყვით გამოხატული — აი ის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ესთეტიკური ფენომენი, რომელმაც განსაზღვრა მისი ამღერების შინაგანი ძალა. ამ მხრით აკაკის პოეზია სანიშნო მდგომარეობას ინარჩუნებს დღესაც და მაგალითს

წარმოადგენს ჩვენი თაობის იმ ქართველი პოეტებისათვის, რომელნიც საზუსიკო ტექსტებზე მუშაობენ.

ასეთი ერთი მომენტი.

მაგრამ მეორე მხრით რაოდენ უმნიშვნელოვანესიც არ უნდა დავიწყებოთ სის ესთეტიკური ფაქტურა, ეს რა თქმა უნდა, არ არის ის საყურადღებო მისათვის, რომ ლექსი მიედლოს ხალხს და მუსიკალური ჰანგით შეიმოსოს. აკაკის პოეზიის მთელი ძალა ხომ სწორედ ამაში იყო, მისი ლექსები რომ უწინააღრეს ყოვლისა ხალხურ სიმღერებად გადაიგნენ.

სიმღერის საიდუმლოება სწორედ იმაშია, რომ მას ადამიანის გული ზადებს და ერთი გულიდან აღმონახეთქი ათიათასთა გულებს მამინ სწვდება, როცა მათი მაჯისცემა ერთ რიტმზეა აწყობილი.

განა ცხადი არ არის, რომ აქ მარტოდენ ლექსის ესთეტიკური ფორმის თავისებურება კი არ იყო განმსაზღვრელი მომენტი, არამედ მასთან ერთად ის კეთილშობილი ფიქრები და იდეები, რომელნიც ძლიერი გრძნობით და კრისტალურად ნათელი პოეტური სიტყვით მიქონდა მგოსანს ხალხის გულთან? როგორ შეეძლო ხალხს სიმღერად გადაეცემა პოეტური სიტყვა, თუ იგი მისი განცდების თანაზიარი არ იქნებოდა.

მაშ სიმღერისთვის არ ემარა პოეტური სიტყვის ესთეტიკური ფორმა, საჭიროა კიდევ საგანი სიმღერისა, ის, რაზედაც მღერი, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ის რაც გაძღვრებას.

ასე ენასკება მუსიკალური შემოქმედება პოეტური სიტყვის შინაარსს, პოეზიის აზრსა და იდეას.

ღმ თუ აკაკის ლექსი ხალხის ამღერებულ გულს ჩასწვდა, ეს მიტომ, რომ მის კრისტალურ ფორმებში ხალხის გირვარამი იყო გამოხატული.

ასეთია მეორე მომენტი.

აკაკი ნამდვილი ხალხური პოეტია ამ ცნების უკეთილშობილესი გაგებით. ის თავისი გამამხნეებელი სიტყვით მუდამ ხალხთან იყო მის ყოველდღიურობაში, შრომისა და მოღვინაში, ჭირსა და მწუხარებაში, ბრძოლასა და გამარჯვებაში. აკაკის პოეზიის ყველაზე ძლიერი ჰანგი ხალხურია, საზოგადოებრივი, მოქალაქეობრივი, ღრმად ერთგულთ.

ღმ როდესაც ქართველი ხალხი იბრძოდა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, თავისი მშობლიური ქვეყნის ღირსებისა და თავისუფლებისათვის, ადამიანური ცხოვრებისათვის, ზნეობრივი კეთილშობილებისათვის, ის მღეროდა აკაკის ლექსებს, რომლებშიაც ჰპოვებდა არა მარტო თავისი ბრძოლის საგანს, არამედ გამამხნეებელ მოწოდებასაც.

„მე ჩონჯური მისთვის მინდა,
რომ სიწარტლეს მსახურებდეს,
ვანამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწმინდით ააურებდეს“ —

ამბობდა პოეტი.

ეს მშვენიერი სტრიქონები იმასაც გვეუბნებიან, რომ სწორედ სიწმარტლის მსახურება ამღერებდა ხალხსაც, როცა იგი აკაკის პოეზიას წარმტაც ჰანგებში ზევედა.

მხაგვრული სახის დინამიკა ვაჟა-ფშაველას პოეზიაში

ვაჟა-ფშაველას პოეზიის ძალა იმთავითვე უცდომლად იგრძნო მისმა თანამედროვე ქართულმა კრიტიკამ. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიგონოთ თუნდაც ილია ჭავჭავაძის „ფრთიანი“ ფრაზა, „ივერიის“ რედუქციაში შემოსულ ვაჟას ერთ-ერთ ნაწარმოებში კითხვის დროს წარმოქმნილი:

— არა, ჩვენ, ძველებმა ახლა კალამი უნდა ძირს დავსდვათ, ვა ვაჟას უნდა დავუთმოთო.

თუმცაღა სწორედ იმიტომ, რომ ეს ფრაზა „ფრთიანია“, იგი ერთობ შორს იჭრება და მიზანს გადაადგენს. (ვინაიდან, რაგინდ უზადლო ნიჭით, პოეტური ძალით არ იყოს დაჯილდოვებული ცალკეული მწერალი, იგი ვერასდროს ვერ შეენაცვლება მთელი ერის მწერლობას, მითიური პერკულესის მსგავსად მთელი ხალხის პოეზიის ცას სვეტად ვერ შეუდგება). მაინც მე-19 საუკუნე ქართული ლიტერატურის ამ ბუმბერაზის, ჩვენი ერის მაშინდელი ფიქრთა-მპყრობელის ეს თქმა, თუნდაც იგი ლიტერატურულ მითოლოგიის პროლუქტს წარმოადგენდეს, ცხოვლად ასახავს იმ ატმოსფეროს, რომელიც შეიქმნა ვაჟას გარშემო მის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისთანავე.

ლალ მთის ირწივივით შემოიჭრა ვაჟა ოთხმოციან წლების ქართულ მწერლობაში და ეს ეპიტეტი შერჩა კიდევ შას ბოლომდე. მართო ეს, ჩვენი კრიტიკის მიერ შერქმეული სახელიც საკმარისი იყო იმის გამოსაცნობად, თუ ვის ეხებოდა საუბარი. მაგრამ ეს ეპიტეტი ორლებსულ იპარდს წარმოადგენდა. იგი თითქოს მაქებარი იყო, მაგრამ ამგვ დროს მანში ერთგვარი გაუგებრობას სათავეც იმარჩებოდა, რაც ვაჟას შემოქმედებას ჩრდილა აყენებდა. საქმე იმაშია, რომ ჩვენი კრიტიკის ერთი ნაწილი და არც თუ ისე მცირე, ვაჟას რაღაც საეციფიფურ „მთის პოეტათ“ სთვლიდა და მის პოეზიას მთის ხალხურ შემოქმედების თითქმის უბრალო გადამღერებად სახაუღბ.

ჩვენმა კრიტიკამ (და ეს ნაწილობრივ შეეხება არა მართო ვაჟას დროინდელ, არამედ ჩვენს თანამედროვე ქართულ კრიტიკასაც) თუმც სწორად იგრძნო ვაჟას შემოქმედების ძალა და სიღრმე, მაგრამ ეს ძალა თითქმის მთლიანად ვაჟას შემოქმედების პირველწყაროდ დასახულ ხალხურ პოეზიას მიაწერა. ასობით საეურნალო და საგაზეთო მწერილი რომ გადაფურცლოთ, თითქმის ყველგან თვალში მოგხვდებათ ჩვენი კრიტიკის ეს ლეიტ-მოტივი ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შეფასებაში.

ისე შეეჩვია მკითხველი ჩვენი კრიტიკის ამ ტენდენციას, იმას, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების განხილვა ჩვენს კრიტიკაში ყოველთვის მთის ხალხთა ფოლკლორის, კერძოდ ფშავ-ხევსურული პოეზიის ფონზეა მოცემული, რომ მას უფრო უხერხულა ვაჟა-ფშაველას ინდივიდუალური შემოქმედების გამოთავთაება, მისი ამ ფონისაგან დამოუკიდებელი შემოქმედება. ჩვენ გვგონია, რომ ამ საკითხს შეუქმნენ თვით ვაჟას წერილები შინა შემოქმედების შესახებ. ამ, სხვადასხვა ზრთს ჩვენს ქურხალ-გაზეთებში დაბეჭდილ წერილებში ვაჟა ეხება თავისი ინდივიდუალური და ხალხური შემოქმედების, კერძოდ ფშავ-ხევსურული ფოლკლორის, ურთიერთობის საკითხს.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში იმთავითვე დამკვიდრებულ ტენდენციას „ფშაველას და ფშაველთა“ შემოქმედების იდენტიფიკაციისა ისე გაუბრაზებია ვაჟა-ფშაველა, რომ ჩვა სამუხის უბრუნდება ამ პრინციპს.

პირველი წერილი დაბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1896 წ. (№ — 43). დაწერილია იგი პასუხად გრ. ყიდშიძის სტატიებისა: „თ-ღი რადიელ ერისთავი და მისი სალიტერატურო მოღვაწეობა“ (დაბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“ 1896 წ. № — 10) და „Новейшие грузинские поэты Бачана и Важа Пшавела“ (დაბეჭდა გაზ. „Новое Обозрение“-ში 1896 წ. № — 41 — 39).

მეორე წერილი „კრიტიკა ი. ვართაგავისი“ დაბეჭდა გაზ. „სახალხო ფურცელში“ 1914 წ. №№ — 20, 22, 23.

და დასასრულ „ფიქრები ვეფხის-ტყაოსნის შესახებ“ ინახება საქ. მუზეუმის ხელნაწერთა განყ. № 5317 (გამოაქვეყნა 1934 წ. მ. დუღუჩავამ ჟურნ. „მნათობის“ 11 — 12 №-ში).

ამ წერილებში ვაჟა-ფშაველა არ უარყოფს ხალხურ შემოქმედების და ცალკეულ ქართველ მწერლების გავლენას თავის პოეზიაზე, მაგრამ ცდილობს საეხსებიტ გაორკვეული მიჯნა გაავლოს თავის პიროვნულ, ინდივიდუალურ შემოქმედებასა და ხალხურ შემოქმედებას შორის.

„ადიბნელი პოეტები, გენიოსად ცნობილი, — ცეითხლობთ ვაჟის პირველ წერილში, — ხშირად უნიკო პოეტებს მხამავდნენ წინაპარველად, მაგრამ იმათ თავისებურებას ეს არადერს უშლიდა. შემოქმედება მწერალზე ატცილებლად საქიროა, უამისოდ მწერალი ცერიო-ულთ, უწინაპარო არსება იჭებოდა; თუ ამასთანვე იგი ცოცხლად გამოშახავი არ იყოს შთაბეჭდილებათი, რამ უნდა აედეროს მთი ჩანგი, თუ ან ამავი არ გაიგონა, ან ლექსი, ან საქმე; ვარებოება ცხოვრებია არ ნახა ამაღლებელი, ან ბუნების პოეღენათ მოღურთა ყურთ? ან ეს ვარეგანი ფაქტორებია, ხოლო შინაგანი გული ვახლავთ, რომელიც ამათ ით-ცილებს, ყალიბში ასხამს. ზღვაში ბევრი სხვადასხვა წყალი ერევა, მაგრამ ზღვას მიანიც ზღვა ქვიან და ზღვიც იმიტომ არის, რომ ყველა ამ მდინარეთ იტევს, ასისბლზორცებს და საკუთარს დიდებულს სახელს არა ქარავას.

თქვენს უმორჩილეს მონაზე, ვაჟა-ფშაველანედაც, უნდა მოგახსენოთ, დიდი შემოქმედება აქვს ხალხურ თქმულებათი. უმეტესი ჩემი პოემები ხალხში გავიწილ ორ-სამ სიტყვაზეა აწენებული. იქნება ეს ჰირიც იყოს, რა გწათ, ასე კია და... ნათქვამი: კაცმა ჰირი მალა, ჰირმა თავი არ დამალა.

ჩემი პოემებში, თითქმის ყველა, სულ ხალხურ თქმულებებზე ძველ ამბებზე არიან დაფუძნებულნი,*) თვითველი მათგანი

*) თქმცა მამე წერილის სხვა ადგილას ვაჟა სწერს: „ამასთანვე ისიც უნდა ვსთქვა, ბევრი ამავი და ზღაპარი მე შეექმენ და იორის ოდენი იმათში ხალხის თქმულებისა არაფერი ურევა, თქმცა ფრზილებში ვსვამდი: „მველის ძველი ამბავი“, „ზღაპარი“, „თქმულები“, ამ მოსაზრებით — დაბეჭდვის დროს დაბრკოლება არ ქმნიყო“.

სხვა დე სხვა ნაირად, ზოგი ცოტათ თუ ბევრად უახლოვდება დედანს, სხვა სრულიად დაშორებულია მისზედ, ბ. ი. ნაწარმოების არაქი ძალიან თავისებურად არის შემუშავებული და ზოგი-ნაკლებად შემუშავებული, ნაკლებად თავისებურია, და წარმოადგინეთ, ნაკლებად სახელოვანიც. უმჯობესესი მხოლოდ მეტად თავისებურად შემუშავებულ მასალასთან მოიპოვეს საზოგადოებაში. ამ პოემის ჯგუფს ეკუთვნის „სტუმარ-მასპინძელი“ და „ვეფხისტყაოსნის“.)

როგორც ვედავთ, ამ წერილებში ვაჟა თვითონ ლაპარაკობს მის მხატვრულ ქმნილებათა შორის არსებულ პოემებსას ორ ჯგუფზე. რა ნიშნის მიხედვით ჰყოფს ვაჟა თავის ნაწარმოებებს ამ ორ ჯგუფად?

პოემების ერთი ჯგუფი, ვაჟას თქმით, უფრო ნაკლებად შემუშავებულია მის დედნად და საფუძვლად მიხედვით ხალხურ თქმულებების მამართ და ამიტომ ნაკლებად თავისებურია. ნაწარმოებთა მეორე ჯგუფის არაქი კი „ძალიან თავისებურად არის შემუშავებული“.

ნაწარმოებთა პირველი წყება „ცოტათ თუ ბევრად უახლოვდება დედანს“, მეორე კი სრულიად დაშორებულია მისგან.

ნაწარმოებთა პირველი ჯგუფის საფუძვლად დადებული ლეგენდა თუ ზღაპარი მწერალს „პირდაპირ გაუღწეა“, სხვა შემთხვევაში ხალხურ ლეგენდებს და ზღაპრებს გაუვლია მწერლის „ფანტაზიის მანგანაში“.

ის ნაწარმოებები, რომლებაც თავისებურია და ნაკლებად შემუშავებული, რომლებიც ხალხური ლეგენდის უბრალო გადამღერებას (გაღწევას) წარმოადგენენ, ნაკლებად სახელოვანიც არიან, არც ერთ შეგნებულს შეითხველს ჩემთვის სახელად არ მოულოციო, ამბობს ვაჟა.

მხოლოდ მეორე ჯგუფის ნაწარმოებებში, „მეტად თავისებურად შემუშავებულმა ამბებმა“ მოიპოვეს დიდი სახელი საზოგადოებაში, კვალი დააჩინეს შეათხველის გულ-გონებაში. პოემების ამ ჯგუფს ვაჟა „გველის მკამელს“, და „სტუმარ-მასპინძელს“ მიაკუთვნებს და დასკვნის: „აქედან ცხადია, რომ თუ პოეტმა ყოველივე ამბავი თავისებურად არ შეიმუშავა, თავის გრძობა-გონების საკუთრებად არ გადააქცია, ამოღო და შეტრება, მის ნაწარმოებს არ ავინ ქკუათმყოფელი ხელოვნურს არ უწოდებსო“. ამ სტრატეგიებს ვაჟა თითონ უსვამს ხაზს. მასალადავ, ვაჟა ყოველთვის ერთნაირის შემოქმედებითი აქტიურობით არ ამუშავებს ხალხური პოეზიის სამყაროდან მომდინარე მასალას, ათასწლოვან მითებს, ხალხურ თქმულებებს, ლეგენდებს, ზღაპრებს. ვაჟა გენიოს მოქანდაკესავით ებრძვის ამ ფსევ-ხევსურულ ფოლკლორიდან მომდინარე „მასალათა სიჯიქეს“, თუ კი შეიძლება ამ ტექნიკური თერმინის ესთეტიკურა მნიშვნელობით გამოყენება. ცდილობს გაატაროს ის თავისი „ფანტაზიის მანგანაში“, გაიხადოს თავისი გრძობა-გონების საკუთრებად. ვაჟას, როგორც შემოქმედს, ტიტანური ბრძოლის წარმოება უხდება ამ მასალასთან, ვინაიდან მის შემოქმედებას აქვს თავისი საკუთარი, ხალხური პოეზიისაგან და განსაკუთრებით ფსევ-ხევსურული ფოლკლორისაგან დამოუკიდებელი დერიტა და სადღეობელი; ვაჟას პოეზიას აქვს თავისი საკუთარი, ამ ხალხური პოეზიისა-

1) ციტირებულია ს. ვუბანიშვილის მონოგრაფიიდან „ვაჟა-ფშაველა“, სახელგამო, 1937 წ., გვ. 283. ხაზგასმით ჩვენია. — ა. ზ.

გან დამოუკიდებელი სავალი გზება, თავისი საკუთარი მოტივები, იდეური სამყარო და სახეების სიატემა. თავისი მოტივებით, იდეურ განწყობით და სახეების სისტემათაც კი ვაჟა-ფშაველას პოეზია მკვეთრად განსხვავდება და ზშირად უპირისპირდება კიდევ ფშავ-ხევსურულ ხალხურ მოტივების მოტივებს, იდეებს, საერთოდ მსოფლშეგრძნებას და მსოფლმხედველობას, რომელსაც ზშირად ჩვენი კრატეა შეცდომით ვაჟა-ფშაველას შემოქმედების პირველწყაროდ სახავს.

იმ საკითხის განოსარკვევად, თუ რაოდენ განსხვავდება ვაჟას ინდივიდუალური შემოქმედება ფშავ-ხევსურულ პოეზიისაგან თავისი მოტივებით, იდეურ განწყობით და თვით სახეების სისტემითაც, საინტერესოა ცნობილი ქართველი ეთნოგრაფის ნ. ხიზანიშვილის აზრის მოტანა ამ ფშავ-ხევსურულ პოეზიაზე. ნ. ხიზანიშვილი თავის 1897 წელს დაბეჭდილ წერილში — „ხევსურულ პოეზიაზე“, წერს:

„ძველის ხევსურული პოეზიის უმთავრესი ხასიათი და მიმართულება ვაჟაკობის და გმირობის შესხმა და ქება-დიდებაა, მაგრამ ვაჟაკობაც და გმირობაც ხევსურს თავისებურად ესმის. მისთვის ყველა თანასწორი გმირია, ოღონდ კი კაცმა სიმამაცე გამოიჩინოს, ზირიმი და ფრანგული მარჯვედ მოიხმაროს. კიდევ ამიტომ, ხევსურის აზრით, განსხვავება არაა მეკობარსა და აი თუნდაც ასპინძის ველზედ მეომარ გმირს შორის, — ხევსური ორთავეს ერთგვარად დაჰმღერის, თანასწორად აქებს, აღიბეჭდს. მოგესვენებათ, მეკობრობა, რომელსაც ხევსური თავის სიმღერაში ველობასა და მზირობას უწოდებს, ცუდი ჩვეულება იყო და არის კიდევ“. ხიზანიშვილი აღნიშნავს, რომ ხევსური „მეკობარს“ იმავე ღირსებას და პატივს აკეთუნებს, „რომელიც უნდა ეკიროს ნამღვილს გმირს, სხვადასხვა მაღალ ზნეობრივის თვისებებით აღსაყვ ევაკაცს“, რომ თვით „წარსულმა ცხოვრებამ მეკობრობა ზელობად გარდაქმნა, ხალხის „იდეალად გარდაქცია“.

„ხევსურს მოაგონება არ ჰქონდა გარეშე მეკობრებისაგან, ზშირად ეს უკანასკნელნი მას მიწასთან ასწორებდნენ, ანადგურებდნენ“, რაც ქართველისათვის დაუსრულებელი და ბოლომოუღებელი ომი და ლაშქრობა იყო, ის ხევსურისათვის — მეკობრობა; მეკობრობდნენ ურჯულო მეზაზლები და უნდა ველობა და მზირობა ეწია ხევსურსაც; — რას იზავთ, როცა ხევსურულ სიმღერისა არ იყოს:

„ღილას ადგომა აღრიან,
ჭრილსა რკინასა სხმა უნდა,
ფეფთეუბოდა ქობაქი,
სოფელს სიმირგელიც ვლა უნდა,
სოფელს მოვიდას მოძალე,
სხვით ნამეტნავად ცდა უნდა.“

ღიად, მეკობრობა დედო-ძარღვია ხევსურული პოეზიისა. თითქმის ყველა სოფელში შეგიძლიანთ მოისმინოთ ატარებულე სიმღერები ამ მეკობრობაზე და, რააკვირებელია, უფრო დიდს პატივდებაში არიან ძველებური სიმღერანი, თუმცა აქა-იქ ახალს მეკობრობასაც დამღერიან. საევაკაციო, თუ გნებავთ, სამეკობრო სიმღერას თითქმის სრულიად დაუჩაგრავს სხვაგვარი სიმღერა, აი თუნდა საარშიყო მელექსეობა... მეტადრე ძველა დასის მომღერალნი სასტიკად ძრახვენ და ჰკიცხავენ სალალობო ლექსს...“ ისინი გულწაღვლიანად უკეთებენ ახალ მეფანდურებს, —

„კი ვმა ხმაღს ჩაბედას:
ნეტა გამიჭრის თუ არა...
ცუდა — ქალის ფარავსა,
ნეტა მამბებენ თუ არა“.



ქართული

თუ არ ვცდებით, ესე უნდა ითქვას ფშაურ სახალხო პოეზიის ერთ-ლიც თავის ფართო შინაარსით და ღირსებით დაშორებით მაღლა დგას ხევსურულზედ...¹ სწორედ შენიშნავს ჩვენი მკვლევარი, რომ „თვით წარსულმა ცხოვრებამ მეკობრთბა ხელობად გარდაქმნა, შთის ხალხთა „იდეალად“ გადააქცია, რომ ამ დაუსრულებელმა ურთერთ დალაშქვრამ, თარეშმა და ათხრებამ გამოიხმუშავა ის უფლებრივ-მორალური მსჯელობა, შეფასება უცხო ტომის, რჯულის, უცხო „მთის და წყლის“ ადამიანის მიმართ, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ასახრდებოდა ამ სამეკობრო ვაყვაცურ პოეზიას და რომელიც კიდევ უფრო აღრმაგებდა გათიშულობას, ფხობიერებას, აღვიებდა მეზობელ ტომების ურთერთ გადაშტერებას.

მაგრამ გეოგონულ-პატრიარქალური ურთიერთობანი, ან მისი გადაწამოების, განსაზღვრავენ ამ საზოგადოებრივ ფორმაციის ადამიანის რწმენა-წარმოდგენებს, არა მარტო უცხო მოდგმისა და რჯულის, უცხო ტომის ადამიანის მიმართ, — ისინი წარუშლელ დაღს ასვამენ ადამიანთა ურთიერთობას თვით ტომისა და გეარის შიგნით, განსაზღვრავენ გეოგონულ-პატრიარქალურ საზოგადოების ადამიანის იდეურ სამყაროს საერთოდ, მის გონებრივ პირიზონტს, მის მგრძობებლობას, მისი ფანტაზიის მიმართულებასაც კი. ეს გარემოება კი უშუალო გამოხატულებას პოეზიას იმ თქმულებებსა, ლეგენდებსა და ზღაპრებში, ფშაუ-ხევსურულ ხალხურ პოეზიიდან მომდინარე მასალაში, რომელიც მძლავრ ნაყადად იჭრებოდა ვაჟა-ფშაველას ინლივიდუალურ შემოქმედებაში.

მწერალი უკრტიკოდ, პასიურად არ იღებდა ხალხურ შემოქმედებებთან მომდინარე მასალას. ვაჟა-ფშაველას ფანტაზია შემოქმედების პროცესში ებრძოდა მას. მაგრამ ყოველთვის ერთსა და იმავე ეფექტს ვერ აღწევდა ამ ქიდილში. ბევრ რამეს იქედან პოეტი თავისებურად ამუშავებდა, თავისი „ფანტაზიის მანგანაში“ ატარებდა, თავისი „გრანობა-გონების“ საკუთრებად ხდიდა. ამრიგად გადამუშავებული მასალა საბოლოოდ წყდებოდა ფშაუ-ხევსურულ პოეზიის ქიბლარს, იგი ორგანულად შეერთებოდა ხოლმე ვაჟას შემოქმედების იდეურ და ემოციურ სამყაროს. ასეთი ნაწარმოებია „ალექსანდრე დიდისა“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გვგელის მკვლელი“ და მთელი რიგი ლირიკული ლექსებისა.

სხვა შემთხვევაში ვაჟა, როგორც თითონ ამბობს ზემოდ მოყვანილ წერილში, თუმცა ამუშავებდა, ლექსავდა, ახალაშინებდა, თრავავდა, ასევედებდა ხალხურ პოეზიიდან მომდინარე თქმულებებს, ლეგენდებს, ან ფშაუ-ხევსურულ ყოფაზე აგებულ რაიმე ამბავს, ვანაერცობდა ხოლმე ხალხში გაგონილ არაქს, შეჰყავდა მასში ახალი მოქმედი პირება და შეჰქონდა ეპიზოდები, — მაინც ისინი სიზიფას ლოდებივით თავივე მიგორავენ ფშაუ-

¹ ნ. ხიზანიშვილი: ეთნოგრაფიული ნაწარები, გვ. 113 — 115, იხ. მას. საქ. ეთნოგრაფიისათვის ტ. 2, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის გამოცემა.

ხევესურულ პოეზიის ხეგ-ხევეებში, საიდანაც იმათ დიდის ქაბანწყევტით ეზიდებოდა ეს პოეტი-გოლიათი.

ეს „ნაყლებად შემუშავებული“ ნაწარმოებები თავისი საერთო ტრნალობით, მოტივებით, მიუხედავად მწერლის მიერ მათზე განწყობისა მაინც ერთობ ახლოს უდგანან ფშავე-ხევესურულ სამეკობრო უკონსტანტო ლირიკის ნიმუშებს.

რით აიხსნება, რომ ვაჟას შემოქმედებაში ამ მაღალ იდეურ განწყობის მქონე პოემებისა და ლექსების გვერდით ნაწარმოებებს, რომლებიც თავიანთი მოტივებით და თვით მხატვრული სახეების სისტემით თითქოს ფშავე-ხევესურულ სამეკობრო პოეზიაზე არიან დანდობილნი? როგორი მიმართება არსებობს ვაჟა-ფშაველას მხატვრულ ნაწარმოებთა ამ ორ ჯგუფს შორის?

თუ ვაჟას შემოქმედებას ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, ასე წარმოვედგება, რომ ის სახეები, რომლებზედაც აგებულია ვაჟას პოემები, განსაკუთრებით კი ისეთი ღრმა იდეურ განწყობის მქონე პოემები, როგორცაა „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“ და „გველის მკამელი“ ეტიუდების სახით ახვადასხვა კუთხით და სხვადასხვა რაეურაით მოცემულია მთელ რიგ მის ლირიკულ და საგმირო ლექსებში და ამდენად ეს ლექსები ერთგვარ შესამზადებელ საფეხურს წარმოადგენენ შემოდ დაახლებულ პოემებისათვის.

და როგორც ქვემოთ დავინახავთ, „სტუმარ-მასპინძლის“ და „ალუდა ქეთელაურის“ გმირები განუზომელად მაღლდებიან ამ გვაროვან პატრიარქალურ წყობილობას ნიადაგზე აღმოცენებულ სამეკობრო პოეზიის განწყობილებებზე.

ამიტომაც უმართებულოდ გვეჩვენება ჩვენ არა თუ ქართული კრიტიკის ერთ ნაწილში იმთავითვე დამკვიდრებული ტენდენცია ვაჟა-ფშაველას და ფშავე-ხევესურულ ხალხურ პოეზიის გაიგივებისა, არამედ ამ ორი მოვლენის გადაჭარბებული დაახლოვებაც კი.

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ განსაზღვრავს ვაჟა მის მიერ ხალხურ თქმულებების მხატვრული გარდაქმნის, გადამუშავების პროცესს. ვაჟა თავის დამახაურებად სათელის მხოლოდ არაკის (ფაბულის) განვრცობას, მასში ახალი მოქმედა პირების და ეპიზოდების შეყვანას, ფაბულარულ ქარგის გამდიდრებას, გაუხვებას.

ზემოთ მოყვანილ წერილებში ვაჟა ეკამათება თავის კრატაკოსებს, ჩემს პოემებში მოცემული მხატვრული სახეების დიდა ნაწილი არ მომდინარეობენ ხალხურ თქმულებებიდან — ისინი ჩემი ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენენო.

მაგრამ მთავარი ის კი არ არის, მოცემულია თუ არა ვაჟას ქმნილებათა ესა თუ ის სახე, ან უფრო სწორად რომ ვსთქვათ, პირველსახე ხალხურ შემოქმედებაში, არამედ ის, თუ რა განვითარებას, ევოლუციას განიცდიან ხალხურ შემოქმედებიდან მომდინარე სახეები ვაჟას ანტივიდუალურ შემოქმედებაში, კერძოდ მის პოემებში, თუ როგორია ამ განვითარების, გარდაქმნის დინამიკა. ვაჟას პოემებში საინტერესოა სწორედ გმირების სულიერი მოძრაობა; მათი შინაგანი სამყაროს შეცვლა, მათი, ასე ვსთქვათ, ხელახალი დაბადება, რასაც ისინი სწორად ბარბაროსობის, გამხეცების უტყვრულიდან ჰუმანიზმის თვალისმომკრელ სიმაღლეებზე აყვას.

მხატვრულ სახის გარდაქმნის ეს გასაოცარი დინამიურობა განსაკუთრებით დამახასიათებელია ვაჟა-ფშაველას ორი პოემის — „ალუდა ქეთელაურის“ და „სტუმარ-მასპინძლისათვის“. ამიტომ ეს პოემები ჩვენი განხილვის ძირითად საგანს შეადგენენ ამჟამად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისათვის დამახასიათებელ მხატვრული სერის, მანერის გამოვლინება ყველაზე უფრო მოსახერხებელია განსახილველ ნაწარმოებთა მხატვრული ქსოვილის თანამიმდევრო გახსნით. ამიტომაც ჩვენ კვლავად მივყვებით ზემოდაღნიშნულ პოემების მდინარეებს. დავიწყით „ალუდა ქეთელაურით“:

ვაქას ამ შესანიშნავი პოემის დასაწყისი ერთობ სადა და უბრალოა. პოემის კითხვას რომ შეუდგებით, ასე წარმოვიდგებათ, თითქოს სადმე ხატობაში ზართ და ფანდურის სიმების ელარუნი ინთქება ლუღ-არყით შებრუნებულ ხეცსურთა ღრიანცელში:

„შაენე მოუდა შატოლსა:
ქისტებშია შაგვეცხ ზიანა,
დავეწიოკვა მწყემსები,
იგნია, იგი ზნიანი“.

დასაწყისი აქ ისევე „ბოში“, მოშვებულია, როგორც „გველის მჭამელის“ პირველი ტაეპი:

„სასტუმროს იყენე ხეცსური,
ლუღი ეღულა წიქასა,
ისხლენ ბანზე და ღრეობდენ,
თასებით ჰგავდენ იმას“.

აბა რა რითმაა „წიქასა“ და „იმასა“, საერთოდ, რა ნიაღვარის მოტანილ ზერგივითაა მიყრილი ერთმანეთზე სტრიქონები ამ პოემის დასაწყისში! თითქოს აქაც, ისევე როგორც „ალუდა ქეთელაურში“, კოჭყურიდან ამოვარდნილ კარებით შეჰყავებართ ავტორს პოემის დიდებულ დარბაზში. მაგრამ დიდ პოეტს შეუძლია ასე უღარდელი იყოს დასაწყისისადმი, როდესაც ლაღი და მთავარი, არსებითი მას წინ უდევს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ვაჟას დიდხანს არ უმტერებია თავი ამ დასაწყისზე, დიდხანს არ უძებნია იგი. შეიძლება პირველი, შემოხვევით ხელს მოყოლილი დასაწყისი აიღო, ან მართლაც პირიდან გამოსტაცა „ხატობაზე“ ვინმე გადამთვრალ ჭეფანდურეს. დაბეჯითებით შეაძლება ითქვას, რომ თუ ვი ეძებნა, მთენილომებინა, ათასა და ათი ათას უფრო ძლიერსა და ექსპრესიულს, ხატოვანს და პარმონიულს შეჰქმნიდა თითონ, ან იპოვნიდა თვით ქართულსა და კერძოდ მთის ხალხთა ფოლკლორშიც. აქ პირველ ტაეპში მოცემული შემთხვევაც მთიულ ხალხთა ყოფისათვის ყოველდღიური, შაბლონური და გაჟა არ ცდილობს ამ ყოველდღიურ ამბას ვადმოცემაშიც შაბლონის ფარგლებიდან გამოვიდეს.

ვაჟა იმ პოეტთა რიცხვს ქუთენის, რომელთაც არ უყვართ მხატვრულ რესურსების, პოეტურ ტყვიან-წამლის ტყუილ-უბრალოდ ხარჯვა. (ვაჟა ხომ დიდ პოეტთან ერთად ჩინებელი მონადირეც იყო).

უდაღესი ეკონომია, დამზოგველობა ახასიათებს მის სტილს. შეუნელებელის დანამტრობით მიისწრაფვიან მისი პოემის სიუჟეტები მთავარსა

და ძირითადისავენ. განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ მხრივ „ჩვეულებრივი“. მაგრამ მიუხედავად თვით პოემის მდინარეობის, ხმ, თორქოს შემთხვევით ხელწამოკრულ ტაგების უკანასკნელი სტრიქონი „განეცხვი ზნიანი“ უკვე ხსნის იმ გარდუეალ უფსკრულს, რომელიც აშუქავს მთელ პოემას. ამ სტრიქონებში, როგორც ლექსში, ლექსის ის ურთიერთობების, მტრობის ნაკვერცხალი, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე აღვივებდნენ კავკასიის მთის კალთებზე მცხოვრებ ხალხთა შორის გაბატონებული ფენები. მაინც საგანა აქ გულმოდურად და დარწმუნებით წარმოთქმულ ამ სამ სატყუარა „ავნია, ავი ზნიანი“ თითქოს გაქვავებული სახით არის მოცემული ის მსჯელობა-შეფასება, რომელიც საუკუნეთა მანძილზე თითქმის ამ ხალხებს ურთიერთსაგან. ქართველმა „ზიანი მსცეს“ შატლიონებს, ააწიოკეს ზვესურნი მწყემსები და რაი მერე, რა გასაკვირია! განა შეიძლება კაცო მათგან რაიმე კეთილს მოელოდეს? „განა ნაზარეთიდან შეიძლება რაიმე კეთილი მოვიდეს?“

ვინც „ღვთის შვილი“, „მონათლული“, „გულდანის ჯგერის ყმა“ არ არის, ვინც სხვა მთის და წყლის, სხვა ტომის და რჯულის ადამიანია, იგი კაცობრივებაში არ ურევია, იგი დასაინებელი არ არის და რა ვინდარა საშინელება არ დაატეხოს მას თავზე კაცმა, ყოველივე წინასწარ კამართლებულია. შესაძლებელია ფსიქოლოგიური ატმოსფერო ამ მეზობელ ხალხთა ურთიერთობისა აქ პოეტურად დამუქებულია, მაგრამ ამ ურთიერთობის არსებითი ელემენტები უსააუოდ არის მოცემული გვაროვნულ-პატრიარქალურ საზოგადოების ადამიანის მსოფლმხედველობასა და მსოფლშეგრძნებაში.

თი რას სწერს ამის შესახებ ფ. ვნგელსი თავის ცნობილ ნაშრომში: „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“:

„ტომი ადამიანის ზღუდეს ჰქმნიდა, როგორც უცხო ტომის ადამიანისა, ისე შინივე საკუთარი თავის წინააღმდეგ. ტომი, გვარი და მათი დაწესებულებანი წმინდადა ხელუხლებელი იყვნენ, ბუნების მიერ მოცემულ ძალას წარმოადგენდნენ, რომელსაც პიროვნება აუცილებლად ემორჩილებოდა მგრძობიერობასა, აზროვნებასა და მოქმედებაში“. და იქვე, ცოტა უფრო ზემოდ, ვკითხულობთ: „რაც ტომის გარეშე რჩებოდა, იგი უფლებო იყო. სადაც გარკვეული ხელშეკრულება არ იყო დადებული, ტომებს შორის ომი ჩადებოდა, ზოლო ომი იმ სისასტიკით წარმოებდა, რაც ადამიანს სხვა ცხოველებსაგან ანსხვავებს და რასაც შემდეგ ინტერესთა შეგნება არბოლებს“. (გვ. 99)“.

ვაჟას პოემის მოქმედების ფსიქოლოგიურ ფონის მომხაზველ, სადა, თითქმის უბრალო სტრიქონებს მოსდევს მთავარი გმირის ექსპოზიციო, ესეც ერთობ ძუნწი და ბერის არამთქმელი.

ისე, როგორც პოემას შესავალში ვაჟა ერთს ტაგში ჰკვითს და ჰბურღავს საუკუნეებით დანაშრევებ ყოფა-ცხოვრებით მასივს, თვალწინ გვიყვანებს იმ სამყაროს, რომელშიაც იშლება მოქმედება. ისევე მომდევნო რამოდენიმე სტრიქონში მწერალი იძლევა მთავარი გმირის პორტრეტს. ყალმის

1) ფ. ვნგელსი — „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“, ტფილისი, სახელგამი, 1938 წ.

რამდენიმე, თითქოს უზრუნველი და უდარდელი, შეიძლება ითქვას, უპრეტენზიო მოსმა, რამდენიმე ძუნწი შტრიხი, და მკითხველის თვალწინ ამოიზრდება ვაკუაცი ხევსურის, ალუდა ქეთელაურის სახე.

რას გვამცნობს მწერალი ალუდას შესახებ? მწერალს ^{მწერალს} ~~მწერალს~~ მას პოემის შესავალ ატროფში მოხაზულ სინამდვილიდან.

ალუდა ქეთელაური ერთ-ერთი რიგითი ხევსურია. იგი შექმნილი, „დავლათიანი“ კაცია: „საფიხვნოს თავში დაჯდებრს, სიტყვა მაუდის გზიანი“. მწერალი ალუდას ბიოგრაფიულ წიადსღერს არ მიჰმართავს და ეს მიგვებით ნათქვამი ორიოდ ფრაზა — დახასიათება ჯერ-ჯერობით არაფერს აკისრებს ავტორს. ალუდა ქეთელაურის სისხლი სისხლთაგანი, ხორცი ხორცთაგანია იმ გვაროვნულ-პატრიარქალურ სამყაროში, რომლისთვისაც ყველა სხვა მთის და წყლის, სხვა პოდგმის და რჯულის კაცი „ავნია, ავიზნიანი“ და ალუდას მთავარი თვისება და ღირსება, მისი, მთავარი დახასიათება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ავ და ავნიანათ მიჩნეულ „ურჯულს“ ქრისტ-ლექების დაუძინებელი მტერია. თუ ალუდას რაიმე კვალი დაუნეგია ცხოვრებაში, ეს იმით, რომ მან:

„ბევრ ქიატს დაჰკრა მარჯვენა, სცადა ფრანგული ფხიანი“. ეს „ცლა“ — საქმენი საგმირონი, ქრისტ-ლექებისთვის დაჰკრილ მარჯვენათა რიცხვი, ჰქმნიას ალუდას ნამდვილ პორტრეტს, შარავანდებს პფენს ალუდას სახეს ივესტომთა თვალში. და ნერე რატომ ძუნწობს მწერალი ასე პოემის მთავარი გმირის პორტრეტის მოხაზვისას? რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ მას ფერები აკლია გმირის ინდივიდუალურ შტრიხებით მოხაზვისათვის. საქმე იმაშია, რომ პოემის დასაწყისში ვაფა განზრახ გვიხატავს გმირის მისი აზროვნების, შეგნების და განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც იგი თითქმის მთლიანად გათქვეფილია იმ სინამდვილეში, რომელშიდაც იშლება მისი ცხოვრების დრამა.

მწერალი ამ პოემაში, ისე როგორც „სტუმარ-მასპინძელში“, თავის ვარაუდს ამყარებს უმთავრესად მხატვრული სახის დინამიკაზე, იმ ვეფხისებურ ნახტომზე, რომელსაც აკეთებს გმირის შეგნება ბარბაროსობის უფსკრულიდან პუმანიზმის თვალთანამოქრელ სემსლეებაში.

ამ კონტრასტზე, ბნელისა და ნათლის თამაშზე ამყარებს მწერალი თავის ვარაუდს და ამიტომაც ადგია „ჯილად“ თავზე სახულდახელოდ გაბლანდულ შესავალს ვითომ და ავტორისეული სენტენცია: „ცუდას რად უნდა მტრობა, კარგია მუდამ მტრიანი“.

მწერალი მოჩვენებითად იგუება უკლმართ ისტორიულ სეგბედით გათიშულ, გადამტარებულ მომარჯნე ხალხთა ყოფა-ცხოვრებაში გამომტყვებულ შეხედულებას, რომ შური და მტრობა კარგია, გამოინებულთა ზედღრია, ამა „ცუდას რად უნდა მტრობა“

ავტორი პოემის დასაწყისში თითქოს შერიგებულია ამ მუზობელ ხალხთა შორას გამეფებულ შტლსა და მტრობაზე აღმოცენებულ სულეერ ატმოსფეროსთან. მაგრამ სინამდვილეში ეს მხოლოდ პოეტური ხერხია, იმისთვის მომარჯვებული, რომ მკითხველს გაუოილოს იმ სულეერ ატმოსფეროში შესვლა, რომელშიდაც იშლება ალუდა ქეთელაურის დრამა.

ქრისტეს წაქსამ ცხენში, ალუდასიც ფიანი“.

ივლ ნადავლით ფრთაშესხმული მეკობრეები შინისკენ მიემუქებინა:

„გუმან აჭე, გადააელიონ,
არზობის თავი მთიანი,
გადაბერტყინონ ნალითა,
ჭეზი მთებისა ცერიანი“.



და მათ ბედურების ნალღებით ჩამოშლილ კლდის ნარღვევებით მოედინე-
ბა ზოგჯერ ერთმანეთთან დაუკავშირებელი, შიგადაშიგ უდარდელად მი-
ყრილი, მერტ ნაწილად ხალხურ პოეზიის ქარგაზე აქრილი სტრიქონები:

„ეს რომ აღუდამ გაიგო,*)
თოფს დაუპირა ტალიო;
აისბა იარაღები,
გააფხავიდის ზშალიო,
გაუშინჯიდის ეიდანო,
ზმალს არ მათუყდის ტარიო“.

მწერალი ჯერ-ჯერობით ხალხურ სიტყვიერების ინერციაზეა დანდობი-
ლი. იქმნება სტროფიკული ხერგილები და ჩიხები, ასე გასაჩვენებელი ზოგიერთ
სტრიქონების უმეტესწილად გადასმ-გადმოსმაც კი შეიძლება,² მხოლოდ
აქა-აქ იელეებს ვაჟას თვალი და მაშინ დიდი ოსტატი ყალმის ერთი მოს-
მით თვალწინ გვიყენებს მთის თვალწარმტაც პეიზაჟს:

„ციხკრის ზანია, მტერს მისდევს
კლდის შევარდენი ჩქარიო
გათენებისას ჭიხში
შურთობა დარეკა ზარო,
ძალღებს კი სინაფთ თოვზე,
ჯერ არ ვაშლილა ცხვარიო“.

მაგრამ თვალწარმტაც პეიზაჟის დახატვის ცოტუნებაც ვერ ანელებს
პოემის მდინარებას. ფრთა-მალ კლდის შევარდენივით მაისწრაფვის წინ
აღუდა. თითქოს „გამმარჯველ“ ამოსდგომია მწერალი გვერდში რისხვით
ატიანილ თავის გმირს. მწერალიც თითქოს მღვერის პათოსს აუტანია. პოე-
მის მორავის გამოხვევა, სიუჟეტის გაშლა ჯერ თითქოს არც კი დაწყებუ-
ლა და ჩვენ უკვე უუაზლოვდებით მის საკულმინაციო პუნქტს, სადაც შემ-
შართველ ვაჟაკისაგან ნამდვილი გმირი და ადამიანი იზადება. გასაოცე-
რი, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, მსოფლიო ლიტერატურისათვისა
უმაგალითო დინამიკობით მთასწრაფვის ვაჟა-ფშაველა ამ საზენიტო
პუნქტისაკენ და ამიტომაც ზოგჯერ ასე უდარდელად ეპყრობა იგი ამ
საზენიტო მომენტთან მიმყვას პასაჟების დახვეწა-გასაღაშინების საქმეს.
ამიტომ არ აწყევს პოეტი დიდ ყურადღებას ლექსის დახვეწას, რითმის
შერჩევას. იგი დაუდგრომლად მიაქანებს მკათხველს ტრადიციულ კონფლიქ-
ტისაკენ, სადაც თითქოს მიქელ ანჯელოს საქვეთ ჭვეშ გამოქანდაკდება მა-
ლალ პუმანისტურ იდეალებს ზიარებელი სახე პოემის გმირისა, და მკით-
ხველს არც უხდება დიდხანს ლოდინი. ამ საკულმინაციო მომენტს ვალწევთ
მაშინვე, როგორც კი დაიწევა აღუდა მოთარეშე ქისტებს.

*) უნებურად გავიწყდათ „ეს რომ ზაალმა გაიგო“ — ირსენას ლექსიდან.
2) რასაკვირველია, ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ ეს ნაკულმინებაც ხალხურ პოე-
ზიიდან მომდინარეობს.

და აქ ჩვენ თვალწინ იშლება ერთ-ერთთან გადამტერებულ მებრძოლ ხალხთა ყოფა-ცხოვრებისათვის აგრე რიგ დამახასიათებელი სახსლიანი დრამა:

„მალე წავიდო აღუდამ
ქისტების ნავალს თვლიო.
მარჯვედვე გადაეწია,
თოუმა შოილო ჩხამია:
ერთს ქურდ-ქანტალას დილღველს
ცუდი დაუდგა წამიო“.

ერეკლესელი
გიგლაჩიშვილი

აქ კვლავ იელვებს ვაჟას პლასტიური ხედვა და ჩვენს თვალწინ დგება სკულპტურულად გამოძერწილი, სავნობრივად ხელახები სახე აღუდას ტყვიით განგმირული ქისტისა:

„გადავარდება ცხენზეო,
ყელ-თავზევე ეკიდებისა;
ნატყვიარი სჭირს ბეჭის თავს,
ზუდ ცაცხლო ებედებისა“.

იმდენად ექსპრესიულია ეს ოთხი სტრიქონი, იმდენად მჭაფრადია შათში განცდილი სიკვდილის წრისხანე ძალაც, რომ თქვენ ილუზია გექმნებათ, თითქოს აქ ვაჟა ოდესღაც მომხდარ ამბავს კი არ აღწერს, არამედ ყველაფერი ეს თქვენს თვალწინ ხდება იმ მომენტში, როცა ამ ტაეპს კითხულობთ. ისე თვალშეუწრობლად სცვლიან აქ ერთმანეთს მოქმედების მომენტები, რომ ვერ ვავიგიათ, აღუდას ტყვიით განგმირული მტრის „ცხენზეით“ გადავარდნა და „ყელ-თავზევე დაკიდება“ ერთი-მეორის მომდევნო თუ სინქრონული მოვლენებია. ესოდენის შემზარაობითაა მოცემული აქ რაღაც ოთხიოდ სტრიქონში ამ უსახელო სიკვდილის განცდა, რომ გგონიათ, თითქოს უკვე მიაღწიეთ სისხლიან დრამის საკულმინაციო პუნქტს, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებაა. როგორც დიდ მხატვარს, ვაჟას არ შეეძლო გვერდა აეგლო ჩვეთ მოვლენისათვის, როგორცაა თუნდაც უსახელო და უცნობი პერსონაჟის დაღუპვა.

როგორც დიდი ხელოვანი, ვაჟა ვერ გააიოლებდა სიკვდილის თუნდაც გმიზოლურ სცენის მოცემის ამოცანას:

„ძელია თუ კი ვიფიქრებო,
სიკვდილ-სიკოცხლის წუთებო“.

შეგობს ვაჟა „გველის მკამელის“ მიწურულში. მაგრამ ტყვიით განგმირულ, „ცხენზეით გადავარდნილ“, „ყელ-თავზევე დაკიდებულ“ ქისტას სანახაობა არა თუ არ არღვევს აღუდას სულიერ წონასწორობას, იგი ერთ ძარღვსაც არ აატოკებს მის სახეზე. იგი საფეხებით გულდამშვიდებით გაასტუმრებს „სულეთში“ მუცალის ძმას და, თუ ვიგულისხმებთ, რომ რაიმე ფიქრი გააუღლებს რისხვით აბორეებულ მის გულში, ეს ალბათ იქნება ამ საუკუნოებით ნაზარდ შუღლითა და მტრობით ვათინულ ხალხთა ერთ-ერთობისათვის დამახასიათებელი სტერეოტიპული ფრაზა: „ძაღლს ძაღლურა სიკვდილი“.

და ვანა თუ იმიტომ ხედება აღუდა ასე გულგრილად ქისტის სიკვდილს, რომ მოთარეშებ მას „ცხენი“ წაუსხა. ყველა სხვა პირობებშიაც მას სიხა-

რულის და ზეიმის ყიყინა აღმოხდებოდა გულიდან. ურჯულო, სხვა „მთის და წყლის“ კაცის მოკვლა მის სახელს შხრლოდ შარავანდებს შერბობდა.

მწერალიც თითქოს ყურს იყრუებს სისხლიან დრამის ამ დასაწყის მომენტისადმი და მოთარეშე ქისტის ავბედითობას თითქოს გვეჩვენებს მის მიმართ ნაბმარი, ამ გათიშულ, გადაბტერებულ ხალხთა მშვილქებს; ურთიერთ შეფასებაზე დანდობილი აათრეველი ეპიტეტი:

„ერთს ქურდს“ კანტლან ღიღღველს,
ცუდი დაბდგა წამი“.

მუცალის ძმის სიკვდილმა არაეითარი კვალი არ დასტოვა აღუდას შეგნებაში, ასე გასინჯეთ მკითხველისათვისაც შეუძნეველად ჩააჩრა ამ ეპიზოდმა, იტყვი აეტორს მსურს მკითხველს გამოაბარო ეს მომენტი, რომ ნაადრევად არ გაამძაფროს და არ გადატვირთოს მისი ყურადღება.

„ამხანაჯ მოკლულ ღიღღველის“, რომელიც ვერ შეაერთო თანამოლაშქრის დაღუბვამ —

„ჩახმახსა ეზიდებისა“.

აქ პოემის მდინარებაში თითქოს წუთიერი პაუზა დგება, ჩახმახის მოზიდვას, რომელიც მშვილდის მოზიდვის ასოციაციას იწვევს, პოემის მდინარება მტკუნავ, გაჭიმულ ტემპზე გადაჰყავს, რაღაც თვალზედრთი მყუდროება ვარდება, იტყვი მძიმე ღრუბლები ჩამოწვავო, მაგრამ მკითხველი შეუცდომლად გრძნობს, რომ ეს საბედისწერო ქარიშხლის წინამორბედი მყუდროებაა, რომ იწყება პოემის ყველაზე უფრო დაჭიმული, დაძაბული მომენტი, მზადდება პოემის საკვანძო, კატასტროფიული შეჯახება.

იწყება აღუდას და მუცალის ორთაბრძოლა.

შათლოო ლიტერატურის ისტორია იცნობს ბატალურ ეპოსის ასობით შესანიშნავ ოსტატს. მაგრამ ამ, სულ რაღაც ორმოცდა თოთხმეტ სტროქონის მანძილზე ვაშლილ ეპიზოდით ვაჟამ გვეჩვენა, რომ ბრძოლას, შეჯახების სიმძაფრის, სიმწვავის და თვით გრანდიოზულობის გადმოსაცემათ სრულიად არ არის საჭირო, რომ მწერალმა მთა მთაა შეაღწეოს, ურიცხვი ლაშქარი ერთმანეთს შეაჯახოს, რომ ბატალურ სცენის სიმძაფრე არა მის შინაწალათა რიცხვზე, მათ საქურველზე ან მასში გამოყენებულ ბრძოლის ილეთებზეა დამოკიდებული, არამედ იმ ყოვლის მომსვრელ რისხვაზე და გაბორბტებაზე, იმ კვეთების ძალაზე, რომლითაც შეებშიან, ერკინებიან ერთმანეთს მოპირდაპირნი. ვაჟას ამ პოემაში ერთობ უბირია, როგორც მორკინალთა აღქურვილობა, ისე ბრძოლის ტაქტიკა და სტრატეგია. კაციან თოფებით შეიარაღებულნი¹⁾ კლდის კალთას მოფარებულნი (არც თუ დისპოზიციაა ეგრერიგ გმირული, ვაეკაცური) ახლიან მოთარეშე ქისტი და მღვეარი ხვესტური ერთმანეთს ტყვიებს და თანაც თავიანთ „მაყრების“ გრიალზე დიალოგი შეუწყვიათ.

მაგრამ მიუხედავად მასში გამოყენებულ, თანამედროვე ენით რომ ვსაქვავთ, საბრძოლო ტექნიკის, საბრძოლო ხელოვნების პრიმიტიულობისა, ეს დღეული და მისი თანმდევნი სასიკვდილისპირთ პაექრობა თავისი სიმძაფრით, დაძაბულობით, მასში ჩაქსოვილ ადამიანურ და ასე გასინჯეთ ქვეადმიანურ განცდებით, მის მაერ შექმნილ თავზარდამცემ შთაბეჭდილებით, ტოლს არ დაუგდებს ისეთ ბატალურ სცენებს, როგორიცაა ფენზარდმ აქილესის მიერ ჰექტორის დევნა ტროას ციხე-გალაენის გარშემო.

¹⁾ იხ. პოემის დასაწყისი: „ეს რომ აღუდამ გაბგო, თოფს დატვირა ტალიო“.

„გამსატყვრა მეცალის თოფი, —
კლდის პირი დაიშლებოდა,
ნამოძი ტყვიის აღუდას
კალთაში ჩავშლებოდა“.



ქართული

„აღუდა და მეცალი სასაკედილო ტყვიებს ხძღვნიათ თვე-
თველი მათგანი თავის ნასროლს საკუთარ სულს თან ატანს.“

— არა გჭირსა, რჯულ-ძაღლო... —
მეცალი ეტბნებოდა.

„აღუდა მეცალისთვის ისევე „უცხო მთის და წყლის“ ადამიანია, ისევე უღეთი და ძაღლთა-პირაა, ისევე აღვილად გასაწირია სასაკედილოდ, როგორც მეცალი აღუდასთვის. ორივე მოპირდაპირის შეგნება შებოჭვილია გვართუნელ-პატრიარქალურ საზოგადოების ადამიანისთვის დამახასიათებელ რწმენა-წარმოდგენებით. აღუდასაც ძეალსა და რბილში აქვს გამჯდარი რწმენა, რომ ის „ჩჩეული“ ხალხის შვილია, რომ ის გუდანის ჯერის ყმაა, რომ გუდანის ხატი მას დაიფარავს ურჯულოს ტყვიისაგან; ხელს მოუშრათავს თავის ყმას რჯულ-ძაღლი მტრის ძღვევაში. (აქ შეითხველს უნებურად წარმოუდგება ანალოგია ანტიურ ებოსია გმირებთან, რომელთაც ბრძოლაში ოლიმპის ესა თუ ის მობინადრე ათინა, ამოლონა, ან თვით ძევესი რომ შეფარველომს და ექომაგება.)

გუდანის ჯვარმა თითქოს მართლაც ააცდინა თავის ყმას მტრის პირველი ნასროლი და სიკვდილის ბრქვალებიდან დამხსლტარ აღუდას შეკრდოდან აღმობდება მეცალის გამაღებუნებელი და გამაწბილებელი სახეიმო ყიყინა:

„ნუ გკონავ, მჭირდეს რჯულ-ძაღლო,
ყმასა გუდანის ჯერისასა“.

და საპასუხო

„ხმა აღუდაის თოფისა
მიქასა ჰგვინდა ცისასა“.

ამ ჰიპერბოლაში ვაჟა უსათუოდ ხალხურ პოეზიის სახეებზეა დანდობილი:

„ერთი რომ ვადმომიჭირა,
რისხვასა ჰგვინდა ცისასა“.

(ხალხური ლექსი „შემომეყარა ყიყინალი“), მაგრამ ეს ჰიპერბოლა დამარწმუნებლად ეღერს, ვინაიდან როგორც ზემოდ ვთქვით, მსროლელი ნასროლს მთელ თავის სულს თითქოს თან ატანს.

აქ მოშუღართა ვახელება უმაღლეს წერტილს აღწევს. ისინი უკვე ჰყარგავენ ადამიანობის ყოველგვარ ნიშან-წყალს. შეითხველს ენგენება, რომ მის წ-ნაშე ორი ადამიანი კი არაა, ორი, სისხლის სუნით აღგზნებულა ავაზაა, რომელთა გულში წაშლილია ყოველგვარი გრძნობა დანდობის და შებრალების, რომელთაც მხოლოდ ერთი მიზანი აუღლდგმულებს: ყელში სწვდეს, მზე დაუბნელოს თავის მოპირდაპირეს. მოშუღართა გამხეცება ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით მათი „დილოვის“ გარეგან ხმოვანება-

ში, ასე ესთქვათ ფონეტიკაშიც პოელობს თავის გამოხატულებაში.

— არ მოგზედაუა, რჯელ-ძაღლო, —
ისევე ეძახის იმასა“.



ეს „არ მოგზედაუა“, განსაკუთრებით ეს დაგრეხილი დაბოლოვება ზმნი-სა აუა სისხლით ლაშებ შეღებულ მხეცის ღმუჯილს, ბრღლენვას უფრო ჰგავს, ვიდრე ადამიანის ბაგეთაგან მოწყვეტილ დაწვეურებულ სიტყვას.

აქ კაცს უნებურად აგონდება ლერმონტოვის მწიარის წებმა ავაზასთან, როცა ბრძოლის ენათ გამხეცებულ მწიარს გულმკერდიდან ნამდვილი მხე-ცური ღმუჯილი აღმოხდება:

„Я пламенел, визжал как он;
Как будто я сам был рожден
В семестве барсов и волков
Под свежим пологом лесов,
Казалось, что слова людей
Забыл я—и в груди моей
Родился тот ужасный крик,
Как будто с детства мой язык
К иному звуку не привык...“

ცრადიკულად რომ წარმოვიდგინოთ პოემის სიუჟეტის განვითარება, ჩვენ დავინახავთ, რომ ჯერ-ჯერობით ვაეა თვალშეუსწრობის დინამიურობით შიქანებს თავის გმირებს თავ-ქვე, უკიდურესი გამხეცების უფსკრულისა-კენ. მეზობელ ხალხთა გათიშულობის, გადამტერების ატმოსფერო, რაც პოემის შესავალში თხრობით-სტატიკურ პლანში იყო მოცემული (სცუ-დას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“, მეზობელ-მომტრო ტო-მის დაზასიათება: „აენია, აეი ზნიანნი“), აქ უფრო და უფრო მძაფრდება მნატერულ სახეების დინამიკაში.

ლოდებს მოუარებულ მოსისხართა ნასროლი ტყვიები უფრო და უფრო უახლოვდებიან მიზანს, მაგრამ ავტორი თითქოს განზრახ ახანგრძლივებს ამ სისხლიან დრამას, რომ უფრო სრულად გამოავლინოს მოშლართა ქვე-ადამიანური, მხეცური ინსტიქტები. მოპირდაპირეთა ნასროლი ხან გულოს, ხან თავის სიაბლოვეს „ნამტერევეს შაშლიან კლდისასა“ და მაშინ ერთმა-ნეთში ირევა გაწბილებული მსროლელის კბილთა ღრქენა და გადარჩენი-ლის საზეიმო ყიფინა:

„—ოჰო, ქედ გაუხერტია,
წვერებსა სტუსავს თმისასა.
— შალა დაგაცდა ბეჩეო
კენზას არა სჭირს ძელისასა“.

უფრო და უფრო ვარვარდება ატმოსფერო, რაღაც მხეცურის აღზნებით დაკედრებს მუცალი თავის ნასროლს. ისევე გაღურჩება აღუდა სასიკვდი-ლო „ნასრევს“ და იგი ნიშნის მოგებით გასძახის ნაადრევი სიხარულით ატანილ მოწინააღმდეგეს.

— არა სჭირს, არა, რჯულ-ძაღლო,
 ცმასა გულდინს ჯერისასა
 გამმარჯვედუ ჯეგრი დაჰვეების,
 ძალს შავედრებს ღეთისასა,
 ვულს არ ზედა, ნუ გეგონების,
 ამტერევედა წამლის ქისასა,
 რაკი სრევანზე მიდგება,
 ჯივრს არც მე შავკამ მტრისასა“.



და ბოლოს გლოვის ზაროვით ჩამოჰყარავს ალუდას უკანასკნელი გაბრალა. ტყვეამ მოსძებნა თავისი „სასაგნო“, როგორც იტყვის ბოლმე „ვის-რამიანია“ ქართული ვარიანტის ავტორი:

„შატილონის ნასროლი
 ქისტს უმტერავს გულის ფიცარსა“.

მაგრამ ალუდას შეგნებას ჯერ კიდევ მბუჩრავს შექელი ნისლი გვართუნულ-პატრიარქალურ წყობილების ადამიანის რწმენა-წარმოდგენებისა. იგი ჯერ კიდევ ბარბაროსულ განცდების, ინსტინქტების ტყვეობაში იმყოფება.

— არც ახლა გჭირსა, რჯულ-ძაღლო...

დასძახის გულ-განგმირულ მუცალს გამარჯვების სიხარულით გადამთრალია შატილონი.

— გულში მჭირს, გულში, რჯულ-ძაღლო,
 ვამ, ცდასა მუცალისასა
 მამც ხომ მამიკალ, მეც მამიკალ,
 რა ვუთხრა მადლა ღეთისასა“.

გულ-ჩაწყვეტილად მოსძახის ბედ-უწყულმართი მუცალი. და შეიძლება სწორედ სიკვდილის „სულის ამოსვლის მომენტში“ უფრო მკვეთრად, თვალსაჩინოვ ამტყველებს ქისტს, რომ იგი სწორუბოგარი ვაჟკაცია. მან იცის, რომ განწირულია, ამაზე მტრყველებს მისი შეძახილი: „გულში მჭირს, გულში, რჯულ-ძაღლო, ვამ ცდასა მუცალისასა“. იგა თავს არ იტყუილებს, ილუზიებს არ ეძლევა, მაგრამ სულთმობრძეც არ ტყდება, ვაჟკაცურ იერს არ ჰკარგავს: „უფერს არა ჰკარგავს მგლისასა“. იგი ახლა ორ მოპირდაპირეს ერკინება: ალუდას და სიკვდილის აჩრდილს, უკანასკნელ ძალებს იჭრებს, ცდილობს გაახანგრძლივოს „სულის ამოსვლის“ წამი, სასოწარკვეთილ ღონესა ხმარობს:

„მაჰლავს, დაიფვეს წელღლშია
 მწვენს ბალახსა მთისასა“.

თუ მთლანად მოვაგლებთ თვალს ვაჟას შემოქმედებას, ასე წარმოგვიდგება, რომ ის მოტივები, სახეები, რომლებზედაც აგებულია ვაჟას პოემა-ბი (განსაკუთრებით კი ისეთი, ღრმა იდეურ განწყობის მქონე პოემები, როგორცაა „ალუდა ქეთელური“, „სტუმარ-მასპინძელი“ და „გველის მკამელი“) ეტიუდების სახით, სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა რაჟურსით, მოცემულია მთელ რიგ მის ლირიკულ და საგმირო ლექსებში, ეს ლექსება ერთგვარ შესაშადრებელ საფეხურებს წარმოადგენენ ამ პოემა-ბიასთვის.

კერძოდ, ეს მოტივი, — სიკვდილთან შორკანეობა, სიკვდილის აჩრდილის წინაშე აბსოლუტური წარბეზუხრელობა, შეუღრცეელობა, როგორც ვაჟ-

კაცობის ზღვრის გამოხატულება, გვხვდება არა მარტო ვაჟას პოემებში „ალუდა ქეთელური“ და „სტუმარი-მასპინძელი“, არამედ მთელი რიგ მას საგმირო ლექსებში. განსაკუთრებით მკვეთრად არის იგი მოცემული ლექსში „სიკვდილი გმირისა“.

ქართულში

მომაკვდავ მუცალის ბინდ-გადაკრული ცნობიერებას, მისი სიკვდილით ვერ გაიწმინდა ადამიანთა ტომობრივ განკერძოების, სხვადასხვა მოდგმის ხალხთა შეურიგებელ განზოლოების შეგნებისაგან, თუნც ალუდა მისი წარმოდგენით ისევე უღვთო, „რჯულ-ძაღლთა“ მოდგმას ეკუთვნის, მაგრამ მუცალმა მაინც მას გადაულოცა თავისი იარაღი და ამდენად თავისი ამქვეყნიური ვაჟაკობა. ამით მან საშუალება წაართვა ალუდას გამარჯვების სიხარულით დამტკბარიყო. აქ „სულეთის“ გზაზე დამღვარ მუცალსა და ალუდას შორის თითქოს იბმება რაღაც დამაკავშირებელი ძაფები, ერთპანეთთან გადამტერებულ მუხობელ ხალხთა შორის გათხრილ უფაკრულზე იდება ერთგვარი ხიდი და ამ სულიერ ამაღლების, აღორძინების შემდეგ მუცალი მოსწყდა:

„სიტყვა ვაჟრა პირზედა,
დაბლა გაერთხა მიწასა“..

ასე ვაჟაკურად ედგება მუცალი. მისი ვაჟაკური საკვდილი, მისი ქვევა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში, შემთხვევითად, თავზარდამცემ მთაბეჭდილებას ახდენს ალუდაზე, უდიდეს ძვრებს იწვევს მის შეგნებაში.

ის დაღი ზნეობრივი ძრწოლა, რომელსაც გადაიტანს ალუდა მუცალის ვაჟაკურ საკვდილის განცდის შედეგად, და რომელიც გამაყვითლებილებელ და ამაღორძინებელ ქარტახილად იჭრება გმირის სულში, ვეაგონება იმ სულიერ მოძრაობას, რომელსაც არისტოტელე თავის „პოეტიკაში“ კათარზისს უწოდებს და რომელიც მდგომარეობს სულს განწმენდაში, ან უკანასკნელის მიერ გადატანილ ძლიერი ძრწოლის შედეგად, რასაც არისტოტელე ტრაგედიის მთავარ ამოცანად სახავს.

იმ მხედარმა, რომელიც რამდენაზე წუთის წინ მხეცივით დმუოდა „არ მოგხვდეთა რჯულ-ძაღლო“, რომელიც თვითუღს თავის ნასროლს დაბვედრებდა, რომ მას მუცალის გული განეგმირა, ცრემლი გადმოღვარა.

მუდმივ ბრძოლებით, სისხლის ღვრით გაუხეშებულ ალუდას გულში აეტორმა მოსძებნა, ან უფრო სწორედ, აღმოაცენა ნაზი, ღირიული სიმებბ. ხევსური ალუდა თითონ უწევს პირასუფლობას მის მიერ მოკლულ „ურჯულო“ ქისტს.

იმ გარემოებას, რომ მუცალი აბსოლუტურ შეუღრეკელობას იჩენს სიკვდილის წინაშე, „სულის ამოსვლის“ წინაც მთელ სულიერ და ფიზიკურ ძალებს სკიმიავს და გული ისევე „ცდისკენ“, საგმირო საქმისაკენ მიუწევს, ალუდა განიცდას, როგორც თავის მოპირდაპირის უდიდეს ზნეობრივ ძალას და როგორც თვალშეუღვამ რამ სილამაზესაც, რომლის მოგონება პოემის შემდგომ მდინარებაში მუდამ უდიდეს ძრწოლას იწვევს გმირის სულში. „Ничем не может владеть человек, пока он боится смерти. А кто не боится ее, тому принадлежит все“, ფიქრობს ლევ ტოლსტოის რომანის „ომის და მშვიდობის“ გმირი პიერ ბეზუხოვი, რომელმაც ასე ღრმად

განიცადა ლბრალო რუს ჯარისკაცთა უდიდესი ვაჟკაცობა, თავდადება, მათი ზნეობრივი ძალა მორთდინოს ბრძოლის დროს.¹⁾

აღუდამ იგრძნო, რომ ამ შეჯახების დროს მან მოსპო ეს დიდი ზნეობრივი ძალა და სულიერი სილამაზე, რაც მუცალმა აბსოლუტურად შექცევადობაში გამოამქლავნა. აქ ზნეობრივ, ეთიკურ განცდაში — სსსრკ-ის მოქმეტი იჭრება. ეს მფლავნდება აგრეთვე აღუდამ მიმართვაში ზევისბერ ბერდიასადმი, როცა აღუდა კურატს სწირავს მუცალის სულა:

„ვე საშვეწროა, ბერდიავ,
ძოდან მოკლულის ქისტისა,
მუცალს იტყუდენ სახელად,
მოუნათლავის შეილისა,
ვაჩადავ დამიწყალობნე,
გამიმეტებაე მისთენა,
როგორც უნდომლად მოკლულის
თავის ლამაზის ძმისთენა“.²⁾

აღუდა სცდალობს მუცალის ცხედარს შეუნარჩუნოს თუნდაც გარეგნულ სილამაზე და რითაც კი შეუძლია შეამკოს იგი:

„თავით დაუდვა ხანჯარი,
ზედ ეჭრა სპილოს ძვალით,
გულზე, ძეგლოგი დაადვა,
მელაქზე ფრანგული ხმალით“.

მის მიერ გამოვლილ სულიერ ძრწოლის და განწმენდის, კათარზისის შემდეგ აღუდას აღარ ძალუძს დემორჩილოს გვაროვნულ-პატრიარქალურ საზოგადოების ბარბაროსულ აისხლიან ადათის კარნახს, მას არ ძალუძს დაასახიჩროს, დაამახინჯოს მუცალის ცხედარი, მოსკრას მას მარჯვენა და საამაყოდ მიიტანოს იგი თავის „ქავის კარში“.

აქ ზენ უხედავთ, თუ რა შეყვსეულად არღვევს ავტორი საუკუნობით გადამტერებულ ტომთა შორის აღმართულ მოძულეობის, გათიშულობის გარდუეალ კედელს, რა უდიდეს ევოლუციას ახდენს იგი გმირის შეგნებაში. თუ ამდენხანს ურჯულო, უღვთო ქისტი მისთვის ყოველგვარ უფლებრივ მორალურ შეფასების, „ცოდება-ბრალის“ გარეშე იღვა, ახლა აღუდას გულს უდაჯავს მის მიერვე მოკლულ მუცალის სიბრაღელი. პირველად გაიფლავებს აღუდას გულში აზრი, რომ მუცალი არა თუ სწორტპოვარი ვაჟკაცია, რომ ცხოვრებულ მუცალს „რკინა სდებიყო გულადა“, არამედ მის შეგნებაში აღმოცენდება შეხედულება, რომ ურჯულო, მის მიერ მოკლული ქისტი „ღვთის შეილთა“, გუდანის ჯგრის ყმათა შენაწონი ადამიანია. და ეს შეხედულება თანდათან უართოვდება, დრშავდება, ვრცელდება მუცალის მთელ გვარზე, მოდგმაზე, ამდენხანს შეურიგებულ მტრად შანეულ ტომზე.

„კარგი გყოლია ვაშლით,
ღმერთმ გუდოვრძელის გვარით,
სიგრძივ დაბურა ნაბადი,
ზედ გადაადვა ფარიო“.

1) Л. в. Голстои—„Война и мир“, т. III—IV, გვ. 257, გამ. Academia; 1936.

2) ხაზგასმა ზენია. — ა. ჭ.

იქმნება სასტიკი კონფლიქტი ალუდას ძველ, გვიროვნულ-პატრიარქალურ წყობილების ნიადაგზე აღმოცენებულ რწმენა-წარმოდგენებასა და კაცთა ურთერთ გაგების და შეთვისების, პლანიზმის იმ ახალ გაგებას შორის, რომელიც გვიარის, ტომის ფარგლებს სცილდება და უცხო ^{საქართველოში} გადამტარებულ, აბსოლუტურად გათიშულ ტომთა ადამიანებზე უკეთესდება. კონფლიქტი იქმნება მთელ მას შინაგან სამყაროს და ახალ შეგნებას შორის, ვინაიდან მთელ მის შინაგან სამყაროში თითქმის არაფერია ისეთა, რაც გვიროვნულ პატრიარქალურ საზოგადოების წიაღიდან არ მომდინარეობდეს.

და ეს ძველი შინაგანი სამყარო იმსხვრევა.

სულთმოპოვებ მუცალის მიერ წასროლი ტყვია ანცდა ალუდას, მაგრამ მის მიერ სიკვდილის უკან გამომგლანებულ უღრეკ, „აბსოლუტურ“ ვაჟ-კაცობის განცდამ დაარღვია ალუდას მთელი სულიერა არსება, თითქოს შუა გაუპო მას გულმკერდი და ამ ტრილობიდან შეუწყვეტელ ნაკადად მოედინება წლობით დაგუბებულ, უცხო რჯულისა და მოდგმის ადამიანის წინააღმდეგ მიმართული მტრობის და სიძულვილის ბალაში და როგორც რატატი დოსტაევიჩი, მწერალი არ აჩქარის დამხურის ეა იარა, აცდის რომ მისი სული მოლიანად დაიკალოს. ძველი შინაარსისაგან, რომ მასში უფრო თავსუფლად დაისადგუროს ახალმა შეგნებამ, რომელიც ეს-ეს არის ღვივლება და იფურჩქნება. მწერალი არ ჰხურავს ალუდას სულში დაჩნეულ წყლულს, ვინაიდან ვაჟამ, ისევე როგორც სულის დიდმა დიალექტიკოსმა¹, ლევ ტოლსტოიმ, იცის რომ:

„Душевная рана, происходящая от разрыва духовного существа, как ни странно это кажется, понемногу закрывается точно также, как и рана физическая. И после того, как глубокая рана зажила и кажется сошедшей своими краями, рана душевная, как и физическая, заживает только изнутри выпирающей силой жизни“.²)

პოეტი თითქოს განგებ აარჯულებს ალუდას სულში დაჩნეულ ტრილობას და ტრადიციულ რეფრენციით ისმის გვიარის განცდების თანმდევნი თვალბედითი შავი ყორანის ყრანტალი. თითქოს ბუნებაც შესძრა მუცალის სიკვდილმა.

ალუდას სული იცლება ძველი შინაარსისაგან. იგი თითქმის სულეერ პროსტრაციის პირას დგას. ყველაფერი, რითაც მას თავი მოსწონდა, რაც შარავანდელათ ადგა ალუდას სახეა თვისტომთა თვალში, გაქარწყლდა, გაუფასურდა მის შეგნებაში:

„ესა მოდიოდა ვორი-ვორ,
არ ეწონება თავია,
პირს დასწოლია ნისლები,
გულით ნადენი, შავია“.

¹) ჩერნიშევსკის დახასიათება. — ა. ჭ.

²) Л. Толстой — „Война и мир“. т. III — IV. стр. 501. Из во Академии. 1936 г.

აღუდას სულში მომხდარ კათარზისის, მისი სულიერი შემოქმედების გამოსავალ მომენტად გახდა მუცალის საარაკო გმირული სიკვდილის განცდა; ამ მხატვრულ ხერხს მიმართავს ვაჟა როგორც „აღუდა მეთულაურში“, ისე „სტუმარ-მასპინძელში“.

მოვლენა, რომელმაც უნდა შესძრას ნაწარმოების გმირის შინაგანი სამყარო, დიდის ძალია უნდა იყოს. დიდის ძალს, რასაკვირველია, არა იმ მნიშვნელობით, რომ მან პათა და ბარი შესძრას. შეიძლება ეს დამკვიდრებული ფორმის დედამიწაზე დაეარდნა იყოს, მაგრამ ის უნდა ამჟღავნებდეს დიდ რამ პროცესს და ასედაც განიცდებოდეს გმირის მიერ, იგი ძრწოლის მომგვრელ, მთელი არსების შემძვრელის ძალით უნდა გახშიანდეს გმირის სულში: ასეთის ზემოქმედებით ძალის მინიჭება ერთის შეხედვით თუნდაც პატარა, უმნიშვნელო მოვლენისათვის თვით მწერლის მხატვრულ ძალაზე ჰქიდა და ვაჟას ძალუძს დიდი ძვრები, კატაკლიზმები გამოიწვიოს გმირის, და შესაბამისად მკითხველის, გულში — არა თუ სანამდელიღწევი მომხდარ ამბებით, არამედ გმირის მიერ თუნდაც აიზმარში განცდილითაც კა. ამის ბრწყინვალე მაგალითია ვაჟას ლექსი „გერეკლეს სიზმარი“.

გველას მკამელი მინდიასი არ იყოს, მუცალთან შეჯახების შედეგად აღუდას „ახალი სული ჩაედგა, ახალი ხორცი აისხა“.

აღუდას, მინდიას მსგავსად, არ შეუცვნია ცხოველთა, ფრინველთა, მცენარეთა — „უსულოთა და უსაყოთა“ ენა, მაგრამ მის შესახებაც შეიძლება ითქვას, რომ, „გულის ხედვა და თვალებას“, როგორც ბრძან და ყრუს, გაეხსნა. მან შეიგნო, რომ უცხო ტომის და მოდგმის ადამიანს, ხეცსურვილ გული უდევს მკერდში, რომ ისიც ადამიანია და შეიძლება ხეცსურისათვის მოსაწონი და სათაყვანო ადამიანი გახდეს. ამიტომაც მქადაგებლის პათოსით ფლერს აღუდას კილო:

„... ამ ვიტყვიო, კაცნი ჩენა ვარო,
 „... რთო ჩვენ გვზღიან დედანი;
 ჩენა ეცხონდებით, ურჯულოთ
 კლპრში მოელს ქმენანი
 ამის თქმით ეწარა-მარობთ,
 დეთიშვილთ ლკეთეს იციან
 ყველანი მართალ ამბობენ
 განა ვინაცა ჰფიციაან?..“

აქ აღუდა ვაბედულად ამსხვრევს ამ „შეზღუდულო“ ან ჯებარს, რომელსაც უკან ამოჰთარებია გვაროვნულ-პატრიარქალურ აზროვნების ტყვეობაში მყოფი ადამიანი.

აქთამამდე აღუდა უსიტყვოდ ექვემდებარებოდა გვაროვნულ-პატრიარქალურ აზროვნების ნიადაგზე აღმოცენებულ მსჯელობა-შეფასებას. მისი გული და აზრი ყრუ იყო საკუთარ, პიროვნულ შეფასებისადმი. იმ სულიერ ძრწოლის, განწმენდის, კათარზისის შემდეგ კი, რომელიც მან მუცალის ვაჟაკურ სიყვდილისას განიცადა, აღუდა დაბჭვდება ამ მსჯელობაში. („ყველანი მართალს ამბობენ განა ვინაცა ჰფიციაან?..“) ეს ტრადიციული, გვაროვნულ-პატრიარქალური საზოგადოების წიადში შემღშაგებული მსჯელობა მას უკვე ფუქსაგატ; ზერელე მსჯელობათ ებევენება. ამ მსჯელობის აღგალს საკუთარი გულის თათბარია, საკუთარი ფიქრი და აზრი, საკუთრათ ნაგრძნობი და განცდილი იჭერს.

„ვერ გავიმეტე მუცალი, მარჯვენის მოსაქრელადა“, — უამბობს ალუდა თვისტომებს და შერმე რით შაბუთებს იგი მის მიერ საკუთარი განმტკიცებულ წეს-ადათის დარღვევას, რისთვისაც ის თემის წევრობას და რისხევას იმსახურებს?

ის არღვევს ამ „რჯულად დიწერილ“ მსჯელობა-შეფასებას, მითომ, რომ მას გაუჩნდა ახალი მსაჯული, ახალი მრჩეველი. და ეს მრჩეველი არის საკუთარი გულისთქმა. საკუთარი შე — სუბიექტი. თემი, „ხალხთ ჩვეულება“ ძლიერია, იგი „ღვესა პავეს, რეინის მკენეტელსა“, მას შეუძლია ფიზიკურად განადგუროს ალუდა და რაც ალუდასთვის კიდევ უფრო სამომავლო, მოკვეთოს იგი თემის ორგანიზმს, მაგრამ ალუდასთვის მის მიერ განცდილი კათარზისის შემდეგ თემის რისხვა უფრო ადვილი ისტანია, ვიდრე საკუთარ გულის წყრობა, საკუთარ გულის სამსჯავროს წინაშე პირ-შავად ყოფნა.

„გულუ ვამიწყრა, არა ჰქნა,
რაც საქნელია ძნელადა;
დაე დააკლეს სახელსა,
შე გირჩენივარ მრჩეულადა“.

ალუდამ ბევრ ქისტს დააქრა მარჯვენა. მის მიერ მოკვეთილ ქისტ-ლეკთა მარჯვენები მის ქაეის კარზე „ჯღრღეებივით ჰკილია“. სახელგანთქმულ ვაქეაკის, მუცალის შეკაეის მიმატება ამ მისხლიან ტროფეებზე ალუდას სახელს თემის თვალში მხოლოდ სხივ-შარავეანდელს შეჰმატებდა. მაგრამ საკუთარი გულის თქმა არ აძლევს ალუდას ამის ნებას. გული ეტუნება ალუდას: ნუ მოამოქმედებ იმსს, რაც „საქნელია ძნელადა“, რაც შენის პირადის საკუთარის მსჯელობით, განსჯით საძრახისია და დასავმობი. დასთმე ამისათვის თვით სახელი და დიდება, — შე გირჩენოდე მრჩეულადო.

თავს გულის თათბირის აყოლა, საკუთარი გულის ვაზირად დასმა და თემის საუკუნოებით განმტკიცებულ მსჯელობა-განაჩენის უკუგდება კი აზროვნების ახალ საფეხურზე ასვლას, მაღალ ჰუმანისტურ მსოფლმხედველობასა და მსოფლშეგრძნების ზიარებას და ბარბაროსულ რწმენა-წარმოდგენების ტყვეობაში მყოფ თემის წინააღმდეგ ამხედრებას ნაშნავს. ამ მომენტიდან ალუდა უკვე ძველ დემოკრატების წინააღმდეგ ამბოხებულ ამი-რან-პრომეთეოსის შენაწონი გმირია.

ცხადია, რომ ბნელ შეხედულებებას ტყვეობაში მყოფი თემიც არ დაყოენებს მის წინააღმდეგ გალაშქრებას.

„ღვთიური კომედის“ გმირი-ავტორი მხოლოდ გარეგნულად მოიხილავს „ჯოჯოხეთს, სადაც იტანჯებიან ცოდვალთა სულები. ალუდა ქეთილად-რის“ ავტორი კი თვით თავის გმირის სულში დანთებს ხალხთა ბარბაროსულ გათიშელობის, ურთ-ერთ მოძულეობის, მტრობისა და განადგურების ცეცხლს, რომ ამ ალზე დაძფერფლოს გმირის ძველი, ხავამოდებულა, ნამდვილ ადამიანურ განცდებისადმი ყოფ, გვაროვნულ-პატრიარქალურ სამყაროს რწმენა-წარმოდგენების ტყვეობაში მყოფი გული, რათა შემდეგ ამ ნახანძრალზე აღმოაცენოს მაღალ ჰუმანისტურ განცდათა სამყარო.

შწერალი განუზომლად ფართედ გაზიდავს თავისა გმირის ცნობიერების პორიზონტს. გმირი არა თუ არღვევს გვაროვნულ-პატრიარქალურ სამყაროს ფიჭროდ შემოზღუდულ საზღვრებს, შწერალი გადაატარებს თავის

გმირს თვით ფეოდალურ და ბურჟუაზიულ სამყაროთა „ბევრთ საზღვრებსა“, სადაც ხალხთა გათიშულობა, გადამტერება არა ნაკლებად მძაფრსა და სოკჯერ უფრო მახინჯ ფორმებს ღებულობს. გრძნობა განკლებიან, წარადგენებია, აზროვნების განწინდის, ამაღლების, ~~განწინდების~~ გზით ვაჟას თავისი გმირი იმ საზოგადოების კარიბჭესთან (დასუსტების წინაშე) მიჰყავს, სადაც იქმნება ნამდვილი ნიადაგი ხალხთა გათიშულობის, გადამტერების დაძლევის და აღმოფხვრისა, იქმნება ნიადაგი ხალხთა ურთიერთ-გაგების, შეთვისებისა და დამშობილებისათვის.

რაც დრო გადია, უფრო და უფრო მევეთრად უპირისპირდება ერთმანეთს ალღდას ახალი შეგნება ძველ, გვაროვნულ-პატრიარქალურ სამყაროთ. მკითხველისათვის ცხადი ხდება, რომ ისინი ერთად, ერთა ცის ქვეშ ველარ იბოგინებენ, რომ ანეთ მაღალ, ადამიანის მთელი არსების შემპყრობ რწმენის აღარ ძალუძს საქმედ, მოქმედებად არ იქცეს. მაგრამ სად და რა ფორმებში უნდა მოხდეს გვაროვნულ-პატრიარქალურ სამყაროს წინააღმდეგ ამბოხებულ პიროვნების შეხედულებათა გამოძვლავნება, მისი გადამწყვეტი შეხლა-შეჯახება ძველ, ბარბაროსულ წარმოდგენებს ტყვეობაში მყოფ თემთან.

თავისთავად ცხდია, რომ ეს შეჯახება უნდა მოხდეს იქ, სადაც ყალბდება და ყველაზე უფრო მძაფრად მკლავდება გვაროვნულ-პატრიარქალურ სამყაროს შემადგენელი რწმენა-წარმოდგენები. ანეთი დრო და ადგილია „საუფლო ვამი“, ხატობა და ეს მომენტიც ღდება:

„ვამი მოვიდა საუფლო,
ხალხი ხატობას დიოდა:
უნდა აცნობონ ხატონსა,
ვისაც კი რამა სტყიოდა“.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ხატობაზე შეკრებილ ადამიანებს შორის ალღდა ყველაზე მწვავე ტყვიელებს განიცდის, მასაც მტკალივით „გულში სჭირს“ მოუხებელი კმუნვა-სევდა „უნდომლად მოკლულის ძმის“ დაღუპვის გამო. მასში მომწიფდა ახალი აზრი, ახალი შეგნება, ახალი გეგმა ადამიანობისა.

ამ სეველით და ფიქრებით გულდამწმმებული მიღს ალღდა ხატობაზე-ამიტომ მოდგა იგი „ნისლივით“, „თითბრით ნაზიკის ხმალითა“. („ნისლი ფიქრია მთებისა“—ამბობს ერთგან თავის ლექსში ვაჟა) „ხევის ბერს აძლევს მონჯერსა, დადგა დახრილის თავითა“. თითქოს მორჩაღვია პიზნაში ღვა-ალღდა: ქედმორქეილი, თავდახრილი, მაგრამ ის, რაც ალღდას განუზრახავ, მისი აღზრდის და სეგნების ადამიანის მხრივ უდიდესი ამბოხებაა, აჯანყებაა გვაროვნულ-პატრიარქალურ სამყაროს წინააღმდეგ.

ალღდას უნდა მის მიერ ჩადენილი, თავისთავად გამოუსწორებელი შეცოდება რითიმე მინც გამოიყიდოს. მას განუზრახავს „ურჯულთ“, მოუნათლავი ქისტის, მწვალის სულის მოსახსენებლად ააჯაროდ შესწიროს გუდამის ჯეჰარს ვერატო. ბუნებრივია, რომ გვაროვნულ-პატრიარქალურ სამყაროსთან ჯერ კიდევ (და შეიძლება ითქვას პოემის დასაბრუნებლად) მთელი თავისი არსებით ირგანილად დაკავშირებული ალღდა თავისი სტლის ახალ მოძრაობას ძველს ფორმაში, ყალიბში იქცევს, სახარების ენით რომ ეუბნება, „ახალ ღვინოთა ძველ თხიერაყებში ახხამს“. ეს ბუნებრივია,

და შემოქმედების რეალისტურ პრინციპზე მდგომი ვაჟა ფშაველეს პლატობს. ამ ბუნებრივობას, რადგანაც მისივე თქმით „საღი ფარტაზია ისეთს არაფერს შეჰქმნის, სინამდვილეს არ შეეფერებოდეს, არ ეთანხმებოდეს“¹.

ვაჟაოვნულ-პატრიარქალურ ტრადიციებს, წეს-ადარტინს² სასწაულოვნად მდგომ ხევისბერ ბერდიას აღწევს ალღუდა სამსხვერპლო მოხვედრას.

ბერდია განსახიერებდა, პერსონიფიკაციაა იმ სამყაროსი, რომელსაც ამ „საფელო ჟამს“ სამკედრო-სამციცოცხლო ბრძოლა უნდა გაუმართოს ალღუდამ. „საზეიმო, პათეტიური ტონით მამართავს ალღუდას ხევის ბერი ბერდია: „ვის ამწყალობნებ, ალღუდავ, ამა კურატით შავითა?“ და სხვა.

ალღუდას არ უნდა გუდანის ჯვარს გაუდგეს, არ უნდა დიდი „ბატონის საყმოს“ გამოეთიშოს, მეგრამ მას განუზრახავს ამ საყმოს ცნებაში ახალი, სულ სხვა შინაარსი ჩასდოს და ამით არსებობად შესცვალოს გუდანის ჯვრის არსი. თითქოს ვლუდა ვერ გრძობს, რომ შიგნიდან აფეთქებს ძველი დმერთების სამყაროს. იგი ახალი იდეის პათოსს აუტანია, ამიტომ ალღუდა ყოველგვარ ნართაულის, წილადობილად გარეშე ამქლავნება თავის განზრახვას ხევის ბერის და ხატობაზე შეკრებილ თვისტომების წინაშე:

— ევ სამხვეწროა, ბერდია,
წოდან მოკლელის ქისტისა.
მცალს ეტყოდენ სახელად,
მოუნათლავის შეილისა.

ალღუდა მიისწრათის იქითკენ, რომ განუზომელად გაზიდოს თემურ-პატრიარქალურ სამყაროს ჰორიზონტი ამით, რომ აქოშამდე სამკედრო-სამციცოცხლოდ გადამტერებულ, უცხო „მთის და წყლის“, უცხო რჯულის და პოდგმის ხალხთან, ლეკ-ქისტებთან, „მოუნათლავებთან“ ურთიერთობას საფუძვლად დაუდოს ხალხთა ურთ-ერთ გაგება, ურთ-ერთ შეთვისება, და ხალხთა ძმობა.

ეს არა მარტო გარკვეულ გრძობათა გამოხატულებაა, ეს მღვდელთ-მსახურების აქტია, რომლითაც ალღუდა ლამობს თავისი მიცვალებული წინაპრების სამყაროში შემოიყვანოს მოუნათლავი, ურჯულო, ძალთაპირად მიჩნეული ქიატის, მცალის სული. ამით ალღუდა ლამობს დაანგრიოს ამ მუზობელ ხალხთა შორის საუკუნოებით აღმართული ვათიმულობის, მტრობის, მოძულეობის კედელი. ხალხთა ურთერთ გაგების, შეთვისების და ძმობის ხიდი გასდოს მათ შორის.

„კარგადაც დამწყალობნებ,
გამიმეტებავ მისთვინა,
როგორც უნდომლად მოკლელის
თავის ღამაზის ძმისთვინა“.

შეჰვედრებს ალღუდა ხევის ბერს.

მკითხველს ეუცხოვება ასეთი ლირიული დანაშება ალღუდას მხრავ (რომლის „ციხე-ქავეზე“ ბერდიას თქმით — „ჯღრდესავეთ“ ჰკიდია მის მიერ მოკლული ქისტ-ლეკების ხელები), თუ კი იგი თუნდაც ერთის წუთით დაივიწყებს იმ დიდ სულაერ კატასტროფას, რომელიც გამოვლო ალღუდამ,

¹) იხ. წერილი: „კლიტიკა“ ბ. ივ. ვართაგვიანი.
9. „მნათობი“, № 2 — 3

იმ დიდ ძვრებს, რომლებიც მოხდა გმიროს სულში მუცალის საკრავო ვაჟ-კაცური სიკვდალის განცდის შედეგად.

ერთის შეხედვით შეიძლება უფრო პარადოქსალურად მოეჩვენოს კაცის ამბავი, რომ აღუდა თავის ახალ განცდებს, განწყობილებებს, აღამიანობის ახალ ვაგებებს, აგებულს ხალხთა ურთერთ გაგებაზე, ურთერთ შეთვისებასა და ძმობაზე საქვეყნოდ აღიარებს „საუფლო ემას“, ხატობაზე, იმ ადგილას, სადაც ხდება დიამეტრალურად საწინააღმდეგო განწყობილებათა გაღვივება. გვაროვნულ-პატრიარქალურ სამყაროს ნიადაგზე ამოზრდილ, — მასთან ორგანიზულად დაკავშირებულ აღუდას გულუბრყვილობას შედეგია, რომ მას სწადია თავისი ახალი განცდები და განწყობილებები ისევე ამ სამყაროს ფარგლებში დაასაღებუროს. ეს ძველი სამყაროს ამკარა გამოწვევაა აღუდას მხრივ და მას ბერდია „შეუძრახავს“, შეეკამათება, როგორც ყველაზე უღრეკი, შეუთრეგებელი წარმომადგენელი გვაროვნულ-პატრიარქალურ საზოგადოების იმ კასტისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე შელღს, მტრობას ადევნებდა სხვა და სხვა რჯულის და მოღვმის მუზობელ ხალხთა შორის.

ბერდია სწორად ხედება, რომ ამ, გუდანის ჯვრის ხატობაზე ჯერ უნდა ხავი მსხვერპლის შეწირვით აღუდას უნდა უზომოდ გაზიდოს და ამდენად დაანგრეოს გვაროვნულ-პატრიარქალურ სამყაროს საზღვრები, რომ მას სწადია მოუნათლაევი, ურჯულო — „ღვთის შევილთა“, გუდანის ჯვრის ყმათა დარად დასახოს, მათ შორის საუკუნოებრივი შეუღლით და მტრობით გათხრილი უფსკრული ამოავსოს, ჩატეხალი ხიდი გასდოს.

ბერდია სწორად სწედება, რომ ასეთი მსხვერპლის შეწირვა გუდანის ჯვრისთვის არსებითად ხატთან და ამდენად ძველ გვაროვნულ-პატრიარქალურ სამყაროთან მერკინეობაა, ძველი კერპების მსხვერვეა, ძველი სალოცრეების გმობა-შეგინებაა და ახალი რწმენის აღიარებაა, რომელმაც გუდანის ჯვრის სამწყსოს აზრი და გრძნობა, მთელი არსი უნდა შეუცვალოს.

ამიტომ აიტანა ბერდას ასეთი მისტიური შიში, ამიტომაც მოედინება ყოვლის წამლევაც ნიაღვარივით ქურუმის პათოსით აღზნებულა მისი სიტყვა. მამა-პაპათ ურყევ, გარღუეველ ანდერძში ეძიებს ბერდია პათოსს თავის შეგონებისათვის.

ბერდიას მისტიური ძრწოლა და შიში აიტანს. მას აღბად პირველად უხდება ასეთ საკითხებთან შეხლა. გუდანის ჯვრის „საყმოში“ აღუდამდე აღბათ არაეან გამომდგარა, ასეთი მკრეხელი, ღვთის მგმობი.

აღუდა და თემი ორი, ერთმანეთისადმი დაპირისპირებული, ერთმანეთთან დაჯახებული სამყაროა. აღუდა მთელი თავით ამალღდა ამ თემზე, იგი ხალხთა ურთიერთგაგების, შეთვისების, ძმობის ჰუმანიზმის მაღალ საფეხურზე ავიდა.

ბერდია თემის განცდათა ორგანიზატორია. თემიც მხარს უბამს ხევის ბერს და ამიტომ წარმოსთქვამს იგი ანუ ელაქრით! და გადამწყვეტილად, უკვე არა შეგონების, არამედ განაჩენის კილოთი:

— ტყუილად სცდები აღუდავ, ტყუალად იცვეთ პარსაო!

ამით ბერდამ წარსტაცა აღუდას თემთან საერთო ენის გამოჩახენს უკანასკნელი იმედი.

აღუდა გრძნობა, რომ იგა და თემი სხვადასხვა „რჯულს“ აღიარებენ, რომ მათ სხვადასხვა „ღმერთი“ უზით გულში და რომ ბერდიასთან ქურუ-

მი აღარ გამოადგება მასთან შუამავლად. ამიტომაც იგი თითონ კისრულობს პლედელ მსახურებას, თითონ ამწყალობებს „სახვეწარ“, შესაწირავ კურატს. მისი აზრი, აქრამადე კრთომით და ფეხაქრფით მოარული, ახლა გაბედულად გადადია მოქმედებაში. ალუდა ბტკიყედ ღდება ახალი რწმენის ნააღაგზე:

„გაჯაგრდა ქეთელური, ფერი დაიდვი მგლისაო;
ხელი დიკრა ფრანგულსა, შუქი ამოხდა მზისაო.
უქნიფა მოზვერს ქედზედა, თავი მიგორავს ძირსაო.
თან შაბხეწა ნატონსა, ნუ შამიცოდებ შეილსაო,
აღადა პქონდეს მუცალსა, მაგ მოუნათლავ გმირსაო“.

ეს არის ალუდას უკანასკნელი ამბობება და უკანასკნელი სიტყვა თემის წინაშე.

ალუდამ არ იცის, შეისმინა თუ არა გუდანის ჯვარმა მისი თხოვნა, მაგრამ ამის შემდეგ თავის სიმართლეში, დარწმუნებული ალუდა დუმილში ჩაიძირება, სამაგიეროდ ბერდიას პარით ამეტყველებს რისხვით ატანილი თემი.

ბარბაროსობის უფსკრულიდან, რომელშიდაც ვაჟა გვიხატავს ალუდას, პოემის დასაწყისში, აღის იგი პუმანიზმის, ადამიანთა მიერ ურთიერთ გაგების, ხალხთა ძმობის და მეგობრობის, თვალწარმტაც მწვერვალებზე. ალუდამ გულბრყვილოდ მოინდომა გეაროვნულ-პატრიარქალური, ბნელი რწმენა-წარმოდგენების, მოსისხლეობის, ხალხთა შორის შუღლისა და შტრობის ტრადიციებით დამძიმებული თემიც აეყვანა ამ თვალისამოშრელ სამაღლეებამდე. მაგრამ მან ძალა არ ეყო ამისათვის. ახალი ადამიანობის შესიტყვე ალუდა ძლივს გადურჩა თავის მეზობლების ხმლებით აეუწვას, მაგრამ მისი ამირანისებურ ქმედობით აღშფოთებულმა თემმა არა ნაკლებ სამამო და შეშარავი მსჯავრი გამოუტანა თავის ურჩ, შეამბოხე შეილს, ვიდრე ეს ამირანს ხედა წილად ქვეყნად ცეცხლს მოტანისთვის.

„მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის ცა-ღრუბლის შანამზირები“ დაიძახა ცოდით პირალესილმა, ჯაგარ-აშლილმა ხვეის ბერმა ბერდიამ, რომელმაც ალუდას ქმედობაში სწორად იგრძნო გეაროვნულ-პატრიარქალურ სამყაროს ძველი დმერთების მსხვერვეა. — მოკვეთილ იყოს — მოსცა ბანი ბნელი ტრადიციების ტყვეობაში მყოფმა თემმა და მართლაც „ბექით გადისროლა“ ალუდა უფსკრულში. ეს ყველაზე სამძიმო სასჯელია ალუდასათვის, რომელიც, როგორც ზემოდაც ვთქვით, მიუხედავად თავისი ამბობებისა ძველი თემის წინააღმდეგ, გულს ყველა ძარღვებით, მთელა არსებით მიკრულია თავის თემთან, თავის მიწა-წყალთან. სახლ-კარი დაუნგრავს ალუდას, ააწიოყეს და ააოხრეს მისი ოჯახი და მართლაც სამინლად აატირეს ალუდას ცოდ-შვალი: სასტიკ ზამთარში, ტუხურ ყინვასა და ქარბექში შეუბრალებლად გამოორეკეს ალუდას ოჯახა შატილიდან.

თემისაგან მოკვეთალ, ექსორირებული ალუდას გულგამგმირავ შეძახილით „მშვადლობით საუჯიხვეებო“ — სრულდება 1888 წელს დაწერილი ვაჟას ეს პოემა-ტრადედია. მაგრამ ვაჟა თითქოს თავად დაუქმყოფილებელი დარჩა ამ პოემის დასასრულით. თითქოს მწერალმა ბოლომდე ვერ ამოსწურა ის დიდი იდეა, რომელიც მან საფუძვლად დაუდო ამ შესანიშნავ პოემას: იქნებ ის არ აკმაყოფილებდა ვაჟას, რომ მან ამ პოემაში მხოლოდ ერთად-ერთი გმირის — ალუდას გულში შესძლო ხალხთა ურთერთ-

გაგებას, შეთვისების და, შეგობრობის ცეცხლის ავიზვიზება, რკინის მკენეტელი, დევივით კერბი თემი კი ყრუ, შეუსმინარი დარბი იმ დიდ ფსიქოლოგიურ-მორალურ ძვრებისადმი, რომელიც გმირის შეგნებაში მოხდა. თემში უდრტენივლად, უმტკივნეულოდ მოიკვეთა ისწინის მსწრეები მალალ ჰუმანიურ აზრს ზარებული აღუდა. თითქოს ვერც შეგნებაში, შეგნებაში, რომელიც აგრე-რიგ მგრძნობიარე, ანიანის განცდათა უმულო თანაზიარ არაგებად გვევლინებიან ვაყას შემოქმედებაში, იგრძნეს აღუდას ტრადედიბ.

გაწირეს მგზავრთა სამუდომოდ წყალი და შიწა თაყისა,
შტრად დამღვარან შთის წვერნი, ისმის ხევილი ჭარისა.
გაღვიდნენ, ჭედი გადაღვეს, თხრილი აღარ ჩანს კვალისა².

თითქოს ყოველგვარ გამობმატრების გარეშე დაიკარგა აღუდას მიერ სათემოდ თქმული სიტყვა ხალხთა ურთერთგაგების და შეთვასების შესახებ. მაგრამ 1893 წელს დაწერილ პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“ ისევ გზდებით აღუდას შეგნებაში აღმოცენებულ მალალ საგაცობრიო იდეების გამოძახალს. ვაყა ამ კვლავ უბრუნდება ხალხთა ძმობის თემას. მაგრამ, ეს პოემა ბრ წარმოადგენს „აღუდა ქეთელაურის“ უბრალო განმეორებას ან ვარაიციას. ვაყა ამ შიისწრაფვის უფრო ღრმად გაავლოს ახალი მსოფლ-შეგრძნების კვალი არა თუ ცალკეულ გმირებში, სარამედ თვით მასის შეგნებაში.

ხალხთა ურთერთგაგების, შეთვისების და დამეგობრების წარმტაცი იდეალის ჭიმერულობას იმ შავ-ბნელ ეპოქაში ვაყას აგრძნობინებდა არა მარტო გვაროვნულ-პატრიარქალურ საზოგადოების სინამდვილე, რომლის ფონზედაც ქმნიდა იგი თავის მალალიდურ განწყობის მქონე პოემებს: „აღუდა ქეთელაურს“ და „სტუმარ-მასპინძელს“. შეიძლება ამ მიმართებით უფრო მეტ უიმედობის განწყობალებას უქმნიდა ვაყას თვით კაპიტლისტურ საზოგადოების სინამდვილე, რომელსაც მწერალი არა ნაკლებს ტრადიციული სიმძაფრით განიცდიდა, ვადრე გვაროვნულ-პატრიარქალურ საზოგადოების სინამდვილეს (ან უფრო სწორედ ამ საზოგადოებრივი ფორმაციის მძლავრ გადაწმობის არსებობას მის გარემომცველ ფშავ-ზეგუურულ ყოფა-ცხოვრებასა და აღამიანთა შეგნებაში), ვინაიდან არა ნაკლებად მახინჯ-ფორმებში იშლებიან აღამიანთა და ხალხთა ურთერთობანი გვაროვნულ-პატრიარქალურ საზოგადოების შემცველ კლასობრივ საზოგადოებაში, მისი განვითარების ყველა საფეხურზე და შეიძლება ითქვას ყველაზე უფრო მახინჯათ მის უკანასკნელ, კაპიტალისტურ სტადიაში, რაზედაც მეტყველებს ფ. ენგელსის შემოდ ციტირებულ ნაშრომის შემდგვი აღვლილი:

„ამ პირველყოფილი თემის ძალა უნდა შემუსვრილიყო და შეიმუსრა კიდევ. მაგრამ იგი შეიმუსრა მოვლენებას ზეგავლენით, რომელიც ჩვენ იმთავითვე დაქვეითებად გვეჩვენება, ცოდვაში ჩავარდნად ძველი გვაროვნული საზოგადოების ზნეობრივი სამაღლიდან. უდიდესი გაუმძღრობა, ტლანჭი სიამოვნების წყურვილი, ჰუჭყიანი სიძუნწე, საზოგადო ქონების ეგოისტური დატაცება იმ უმდაბლეს ინტერესებს წარმოადგენენ, რომელთაც ახალ, განათლებულ, კლასობრივ საზოგადოებაში შეგვევართ; ქერლობა, ჭაღმომრეობა, ვერაგობა, ლალტი — აი ის სამარცხვინო საშუა-

ლებანა, რომელთაც ძირი გამოუთხარეს და დაამხეს ძველი უცვლასო, გვაროვნული საზოგადოება და თვით ახალი საზოგადოება თავისი/ანსებობის სამი ათას ხუთას წელიწადში სხვის არაფერს წარმოადგენდა, გარდა უმნიშვნელო უმცირესობის განვითარებისა ექსპლოატაცია ქმნის/ანსებობის უმრავლესობის ხარჯზე, ეს დღესაც ასეა კიდევ უფრო მეტად, ვიდრე წინად ყოფილა ოდესმე“.

ამიტომ ასე ერთთავად ტრადიციულად სრულდება „აღუდა ქეთელაურის“ და „სტუმარ-მასპინძლის“ ბედი: საზოგადოებაში მომქმედი ბნელი ძალები ჯანღის, ბურუსის სახით აფთარებიან „სტუმარ-მასპინძლის“ გმირების — აღზას, ჯოჯოლას და ზვიადაურის აჩრდილთა სამყაროში ერთად შეყრის, სერობის თვალწარმტაც სანახაობას, ეს ძალები უწლიან ადამიანს იგრძნოს აქომამდე გადამტერებულ ხალხთა შეთვისების და დამშობილების მთელი სიმშვენიერე.

ეს, ჯანღი და ბურუსი, საზოგადოებაში მომქმედი ბნელი ძალები, რომლებიც წინ ეღობებიან ხალხთა ურთერთ გაგების, დამეგობრების დიად საქმეს, ვაჟა ერთობ ბუმბერაზულად, თითქმის დაუძლეველად ესახება:

„ზედ აწევს ჯადოსავითა ორ დიამტერეა კვერათა,
ვერც შეულოცავს მლოცავი, არც ახდნება ხელითა“.

ორი წლით ადრე გარდაიცვალა ვაჟა, თორემ თავად გაპხლებოდა იმისი მოწმე, თუ როგორ დაამსხვრია დიადო ოქტომბრის რევოლუციის კვერთხი დეკამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზედ ის ბნელი ძალები, რომლებიც წინ ეღობებიდნენ ხალხთა ურთერთ გაგების, შეთვისების და დამშობილების წარმტაც იდეალის განხორციელებას. ლენინის და სტალინის ხელმა ახადეს ის ჯანღი და ბურუსი ხალხთა გათიშულობის ურთ-ერთ გადამტერების, ურთ-ერთზე მისევის, ჩაგვრისა და ექსპლოატაციის, რომელიც მართლაც „ჯადოსავით“ აწეათ თავზე ყოფილ რუსეთის იმპერიაში შემაჯალ ხალხთა ცხოვრებას (დაევე, როგორც მთლიანად კაპიტალისტურ სამყაროს). ხალხთა დიდ ოჯახში, საბჭოთა კავშირში ვაჟას ცხოვრების და პოეზიის თვალწარმტაცი იდეალი, ხალხთა ურთ-ერთ გაგების, შეთვისების, დამეგობრება-დამშობილებისა ასევე თვალწარმტაც სინამდვილედ იქცა. და ახლა ძმურ ოჯახში გაერთიანებული საბჭოთა კავშირის ხალხები დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ძლევა მოსილად ებრძვიან და ანადგურებენ შავბნელ ძალებს, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ მთელი კაცობრიობა გადარჩებათ ხალხთა ურთ-ერთ გადამტერების, ჩაგვრისა და მონობის უფსკრულში.

აღიქსი ზოღსკოი

საბჭოთა მწერლობამ, მსოფლიოს მთელმა პროგრესულმა ლიტერატურამ მძიმე დანაკლისი განიცადა: 1945 წლის 24 თებერვალს მოსკოვში გარდაიცვალა ალექსი ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი, მწერალი, რომელიც, პერბერტ უელსის თქმით, 40 წლის მახდლზე, ღირსეულად ატარებდა გეარს, რომელმაც საკაცობრიო კულტურას მასცა მხატვრული სიტყვის სწორტობვარი რსტატი.

იშვიათი სულიერი სიღიაღე და მრავალმხრევი ნიქი იყო საჭირო, რომ ბუბებრაზი ლევ ტოლსტოის შემდეგ ამავე გვარის მატარებელ მწერალს თავისი ადგილა დაემკვიდრებია ლიტერატურაში და არ მიჩქმალულიყო. ეს შესძლო ალექსი ტოლსტოიმ, რადგან მან სთქვა ახალი და ფრიად მნიშვნელოვანი სიტყვა. უპეველად დიდი იქნებოდა ხარევი თანამედროვე რუსულ ლიტერატურაში, რომ არ ყოფილიყო ალექსი ტოლსტოის „კოქლი ბატონი“, „ნიკიტას ბავშვობა“, „ბებერი ცაცხეების ჩრდილში“, ტრილოგია „გზანი ტანჯვისანი“, მოთხრობა „ბური“, ისტორიული რომანი „პეტრე ჰირველი“, დრამატიული მოთხრობა „ფანე მრისხანე“, — ნაწარმოებნი, რომლებიც ახალი კუთხით გვიჩვენებენ რუს ადამიანს, რუს ხალხს აწმყოსა და ისტორიულ წარსულში.

ეხებოდა რა არა ერთხელ დამუშავებულს ტრადიციულ თემებს, ალექსი ტოლსტოი არ იმეორებდა თავის დი- წინამორბედებს და თავის ნაწარმოებებში აღძრულს დიდ და მღლე პრობლემებს აღლევდა პასუხს, როგორც ეს შექდერის ჩენი დროის, ლენინ-სტალინის ებოქის დრმად მოაზროვნე მოწინავე მხატვარს.

თავისი დიდი წინაპრების მსგავსად, ალექსი ტოლსტოის მწერლობის დანიშნულებად ხალხისა და სამშობლოს მსახურება მიანდა. ამ იღეით არის შთაგონებული მწერლის სიმწიფის პერიოდში დაწერილი ყოველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელიც მკითხველის წინაშე შლის დიდი რუსი ხალხის ეხლანდელი ყოფისა და ისტორიული წარსულის დიდებულ სურათებს.

საცხებით მართალი იყო მისი ერთი თანამოკალმე, რომელიც სწერდა: უმარავი ამბები და შვევთრი სახეები მოაქვს თან ალექსი ტოლსტოის შემოქმედების სპეტაკ და ღრმა მდინარეს. ამ მდინარის ჯადოსნურ სარკეში მკითხველი ხედავს რუსი ხალხის ისტორიას, მის ყოფას, მის სულს. ის ასე გამჭვირვალე და წყალუხვია იმიტომ, რომ სათავეს ხალხურ წყაროებიდან ღებულობს.

ალექსი ტოლსტოი ქეშმარიტად ნაციონალური, ღრმად ხალხური მწერალია, დიდი პატრიოტი მოქალაქე, რომელიც იწვოდა სამშობლოს სიყვა-

რელით და მტრისადმი სიძულვილით. ხალხის ცხოვრებასთან განწყობილ-
 ლი შემოქმედებითი სიახლოვით ალექსი ტოლსტოიმ მთავრად შედეგად
 ქვეყნის მიმე განსაცდლის დღეებში, —სამამულო ომის მთავრ დღეებში—
 ასულიყო მაღალ ტრიბუნაზე და სამშობლოს კეთილდღეობისათვის მოა-
 მაგე და გულდაფერფლილი კაცის სახელით წარმოეთქვა მტრის სიტ-
 ყვები:

„სამშობლო ჩემო შენ მიმე განსაცდელი გხვდა. მაგრამ შენ გამოხვალ
 იქიდან გამარჯვებული, რადგან შენ ხარ ძლიერი, შენ ხარ ახალგაზრდა,
 შენ ხარ კეთილი სიტყველესა და სილამაზეს შენ გულში ატარებ, შენ ნა-
 თელი იმედის დინავლით სიკაცობ, შენ ამ მომავალს აშენებ შენი დი-
 დი მარჯვენით. ამ მომავლისთვის კვდებაან შენი საუკეთესო ძენი. უკვდა-
 ვიად სახელი მამულისათვის დაღუპულთა, უკვდავ სახელს მოიხვეჭენ კაც-
 ხალხი სამშობლოსათვის ბრძოლაში“

სამამულო ომის მივინჯარე შფოთიან დღეებში ალექსი ტოლსტოის
 უსმენდნენ ისეთი მდელეარე გულისცემით, როგორც არავის რუს მწერალ-
 თაგან. საბჭოთა ხალხს მის ხმაში მოესმოდა ხმა კეთილშობალი იდეალე-
 ზით, ღილი ჰქმანიზმით, მომავლის უღრეკი რწმენით, გაუტეხელი მებრძო-
 ლის სულით აღზნული რუსული ლიტერატურისა. საბჭოთა ხალხს
 სწამდა, რომ ალექსი ტოლსტოის პირით იმ მწვავე დღეებში მეტყველებ-
 და რუსეთის დიდებისა და უკვდავების შექმნელი სული წინაპრებისა,
 ათასცხრაას ორმოცდაერთი წლის ნოემბერ-დეკემბერში, ყინვასა და
 თოვლში, ათასობით ადამიანი იღგა მოედნებსა და ქუჩებზე და უსმენდა
 რადიოთი გადმოცემულ ტოლსტოის სიტყვებს. ფრონტზე მიმავალი ათი
 ათასობით მეომარი უბეში იზაზავდა გახეთებს ტოლსტოის მოწოდებებით,
 როგორც რუსი ადამიანის სიმტკიცის და გამარჯვების ურყევი რწმენის
 გამოშხატველ ძვირფას სახსოვარს.

და ეს სახელი ერის ზრახვების, ერის ბედნიერი მომავლის მესაიდუმ-
 ლისა, ერის ბედზე მუდამ ჩაფიქრებული და მზრუნველი პატრიოტისა
 ალექსი ტოლსტოიმ დაიმსახურა უაღრესად ნაყოფიერი მხატვრულ შე-
 მოქმედებით და მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეოთ.



ალექსი ტოლსტოის პირველი მხატვრული ნაწარმოებები — მიმდინარე
 საუკუნის პირველ ათწლეულში გამოქვეყნებული ლექსების წიგნი „ლირი-
 კა“, „ჩხიკეთა ზღაპრები“, „მეტოქე“ დაწერილია რუსული დეკადენტურ-
 რი ლიტერატურის ძლიერი ზეგავლენით. მაგრამ ტოლსტოი მალე სტოვეზს
 ამ გზას და გვევლინება მე-19 საუკუნის რეალისტური ლიტერატურის
 ტრადიციების გამგრძელებლად.

ალექსი ტოლსტოის, მცირე შეძლების შემამულე გრაფის ოჯახში დაბა-
 დებულსა და აღზრდილს, პირველი რეალისტური მოთხრობებისათვის
 საზრდოს აძლევდა ოჯახური გადმოცემები, საგაგრეულო ანეკდოტები,
 ვოლგის მხარის ბუნება, ამ კუთხის შემამულეთა ყოფა. ამრიგად, ტოლს-
 ტოი ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი ის რუსი მწერალი იყო, რომელსაც წი-
 ლად ხელა ახალი საუკუნის დამდევს-ეთქვა უკანასკნელი სიტყვა შემამუ-
 ლეთა რუსეთზე, შეეჯამებია წინათათქვაში, დაემთავრებია კლასიკური

ტრადიციები, გამოეტანა მსჯავრი თავადაზნაურული რუსეთისათვის. ციკლი ტოლსტოის მოთხრობებისა („ბებერი ცაცხვების ჩრდილში“, „კოჭ-ლი ბატონი“, „ახირებული“ და სხვ.), გვიხატავს რუს აზნაურთა გადატყვევებისა და გადაგვარების სურათებს, ანეკდოტური პერსონაჟების სხვადასხვანაირად შემამულეთა, უსაქმურთა, უნიადაგო მეოცნებეთა მთელ გაღვრებას; რომანტიულ საბურველს ხდის შემამულეთა რუსეთს და აცამტყვერებს პოეტურ ლეგენდას „თავადაზნაურთა ბუდეებზე“.

აღ. ტოლსტოის მოთხრობებში მკითხველი ხედავს, რომ არაერთგვაროვანი სილამაზე და სულიერი სირთულე არ ახლავს თან „ცისფერი სისხლის“ ადამიანებს, როგორც ეს წარმოდგენილი და განსახიერებული აქვთ თავადაზნაურული ლიტერატურის ჩვენი დროის ეპიგონებს — ბუნინს და შაიკევს. ტოლსტოი გვიჩვენებს, რომ ისინი, — „ცისფერი სისხლის“ ადამიანები, — მხოლოდ მტვერი, მხოლოდ ჩრდილნი არიან გადასულ დროთა. არაერთგვაროვანი სილამაზე და სირთულე არ აჩვენებს შემამულეთა სამყაროში. ადამიანები აქ გადაშენებულან, გაიფიტულან; აქ მხოლოდ სიცარიელე, გონებრივი სიჩაღუნავე, ინტელექტუალურ-მორალური დაცემაა. აქ სასაფლაოა და არა სიცოცხლე. ასეთია დასვენა, ასეთია განაჩენი, მხატვარ ალ. ტოლსტოის მიერ შემოხუნებულ ნაწარმოებებით გამოტანილი.

ეს მოთხრობები უკვე წარმოდგენენ ალ. ტოლსტოის მიერ თქმულს ახალ სიტყვას, ისეთი მხატვრული ძალით თქმულ სიტყვას, რომ არ შეიძლება მისადმი გულგრილი დარჩენილიყო მკითხველი, მით უფრო რუსული ლიტერატურის ბედითა და მომავლით დაინტერესებული მოღვაწე-მაქსიმ გორკი იყო ერთი პირველთაგანი, რომელმაც შენიშნა და აღნიშნა სიახლე ალექსი ტოლსტოის მოთხრობებისა.

„ახალი ტოლსტოი, ალექსი, — სწერდა გორკი ერთ-ერთ თავის მეგობარს, — უთვოდ დიდი, ძლიერი ნიჭის მწერალია, რომელიც სასტიკი სამართლით ხატავს თანამედროვე აზნაურობის ფსიქიურ და ეკონომიურ გადაგვარებას... ეს არის ახალი ძალა რუსულ ლიტერატურისა“.

ალ. ტოლსტოის შემდგომი წლების შემოქმედებამ სავსებით გაამართლა მ. გორკის სიტყვები. 1914 წლიდან 1920 წლამდე ტოლსტოის ბევრი რამ გადახდა თავს. იგი იყო მოწმე და მონაწილე პირველი მსოფლიო ომისა, დიდი ოქტომბრის რევოლუციისა, სამოქალაქო ომისა. მისი დაკვირვების არე დიდად გაფართოვდა, იგი ცხოვრების რთულ და მწვეავე ხლართებში მოხვდა, მრავალი სოციალური წრის აღაშინანს გაეცნო, შეიძინა ცხოვრების დიდი გამოცდილება. სინამდვილის ღრმა ცოდნით, დიდი შემოქმედებითი საგზლით დატვირთული მოვიდა ალექსი ტოლსტოი საბჭოთა ლიტერატურაში. ლენინ-სტალინის ეპოქაში კვოვა გოლიათური გაქანება ალ. ტოლსტოის მრავალმხრივმა ტალანტმა. საბჭოთა სამშობლოში ცხოვრებამ და მოღვაწეობამ გაამდიდრა მწერლის მხატვრული შესაძლებლობა, აღჭურვა იგი რუსი ხალხის ისტორიის ღრმა შეცნობით, აამაღლა იგი სამშობლოს იდეის სწორ, რევოლუციურ გაგებამდე.

საბჭოთა პერიოდში დაწერილი ალ. ტოლსტოის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები აშუქებს რა ამ იდეას, მიზნად ისახავს გვიჩვენოს, თუ როგორია რუსი ხალხის შემოქმედებითი ძალა აწმყომი, როგორი იყო იგი ისტორიულ წარსულში.

1920-იან წლებში დაწერილი მრავალი მოთხრობა ალ. ტოლსტოიმ მიუძღვნა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიას. ამ ნაწარმოებთაგან სახეების პლასტიურობით და კომპოზიციური სიწყობრით ყველაზე მნიშვნელოვანია ტრილოგია „გზანი ტანჯვისანი“ „მეთვრამეტე წელი“, „პირქეში დილა“, სადაც ალ. ტოლსტოიმ „გზანი ტანჯვისანი“ ძველი რუსეთის წარმომადგენელთა სრულს მორალურ და პოლიტიკურ ვაჟოტრებას. ტრილოგიის პერსონაჟებს—ვექილს სმოკოლნიკოვს, მწერალს ანტონ არნოლდოვს, პოეტს ბესონოვს, რომელიც რევოლუციის წინა-დროინდელი პურკუაზიული ინტელიგენციის ტიპურ ნიშნებს ატარებენ და იმავე დროს მკვეთრად გამოკვეთილი ინდივიდუალობანი არიან, ერთი საერთო თვისება ახასიათებთ,— ეს არის სრული განაპირება ხალხისაგან, მოწყვეტა სამშობლოსაგან, შინაგანი სიცაღიერე, ფუქი და ამო ლაყბობა სამშობლოს სიყვარულზე და ხალხის ინტერესებზე, სრული უქონლობა კუშიპირიტი პატრიოტული გრძნობისა. ამ გარიყულ ადამიანებს ალ. ტოლსტოი უპირისპირებს ყეთილშობილ ადამიანს და, მოქალაქეს, ხამშობლოს მოყვარულს, ხალხთან განუყრელად დაკავშირებულს, მთლიან პიროვნებას — ტელეგინს.

სამშობლოს ღრმა და შტიკე გრძნობამ, ხალხთან ორგანიულმა კავშირმა ტელეგინი მიიყვანა ოქტომბრის რევოლუციის მაღალი დანიშნულებრსა და სიდიადის აღიარებამდე, იმ შეგნებამდე, რომ მხოლოდ სოციალისტურ რევოლუციას შეუძლია გამოავლინოს ხალხის დაუშრეტელი შემოქმედებითი პოტენცია, რომ მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციით შეუძლია რუს ხალხს გაიყაფოს გზა ისეთი მასშტაბის სამოქმედო სარბიელისაკენ, როგორიც ისტორიულს წარსულში მან არასოდეს არ ჰქონია. „გზანი ტანჯვისანის“ აქტორმა მამინდელ სინამდელიეში იბოვა ლა მოგვეცა დამაჯერებელი სახეები და ტიპური მდგომარეობანი იმის დასამტკიცებლად, რომ სამშობლოს იდეა კი არ უპირისპირდება, ბირიქით, ემთხვევა სოციალისტური რევოლუციის იდეას, ხალხის ისტორიულ ბრძოლას სოციალური და ნაციონალური თავისუფლებბსათვის.

რევოლუციით განახლებული სამშობლოს ვადარჩენისათვის ბრძოლას გვიხატავს მოთხრობა „პური“, რომელიც ავსებს ტრილოგია „გზანი ტანჯვისანის“ ხარვეზს იმ მხრივ, რომ წარმოგვისახავს ცარიცინის დაცვას — სამოქალაქო ომის ერთ-ერთ გადამწყვეტ ეტაპს. ამ ნაწარმოებში ტოლსტოის მსჯავრი და განაჩენი სამშობლოსა და ხალხის მტრების მიმართ უფრო კატეგორიული და გაბედულია. უფრო ინტიმურად, მეტა ჩაწედომით და შინაგანის სიბოთით არის დახატული სამშობლოსა და რევოლუციისთვის მებრძოლ ადამიანთა სახეები (ივანე გორა, აგრაფინა ჩებრეცი და სხვ.). რაც მთავარია, ალ. ტოლსტოი ამ ნაწარმოებით გვიჩვენებს, რომ ცარიცინის დაცვა, რაც მანამდე მხოლოდ ცარიცინის საქმელ შიანდათ, ამაღლდა მთელი საბჭოთა რუსეთის ვადარჩენის მნიშვნელობამდე. ცარიცინის ხსნა იყო ოქტომბრის რევოლუციის, მთელი სოციალისტური სამშობლოს ხსნა. ამის შეგნება ამოძრავებს ვოროშილოვის ლუგანსკელ მუშათა რაზმის ყოველ მებრძოლს.

„პურის“ იდეურ-მხატვრულ მნიშვნელობას აძლიერებს ის გარემოება, რომ მასში ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ყალიბდებოდა, იწრობოდა და კავდებოდა წითელი არმია გერმანელებთან და თეთრგვარდიელ კაზაკო-

ზასთან მიძიე ბრძოლებში. მოთხრობის ფურცლები, რომლებიც წითელი არმიის გმირულ საქმეებს გადმოვცემენ, ახლაც გვადიდებენ ისეთივე ძალით, როგორც სამამულო ომის ფრონტიდან მიღებულ ცნობები, ალტოლსტოი შესანიშნავად გვიჩვენებს, თუ რაშია წითელი არმიის კოლთორგუნველი ძალისა და ძლიერების წყარო, თუ რა არის წითელი არმიის გამარჯვებათა საფუძველი. თავისი დედალი საქმისათვის, თავისი თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, ახალ ცხოვრების შენებას უფლებიასათვის მებრძოლი წითელი არმიის ნაწილები, პროლეტარული, პარტიზანული რაზმები, ცუდად შეიარაღებული, მაგრამ სულით უკრეყნი. აუწერელ დაბრკოლებათა წინაშე მდგარი, ჯერ კიდევ 1918—1919 წლებში — „ცამტეერებდნენ შეხედულებას გერმანელთა ურღვევლობაზე, ამარცხებდნენ და ერეკებოდნენ, სპობდნენ და ანადგურებდნენ მათ, ართმევდნენ უამრავ შეიარაღებას, ტყვიამფრქვევებს, ზარბაზნებს, ჯავშნოსნებს, დროშებს“. ალ. ტოლსტოიმ სრული სიმართლით დახატა რა სურათი საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლისა ცარიცინისათვის, განჭვრიტა და შთაგონებრა ურყევი რწმენა იმისა, რომ რუსი ხალხი კიდევ უფრო გამანადგურებელ რისხვას დაატეხდა თავს გერმანულ დამპყრობლებს მოსალოდნელ ომში.

„პეტრში“ ტოლსტოიმ აღბეჭდა სამოქალაქო ომის არა მარტო გმირული ეპიზოდები, არამედ მოგვცა დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის, მათი თანამებრძოლის ეთროშილოვის სახეები, მათი ტიტანური მეშაობა წარმოუდგენელ სიძნელეთა გადასალახავად. ამრიგად ისტორიული ქრონიკა „პეტრა“ იქცა ეპოპეად, სადაც მთელი სიძლიერით ნაგრძნობი და გადმოტყმულია სახალხო მასების თავგანწირული ბრძოლა განაწლებული სამშობლოსათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ალ. ტოლსტოის საბჭოთა პატრიოტის თვალთა აქვს დანახული და მხატვრულად გააზრებულ თავისი ქვეყნის არა მარტო ახლო, არამედ შორეული ისტორიის წარსულიც.

რომან „პეტრე პირველის“ სახით ალ. ტოლსტოიმ მთელი საბჭოთა ხალხის სახელით დიდებული ბეგლი აუგო ბრძოლებით და გმირობით აღსავსე რუსეთის ისტორიულ თავგადასავალს. ამ ნაწარმოებში აახულია უდიდესი ისტორიული ვნებანი, მთელი ისტორიული პროცესი, აქ ფაქტები გაშუქებულია იმ ისტორიულ გარდაქმნათა თვალსაზრისით, რომელნიც განიცადა ჩვენმა ქვეყანამ ოქტომბრის დიდი რევოლუციის მეოხებით; რომანი გვხიბლავს ხასიათების სრუხვით და მრავალფეროვნებით, მოვლენების, ყოფითი სურათების სიმრავლით. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია პეტრე პირველის სახე. ავტორმა იშეიათი ოსტატობით და მხატვრული გაბედულობით გვიჩვენა პეტრეს მოღვაწეობის ისტორიული პირობები, მისი პიროვნების, მისი თვითშეგნების ზრდა.

შემოქმედი პროგრესიული ძალა შეუპოვრად, დაუცხრომლად ებრძვის დახვეწებულ, დათბებულ ცხოვრებას, ჩამორჩენილობას, უმეცრებას, ცრურწმენასა და ცრუ შეხედულებას, გონებრივ სიჩლუნგეს. ეს ძლიერი ძალა პროგრესისა იმარჯვებს. გონიერება და ნებისყოფა ზეიმობს სტიქიურობაზე და ინერტიულობაზე გამარჯვებას. დიდის ძალით არის ნაჩვენები პეტრეს ისტორიული როლი გამანადგურებელ ბრძოლაში სიმახინჯისა და უძრაობის წინააღმდეგ. დაუცხრომელი გზნების და ტიტანური ნებისყოფა

ფის ადამიანმა დასძლია გასაოცარ სიძნელებებს და გასჭრა ^{გრანჯარა} ~~ქრანჯარა~~ ევროპისაკენ". სტალინურ ზუთწლებებში გაჩაღებულმა დიდმა მწერკმედებად, სოციალიზმის მშენებლობამ მისცა ალ. ტოლსტოის უდიდესი ბიოგრაფიული მემკვიდრეობის საფუძველი. ტოლსტოის უდიდესი ბიოგრაფიული მემკვიდრეობის საფუძველი მთავარ გმირად გამოყვანილია რუსი ხალხი, სამშობლოს განანსწილებისათვის წარმოებულ გიგანტურ ბრძოლაში.

საბჭოთა მკითხველის მწარე გულისტიკივლს იწვევს ის, რომ ავტორმა ვერ მოასწრო „პეტრე პირველის“ მესამე წიგნის დათმავება. სიკვდილმა მას კალამი გააგდებინა ხელიდან — მესამე წიგნის მეექვსე თავის წერის დროს. ჯერ კიდევ არ შესრობია მელანი ამ დიდებული ნაწარმოების დაუთმავრებელ ფურცლებს; საბჭოთა ადამიანის ღრმა მწუხარება თავისი დიდი პატრიოტი მწერლის დაკარგვის გამო კარგად გამოისთქვა დრამატურგმა კ. ტრენევა:

„ალ. ტოლსტოი დაუცხრომლად მაშერალი გუთნისდღდა იყო სამშობლო ქვეყნის ყანაში. შრომას იგი ვერ მოსწყვიტა თვით საბედისწერო სენმაც კი, მაგრამ აი გუთნისდღდა გაშორდა ყანას, — ღრმა კვალი დარჩა ბოლომდე გაუვლებელი. როცა მკლავმაგარი გუთნისდღდა სტოვებს ყანას, გრძნობთ ობლობასა და სიცალიერეს ყანაში. მაგრამ ჩვენ, — ტოლსტოის თანამოკალმეებმა, ვიცით, რომ საქმე მისი ცოცხალი, დიდი, ნაციონალური საქმეა. ეს საქმე ცოცხლობს და ელის ახალ ცვლას. ჩვენ ნათელი იმედით შევეყურებთ ამ ცვლას, რადგან ამოუწურავად მდიდარია რუსი ხალხი ნიჭიერი ადამიანებით და ამოუწურავად უხვია ის წყარო, რომელსაც ტოლსტოის მსგავსად შთაგონებისათვის დაეწაფება საბჭოთა მწერლები ახალი თაობა“.

ალექსანდრე მუთილია

დ. უიიკბახის მაგარიადისგური ფილოსოფია და მისი „ძირითადი მაკსვადი“

ლუდვიგ ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფია მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის წყარო იყო. მარქსისა და ენგელსის დამოკიდებულება ფეიერბახისადმი მთელი სიცხადით განსაზღვრა ამხანაგმა სტალინმა თავის შესანიშნავ შრომაში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“.

„ახანაიებენ რა თავის მატერიალიზმს, — სწერს ამხანაგი სტალინი, — მარქსი და ენგელსი ჩვეულებრივ მიუთითებენ ფეიერბახზე, როგორც ფილოსოფოსზე, რომელმაც აღადგინა მატერიალიზმი თავის უფლებებში. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მარქსისა და ენგელსის მატერიალიზმი იგივეა, რაც ფეიერბახის მატერიალიზმი. სინამდვილეში მარქსმა და ენგელსმა ფეიერბახის მატერიალიზმიდან აღდგ მისი „ძირითადი მარცვალი“. შემდგომ განავითარეს იგი მატერიალიზმის მეცნიერულ-ფილოსოფიურ თეორიად და ჩამოაშორეს მას მისი იდეალისტური და რელიგიურ-ეთიკური დანაშრეგები“¹⁾.

— გაეარჩიოთ ამ შესანიშნავი ამონაწერ — ძირითადი დებულებანი.

„მარქსი, — სწერდა ლენინი, — ფეიერბახის მსოფლიო-ისტორიულ, „ეპოქის შემქმნელ“ მნიშვნელობად სთვლიდა სწორედ იმას, რომ მან გაბედულად გასწყვიტა კავშირი ჰეგელის იდეალიზმთან და აღიარა მატერიალიზმი“²⁾.

ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფია დიდხანს ბატონობდა თვითმპყრობელურად აღამიანთა გონებაზე. მისი გავლენა არ შეწყვეტილა უდიდესი ფილოსოფოსის სიკვდილის შემდეგაც. პირიქით, ეს გავლენა სწორედ 1830 — 1840 წლების პერიოდში აღწევს თავის უმაღლეს წერტილს. ბრძოლის მთავარი სარბიელი რელიგია იყო, რადგანაც პოლიტიკურ საკითხებზე, მკაცრი ცენზურული პირობების გამო, აშკარად ლაპარაკი არ შეიძლებოდა. მაგრამ რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც ენგელსი აღნიშნავს, არაპირდაპირი ბრძოლა იყო პოლიტიკის წინააღმდეგ. რელიგიის

¹⁾ ი. სტალინი: „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“. — ლენინის საკითხები, მე-11 გამ., გვ. 666.

²⁾ ვ. ი. ლენინი: „კარლ მარქსი“, ტ. XVIII, 1931 წ., გვ. 8.

კრიტიკა ყოველი კრიტიკის წინამძღვარია. რელიგიური დაჯგუფებები და პარტიები პარლიტიკურ დაჯგუფებათა და პარტიათა სურსათები წარმოადგენდნენ¹⁾.

გასაგებია, რომ ჰეგელის ფილოსოფიის ორმაგობამ, ემპირიულ ქოგორც რეკოლუციური, ისე რეაქციული ელემენტების არსებობამ, მისი პარლიტიკურ ბრძოლაში, რომელიც ფილოსოფიის სიკვდილის შემდეგ დაიწყო, განაპირობა მისადმი ორმაგი დამოკიდებულება.

30-იანი წლების დამლევეს ჰეგელის სკოლა ორ ბანაკად იყო გაყოფილი — „მემარცხენე“ და „მემარჯვენე“ ჰეგელიანელთა ბანაკად, თუ არ ჩავთვლით „ცენტრს“, „ქაობს“, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს. მემარცხენე ჰეგელიანელები, რომელთაც ეკუთვნოდნენ ბ. ბაუერი, ე. ბაუერი, ლ. ფეიერბახი და ერთ ღროს, ცოტა მოგვიანებით, აგრეთვე მარქსი და ენგელსი, მისდევდნენ რა ჰეგელის ფილოსოფიის პროგრესიულ პრინციპებს, ამ პრინციპებიდან რადიკალურად დემოკრატიული და ათეისტური დასკვნები გამოჰყავდათ. მემარჯვენე ჰეგელიანელები-კი (გეშელი, ვაბლერი, შინრისი) კონსერვატიულ სისტემას ებღაუშებოდნენ და იქიდან უაღრესად რეაქციული დასკვნები გამოჰყავდათ.

მემარცხენე და მემარჯვენე ჰეგელიანელებს შორის განაღებულ ბრძოლას პირველი ბიძგი მისცა დ. შტრაუსმა, რომელმაც, უნდა ითქვას, პირველად შემოიღო კიდევ ხმარებაში ეს სახელწოდებანი. შტრაუსი თავის წიგნში „იესოს ცხოვრება“, რომელიც 1835 წელს გამოვიდა, ისტორიული კრიტიკის საშუალებით ამტკიცებდა, რომ სახარების ამბები არ შეეფერებოდა რეალურ ისტორიულ ფაქტებს. ასე, მაგალითად, იესოს ცხოვრებისა და სასწაულთმოქმედებების შესახებ სახარების ცნობებზე შტრაუსი სწერდა. „...სახარობელთა ცნობები იესოს ცხოვრების მოქმედებათა და ფაქტთა შესახებ (იერუსალიმში მისი გამგზავრებისა და გარდაცვალების გარდა) საერთოდ მეტად დაუჯერებელ რამეს წარმოადგენენ... იესოს სასწაულებებისა და ზებუნებრივ საქმეთა შესახებ უნდა ითქვას, რომ სინამდვილეში ისინი არ მომხდარან და არც შეიძლებოდა მომხდარიყვნენ!“²⁾ ასეთია საერთოდ სახარების ყველა დანარჩენი მონათხრობიც. ისინი რეალური და ისტორიული ფაქტები არ არიან, ისინი მითები არიან და, როგორც ასეთები, სხვადასხვა პირველადი ქრისტიანული თემების კოლექტიური ცნობიერების შეუგნებელ გამოწვევას წარმოადგენენ. საღვთო წერილი, შტრაუსის აზრით, ცდილობს „დაუჯერებელ დასაჯერებელი გახადოს, ისტორიულად წარმოსადგენი გახადოს ის, რაც არ ყოფილა ისტორიაში“.

რა თქმა უნდა, მემარჯვენე ჰეგელიანელებს, როგორც ქრისტიანული დოგმის ფილოსოფიურ დამცველებს, არ შეეძლოთ არ ამხედრებულყვნენ „იესოს ცხოვრების“ ავტორის წინააღმდეგ. მაგრამ შტრაუსის წიგნმა აამოძრავა არა მარტო მემარჯვენე ჰეგელიანელები, არამედ მემარცხენე ჰეგელიანელებიც. ბრუნო ბაუერმა, მემარცხენე ჰეგელიანელთა მეთაურმა, შტრაუსის მიერ დაწყებული კრიტიკა განაგრძო. იგი მას სახარების თქმულებათა არსის შესახებ შეხედულებებში დასცილდა. თავის შრომაში

1) ფ. ენგელსი: „ლუდვიგ ფეიერბახი“, გვ. 14.

2) Д. Штраус: „Жизнь Иисуса“. წიგნი მე-2, 1907, 33-216.

„იოანესა და სინოპტიკოსების სახარებათა ისტორიის კრიტიკა“ (1841 წ.) ბაუერი, წინააღმდეგ შტრაუსისა, ამტკიცებდა, რომ სახარების მოწოდებობები შეუგნებლად შექმნილი მითები როდია, არამედ თვით მახარობელთა მიერ შეგნებულად შეთხზული გამონაგონიაო. „ხადგეტყუენ; როგორც ასეთებს, — სწერს ბაუერი, — არაფრის შექმნა არ შეუძლებს მახარების მისტიკური სუბსტანციონალიზმის წყალობით და უშუალოდ მისგან; მხოლოდ სუბიექტს, ცალკეულად თვითცნობიერებას შეუძლია მისცეს მას ფორმა, სახე და წმით შინაარსის გარკვეულობა“.

ამრიგად, თუ შტრაუსი სახარების თქმულებებში, როგორც მითებში, ხალხის ობიექტური სულის გამოვლინებას ხედავდა, სამაგიეროდ ბაუერი, რომელიც ამ თქმულებას თვით მახარობელთა გამონაგონად სთვლიდა, მათში ხედავდა არა აბსოლუტური, არამედ სუბიექტური სულის — თვითცნობიერების — შემოქმედების გამოვლინებას. ეს დაევა თავის შემდგომ ისტორიულ განვითარებაში გადაიქცა დავად იმის შესახებ, თუ რა წარმოდგენს ისტორიის მამოძრავებელ ძალას: ობიექტური, სუბსტანციური სული, თუ სუბიექტური სული — თვითცნობიერება. „საკითხი, თუ როგორ წარმოიშვნენ სახარების სასწაულებრივი იგაეები, — სწერს ენგელსი, — აღმოცენდნენ ისინი ქრისტიანული თემის წიაღში შეუგნებელ-ტრადიციული მითოლოგიური შემოქმედების წყალობით, თუ ეს იგაეები თვით მახარობლებმა მოიგონეს, შემდგენაირად გაფართოვდა: რა არის მთავარი მოქმედი ძალა მხოლოდ ისტორიაში — „სუბსტანცია“ თუ „თვითცნობიერება“?)

ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ამ დავაში, რომელმაც ზოგად-ფილოსოფიური ხასიათი მიიღო, არც შტრაუსი და არც ბაუერი არ ვასცილებიან პრინციპულად ჰეგელის ფილოსოფიის საზღვრებს. თვითველი ოპონენტი დებულობდა ჰეგელის იდეალიზმის ამა თუ იმ ასპექტს. შტრაუსი დებულობდა ობიექტურ, სუბსტანციურ ასპექტს, ბაუერი კი — სუბიექტურს თვითცნობიერებას.

ამის შედეგად აბსოლუტური სულის ჰეგელური სისტემა დაურღვეველი რჩებოდა და ბატონობას განაგრძობდა.

ამრიგად, ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, როდესაც მემარცხენე ჰეგელიანობის მტკიცე წარმომადგენელი რელიგიისთან ბრძოლაში ინგლისურ-ფრანგულ მატერიალიზმამდე მიდიოდნენ, საერთოდ ფილოსოფიურ საკითხებში კი იდეალისტებად რჩებოდნენ და ჰეგელის სისტემის ამა თუ იმ ასპექტს აწვითარებდნენ. ამ წინააღმდეგობის ქსელში, როგორც ენგელსი აღნიშნავდა, ახალგაზრდა ჰეგელიანელები სხვადასხვაგვარად გაიხლართნენ. აღნიშნული წინააღმდეგობა პირველად და გადაჭრით ფიქრბაზნა გადალახა „იმით, რომ მატერიალიზმი ხელახლა ყოველი პირობის გარეშტახტზე აიყვანა“ (ენგელსი). ფიქრბაზნაზე რელიგიის კრიტიკით დაიწყო და ეს მისი კრიტიკა გადაიზარდა იდეალიზმის, როგორც თეოლოგიის თეორიული და ლოგიკური საფუძელის, კრიტიკად. ლ. ფიქრბაზნმა ჰეგელის სისტემის კრიტიკაში, — სისტემისა, რომელიც, თვით ფიქრბაზნის სიტყვებით, თეოლოგიის ფილოსოფიური დასაბუთების უკანასკნელ და ყველაზე დიდ ეტაპს წარმოადგენდა, მატერიალიზმი აღადგინა თავის უფლებებში. ამაში მდგომარეობდა ამ მოაზროვნის მხოლოდ-ისტორიული მნიშვნელობა.

ფეიერბახის ფილოსოფიური განვითარება მიდიოდა ჰეგელიანობიდან. მატერიალიზმისაკენ, თუმცა მთლიანად კანონზომიერი ჰეგელიანეტი, როგორც ენგელსი აღნიშნავს, იგი არასდროს არა ყოფილა. თავისი ფილოსოფიური განვითარება ფეიერბახმა შესანიშნავად გამოხატა შემდეგი სიტყვებით: „ღმერთი იყო ჩემი ბირველი აზრი, გონება — ჩემი მეორე აზრი, ადამიანი — ჩემი მესამე და უკანასკნელი აზრი“¹⁾.

ფეიერბახი დიდი ხნით არ დარჩა თეოლოგიის ერთგული. ჯერ კიდევ თავისი სტუდენტობის პირველ წლებში მომავალი ფილოსოფოსი თეოლოგიის ფილოსოფიაზე სცვლის. სტუდენტი ფეიერბახი 1824 წელს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტიდან გადადის ბერლინის უნივერსიტეტში, სადაც თვით ჰეგელი ასწავლიდა. „...მე უარი ვთქვი თეოლოგიაზე, — სწერდა ფეიერბახი ცოტათი გულნატკენ მამას 1825 წელს, — მაგრამ უარი ვთქვი მანე არა ჯიუტობით ან მოუფიქრებლობით, არა იმიტომ, რომ იგი არ მომწონს, არამედ იმიტომ, რომ იგი არ მაკმაყოფილებს, იმიტომ, რომ იგი არ მაძლევს იმას, რაც დაჟინებით საჭიროა ჩემთვის. ჩემი სული აღარ იმყოფება ამჟამად უკვე წმინდა ქვეყნის ფარგლებში; ჩემი ტრძნობები მიტაცებენ მე შორეულ სამყაროსაკენ; ჩემს ხარბ სულს, რომელიც ხელისუფლებისაკენ ისწრაფვის, სურს ყველაფერი შთანთქმას. ჩემი მისწრაფებანი აბსოლუტურად უსაზღვროა, მე მინდა, ჩემს გულში ჩაეიკრა ბუნება, რომლის სიღრმის წინაშე უკან იხევს მხალისი და თავზარდაცემული თეოლოგი, მინდა გულში ჩაეიკრა ადამიანი, მაგრამ მთლიანი ადამიანი, რომელიც საგანია არა თეოლოგისა, ანატომისა ან იურისტისა, არამედ მხოლოდ ფილოსოფოსისა“. შემდეგ ფეიერბახი სთხოვს მამას, გაიზიაროს მის ცხოვრებაში ახალი ხანის დადგომით გამოწვეული მისი სინაურული, რაც თეოლოგიის ფილოსოფიით შეცვლასთან დაკავშირებით დაიწყო. „გაიზარე ჩემთან ერთად, — სწერს ფეიერბახი, — რომ მე დამეწყო ახალი ცხოვრება, ახალი ებოქა. ვიხაროდეს, რომ მე გაეუქმეო თეოლოგების საზოგადოებას და მეგობრებად მყვანან ისეთი მოაზროვნენი, როგორცაა არისტოტელე, სპინოზა, კანტი და ჰეგელი. ჩემი უაბრუნება უკან თეოლოგიისაღმდეგ — ეს იქნებოდა ის, რომ უკან დაგვებრუნებინა უკვდავი სული მის მომკვდარ გარსში, უკან დაგვებრუნებია ფარვანა, ქუბრის მღვთმარებაში“ — ამთავრებს ფეიერბახი ამ წერილს²⁾.

ერთი წლის შემდეგ, 1826 წელს, იგი აღნიშნავს, რომ მას ჰქონდა „ფილოსოფიური წარმატება აზროვნებაში. შედარებით წარსულთან“. მაგრამ უკვე ამ დროს, ჰეგელის ფილოსოფიის უშუალო შესწავლის პერიოდში, ფეიერბახს ჰეგელის ფილოსოფიის და საერთოდ ყოველი ფილოსოფიის მთავარ საკითხში ეჭვი ებადება. „როგორ შეგუარდება აზროვნება ყოფიერებას, ლოგიკა ბუნებას? არის თუ არა დასაბუთებული ვალდებულება ერთიდან მეორეზე? რაშია აფცილებლობა, რაშია ამ პრინციპის გადასვლა?“ — კითხულობს ფეიერბახი 1827—1828 წლებში და, არა კმაყოფილდება, რა დასმული საკითხების ჰეგელისებური გადაჭრით, სწერს: „ბუნე-

¹⁾ Л. Фейербах: „Фрагменты к характеристике моей философской биографии“. сб. „Основы философии будущего“, 1936, стр. 169.

²⁾ იქვე, გვ. 136. — 137.

ბა რომ არ ყოფილიყო, ვერასოდეს უბიწო ქალწული, ლოგიკა, ვერ წარმოშობდა მას თავის თავიდან“¹⁾.

ფეიერბახის სადისკრტაციო შრომა „ერთიანი, უნივერსალური და უსაზღვრო გონების შესახებ“ მთლიანად აღებული, დაწერილია ჰეგელური პოზიციიდან, თუმცა იგი შეიცავს აგრეთვე „საქონელთა“ და ერთოულადის, საქონელ და სიჭიქო სამყაროს საკითხის რამდენიმე სხვაგვარ განხილვას. შრომაში „აზრები სიკვდილისა და უკვდავების შესახებ“ (1830), რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა ფილოსოფიის ბიოგრაფიაში, ფეიერბახი, მთლიანად თუ აჭილებთ, ჯერ კიდევ ჰეგელის იდეალიზმის პოზიციაზე დგას, მაგრამ, შემარჯუნენ ჰეგელიანულთაგან განსხვავებით, ინდივიდუალური სულის უკვდავებას უარყოფს. ეს შრომა ფეიერბახმა ანონიმურად გამოსცა, მაგრამ მისი ავტორობა მალე გამოამჟღავნეს უნივერსიტეტისა და ეკლესიის ჯაშუშებმა. წიგნი დასწევს, ხოლო ახალგაზრდა ავტორს სამუდამოდ მოუსპეს საუნივერსიტეტო მოღვაწეობის შესაძლებლობა.

1836 წლიდან ფეიერბახი თეოლოგიის განსაკუთრებით მკვეთრად გაკრიტიკებას იწყებს და მატერიალიზმისაკენ იბრუნებს პირს. ფეიერბახის ისტორიულ-ფილოსოფიური მნიშვნელობა რომ მთელი სიცხადით გავიგოთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ თეოლოგიის წინააღმდეგ მიმართული მისი კრიტიკა იდეალიზმის კრიტიკად გადაიზარდა. ფეიერბახმა სპეკულაციური ფილოსოფიის იდეალიზმში სამართლიანად დაინახა თეოლოგიის საფუძველი. სპეკულაციური ფილოსოფია, მისი აზრით, ლოგიკურად გადაქცეული დეთისმეტყველებაა. სპეკულაციური ფილოსოფიის პრედიკატები დებთაებრივი არსების პრედიკატები არიან. „სპეკულაციური ფილოსოფიის არსი, — სწერს, ფეიერბახი, — სხვა არაფერია, თუ არა რაციონალიზებული, რეალიზებული, აწმყრში არსებული წარმოდგენილი არსი დემერთისა“²⁾. ამიტომ, თეოლოგიას რომ ანგარიში გავუწიოროთ, საჭიროა ანგარიში გავუწიოროთ იდეალიზმს, სპეკულაციურ ფილოსოფიას. მაგრამ სპეკულაციური ფილოსოფიის უდიდეს მიღწევას და დაგვირგვინებას წარმოადგენს ჰეგელის სისტემა. ჰეგელის ფილოსოფია, რომელიც სპეკულაციური ფილოსოფიის კულმინაციურ პუნქტს წარმოადგენს, თეოლოგიის უკანასკნელი თავშესაფარია და მისი ფილოსოფიური დასაბუთების ყველაზე დიდი ცდაა. „ჰეგელის ფილოსოფია, — ამბობს ფეიერბახი, — თეოლოგიის უკანასკნელი თავშესაფარი, უკანასკნელი რაციონალური საყრდენია“³⁾. „ის, ვინც ჰეგელის ფილოსოფიაზე არ ამბობს უარს, არც თეოლოგიაზე ამბობს უარს“⁴⁾.

ჰეგელის აბსოლუტური სული მსტიფიცირებული და გაღმერთებული ადამიანური სულია, სრულიად ისევე, როგორც თეოლოგიის უსასრულო არსება სხვა არაფერია, თუ არ ადამიანის გაღმერთებული სასრული არსე-

¹⁾ იქვე, გვ. 138.

²⁾ Л. Фейербах: „Основы философии будущего“, § 5, Соцэкгиз, 1936 г. сс. 14.

³⁾ Л. Фейербах: „Предварительные тезисы к реформе философии“, в „Основы философии будущего“, сс. 125.

⁴⁾ იქვე, გვ. 124.

ბა. „აბსოლუტური სული თეოლოგიის განაყენებული სულია, რომელიც ანტიდილიციით დაეხეტება კიდევე ჰეგელის ფილოსოფიაში“¹⁾ — ამბობს ფეიერბახი.

პირველად ამ ყაიდაზე ფეიერბახმა ჰეგელი გააკრიტიკა შრომაში „ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკისათვის“, რომელიც 1833 წელს გამოვიდა. ჰეგელის ფილოსოფია — რაციონალური მისტიკააო, აცხადებს ფეიერბახი და ამ თვალსაზრისით აკრიტიკებს იგი ჰეგელის „ლოგიკას“ და „სულის ფენომენოლოგიას“. ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკა, ნოცემული „ფილოსოფიის რეფორმის წინასწარ თეზისებში“ (1842 წ.) და „მომავლის ფილოსოფიის საფუძვლებში“ (1843), ამ ნაშრომის გაგრძელებას და შემდგომ გარსაყვებას წარმოადგენს. შრომაში „ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკისათვის“ ფეიერბახი აცხადებს, რომ თეოლოგიისა და მისი თეორიული საფუძვლის — იდეალიზმის დასამარცხებლად საჭიროა ბუნებისა და ადამიანის აღდგენა თავიანთ უფლებებში. ფეიერბახის აზრით, ბუნების საზღვრებიდან გასვლის ცდა იმდენადვე უბადრუკია, რამდენადაც უნაყოფო. „ყოველი გონებით ჰერეტა, — სწერს ფეიერბახი იქვე, — რომელსაც სურს ბუნებისა და ადამიანის საზღვრებს გასცილდეს, ამიტომ უბადრუკია, ისევე უბადრუკი, როგორც ხელოვნება, რომელიც ცდილობს მოგვეცეს რაღაც უფრო მაღალი, ვიდრე ადამიანური სახეა“ ამის ნაცვლად კი მხოლოდ მანქვას გვაძლევს... ფილოსოფია არის მეცნიერება სინამდვილისა მის ჰეგემონობასა და მთლიანობაში; მაგრამ სამდვილის ერთობლიობა ბუნებაა — ბუნება ამ სიტყვის უნივერსალური მნიშვნელობით. უღრმესი საიდუმლოებანი იმალებიან ბუნებრივ ნივთებში, რომელთაც ფეხქვეშ სთელავს მიღმურის მოტრფიალე გონება — ჰერეტითი ფილოსოფოსი. ბუნებასთან დაბრუნება განკურნების ერთადერთი წყაროა“²⁾.

ფეიერბახის მატერიალიზმი და ათეიზმი თავიანთ სრულსა და საბოლოო ფორმულირებას ლებულობენ მის შესანიშნავ წიგნში „ქრისტიანობის არსება“, რომელიც 1841 წელს გამოქვეყნდა. ამ შრომას ფილოსოფიური აზრის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ზედა წილად.

„ბუნება არსებობს ყოველ ფილოსოფიისაგან დამოუკიდებლად; იგია საფუძველი, რომელზედაც აღმოცენებულნი ვართ ჩვენ, მისი ნაწარმოებნი, ადამიანები; ბუნებისა და ადამიანების გარეშე არაფერი არ არსებობს და უზუნაესი არსებანი, რომელნიც ჩვენმა რელიგიურმა ფანტაზიამ შექმნა, ჩვენი საკუთარი არსების ფანტასტიკური გამონაკრთომები არიან“³⁾, — ასე ახასიათებს ენგელსი ფეიერბახის ამ შრომის მატერიალისტურსა და ათეისტურ შინაარსს.

აღვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ ის განმათავისუფლებელი გავლენა, რომელიც ფეიერბახის ამ იდეებს ჰქონდათ ხანგრძლივი განუყოფელი ბატონობისაგან აბსოლუტური სულის ჰეგელური სისტემის განთავისუფლებისათვის. ფეიერბახმა მოიხსნა ფიცი და, როგორც მარქსი ერთ თავის აღრინდელ შრომაში ამბობს, „თავისი დროის საღზინებელად“ გადაიქცა. „ვისაც ამ წიგნის განმათავისუფლებელი გავლენა პირდაპირ არ განუც-

1) იქვე: გვ. 110.

2) Л. Фейербах, „К критике гегелевской философии“, т. I, 1923, стр. 41

3) ე. ენგელსი: „ლ. ფეიერბახი“, გვ. 15 — 16.

ღია, — სწერდა ენგელსი 1888 წელს, — არც შეუძლია მისი წარმოდგენა აღფრთოვანება იყო საყოველთაო: ჩვენ ყველანი მაშინვე ფეიერბახიანელები გავხდით. „წმინდა ოჯახში“ შეიძლება წაკითხვა, თუ როგორი ალტაცებით მიესალმა მარქსი ახალ შეხედულებას და რა ძლიერი გავლენა მოახდინა მასზე ამ შეხედულებამ, მისი ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნის მიუხედავად“¹⁾.

ფეიერბახის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ჰეგელიანელთა რიცხვიდან პირველმა გასწყვიტა გადაჭრით კავშირი ჰეგელის იდეალიზმთან და ამ იდეალიზმის კრიტიკით აღადგინა მატერიალიზმი თავის უფლებებში. თავისი მატერიალიზმით ფეიერბახმა გავლენა მოახდინა ახალგაზრდა მარქსსა და ენგელსზე, რომელნიც იმ პერიოდში აგრეთვე მემარცხენე ჰეგელიანელებს ემხრობოდნენ, და დააჩქარა მათი ჩამოშორება ჰეგელის იდეალიზმიდან და მატერიალიზმზე გადასვლა. ამ აზრით ლაპარაკობს ენგელსი ფეიერბახის გამანთავისუფლებელ გავლენაზე და აგრეთვე იმაზე, რომ ეს ფილოსოფია წარმოადგენდა ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს ჰეგელსა და დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფიას შორის²⁾.

დიალექტიკური მატერიალიზმის შემქმნელებმა მარქსმა და ენგელსმა ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიიდან აიღეს მისი „ძირითადი მარცვალი“ და იგი შემდგომ განავითარეს მატერიალიზმის მეცნიერულ-ფილოსოფიურ თეორიად.

რასი მდგომარეობდა ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიის „ძირითადი მარცვალი“?

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ფეიერბახის კრიტიკა თეოლოგიისა გადაიზარდა იდეალიზმის, როგორც თეოლოგიის ლოგიკური საფუძვლის, კრიტიკად. „საკითხი იმის შესახებ, — სწერს ფეიერბახი, — შექმნა თუ არა ღმერთმა სამყარო, საკითხი საერთოდ სამყაროსადმი ღმერთის დამოუკიდებლობის შესახებ, არის საკითხი გრძნობადისადმი სულიერის, ნამდვილისადმი ზოგადის ანუ აბსტრაქტულის, ინდივიდუუმებისადმი გვარის დამოკიდებულების შესახებ; ამიტომ ერთი საკითხის გადაჭრა მეორის გარეშე შეუძლებელია, ვინაიდან ღმერთი ხომ სხვა არაფერია, თუ არ ცნება, რომელიც ყველა გვაროვნულ ცნებას შეიცავს“³⁾.

აქ, როგორც ჩანს, ფორმულირებულია ფილოსოფიის ძირითადი საკითხი, — საკითხი სამყაროსადმი ღმერთის ანუ ბუნებისადმი სულის დამოკიდებულების შესახებ, რომელიც ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას იდეალისტურ და მატერიალისტურ ბანაკად ჰყოფს. ეს ძირითადი საკითხი ფეიერბახმა გადასჭრა თანმიმდევრულ-მატერიალისტურად. „აზროვნების შემარტი დამოკიდებულება ყოფიერებისადმი, — სწერს ფეიერბახი, — შემდეგია: ყოფიერება სუბიექტია, აზროვნება — პრედიკატი. აზროვნება ყოფიერებიდანაა, მაგრამ ყოფიერება არა აზროვნებიდან“⁴⁾.

¹⁾ იქვე, გვ. 16.

²⁾ ე. ენგელსი: „ლუდვიგ ფეიერბახი“, გვ. 6.

³⁾ Л. Фейербах. „Лекции о сущности религии“, соч. т. III, 1924, გვ. 130.

⁴⁾ Л. Фейербах. „Предварительные тезисы к реформе философии. Основы философии будущего“, гв. 125.

ყოფიერება, ბუნება, ფეიერბახის აზრით, ერთად-ერთი რეალობა, იგი მატერიალურია. ეს მატერიალური ბუნება უსასრულოა და მართლ არსებობს. ბუნებას არა აქვს დასაწყისი და დასასრული დროსა და სივრცეში.

„წარმოდგენა, — სწერს ფეიერბახი, — რომ თვით ემპირიკულ მთელ ქვეყნიერებას, მთელ სამყაროს საწყისი აქვს დროში, *სწორედ* მასშია და მთელ არასდროს არ ყოფილა არც ბუნება, არც ქვეყნიერება, არც სამყარო, — ეს წარმოდგენა უმნიშვნელოა და მხოლოდ მაშინაა დამაჯერებელი ადამიანისათვის, როცა მას აქვს დაბალი, შეზღუდული წარმოდგენა სამყაროზე; უაზრო და უნიადგო ფანტაზიაა, თითქოს არასდროს არ ყოფილიყოს არაფერი ნამდვილი, ვინაიდან ერთობლიობა ყოველივე რეალურისა, ნამდვილისა არის სწორედ სამყარო ანუ ბუნება“¹⁾.

ყოფიერება არსებობს დროსა და სივრცეში. სივრცე და დრო ცნობიერების ცარიელი ფორმები როდი არიან, ისინი „მთელი არსებულის არსებობის ფორმები არიან“. „სივრცე და დრო, — სწერს ფეიერბახი, — მოვლენათა უბრალო ფორმები როდი არიან. ისინი ძირითად პირობებს წარმოადგენენ, გონიერ ფორმებს, კანონებს როგორც ყოფიერების, ისე აზროვნებისას“²⁾. მხოლოდ არსებობა სივრცესა და დროში არის ნამდვილი არსებობა. მატერიალური ბუნება თავისში შეიცავს თავისი არსებობის მიზეზებს და ამ თავისი აუცილებელი კანონების მიხედვით მოქმედებს. ღმერთმა კი არ შექმნა ბუნება, არამედ ღმერთისადმი რწმენას, როგორც ამას უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევეხებით, თავის საფუძვლად აქვს ბუნების არსებობა და ამ ბუნებისადმი ადამიანის დამოკიდებულება. „ბუნების ყოფიერება, — სწერს ფეიერბახი, — დამყარებულია არა ღმერთის ყოფიერებაზე, როგორც თეიზმი ფიქრობს, — არა. სწორედ პირიქით: ღმერთის ყოფიერება ანუ, უფრო სწორად, მისი ყოფიერების რწმენა მხოლოდ და მხოლოდ ბუნების ყოფიერებას ემყარება“³⁾.

სულს, ცნობიერებას არა აქვს მატერიის, ბუნებისაგან თავის-თავადი დამოუკიდებელი არსებობა. ცნობიერება წარმოშობილია მატერიალურა ბუნების მიერ და არსებობს მხოლოდ როგორც მისი თვისება.

„ყოფიერება აზროვნების საზღვარია“⁴⁾. იდეალიზმი განასხვისებს ცნობიერებას თავისი ბუნებრივი თავშესაფარისაგან — მატერიალური თავისაგან, აობიექტივებს და აღმერთებს მას, შემდეგ კი ხან სულის, ხან იდეის სახელწოდებით მთელი სინამდვილის. მათ რიცხვში აგრეთვე თვით რეალური ადამიანური ცნობიერების, დემიურგად აცხადებს. სული, რომელსაც იდეალიზმი, კერძოდ, მისი უმადლესი ფორმა პეგელის ფილოსოფია, მთელი სინამდვილის დემიურგად აღიარებს, სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არ მისტიფიცირებული და გაღმერთებული სასრული ადამიანური ცნობიერება. „პეგელის აბსოლუტური სული, — სწერს ფეიერბახი, — სხვა არაფერია, თუ არ აბსტრაქტული, თავის თავისგან განცალკევებული, ეგრტროფობული სასრული სული, სრულიად ისევე, როგორც

¹⁾ Л. Фейербах: „Сущность религии“, соч. т. II, 1926, гл. 387.

²⁾ Л. Фейербах. „Основы философии будущего“, § 44.

³⁾ Л. Фейербах. „Сущность религии“, соч. т. II, гл. 374.

⁴⁾ Л. Фейербах. „Основы философии будущего“, § 26, гл. 61.

თეოლოგიის უსასრულო არსება სხვა არაფერია, თუ არ აბსოლუტურ-რის სასრული არსება“¹⁾.

აზროვნობს და შეიცნობს არა ცნობიერება საერთოდ, არა აბსოლუტური სული ან იდეა, არამედ რეალურ-სხეულბერივი არსება. ცნობიერება ადამიანის კუთვნილებაა. შემეცნების სუბიექტი ადამიანი არის არა ბუნების გარეთ და ზუნების მიღმა მონაყარდუ უსხეულო არსება, არამედ მატერიალური ბუნების ნაწილი და ნაყოფი. იგი ბუნებაში ცხოვრობს და მთლიანად მის კანონებს ექვემდებარება. „ჩვენ ყოველი მზრიდან გარემოცულნი ვართ ბუნების მიერ — ნუთუ ჩვენი საწყისი, ჩვენი წყარო არა ბუნებაში, არამედ მის გარეშეა? ჩვენ ვცხოვრობთ ბუნებაში, ბუნებასთან, ბუნების ხარჯზე, — და ნუთუ ჩვენი ყოფიერება მისგან არ წარმოსდგება? როგორი წინააღმდეგობაა — სწერს ფეიერბახი იდეალისტებისა და თეოლოგების წინააღმდეგ“²⁾.

ადამიანი — ყოფიერებისა და აზროვნების, სუბიექტისა და ობიექტის რეალური ერთიანობაა. იგი სუბიექტია თავისთვის, ობიექტი კი — სხვისთვის. ადამიანის ცნობიერება არ წარმოადგენს რაიმე აბსოლუტურად უცხო მატერიისათვის, ბუნებისათვის, არამედ მისი თვისებაა, თვისება მატერიალური ტენისა. „სინამდვილის კანონები აგრეთვე აზროვნების კანონებიც არიან“, — ამბობს ფეიერბახი სპინოზას კვალდაკვალ³⁾. ამით განისაზღვრება პრინციპულად ადამიანური ცნობიერების მიერ გარეგანი მატერიალური ბუნების ადეკვატური შემეცნების შესაძლებლობა.

„...როგორ შეიძლება, რომ აზროვნება ნამდვილი არსების მოქმედების სახით არ სწვდებოდეს ნამდვილ ნივთებსა და არსებებს? მხოლოდ მაშინ, როცა აზროვნებას ადამიანისაგან ანცალკეებენ, ფიქსაციას უშვრებთან მას თავის თავისთვის, წამოიჭრება ხოლმე შწვავე საკითხები: როგორ შეეფარდება აზროვნება ყოფიერებას, ობიექტს? ვინაიდან აზროვნება, ფიჭაირებული თავის თავისთვის, ე. ი. მოთავსებული ადამიანია გარეთ, სამყაროსთან ყოველივე კავშირისა და ურთიერთქმედობის გარეშე იმყოფება... სამყარო გახსნილია მხოლოდ გახსნილი თავისთვის, ხოლო თავის ნახვრეტები — მხოლოდ გრძნობები არიან“⁴⁾.

ბუნება და ადამიანი, მატერიალისტურად განხილულნი, ფეიერბახის სისტემაში მთელი მისი ფილოსოფიის ფუძემდებელ პრინციპად გვევლინებიან. „ჩემი მოძღვრება ანუ შეხედულება შეიძლება ამიტომ გამოხატულ იქნას ორი სიტყვით: ბუნება და ადამიანი,“ — ამბობს ფეიერბახი⁵⁾. ადამიანი, როგორც გვირგვინი ბუნებისა და მისი შეგნებული გამოვლინება, ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამიტომ იგი თავის მოძღვრებას ანთროპოლოგიას ანუ ჰუმანიზმს უწოდებს.

ადამიანის არსების გამოყვლავნების საშუალებით ფეიერბახი წინადადებას იძლეოდა გაეძევიბინათ არა მარტო იდეალიზმი და თეოლოგია, არა-

¹⁾ Л. Фейербах. „Предварительные тезисы к реформе философии. Основы философии будущего“, стр. 109.

²⁾ Л. Фейербах. „Сущность религии“, соч. т. II, стр. 381.

³⁾ Л. Фейербах. „Основы философии будущего“, § 45, стр. 91.

⁴⁾ Л. Фейербах. „Основы философии будущего“, § 51, стр. 97—98.

⁵⁾ Л. Фейербах. „Лекции о сущности религии“, соч. т. III, стр. 24.

მედ პრინციპულად მოეხდინათ ფილოსოფიის რეფორმა, მიეცათ მისთვის ახალი შინაარსი და მიმართულება. ჰეგელის აბსოლუტურ სისტემას, როგორც იდეალიზმის უმაღლეს განვითარებას და თეოლოგიის უანსკნელ თავშესაფარს, ფეიერბახმა დაუპირისპირა ბუნება და ადამიანი. ჰეგელის აბსოლუტურ იდეას, რომელსაც ამჟამად თავისი თავი შეიჭრის სიმამღვლის შემომქმედად წარმოუდგენია, ფეიერბახმა დაუპირისპირა უანსრულო მატერიალური ბუნება და მისი უმაღლესი ნაყოფი — რეალური ადამიანი. რეალური ადამიანის არსების გამომგლავება გვაფხიზლებს მთვრალი სპეკულაციური ფილოსოფიისა და თეოლოგიისაგან.

ფეიერბახმა დაამტკიცა, რომ „ღმერთმა კი არ შექმნა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად, როგორც ეს ბიბლიაშია ნათქვამი, არამედ ადამიანმა შექმნა ღმერთი თავის ხატად და მსგავსად“¹⁾. ადამიანს, ფეიერბახის აზრით, არ გააჩნია არავითარი თანდაყოლილი რელიგიური გრძნობა ან იდეა. „მტკიცება თითქოს რელიგია ადამიანის თანდაყოლილი იყო, მცდარია“²⁾. ამბობს ფეიერბახი.

ღმერთი არის ადამიანის მიერ გასხვისებული და აბსოლუტურად გადაქცეული თავისი არსება. ღვთაებრივი არსება დაწმენდილი და აბსოლუტურებული ადამიანური არსებაა. „რელიგიაში, ყოველ შემთხვევაში ქრისტიანულში, — სწერს ფეიერბახი, — გამოიხატება ადამიანის დამოკიდებულება თავის თავისადმი, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, თავისი არსებისადმი, რომელსაც იგი განიხილავს როგორც რაღაც გარე შეს. ღვთაებრივი არსება სხვა არაფერია, თუ არ ადამიანური არსება, გაწმენდილი, განთავისუფლებული ინდივიდუალური საზღვრებიდან. გათბიქტივებული, ე. ი. განხილული და მიჩნეული გარე შეს, ცალკეული არსების სახით. ამიტომ ღვთაებრივი არსების ყველა განმარტება ადამიანურ არსებასაც შეეხება“³⁾. „ღმერთი სხვა არაფერია, — სწერს ფეიერბახი სხვა ადგილას, — თუ არ ადამიანის პირადი არსება, ჩამოშორებული ყოველ გვარ კავშირს სამყაროსთან, განთავისუფლებული ბუნებაზე ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან. ღმერთის პიროვნებაში ადამიანი ზეიმობს თავისი საკუთარი პიროვნების ზებუნებრიობას, უკვდავებას, დამოუკიდებლობას, შეუზღუდველობას“⁴⁾.

ყველაფერი, რასაც ადამიანი ღმერთს მიაწერს, თვით მასვე ეკუთვნის; ყველაფერი, რასაც იგი ღმერთზე ლაპარაკობს, ლაპარაკობს მას თავის თავზე. ღმერთში ადამიანი თავის იდეალ იმელებს ანსახიერებს. როგორცაა ადამიანი, ისეთივეა ღმერთი. მოკლედ, ღმერთი ადამიანის სარკეა.

„ადამიანის ღმერთი ისეთია, — სწერს ფეიერბახი, — როგორც მისი აზრები და გუნება. ღმერთის ღირებულება არ აღმატება ადამიანის ღირებულებას. ღმერთის ცნობიერება ადამიანის თვითცნობიერებაა, ღმერთის შემეცნება — ადამიანის თვითშემეცნება. ადამიანზე შეიძლება ვიმსჯელოთ ღმერთის მიხედვით და

¹⁾ იქვე, გვ. 205.

²⁾ Л. Фейербах, „Сущность религии“, соч. т. II, гл. 369.

³⁾ Л. Фейербах, „Сущность христианства“, соч. II, гл. 37.

⁴⁾ იქვე, გვ. 115.

ლმერთზე — ადამიანის მიხედვით. ისინი იდენტიურნი არიან. ადამიანის ლეთება მდგომარეობს მის გონებასა და გულში, ხოლო ადამიანს გონება, სული და გული მელაენდება მის ლმერთში. ლმერთში გამოიხატება ადამიანის არსება, მისი „მე“. რელიგია არის ადამიანის იდეალურ განათა საზეიმო აღმოჩენა, მის იდეალურ ზრახვათა გამომქლავება, მისი ზრახვების საიდუმლოებათა აშკარა აღიარება“¹⁾).

ფეიერბახს, როგორც ჩანს, ლმერთი დაჰყავს ადამიანამდე და მასში სთქვეფს. ადამიანი, ფეიერბახის აზრით, „არის რელიგიის დასაწყისი, შუაგული და ბოლო“²⁾. ადამიანის გარეშე არ არსებობს ლმერთი. ამრიგად, ლმერთი, რომელიც თეოლოგიამ დამოუკიდებელ არსებად წამოაყენა და ყველა მოვლენის მიზეზად აღიარ, თვით ადამიანის ნაყოფი აღმოჩნდა. ადამიანს სტანჯავს თავისი საკუთარი ნაყოფი, თავისი საკუთარი არსება. ფეიერბახი ამტკიცებს, რომ ლმერთი, რომლის წინაშეც ადამიანი შიშს განიცდის, რომელსაც მუხლმოდრეკილი ემუდარება — აჩუქოს მას სიციოცხლე და ძლიერება საქმეში, რომელსაც მსხვერპლად სწირავს თავის საყვარელ ბავშვებსაც კი, რათა გული მოუღბოს მას, — ადამიანის საკუთარი ნაყოფია, მისი ობიექტივიზებული არსება. ადამიანს უწყალოდ ჩაგრავს თავისი საკუთარი ნაყოფი. ამ ფეტიშიზმის გამომქლავებას შეეძლო გაენთავისუფლებინა ადამიანი ჩაგვრისა და ფანტიზმისაგან და გაეხადა იგი თავისუფალი.

„ფეიერბახმა თავის წიგნში ამოცანად დაისახა, — სწერდა თვით ფილოსოფოსი მაქს შტირნერისადმი მიმართულ თავის შებასუხებაში, — დაეყვანა ლმერთი ანუ რელიგია მის ადამიანურ წყარომდე და ამით თეორიულად და პრაქტიკულად გაეუქმებინა რელიგია ადამიანში. მაგრამ რელიგია გამოხატავს ადამიანის საკუთარ არსებას ან ადამიანისაგან განყენებულ არსებას, როგორც ადამიანის გარეშე მყოფ და ზეადამიანურ არსებას. მაშასადამე, ფეიერბახს უნდა დაეყვანა ეს გათიშვად ლმერთად და ადამიანად თვით ადამიანში არსებულ განსხვავებამდე... ამიტომ თავისი გადმოცემის გამოსავალ პუნქტად მას უნდა აეღო ის ფსიქოლოგიური მდგომარეობანი, რომელნიც სწორედ აიძულებდნენ ადამიანს განსხვავებინა თავისი თავისაგან და დაეყენებინა თავის თავზე მაღლა თავისი არსება და თავისი თვისებები, ე. ი. ალტაცების, ვნების, მედიტაციის, ექსტაზის მდგომარეობანი“³⁾).

როგორია რელიგიის ეს გნოსეოლოგიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები?

ფეიერბახი უარყოფს რელიგიის თანშობილებას, მაგრამ იგი ფიქრობს, რომ რელიგიას ღრმა ფსიქოლოგიური და გნოსეოლოგიური ფესვები აქვს. რელიგიის მიზეზი და წყარო, მისი აზრით, ადამიანის გრძნობა-შია. ადამიანის გრძნობა არ არის რელიგიური მდგომარეობა თავისთავად, მაგრამ იგი განაპირობებს რელიგიის წარმოშობას. გრძნობა, რომელსაც წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარი ახასიათებს, შეიცავს ნამდვილი სამყაროს საზღვრებიდან ვასელის შესაძლებლობას და ამით ხელს უწყობს

¹⁾ იქვე, გვ. 35 — 36.

²⁾ იქვე, გვ. 196. ხაზგასმა ჩვენი. — ა. ქ.

³⁾ Л. Фейербах. „О сущности религии“, соч. т. II, гл. 434.

რელიგიას, რომლის დამახასიათებელ ნიშანსაც სწორედ ზებუნებრივ და ფანტასტიკურ არსებათა აღიარება წარმოადგენს.

მაგრამ წარმოსახვისა და ფანტაზიის თვით ამ უნარს განსასწავლავს და ასაზრდოებს და ამოკიდებულების გრძნობა. დამოკიდებულების გრძნობა, რომელსაც ადამიანი თავის ცხოვრებაში განიცდის, ფეიერბახის აზრით, რელიგიის საფუძველსა და წყაროს წარმოადგენს. „შიშით დამოკიდებულების გრძნობა, — ამბობს ფეიერბახი, — ერთად-ერთი უტყუარი, უნივერსალური სახელწოდება და ცნებაა რელიგიის ფსიქოლოგიური და სუბიექტური საფუძვლის აღსანიშნავად და ასახსნელად“¹⁾

დამოკიდებულების გრძნობა ყველაზე თვალსაჩინოდ შიშში ვლინდება. რომაელებს ასეთი გამოთქმაც კი ჰქონდათ: „შიშმა პირველმა შექმნა სამყაროში ღმერთები“. შიშისაგან რელიგიის ახსნას ადასტურებენ დაკვირვებანი როგორც პირველყოფილ, ისე აგრეთვე უფრო კულტურულ ხალხებზე და მათ შორის ქრისტიანებზე. „ამრიგად, — დაასკვნის ფეიერბახი, — მსგავსად იმისა, როგორც პრიმიტიულ ხალხებში თაყვანისცემის თითქმის ერთად-ერთ ობიექტს ბოროტი ღმერთები წარმოადგენენ, ასევე ქრისტიანული ხალხებისათვის განარსებულნი ან ბოროტი ღმერთი თაყვანისცემის უმთავრესი ობიექტია, მაშასადამე, მათშიც რელიგიის მთავარი მიზეზი შიშია“²⁾.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფეიერბახს არ მიაჩნია შიში „რელიგიის ამომწურავ საკმაო ახსნად“³⁾. „უაღრესად ცალმხრივი, უმართებულოც კი იქნებოდა რელიგიის მიმართ, თუ შიშს გავხდინდი ერთად-ერთ მიზეზად, რელიგიის ამხსნელ მიზეზად“, ამბობს ფეიერბახი⁴⁾.

საქმე იმაშია, რომ „საიდანაც ბოროტებაა, იქიდან მოდის სიკეთეც, საიდანაც შიშია, იქიდანაა სიხარულიც“: ამიტომ „შიშის საგანი ხდება აგრეთვე თაყვანისცემის, სიყვარულის, მადლიერების საგნადაც“⁵⁾. მაშასადამე, რელიგიის ასახსნელად უნდა ავიღოთ როგორც შიშის, ისე სიყვარულის გრძნობა, თაყვანისცემისა და მადლიერების გრძნობა. შიშის გრძნობა, თუმცა იგი, ფეიერბახის სიტყვით, დამოკიდებულების გრძნობის ყველაზე გაერცვლებული და თვალსაჩინო გამოვლინებაა, მაგრამ იგი მაინც ვერ ამოსწურავს ამ გრძნობას და ამიტომაც არ წარმოადგენს რელიგიის ამომწურავ საფუძველს. დამოკიდებულების გრძნობა შეიცავს როგორც შიშის გრძნობას, ისე სიყვარულის, თაყვანისცემისა და მადლიერების გრძნობასაც და ამიტომ იგი რელიგიის ფსიქოლოგიური და სუბიექტური საფუძვლის „ერთად-ერთი უტყუარი“ და „უნივერსალური“ ახსნაა.

მაგრამ დამოკიდებულების გრძნობას საფუძველად უდევს ადამიანის მისწრაფება თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ე. ი. ეგოიზმი. სადაც ეგოიზმი არაა, იქ დამოკიდებულების გრძნობაც არ არის. ადამიანი რომ თავისი მოთხოვნილებებისა და სურვილების დაკმაყოფილებისაკენ არ ისწრაფოდეს, იგი არაფერზე არ იქნებოდა დამოკიდებული. სადაც მოთხოვნილება არ არის, იქ არც დამოკიდებულებაა. „ს ა დ ა ც ე გ ო ი ზ მ ი

¹⁾ Л. Фейербах. „Лекции о сущности религии“, соч. т. III, стр. 85.

²⁾ იქვე, გვ. 32.

³⁾ იქვე, გვ. 33.

⁴⁾ იქვე.

⁵⁾ იქვე.

არ არის, იქ არც დამოკიდებულების გრძნობაა. ვისთვისაც სიცოცხლე განურჩეველია, ვისთვისაც იგი არაფერია, მისთვის არაფერია ისიც, რაზედაც იგი დამოკიდებულია; მას მისი არ უმინია და მისგან არაფერს მოელის და ამიტომაც მის გულგრილობაში, ანუ უფრო სწორად ნობი წერტილი, რომელზედაც დამოკიდებულების გრძნობა უნდა იქონიებოდეს გამაგრებულიყო“ 1).

ამრიგად, ფეიერბაში დამოკიდებულების გრძნობიდან გადაღის ეგოიზმზე და მასში ხედავს რელიგიის უკანასკნელ სუბიექტურ საფუძველს.

„თავდაპირველად ჩვენ გამოვედიო, — ამბობს ფეიერბაში, — რელიგიის ყველაზე ზოგადი და ჩვეულებრივი მოვლენებიდან და აქედან უკვე გადავდივით დამოკიდებულების გრძნობაზე; მაგრამ ამქამად ჩვენ უკან დავბრუნდით დამოკიდებულების გრძნობის საზღვრების გზით და საზღვრებს იქით და რელიგიის უკანასკნელ სუბიექტურ საფუძველად აღმოვაჩინეთ ადამიანური ეგოიზმი“ 2). განიხილავს რა ეგოიზმს რელიგიის ფარულ საფუძველად, ფეიერბაში, როგორც იგი არაერთხელ იმეორებს, ეგოიზმად გულისხმობს არა „ფილისტერიისა და ბურჟუას“ ეგოიზმს, არამედ ბუნებასთან შესაბამის ფილოსოფიურ პრინციპს, თავდაცვის ბუნებრივ ინსტინქტს, ურომლისოდაც, წარმოუდგენელია ცოცხალი არსების არსებობა.

ეგოიზმი, როგორც უკანასკნელი ფარული ფორმა რელიგიისა, განსაზღვრავს როგორც დამოკიდებულების გრძნობას, ისე ბედნიერებისადმი მისწრაფების გრძნობასაც. ბედნიერებისადმი მისწრაფება, ფეიერბაშის მიხედვით, რელიგიის უღრმეს სუბიექტურ საფუძველს წარმოადგენს. მაგრამ რელიგიას არა თუ ნამდვილი ბედნიერება მოაქვს ადამიანისათვის, არამედ იგი აშორებს მას ამ ბედნიერებას და განაიარაღებს მას მისთვის ბრძოლაში.

ფეიერბაში რელიგიას ჰყოფს ორი სახის რელიგიად: ბუნებრივსა და სულიერ რელიგიად. ისტორიულად პირველს შეესაბამება წარმართობა, მეორეს კი — ქრისტიანობა. ადამიანი თავდაპირველად ყველაზე უფრო დამოკიდებული იყო ბუნებაზე, ამიტომაც მან პირველად ბუნების ძალები გააღმერთა ბუნება, როგორც პირველი დამოკიდებულების საგანი, პირველი გაღმერთების საგანი გახდა. „დამოკიდებულების ადამიანური გრძნობა რელიგიის საფუძველს შეადგენს, — სწერს ფეიერბაში, — მაგრამ დამოკიდებულების ამ გრძნობის საგანი, ის, რაზედაც ადამიანი დამოკიდებულია და თავის დამოკიდებულებას გრძნობს, თავდაპირველად

1) იქვე, გვ. 87.

2) იქვე, გვ. 61. „მაგრამ თუ მე სიტყვა ეგოიზმი, — დახსოვით, ფილოსოფიური ანუ უნივერსალური პრინციპის მნიშვნელობით — ეხმარებ, მასში არ ვგულისხმობ ეგოიზმს ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით... ეხმარებ კი მას წინააღმდეგ თეოლოგიისა ანუ ღმერთისადმი რწმენისა... ამ სიტყვაში მე არ ვგულისხმობ ადამიანის ეგოიზმს ადამიანის მიმართ, ზნობრივ ეგოიზმს... ეგოიზმში მე ვგულისხმობ ადამიანის თავის თავისადმი, ე. ი. სიყვარულს ადამიანური არსებისადმი, იმ სიყვარულს ადამიანური არსებისადმი, რომელიც იმპულსია ყველა იმ გულისთვისა და მიდრეკილების, დასაკმაყოფილებლად და გასაფიქრებლად, რომელთა დაუკმაყოფილებლად და განუფიქრებლად ადამიანი არ არის ნამდვილი, სრულყოფილი ადამიანი და არც შეიძლება ასეთი იყოს. ეგოიზმში მე ვგულისხმობ ინდივიდის სიყვარულს თავისდაგვარი ინდივიდებისადმი, ენაიდან რა ვარ მე იმიათოდ, რა ვარ ჩემდაგვარი არსებობისადმი სიყვარულის გარეშე?“

სხვა არაფერია, თუ არ ბუნება. ბუნება რელიგიის პირველ საძებარი საგანია, როგორც ამას სავსებით ამტკიცებს ყველა რელიგიისა და ხალხის ისტორია^{*)}.

წარმართობა, როგორც თავდაპირველი რელიგია, დამყარებულია ბუნების გაღმერთებაზე. ბუნების მოვლენათა გაღმერთება წარმოიქმნება რელიგიური და საიდუმლოებაა. ქრისტიანობას, რომელიც კაცობრიობის კულტურული განვითარების შედეგებით მაღალ საფეხურზე წარმოიშვა, თავის უშუალო შინაარსად აქვს არა გაღმერთებული ბუნება, არამედ გაღმერთებული ადამიანური სული. ადამიანი ქრისტიანობის გასაღები და საიდუმლოებაა. თავდაპირველად ფეიერბახმა გამოიკვლია სულიერი რელიგია — ქრისტიანობა. „ქრისტიანობის არსებას“, რომლის საგანიც მორალური ღმერთია, ეს უკანასკნელი მთლიანად დაჰყავს, — როგორც უკვე აღნიშნული იყო, — ადამიანამდე, ე. ი. ანთროპოლოგიამდე. მისი ფუნდამენტალური დასვენაა: თეოლოგია არის ანთროპოლოგია. „რელიგიის არსებაში“, რომელიც „ქრისტიანობის არსების“ გამოქვეყნების მომენტიდან რამდენიმე წლის შემდეგ გამოვიდა, ფეიერბახი არკვევს ფიზიკურ ღმერთს და იგი ბუნებამდე დაჰყავს. „ადამიანური არსებისაგან ან ღმერთისაგან განსხვავებული და დამოუკიდებელი არსება, რომელზედაც „ქრისტიანობის არსება“ მსჯელობს, არსება ადამიანური არსების, ადამიანური ოცნებების, ადამიანური ინდივიდუალობის გარეშე, სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არ ბუნება“, — ამბობს ამ ნაწარმოების პირველი პარაგრაფი.²⁾ ეგრეთწოდებული ფიზიკური ღმერთი გაღმერთებული ბუნებაა, — აი ძირითადი დასკვნა ამ შრომისა. ამით „ქრისტიანობის არსებაში“ განვითარებული თვისი ფეიერბახმა შეავსო იმით, რომ თეოლოგიის საფუძვლად, ანთროპოლოგიასთან ერთად, ფიზიოლოგიაც აღიარა. „ამიტომ, — დააკენის ფეიერბახი, — თუ წინათ ჩემი მოძღვრება გამოეხატე ფორმულით: თეოლოგია არის ანთროპოლოგია, ახლა სისრულისათვის უნდა დავუმატო — ფიზიოლოგიაც“³⁾.

ამრიგად, როგორც ბუნებრივი, ისე სულიერი რელიგიის არსება ფეიერბახმა მიწიერ საფუძველზე დაიყვანა. ღმერთისაგან აღარაფერი დარჩა. იგი ყველა იმ ფიზიკური და მორალური თვისით, რომელთაც მასში თეოლოგები აღნაშნავდნენ, გათქვეფილ იქნა ბუნებასა და ადამიანში.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

*) Л. Фейербах. „Сущность религии“, соч. т. II, стр. 369.

2) იქვე, გვ. 369.

3) Л. Фейербах. „Лекции о сущности религии“, соч. т. III, стр. 24.



კამენიზე შეხვერა აკაკისთან

1

სასულიერო სასწავლებლის მოწაფე ვიყავ — ვგონებ პირველ კლასის (1900 — 01 წ.), როდესაც პირველად აკაკი ენახე, სასახლის ქუჩით მიმავალი. მას გვერდით ლაპარაკით ვიღაც პლაშჩიანი მიჰყვებოდა (როგორც შემდეგ გავიგე — ვალერიან გუნიას).

ეინც კი მათ წინ შეხვდებოდა, ან საღამს აძლევდა, ან შეჩერდებოდა და ცქერას დაუწყებდა.

ასე მახსოვს, ვ. გუნიას ფართე და მაღალი შლიაპა ეხურა, ხოლო აკაკი უძულო იყო.

— აკაკიმ გაიარა! — სთქვა ერთმა.

მე მაშინვე ელდამ გამეკრა: „უთუოდ ის არის; — სურათს ჰგავს“, და დავედევნე უკან. ხან წინ გავუსწრებდი და შემდეგ განგებ შევიციდიდი, ხან შორიახლოს გვერდზე ავედევნებოდი. მაშინ უკვე ვიცოდი აკაკის ლექსები, მაშინვე მიდანაც გავგონილი მქონდა ზოგი რამ აკაკი წერეთელზე. პალარა ჰქონდა, მაგრამ მაინც ლამაზი და მოხდენილი შეხედულებებისა იყო. ასეთი ლამაზი სახის და ტანის ვაყვაცი მანამდე არ მენახა. აკაკის სახე დღესაც ნათლად მახსოვს.

2

შემდეგ წლებში (1905 — 08) უფრო ხშირად ვხვდავდი.

წერა-კითხვის საზოგადოებაში შ. მღვიმელთან და ვასილ ედილაშვილთან (შოთ წიგნების გამყიდველი იყო, ვასო — ბუხჩალტერი) ახლო დამოკიდებულებებში ვიყავი. ამ დროს უკვე მწერლობის ოთახი წლის სტაჟი მქონდა. შიო მღვიმელს უყვარდა ახალგაზრდა მწერლები და ალბად მეც შიტომ მიჩვენა თავისი გული. ერთხელ შიოსთან მივიდიოდი, გზაში აკაკი შემხვდა. მე მდებლად მივესალმე. ასეთი მისალმებით სხვა დროსაც მიმიმართავს, როგორც პატივსაცემ დიდ წამაშიანისთვის.

აკაკი შეჩერდა და თავისთან მიმიწვია. არ მეგონა, თუ ისიც მიცნობდა. მე დავიბენი. მელაპარაკება და გაწითლებული ყურს ვუვადებ. მეუბნება: „ახალგაზრდა ყმაწვილი ხარ, ნიჭიც გეტყობა, მხოლოდ უკიდურესობა არ ვარჯა... რა არის, ყმაწვილო, რომ სულ „კოცნას“ და „გენაცვალეს“ მღერი?“ და დამიწყო ვრცელი განმარტება, თუ რას უნდა ემსახურებოდეს პოეტი და მისი პოეზია.

მე უფრო დავიბენ, რადგან სატრფიალო ლექსებს მეც კი ვწერდი, მაგრამ უმეტესად სუბუელზე და ვარდ-ზამბახზე.

ვერაფერი მოვახერხე მეპასუხნა და შემდეგ, გამოთხოვებისას, როდესაც ჩემი კოლეგის გვაზით მახსენა, მე ბოდიშის მოხლით მოვიხსენე: მე შანშიაშვილი გახლავარ-მეთქი. თითონაც ბოდიში მოიხადა და სიცილით მითხრა: „რაც ვითხარ, შეგიძლია შენს ამხანაგსაც გადასცე“.

— ადვილი შესაძლებელიაო—მითხრა შიომ,—ძალიან გმადლობდა აკაკიმ ვისაც ელაპარაკებოდა, მაგრამ თავაზიანად შენც გამხილა და შენა თანამოკალმეცაო.

შიო უთუოდ მართალი იყო.

3

1906 — 7 წლები გამძვინვარებული რეაქციის დრო იყო. შემთხვევით პროსპექტიდან ვორონცოვის ხიდისკენ მივდიოდი. დაიძახეს: „აკაკი შეუპყრიათო“. გავექანე, საითაც ხალხი მირბოდა და ვნახე: აკაკი ორს „გარადავოს“ შუა ქუჩაზე დაპატიმრებული მიჰყავდა.

აკაკი მიდიოდა ამაყად, თავაწეული. შორიახლოს აუარებელი ხალხი მისდევდა...

ამ სურათმა ჩემზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება დასტოვა.

4

ერთხელ ახალგაზრდებმა სალიტერატურო საღამო მოვაწყვეთ. საღამოში უფროსი მწერლობიც იღებდნენ მონაწილეობას: ია. ეკალაძე, ირ. ველოშვილი, კ. მაყაშვილი, ნარკანი და სხვები. ია. ეკალაძემ მითხრა: მიდი აკაკისთან და სთხოვე მიიღოს მონაწილეობაო. ეს ამბავი ზღვებოდა წერაკითხვის საზოგადოების ეზოს წინ. ამ დროს აკაკიც წ.-კ. საზოგადოებაში ბრძანდებოდა.

გავბედე და მივედი; ბოდიში მოვიხადე და მოვახსენე. დამთანხმდა აკაკი, მხოლოდ მითხრა: ჰონორარი ზუთი თუმანი უნდა მომცეთო. ეს ამბავი შეეატყობინე ამხანაგებს. ზუთი თუმანი იძვირეს, ვერ შეეძლებოთ, ისევ მე დამავალეს შემეტყობინებინა. ვერ წარმოიდგენთ, რა უხერხულ ზღვო-მარეობაში ჩავარდი. როგორ მივიდე? როგორ შევეადრო? და ბოლოს დავალება მაინც შევასრულე. აკაკიმ არაფერი მითხრა.

საღამო დაიწყო, კოტე მაყაშვილი კითხულობს: „შაფერთოსან რაშხედა, ცხოვრების გზაზედა“ და ამ დროს კულისებში შემოვიდა აკაკი.

მე მას წინ მივეგებე, შემატყო რაღაც უხერხულობა და დამამშვიდა:

— არა, შეილო, გუშინ მე გავგებმრეთო...

კ. მაყაშვილმა გაათავა ლექსის კითხვა დიდის ოცეცებით — საზოგადოება კვლავ მას მოითხოვდა, მაგრამ კოტემ ორი ლექსი იცოდა ზები-რად და აღარ გადიოდა.

გავიღმ აკაკი.

მისი გამოსვლა მოულოდნელი იყო. არც აფიშაში გამოგვიცხადებია და არც წინასწარ გაგვიფრთხილებია საზოგადოება.

მთელი ხალხი ფეხზე აღგომით მიეგება.

დიდხანს იყო ტაშის ცემა.

შემდეგ აკაკიმ დაიწყო თავისი მომხიბვლელი ხმით: „მოწმინდა ჩაფიქრებულა“. კითხვა კარგად მიდის, აგერ-აგერ შუა ადგილას რაღაცნაირად წაიბორჩიკა... შემდეგ მთლად გაჩერდა.

და პარტერიდან უყარნახეს:

„მალში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუ ვყარო...“



„მადლობთ“ სთქვა აკაკიმ და დამშვიდებულმა განაგრძო. გათავდა ლექსი. იყო დაუსრულებელი ტაშის გრაფიკა და სიზარული. ამბობენ: ასეთი შემთხვევა სადღაც პროვინციაშიაც დამართნოდა და პატარა მოწაფეს უყარნახია.

5

1914 წელს იმპერიალისტური ომი დაიწყო. მე საზღვარგარეთიდან დროებით ვიყავ ჩამოსული, ვედარ მომიხერხდა კვლავ უკან დაბრუნება. საღამოობით საზოგადოებმა ქართულ კლუბში იყრიდა თავს. იმ საღამოს ძალიან ცოტა ხალხი იყო. სამაგიეროდ კარტის სათამაშო ოთახები სავსე იყო ხალხით. თამაშობდნენ ბანქოს.

ერთგან შევიხედე, — მაგიდაზე აკაკიც იჯდა.

ვაგონილი მქონდა, რომ აკაკი არც ღვინოს სვამდა, არც თუთუნს ეწეოდა, მაგრამ კარტს კი თამაშობდა. დიდ ადამიანს ერთი ნაკლოვანება უთუოდ აქვს.

მე იმ დროს შეველ სათამაშო ოთახში, როდესაც აკაკის კარტი უნდა დაეჭირა... ბანქოს დამრიგებელი ეუბნება: „ფერი გეკენეთო“, ესე იგი ნაღდი ფული ამოიღეთო.

აკაკის მოლღვ წაეგო და მაგიდაზე მანეთიც აღარ ედო.

აკაკიმ გაუშვა კარტი და მის მაგიერ მოიგო სხვამ. ასე განმეორდა და კიდევ სხვამ მოიგო. აკაკი არ დგება მაგიდიდან და არც ქალაღს ურიგებენ. მიველ ახლოს და ყურში ვუთხარ: „ოცდახუთი მანეთი მაქვს...“

შემომხედა. გამიღიმა. არაფერი მითხრა, მაგრამ ზეღი კი გამომიწოდა. მეც უბიდან ამოვიღე ფული და მივეცი. ეს იყო ჩემი მთელი სიმდიდრე. აკაკიმ რამდენიმე ხელი დაიჭირა და ვერც ერთხელ ვერ მოიგო. რამდენიმე წუთში გათავდა ჩემო ოცდახუთი მანეთიც. დარჩა აკაკი ისევე უფულოდ და აღარავინ ენდობოდა. მე ამ სურათს ვუცქერდი და ბრაზი მომდიოდა მოთამაშებზე. ბოლოს აკაკი იძულებული გახდა ამდგარიყო.

ნაცნობმა პოლკოვნიკმა გ. შ — შეილმა ვახშმად მიგვიწვია აკაკი და მე. დაგვეთანხმა. მსუბუქად ივანშმა. დარბაზში ცოტა ხალხი იყო და თავისუფლად ვლაპარაკობდით პოლიტიკაზე, ახალგაზრდა მწერლებზე და სხვა საკითხებზე.

მაკვირვებდა მისი მსჯელობა. თურმე ეს მოხუცი პოეტი ყოველ ჩვენ წერილმანსაც კი კითხულობდა. შეაქო ჩემი „უგვირგვინო მეფენი“, რომელიც კრებულში წაეკითხა.

ეს იყო უკანასკნელი შეხვედრა აკაკისთან. ერთა წლის შემდეგ ის გარდაიცვალა სხვიტორში.

მეორე დღეს თბილისიდან ჩაველით დიდი პოეტის ნეშტის პატივსაცემად. იაკობ ნიკოლაძეს ვეხმარებოდი ნილაბის გადაღებაში.

მოგონებანი აკაკი წერეთელზე

ჩემი მოგონებანი აკაკი წერეთელზე ოდნავადაც ვერ გამოაჩენენ დიდი პოეტის სულიერ სამყაროს სიმდიდრეს. ბავშვი ვიყავი, როცა შემთხვევა მქონდა მენახა და ახლო შეეხვედროდი ღრმად მოხუც პოეტს. ამის გამო არ შეიძლებოდა საუბრები მქონოდა მასთან. ჩემი მოგონებანი მასზე, ჩემს უნებურად, ასე ვთქვათ, „გარეგნულია“ და ამიტომ მომეტევება, თუ ღარიბი და უფერული იქნება.

როცა პირველად ვნახე

ქუთაისი იხდიდა აკაკის 50 წლის მოღვაწეობის იუბილეს.

ეს იუბილე გრანდიოზულ სახალხო დღესასწაულად იქცა. შორეულ წარსულში, ალბათ, ასე მხოლოდ სახალხო მისტერიები იმართებოდა რომელიმე ღმერთის სადიდებლად.

საზეიმო დილას და საღამოს, რომელიც ქალაქის თეატრში ეწყობოდა, დაეით კლდიაშვილი ხელმძღვანელობდა. მამა დილით ადრე გამგზავრა თეატრისკენ და თან მე და ჩემი ძმა წავგიყვანა. ადრე იყო, მაგრამ თეატრის ახლო მდებარე ქუჩებში და განსაკუთრებით ბაღის ირგვლივ უთვალავი ხალხი შეგროვილიყო. გაჭირვებით ვიკაფავდით გზას.

თეატრის დარბაზი და სცენა სადღესასწაულოდ იყო მორთული. მარჯვნივ სცენაზე, ნოხებით დაფენილ ამალღებულზე, განიერი სავარძელი იდგა იუბილარისთვის. კულისებში და მსახიობთა ოთახებში თავს იყრიდნენ დელეგატები, რომლებსაც ჰქონდათ დაეალღებული აკაკისადმი მისალმება.

აკაკის მოსვლის საათიც დადგა. მამასთან ერთად თეატრიდან გამოვედი. ჩემს წინაშე დაუეიწყარი სანახაობა გადაიშალა. ჯერ კიდევ შორიდან დავინახე, ხალხით სავსე ქუჩაში მოდიოდა ეტლი, რომელშიაც ორი თეთრი ცხენი იყო შებმული. სიხარულის კიყინა ისმოდა, ქულებს ისროდნენ ჰაერში, ყვავილებს ყრიდნენ და ამ ყვავილებით ფენილ გზაზე ნელა მიიწევედა ეტლი. ბოლოს ისიც დავინახე, ვისაც სიხარულით ეგებებოდა ხალხი. ეტლში აკაკი იჯდა. უცბადვე ვიცანი, რადგან სურათით ვინ არ იცნობდა მას. რაცა ეტლი თეატრს დაუახლოვდა, ხალხმა გამოხსნა ცხენები და ეტლი ხელით გამოატარა.

აკაკი არ ღელავდა თითქოს, როდესაც სცენაზე შემოვიდა. დამშვიდებული სჩანდა. იქნებ ასე იმიტომ შეჩვენა, რომ მე თითონ აღუღებელი ვიყავი.

ზეიმის დაწყებამდე მსახიობთა ერთერთ ოთახში შეიყვანეს აკაკი. მამამ ხელი ჩამკიდა მე და ჩემ ძმას და აკაკისთან შეგვიყვანა. მან მოგვიალერ-

სა და დაგვეკონა. იმ დღეს და მეორე დღესაც არ დამიბანია ცელი ლო-
ყა, რომელზედაც აკაკიმ შაკოცა.

როდესაც ზეიმი დაიწყო, აკაკი მისთვის დადგმულ საგარძელში დაბრ-
ძანდა. კარგად მახსოვს დავითის გამოსვლა. იმ დილით ზანა ჩაბაკ სხვა-
ნა არი მეჩვენებოდა. ალბათ იმიტომ, რომ ცივილურ ტანსაცმელში ვხე-
დავდი. პირველად ეცვა არა სამხედრო ტანსაცმელი. საგანგებოდ ამ დღე-
სათვის ჰქონდა შეკერილი. დავითმა არ შეკადრა დიდ ქართულ პოეტს
საზეიმო დღეს მეფის რუსეთის პაგონებში წამდგარიყო მის წინაშე.

საზეიმო დილა დავითმა გახსნა. პირველი სიტყვა მან წარმოსთქვა დი
მახსოვს ის ხანგრძლივი ოვაცია, როცა აკაკი დავითს გადაეხვია.

მილოცვები საღამოსაც გაგრძელდა.

ჩვენთან ოჯახში

1912 წელს, მგონი იენისში, აკაკი სტუმრად იყო ჩვენთან ოჯახში. შეი-
ლებში მე ვეყავი უფროსი და მშობლებმა მხოლოდ მე დამრთეს ნება
სადილის დროს უფროსებთან ვმჯდარიყავი.

სადილი გაგვიუგემურა ერთმა „შემოსწრებულმა“ სტუმარმა. აკაკის და
დავითის უბრალოება მან ალბათ ისე გაიგო, რომ თავისუფლად შეეძლო
თავის დატერა. ძალიან ბევრს ლაპარაკობდა, საინტერესო კი არაფერი
უთქვამს. როგორც იქნა სადილის დასასრულს რაღაც საქმე მოაგონდა,
მოიბოდიშა და წავიდა. მაგრამ რაღა დროს, — აკაკი პირდაპირ მოიქანცა.
ნეტავ მანამდე წათრეულიყო.

ნასადილევს აკაკი და დავითი ჩვენი სახლის პატარა ეზოში გავიდნენ.
სახლი, სადაც ვცხოვრობდით, ნაჭირავეები გვექონდა. ვინმე ივანე ბაქრა-
ძეს ეკუთვნოდა. ივანე პატარა ტანის კაცი იყო, ძალიან ცოცხალი და
გონებაშახვილი. ჩქარი ლაპარაკი იცოდა. ამასთანავე მეტისმეტად ებზოდა
ენა. ხშირად ისე უჭირდა ლაპარაკი, რომ ზოგიერთ ფრაზას თუ არ წაუ-
მღერებდა, ისე ვერ იტყოდა.

ივანემ, რომელიც ქვედა სართულში ცხოვრობდა, აკაკი დაინახა თავის
ეზოში, მივიდა მასთან, იმერული თავაზიანობით თავი დაბლა დაუკრა და
მიესალმა. და, როგორც ყოველთვის, ესლაც დაება ენა. ესლაც ზოგიერთი
სიტყვა „წაუმღერა“. ხშირად იმეორებდა სიტყვას „მგოსანო“ და ამას ისე
ამბობდა თავისი წერილი ტენორით, რომ ნამდვილი სიმღერა გამოდიოდა.
როცა ივანე წავიდა, აკაკიმ უთხრა დავითს:

— ჩინებული მგალობელი გყოლია შინ და უნდა მოგეწვია სადილზე,
მოგვალხენდა მაინც.

როგორ კითხულობდა ლექსს

ქუთაისის თეატრში გამართულ ერთ ლიტერატურულ საღამოში აკაკი
მონაწილეობდა. პირველად აქ მოვისმინე მისი ლექსის კითხვა. „განთია-
ლი“ წაიკითხა და კიდევ სხვა.

რასაკვირველია, აკაკისადმი თავყანისცემა შთაბეჭდილებას აორკეცებ-
და, მაგრამ ვისაც აკაკისთვის მოუხმენია, მას ცხადია, სანუდამოდ შესხიე-
რებაში დარჩა საყვარელი ხმა და კითხვის თავისებურება.

მოხუც აკაკის ჩემი, ლირიზმით სივსე ხმა ჰქონდა. კითხვის დროს სახე

ჩვეულებრივად აწეული ჰქონდა. სწეული თვალები ცისკენ ამართული. არავითარი მიმიკა. კითხულობდა ნელა, თითქოს ლოცვას წარმოიქმნებდა. აკაკის კითხვა არა მხოლოდ სიამოვნებას გვრიდა მსმენელს, არამედ სულღერ თრთოლვას განაცდევინებდა.

ლექსის ზემოქმედების გაძლიერებისათვის და იქნებ ^{საქართველოში} კამათში, რომ მისი ბუნება მოითხოვს ამას, ძველად ლექსს მუსიკალურ აკომპანიმენტს აახლებდნენ... აკაკის კითხვაში ამ აკომპანიმენტის მაგიერობას სწევდა მისი ხმა და გარეგნობა. თქვენ ღმერთის მსგავს ადამიანს უსმენდით.

აკაკი ჭაჩაში

ჭუთათურებს არა ერთხელ დაუნახავთ ეტლით და ხან ქვეითად მიმავალი აკაკი. და ყოველთვის ყოველი მოქალაქე შეჩერდებოდა და თვალს გააყოლებდა. დევისტანადი მოხუცის სიარულს რაღაც საზეიმო იერი ჰქონდა.

აკაკი ყოველთვის და ყოველ მდგომარეობაში მომხიბლავ სანახაობას წარმოადგენდა.

თავის სინიღისათ სთვლიდა ერი აკაკის და ყველა თავისი კარგი თვისების საუკეთესო, ცოცხალ გამოხატულებათ. უკეთეს გარეგნობას ვერ ინატრებდა ხალხი პოეტისათვის, რომელიც თავისი ქვეყნის სახეთ მიაჩნდა.

აკაკისთან სხვიტორში

1912 წლის ივლისის დღილა იყო. საჩხერიდან სხვიტორისკენ აღრიანად ვავედით. ქართული გიმნაზიის ათი მოსწავლე ვართ.

ყველას ილიერი სურვილი გვაქვს პოეტი თავის სახლში ვინახულოთ.

— არ მიგვიღებს? — დაეჭვებულება ვიღაც.

ცხადია, ეს ჩვეულებრივი „მიღება, არ მიღების“ ამბავი არ ყოფილა. რატომღაც ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ მასთან ჩვეულებრივად შეიძლებოდა შესვლა, ლაპარაკი, ახლოს ყოფნა. ჩვენს, ახალგაზრდობის, წარმოდგენაში პოეტები იყვნენ მამია გურიელი, ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანები და სხვანი. მაგრამ აკაკი სულ სხვა იყო. ის გაღმერთებამდე მიდიოდა.

გზა ჯერ ყანებით მიიმართება. ჩვეულებრივი პეიზაჟი ზემო-იმერეთისა. ტყიანი გორაკები. აღმოსავლეთით — მაღალი ქედი.

ეთახლოვდებით აკაკის სახლს. შორიდან ის ძველებურ კოშკად გვეჩვენება.

ქვიშართან ჩოხიანი კაცი გამოვიდა. ერთი შეხედვით დონ-კიხოტს ჩამოგავს. ეს ცნობილი ესპანელი პიდალგო ხელმეორედ მოვლინებულა იმერულ გრძელ და ფართო სახელოიან ნაცრისფერ ჩოხაში. ეს კოტე აბღუშელიშვილია, აკაკის მოურავი. სახეზე ვამჩნევ, რომ უკმაყოფილოა ჩვენი დანახვით.

— არ ბრძანდება სოფელში, შვილებო, თორემ თქვენი ნახვა იმასაც გაუხარდებოდა. ეწუხვარ, რომ არ დაგხვდათ.

ამას თავაზიანად გვეუბნება. სიტყვები თითქო ალერსიანია. არ აქლია

არც „შვილებო“, არც „ვეზუზვარ“. ჩვენ კი რატომღაც დარწმუნებული ვართ, რომ აკაკი შინ არის. მაგრამ რა უნდა ვქნათ, ძალით ხომ ვერ შევიჭრებით...

გაებრუნდით. იქვე პატარა მდინარე ჩამორბის. მდინარის ბერძნულ-მოწყენილ ბელურებივით ჩამოვსხედით. ამქდან შევეყურებთ სხალს, ეზოს, ეზოში პატარა ძველ ეკლესიას. აქ პოეტის საყვარელი ადგილია. ამ ეზოში ის, ალბათ, ხშირად დადის. ეზოს ცქერით გვინდა ვეზიაროთ პოეტის სიახლოვეს. მეტი ნუგეში აღარ გვაქვს.

ხმაურით გაუღეპით გზას. სიმღერაც დავძახეთ. ეს, ალბათ, ჩვენივე გასამხნეებლად დაგვჭირდა. ჩავათავეთ აკაკის ეზოს მომყოლი გზა.

უცერად ყვირილი გვესმის. ჩვენსკენ მორბის შუახნის გლეხი.

— დაბრუნდით, ბატონმა გთხოვათ! — გვეუბნება.

შემოვტრიალდით სიხარულით. ქიშკართან ისევ დაგვხვდა აბღუშელი-შვილი. ახლა მისი შეხედრა სულ სხვაგვარია.

— მობრძანდით, მობრძანდით! — ხალისით გვეპატიეება, — გაიგო და გაუხარდა. მობრძანდით!

რამდენიმე წუთის წინ რომ არ იყო აკაკი სოფელში? მაგრამ ამაზე არაფერს ამბობს. არც ჩვენ მოვაგონეთ. რა დროს საყვედურია!

აივანზე პოეტი შეგვეგება/ მალალი, ბიბლიური მოხუცი ევროპულ პიჯაკში. გვერდით მისი უფროსი და ანა. ესეც მალალი, მაგრამ გამხდარი ქალი. აცვია შავები და შავი თავსაფარი ახურავს:

მე დაკეხნილი მაქვს შეგობრებთან, რომ აკაკი მიცნობს. აკაკი ჩვენს ოჯახშიც ყოფილა. ჩემი სახელიც იცოდა...

აკაკი ხალისით შეგვხვდა. მოგვეფერა, მოგვეაღურსა ყველას ერთნაირად. მე ვერ მიცნო. აივანზე დავსხედით. ჩვენი მოგზაურობის მიზანი იკითხა.

ამხანაგები ჩუმად დამცინიან:

— აკი გვეუბნებოდი, მცნობსო?

ისლმ დამრჩენია, რომ შეუმჩნეველად ვიყო. გულწრფელად ვუზუზვარ, რომ ვერ მიცნო.

აივანზე ვზივართ. ბალახით დაფარულ ეზოს გადავეყურებ. ბალახი საოცრად მწვანე მეჩვენება და ასე მგონია, რომ ზავერდავით რბილი იქნება. ეზოში ძველი ეკლესიაა. საჯვარე. სოფლის დასასრული მალალ ქედს ებჯინება. ხმაურით ჩამორბის პატარა მდინარე.

— მაშ თქვენ გადახვალთ აქედან ოსეთში, შემდეგ მოივლით ქართლს, კახეთს. კარგია, კარგია... ახალგაზრდა რომ ვიყო, მეც თქვენთან წამოვიდოდი, — ღიმილით ამბობს აკაკი და შემდეგ ჩვენს მეთაურს მასწავლებელს დავით ქუთათელაძეს მიმართავს, — ჩინებული განზრახვაა... მეფის რუსეთი იმის უფლებასაც არ გვაძლევს, რომ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფია ვასწავლოთ ახალგაზრდობას. ზოგმა მაინც ნახოს და გაიცნოს...

შემთხვევით მისი თვალი ჩემზე ჩერდება. ერთხანს დაეპყვებით მიცქერის. ინსტინქტიურად ვუახლოვდები.

— შენა ხარ? — მეძახის სახელს.

სიხარული მიტაცებს. ანგარიშმიუტევლად ვეხვევი. ერთი წუთით ვგრძნობ მისი მკლავების მოხვევას. სახეზე მკოცნის, და ნამიანი ტუჩების მიკარებას ვგრძნობ.

— მამა შენს კი ვემდურის! — თითქო საყვედურით მეუბნება ჩამდენ-ჯერ ვთხოვე ჩემთან ამოსულიყო და არ მნახა აქ. იმაზე ნაკლები ვზნაური არ ვახლავარ. ეკალა აქაც მოიძებნება...

აღმოსავლეთ საქართველოში, ალბათ, ვერც წარმოდგენიან, თუ როგორ შეიძლება კაცმა ეკალა სქამოს. იმერეთში კი მისი კულტი არსებობს. არ ვიცი, რით არის გამოწვეული ეს სიყვარული — სიღარიბემ წარმოშვა, თუ გამახვილებულმა პირისგემომ. მე მგონია ერთმაც და მეორემაც. როცა ერთხელ აკაკი ჩვენთან იყო, ოჯახში იმერული საქმელებით გავუ-მასპინძლდით და სხვათა შორის ეკალა მოიწონა. იქნებ ეხლა ეს მოა-გონდა.

აკაკი დაინტერესებული იყო ქართული გიმნაზიის ბედით და ყურადღე-ბით ისმენდა ჩვენი ჰქვიანი მეთაურისაგან ცნობებს მისი მდგომარეობის შესახებ.

საუბარი თანდათან მწერლობაზე გადავიდა. გვიჩვენდა ხალხური პოე-ზია შეგვესწავლა. აქვე გამოსთქვა სურვილი ხალხური პოეზიის ფართოდ შესწავლა შემოედოთ ქართულ გიმნაზიაში. ხალხური პოეზიის კრებული გამოატანინა, აქედან ჩამდენიმე ლექსი წაგვიკითხა: შევნიშნე, რომ ხანდა-ხან ბოლო ტაეპებს ზეპირად ამბობდა.

შემდეგ მან გამოიტანა თავის პატარა საწოლ ოთახიდან დიდ ფურცლებ-ზე დაწერილი პოემა და კითხვა დაიწყო. პოემა საკმაოდ ვრძელი და მა-საწყენი იყო, მაგრამ ვინ იტყოდა უარს დიდხანს ესმინა აკაკისთვის?

მახსოვს დიდი ზიზღით მიმართავდა პოეტი მეფის რუსეთის მესვეურთ. — ახლა ამ პოემას არ დაბეჭდავენ! — სთქვა აკაკიმ, როცა კითხვა დაამთავრა, — შთამომავლობას დარჩეს...

ცხადია, ჰქონდა უფლება დარწმუნებულნი ყოფილიყო, რომ ყოველი მი-სი სიტყვა საგულისხმოდ იქნებოდა შემდეგი თაობებისთვის.

მაგრამ ერთხელ, როცა ჩვენთან იყო ოჯახში, კარგად მახსოვს რა უთხ-რა დაეთის:

— რუსთაველის შემდეგ მხოლოდ ხალხში შეგვრჩა პოეზია. მე და ჩე-მისთანანი რა მოსახსენებელია!

გულწრფელი სკეპსისი იყო, თუ წუთიერი დაეკვება? მე მგონია არც ერთი და არც მეორე.

სადილად დაგეტოვა აკაკიმ და გულუხვად გაგვიმასპინძლდა. მზიარუ-ლად იყო და ბევრი გვაცინა. თავის დას ანას ზუმრობით უთხრა:

— ბატონო, ეხლა მაინც ინებე გათხოვება. ამ ქორთრა ბიჭებში რომე-ლიც ვინდა ამოირჩიე.

სადამოვებოდს, როცა დავემშვიდობეთ. მზიარულად გავუღიქვით სოფ-ლის გზას. სიმღერით, ხმაურით.

როცა სოფელი ჩავათავეთ, დაბინდდა. დამის გათევა დანგრეულ წიხ-ქვილში მოვიხდა. სახურავი ნახევრად გადახდილი, კარები ჩამოხსნილი, იატაკის მაგიერ ჩამდენიმე ფიცარი. ღლით ძალიან ცხელოდა, ღამით კი წვიმა მოვიდა. ალბათ აკაკისთან ყოფნით გახარებულნი და ძალაშემატე-ბულნი ვიყავით და ამიტომ აღვიღად გადავიტანეთ ამ ღამის გასაჭირი. ჩვენს ბედზე დიდხანს არ უწუნვია. რიყრაეზე გზა განვაგარძეთ.

აკაკი ნაკათაი

1

აკაკი წერეთელი პირველად მის იუბილეზე ვნახე.

ილია შავჭავჭავაძის ვერაგულად მკვლელობის საპასუხოდ საქართველომ აკაკის მოღვაწეობის 50 წლის იუბილე მოაწყო და, აკაკის ზომ თავისი მიუზლო, — ილიას პატივისცემა და სიყვარულიც მას დაუმატა.

იუბილე 1908 წლის 7 დეკემბერს გაიმართა თბილისში, ხოლო ერთი კვირის შემდეგ, 14 დეკემბერს, ქუთაისში განმეორდა. შემდეგ კი არ დარჩა საქართველოში არც ერთი, ასე თუ ისე ცნობილი კუთხე, სადაც აკაკის იუბილე, აკაკის თანდასწრებით არ მოწყობილიყო. მსცოვანმა პოეტმა, აკაკიმ, საქართველოს ზოგი კუთხე პირველად თავის იუბილეს დღეს ნახა. მაგალითად, რაჭა. როცა რაჭველებმა უსაყვედურეს: „ჩვენო საამაყო აკაკი, რატომ აქამდე არ მობრძანდით ჩვენშიო“, — აკაკიმ თავისებურად მოხუნჯა: „აღამიანი ტკბილეულს სადილის ბოლოსათვის შემოინახავს, და მეც ჩვენი საქართველოს უღამაზესი კუთხის რაჭის ნახვა მოხუცებულობის დროისთვის შემოვინახეო“.

თბილისში მოწყობილი პირველი იუბილეს დროს გამოიჩინა, რომ მეფის მთავრობა მოწაფეებს უფლებას არ გვაძლევდა აკაკისათვის გამართულ საჯარო იუბილეში მონაწილეობა მიგველო. ამისდა მიუხედავად, ზონის საოსტატო სემინარიის მოწაფეები შევიკრიბენით და გადავწყვიტეთ, რაც უნდა მოგვსლოდა, იუბილეზე დღეგატი გაგვეგზავნა. კრებამ დღეგატად მე ამირჩია. იმ დღესვე დავწერე აკაკისადმი მისასალმებლო ლექსი. სემინარიის მამინდელი დირექტორის, ალექსი ჭიჭინაძის, რჩევით სემინარიის ფორმა გავიხადე, ერთ-ერთ პარიკმაზერს (სერაფიონ ბარაბაძეს) ჩოხა გამოვართვი, ჩაიცივი და „მათხოველი გლეხის“ სახელით ქუთაისში აკაკის იუბილეზე გამოვეცხადდი.

მთელი ქალაქი ფეხზე იდგა. ქუთაისის პატარა თეატრი პატარძალივით იყო მორთული. საზეიმოდ გამოწყობილი ოთხმოცი დღეგატი სცენაზე ვიყავით, თეატრი მაყურებლებით იყო გაკედილი. ქუჩებში ხალხი არ გტეოდა. ცნობილ მეეტლე მელიას ეტლით, რომელსაც ერთხელ უფულო აკაკიმ უთხრა:

„შენ რომ გინდა მელიო,
იგი შემომელიო“.

აკაკი თეატრში მოჰყავდათ. დიდწვერა მელია და მისი ეტლი საგანგებოდ იყო მორთული, ცხენები ნელი ნაბიჯით მოდიოდნენ, ეტლში აკაკი იჯდა, წინ მეზურნეები მოუძლოდნენ და საამურად უკრავდნენ. „ეაშას“ ძახილი მთელს ქუთაისს აყრუებდა. აკაკი სცენაზე ამოიყვანეს და ყვავი-

ლებით მორთულ სავარძელში ჩასვეს. დაიწყო დღეღვატების გამოსვლა. ზოგს ენა პირველად მაშინ აედგა, ზოგს ნაეარჯიშები უნა დაემა; ბევრი ორატორი გაფუტდა, ბევრი მუნჯი ამეტყველდა. მე ჩემი ლექსი „მათხოველი გლეხის“ სახელით ვუთხარი.

ლექსი თავდებოდა სიტყვებით:

„უბრუნებულ იყავ... უკუნისამდე
სადიდებელი და სასახელი...
აწ უკვდავი ხარ. შენი ძეგლია
ქართველია გული და სიჭრთველი“.

მგოსანს იქვე ჩასჩურჩულეს, სემინარიის წარმომადგენელი არისო. აკაკი აცინოდა, ოხუნჯობდა, ყველას ეხვეოდა და კოცნიდა. ბოლოს იუბილარ-მა სამადლობელი სიტყვა სთქვა და ყველა დაშაქრა...

2

მეორედ აკაკი ხონში ენახე. ხონელებმა იუბილე გაუმართეს. იუბილეს შემდეგ, ხონის მაშინდელი მეცენატის, მოზუც ივანე შარაშიძის, ეზოში ვახ-შაში მოუწყვეს. ვახშაშიზე მთხოვეს მეც მივესალმებოდი აკაკის. სახელდახელოდ შევეადგინე აკაკისადმი მიძღვნილი ლექსი და მივესალმე. ამ ჩემი უბრალო ლექსის დაბეჭდვისათვის ვალერიან გუნიას ფურნალს კონფისკაცია უყვეს და მას, როგორც რედაქტორს, ექვსი თვის ციხე გადაუწყვიტეს.

ლექსში, სხვათა შორის, ასეთი სტრიქონები იყო:

ღრია გამოსვლის, დიღო სარდალო,
პატარა კაბი ტოკიეს, არ სცხრება:
ბრძოც ხალხს მოუხმობს, როცა შენ გრგვენივით
ქართველს შეგეძახებ: „კმარა მონება“.

ლმერთს ვევედრებით, კიდევ გაცოცხლოს,
შენვე მოგასწროს, რაც გენატრება, —
რომ ჩვენს სამშობლოს, მრავალ ტანჯულზე,
მიეცეს შეები და განახლება.

მაშ გაიხარე, წინ გავვიძებნი,
აწ აღარა ვართ ღონემიბილი...
და შენებურად კვლავ შემოგვიძახე:
„ან გამარჯვება, და ან სიკვდილი“...

მეორე ღღეს ალექსი ქიქინაძემ აკაკი წერეთელი სემინარიაში მოიყვანა. მე და ერთ ჩემს ამხანაგს, ილია გოგიას, წინადადებით მოგვემართა აკაკის თანდასწრებით მიგვეცა გაკვეთილები (მაშინ სემინარიის უფროსი კლასის მოწაფეებს გვაეარჯიშებდნენ გაკვეთილის გადაცემაში). სწრაფად მოვეშზადეთ გაკვეთილის გადასაცემად. გაკვეთილები უნდა მიგვეცა სემინარიასთან არსებულ ორკლასიან სასწავლებელში. ორ ჯგუფთან (4 და 5) ერთდროულად უნდა გვემაცადინა. გაკვეთილის პირველი ნახე-ვარი ორივე ჯგუფთან მე ჩაეატარე, მეორე ნახევაი იმავე ორ ჯგუფთან ამხ. ილია გოგიამ იმეცადინა.

ერთ ჯგუფს ვასწავლიდი აკაკის ლექსს „გაზაფხული“ („ღღეს მერცხა-ლი შემოფრინდა, ქიკვიკითა შემომძახა...“), მეორეს — ილია ჭავჭავაძის „აყვავებულა მდელი, აყვავებულა მთები“...

ზარი მისცეს... ჩემი გულიც ზარივით სცემდა. შევედი კლასში. მალე შემოვიდნენ: აკაკი, თვანე შარაშიძე, ალექსი ჭიჭინაძე და აკაკის მთელი ამაღა. რადგან საკლასო ოთახი ამდენი სტუმრის გარდა ჩემი კლასის ამხანაგებსაც, რიცხვით 20 კაცს არ დაიტევდა (ჩვენ ურბანისკოლის გაკვეთილს, როგორც წესი, ყოველთვის ვესწრებოდით), მსინი კლასის გარეთ, გაღებულ ფანჯრების გასწვრივ დადგნენ.

გაკვეთილი დაიწყო, მაგრამ პირველ 3—5 წუთის განმავლობაში მოწაფეების ყურადღება ვერ დავიპყარი, ყველა აკაკის მისჩერებოდა, ზოგს ჩუმად ამოეღო წიგნები, გადაეშალა ის გვერდი, სადაც აკაკის სურათი იყო და წამდაუწუმ ხან აკაკის უცქეროდა, ხან მის სურათს. დამჭირდა „ცხელი თვალის“ ჩვენება, რომ მოწაფეები თავიანთ სიამოვნებას გამოსთხოვებოდნენ და იმ წუთში მათთვის ნაკლებად სასიამოვნო საქმეს — გაკვეთილის მოსმენას და საჭირო პასუხების მოცემას შესდგომოდნენ. გაკვეთილი ჩატარდა. მოწაფეებმა მასში ცხოველი მონაწილეობა მიიღეს. ჩემმა ამხანაგმაც ჩაატარა გაკვეთილი.

აკაკი გადაგვეხვია ორთავეს, დაგვეკონა და გვითხრა: „გული დამწყვიტეთ, ყმაწვილებო, ჩემს დროში სად იყო ასეთი გაკვეთილებიო“, შემდეგ ალექსი ჭიჭინაძეს მადლობა უთხრა და გარეთ გავიდა. მას გაყვა ჩემი გული და სიყვარული.

მეორე დღეს აკაკი გავაცილებთ ქუთაისამდე. მას უამრავი ეტლებით მიპყვებოდა დიდძალი პატივისმცემელი. გზაში (გუბაში) აკაკისთან ერთად სურათი გადავიღეთ.

მახსოვს, მაშინ ჩვენთან, სხვათა შორის, ზონის ბოქაული, მაშინ „ლიბერალად“ ცნობილი აქსენტი ფადავაძე იყო. სურათის გადაღების დროს, ის აკაკის გვერდით დაჯდა. აკაკიმ ბოქაულის გვერდით ჯდომასზე უარს სთქვა. დარცხენილი ბოქაული იძულებული გახდა უკან დამდგარიყო, ვბოლეტები მიეშალა.

აკაკის გაცილების შემდეგ, სემინარიაში დავბრუნდით. უმრავლესობა სემინარიელებისა მაშინ რევოლუციონერობდა, მაგრამ თითო-ორთა შავრაზმელი სემინარიაში მუდამ იყო. მახსოვს ასეთი შემთხვევა: ერთხელ ქართველი სემინარიელები, არაქართველ ჩვენს ამხანაგებს (რუსებს, ბერძნებს, თათრებს) ეაცნობდით ჩვენი აკაკის ვინაობას... ხელთ გვეკონდა ალ. ხახანაშვილის წინასიტყვაობით გამოცემული ბროშურა: აკაკის ლექსების თარგმანები. ჩვენ წაუფუთხვით ეს ბროშურა ამხანაგებს და ყდაზე მოთავსებული აკაკის სურათიც ვაჩვენეთ. ერთმა შავრაზმელმა, მოწაფე ოსტროუსოვმა გესლიანად წამოიძახა: „პრანჭია და მკვებარა ყოფილა თქვენი აკაკი, რაა თავზე რომ შემოუდვია ხელი და სურათი ისე გადაუღია, ვითომ რაო და შემომხედეთ რა დიდი კეჟა და თავი მაქვსო“. ამ თქმამ ისე გაგვაბრაზა, რომ ვეცით ოსტროუსოვს, მაგრამ გავაშველეს და მორიგე მასწავლებელმა დაგვტუქსა.

ამის შემდეგ, როცა იმავე თვეში (1909 წელს) რუსეთის დიდებული მწერლის გოგოლის ასი წლის იუბილე სემინარიას ოფიციალურად უნდა გადაეხადა, მე იუბილეში მონაწილეობის მიღებაზე უარი განვაცხადე. რუსებმა მიჩიულეს დირექტორთან. ალექსი ჭიჭინაძემ დამიბარა თავის კაზინეტში და „განდგომის“ მიზეზი მკითხა, მე ვუპასუხე: მთავრობამ აკაკი წერეთლის იუბილეში მონაწილეობის უფლება არ მოგვცა, გოგო-

ლის იუბილეს კი გვაძალეებს მეთქი. კიჰინაძემ გაიცინა და მითხრა: „რუსეთის ჩინოვნიკებია ცუდი, თორემ გოგოლი და რუსის ხალხი კარგიაო“, თან წინადადება მომცა იუბილეში მონაწილეობა მიმეღო. შევეპირდი, რომ იუბილეში მონაწილეობას მივიღებ იმ პირობით, თუ ნება შექნება გოგოლი ვაქო, ხოლო რუსის ჩინოვნიკები ვაგინო-თქო. ალექსი შესარიონის-ძემ ამის ნება მომცა და მეც ლექსი დავწერე, სადაც ვამბობდი, რომ გოგოლი საყოველთაო მზეა, ის ერთნაირად საყვარელია საქართველოსთვის, ციმბირისა, ფინლანდიისა და სხვათათვის. ჩემი ლექსის თარგმანი დაიბეჭდა გოგოლისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში.

3

მესამედ აკაკი თბილისში ვნახე — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. იმ დროსაც ქუთაისის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიის მოწაფე ვიყავი (ასეთი სემინარია სულ ოთხი იყო ძველს კავკასიაში — გორში, ერევანში, კავკავში, ხონში), ეცხოვრობდი პანსიონში, კარჩაქეტილად.

ერთხელ სემინარიელები საქსკურსიოდ ბაქოში წავიყვანეს. ბაქოდან რომ დავბრუნდით, ორიოდე დღე თბილისში ვაგვაჩერეს. თბილისში ყოფნით ვისარგებლე და წერა-კითხვის საზოგადოებაში შევედი, სადაც ერთი ჩემი მეზობელი მუშაობდა.

იქ ვნახე აკაკი. მასთან ისხდნენ შიო არაგვისპირელი, შიო მღვიმელი და კიდევ სხვები. მე იმ დროს შევედი, როცა მღვიმელს მეგობრულად მხარზე ხელი დაადო და ეთხრა:

„უსამართლობის გულისთვის
შევბრძოლები ჭეყანას,
რას მომცემს, ან რას წამართმევს,
გული რომ დამწყდეს, მისთანას“...

აკაკი იმ დღეს კარგ ხასიათზე იყო და ოხუნჯობდა. ჩემმა მეზობელმა აკაკის მოაგონა მის იუბილეზე „მათხოველი გლეხი“. მგოსანმა გაიღიმა.

სემინარიის ამბავი გამომიტოვა. ეუამბე სემინარიელების გაფიცებებია და, კერძოდ, სემინარიის პირველი ქართველი დირექტორის ალექსი კიჰინაძის გამბედაობის შესახებ (სემინარიაში შეერაშმელ ალიხანოვის თარეშის დროსაც კი ვაწყობდით არალეგალურ საღამოებს, გაფიცვებს, მოგვყავდა და ფუსმენდით პროპაგანდისტებს და სხვა. ყველაფერ ამაში ზელს გეწყობდა მხცოვანი პედაგოგი ალ. კიჰინაძე). ეტყობოდა, რომ აკაკი დიდად დაინტერესებული იყო მომავალ მასწავლებელთა სწავლა-აღზრდით.

მაღე ისევ ოხუნჯობა დაიწყო, რამდენიმე ახალგაზრდა მწერალი ახსენა და ერთი იმათგანის შესახებ თქვა: „მისგან რა პოეტია გამოვია, დღეში თორმეტ ლექსს სწერსო“. ყველა უსმენდა, იცინოდა. ამ დროს „ვილაჯ“ ერთი კაცი დაგლეჯილი ჩოხით, რომელსაც ჩოხის ჩიბუხებს ზევით კი არა, ზედ ჩიბუხებზე ჰქონდა ჭმარაი შემორტყმული, მხრებზე ყაბალახით, ცალთვალ ჩამოხეული, წვერაგაპარსული, ოთახში ბოლთისა სცემდა, აკაკის ყურს არ უგდებდა, თითქოს რაღაცაზე ფიქრობდა... მე ვკითხე ჩემს მეზობელს: ნეტა, ვინ არის ეს კაცი-მეთქი. მეზობელმა მითხრა: იდექ, ნუ

თუ არ იცნობ, გაგაცნობ, ეს ხომ ვაჟა-ფშაველა არისო. ვაჟაზე უნახავად შეყვარებული, ზეზე წამოვხტი, მთის არწივი გავიცანი...

გაცნობის უმაღლეს ვაჟას მივყარე კითხვები: სურათში თქვენ სხვანაირი ხართ, წვერები რათ მოგიაჩნიათ-მეთქი. შემრცხვა თვალისტყვეობის მიზეზი მეკითხა, მაგრამ ეს კი ვეკითხე: თქვენ ხომ დიდ მწერალი ხართ, ასე ღარიბად რად გაცვიათ-მეთქი. მან მიპასუხა: „აბა საიდან ვიციდი ფარჩებს, განა მწერლობა მაძლევს დიდ ფულს? აი, ეხლაბან გამოვიდა ჩემი წიგნი „ერემლები“, გამოსცა ის „სორაბანმა“, გამირიგდა სამოც მანეთს მოგცემო, წიგნები გაყიდა, ფული მოვიგო და მთელს წიგნში ოცი მანეთის მუტი არ მომცა“-ო.

მეწყინა... მართალია, არც მთლად პატარა ბავშვი ვიყავი, მაგრამ მაინც არ ვიციდი, თუ მწერალი მაშინ ასე მცირედ ფასდებოდა. ბოლოს ვეკითხე: იმ მშვენიერ აზრებს ასე ძნელად გასაგებ ენით რათა სწერთ-მეთქი. ვაჟამ მიპასუხა: ფშაველისათვის ჩემი სიტყვები გაუგებარი არაა, ყოველმა ქართველმა ფშაურიც უნდა იცოდეს, იმერულიც და ლიტერატურული ქართულიცაო.

აკაკი წამოდგა. „ტრამპიას ფული არა მაქვს, მასესხეთ ერთი შაურიო“ წარმოსთქვა ხმამაღლა. უცებ დავიბენი: მინდოდა, მაგრამ ვერ გავბედე ფული მიმეწოდებინა. ჩემმა მეზობელმა ვერცხლის ორშაურიანი ამოიღო ჯიბიდან, მიაწოდა აკაკის და უთხრა: „ჩემს „ფასკულჯში“ (ქურნალი იყო) რომ გასულ კვირას შენი ლექსი დაიბეჭდა, იმის სათაურის ფასი იყო სო“. აკაკიმ იოხუნჯა: „მე შაური მინდა, მეორე შაური ვინმე მათხოვარს უნდა მივცე და შენზე მეტ მათხოვარს ვისდა ვნახავო“. თან სიცილით გამოართვა ორშაურიანი და წავიდა...

4

კიდევ რამდენჯერმე ვნახე აკაკი ხან რკინისგზის სადგურებზე სადმე მიმავალი, ხან სცენიდან ლექსების მოლაპარაკე. მახსოვს, ერთხელ აკაკის ხცენაზე თავისი ლექსი დაავიწყდა და ბავშვებმა პარტერიდან სიცილ-კისკისით უკარნახეს. აკაკი ხშირად მინახავს ქუთაისის ბაღში, თავის საყვარელ პატარა ბავშვებში ჩამდვარი, მოდიმარი და მოცინარი.

უკანასკნელად უკვე გარდაცვალებული აკაკი 1915 წლის 5—8 თებერვალს (ძველი სტილით) ვნახე. მე ამ დროს უკვე მასწავლებლად ვიყავი ლეჩხუმის მაზრაში, საიდანაც დელეგატად გამოგზავნეს აკაკის დასაფლავებაზე დასასწრებლად.

აკაკი თავის სოფელ საჩხერეში გარდაიცვალა. იქიდან გამოვასვენეთ თბილისში დასასაფლავებლად. სადგურ შორაპნიდან თბილისამდე მომავალი მთელი მატარებელი აკაკის ბაღუაგაკეთებულ ცხედარს და მის დასაფლავებისათვის საქართველოს სხედასხვა კუთხიდან გადმოგზავნილ უამრავ დელეგატს ეკავა. მატარებელი მორთული იყო ყვავილებით, გვირგვინებით და შავი ლენტებით. ყველა სამგლოვიარო ძაძაში იყო. დელეგატებს მკლავებზე შავი ლენტები ჭონდათ გაკეთებული.

შორაპნიდან თბილისამდე მატარებელს ყოველ სადგურზე აუარებელ ხალხი ხედებოდა. მახსოვს: გამოჩნდებოდა თუ არა ხალხით სავსე სადგური, მატარებელი სვლას შეიანელებდა. ხალხი დაინახავდა თუ არა მატარებელს

რებელს, ყველა, როგორც ერთი კაცი, ერთბაშად დაიჩოქებდა. მუხლებზე დამდგარ ხალხს მატარებელი ნელი სკლით მიუხლოვდებოდა და გაჩერდებოდა. ხალხი ფეხზე წამოდგებოდა. ერთი ჩვენთაგანი სიტყვის რტყოდა, დამხდურებიც სიტყვას ამბობდნენ. შემდეგ მატარებელს ქველადიბროდა, ხალხი ისევ დაიჩოქებდა და ამით დიდ პოეტს უკანასკნელ კვალს უხდიდა. ასე ხდებოდა ყოველ სადგურზე, შორაბნდან მცხეთამდე. თითქოს ვილაცას განგებ მოუწყვიო. მცხეთიდან თბილისამდე კი, არა მარტო სადგურში, არამედ მთელს ხაზზე, ზვის ორივე მხარეს, ზღვა ხალხი ჩამწყრივებულოყო. მასთავს მატარებელი მცხეთიდან თბილისამდე სულ ნელა მიდიოდა, ყოველ ჩვენთაგანს ტანში რაღაცნაირი ქრუანტიელი უვლიდა. ჩამოველით თბილისში, სადგურზე დაგვხვდნენ აკაკის მეუღლე (მსუქანი, დაბალი რუსის ქალი) და აკაკის შვილი ალექსი (მაღალი, ჭადარა, თავს ავადმყოფურად აქიცანებდა). სადგური გაქედილი იყო დამხდურ დეღეგატებით. სადგურის უკან, მოედანზე ტრიბუნა ამართულოყო და მთელი თბილისი იქ მოსულიყო. ტრიბუნიდან თქმული ორიოდ სიტყვის შემდეგ, აკაკის ცხედარი ქაშვეთის ეკლესიაში მოვასვენეთ. ეს იყო 5 (ძვ. სტილით) თებერვალი.

საღამოს დეღეგატები დეპუტატთა საკრებულოში შევიკრიბენით აკაკის დასაფლავების (8 თებერვალი) დღის წესრიგის გამოსამუშავეებლად.

გადაწყდა: ყოფილ ერევნის მოედანზე მხოლოდ ოთხ ქართველს მისცემოდა სიტყვა, დანარჩენი დრო უცხოელებისათვის დაგვეთმო. მამადავითზე კი ყველას ელაპარაკნა, ვიდრე სულ არ დაბნელდებოდა.

დადგა 8 თებერვალი. დღის 12 საათზე აკაკის ცხედარი ქაშვეთის ეკლესიიდან გამოასვენეს. ხალხი თბილისში ფეხად არ ეტეოდა. ასე გვეგონებოდათ, მთელი საქართველო თბილისში ჩამოსულაო. პოლიცია თითქოს არ ჩანდა, ხალხი თითონ იცავდა წესრიგს.

ერევნის მოედანზე პირველი სიტყვა მაშინდელმა ქალაქის თავმა, — ხატისოვმა, — ასე დაიწყო: „Сыны Грузии, граждане Тифлиса!“

მენშევიკების წარმომადგენელმა ევგენი გეგეჭკორმა შოთა რუსთაველი და აკაკი წერეთელი დაუპირისპირა ერთმანეთს, ილია ჭავჭავაძეს გვერდი აუარა, ერთი სიტყვითაც არ უხსენებია, ილიას ღვაწლის მჩქმალვამ ყველას გული ატკინა.

კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ თავისი მშვენიერი სიტყვა ასე დაიწყო: „აჰა, დაიმხვრა სასმისი, რომელშიაც საუკეთესო სასმელი ესხა. მაგრამ ნეტარი იგი კი არ დაღვრილა, არამედ წვეთწვეთად გაიფანტა ყოველ ქართველის გულში“...

ნიკო ნიკოლაძემ სიტყვა ასე დაიწყო: „ხედავთ, ამ შადლიანი ადამიანის შადლიანმა სიკვდილმა როგორ გააერთიანა საქართველო... ხედავთ, რამდენი ჯარი გვეყოლია, რამდენი ჯარი... მაგრამ შტაბი არა ვყავს, შტაბიო“.

აკარელმა მოხუცმა კაიკაციშვილმა, არაკით დაიწყო: ორი ძმა ომში იბრძოდა. ერთი მტერმა დასჭრა და იქვე დაეარდა. მეორე გადარჩა და შინ დაბრუნდა. ბრძოლის ველი მტერმა დაიპყრო. დაჭრილი ძმა არ მოკვდარა, გადარჩა ოლონდ მტერს ტყვედ დარჩა. მტრისვე ხელში გადავი-

და ჩვენი ტერიტორიის ნაწილი. დაჭრილი ძმის შთამომავლობა მტრის ტერიტორიასა და ბანაკში გაიხარდა. სხვადასხვა სახელმწიფოს ქვეშ მოქცეულ ძმებს ერთმანეთი დაავიწყდათ. შემდეგ ტერიტორიალურად ისევ გაერთიანდნენ ძმები და მათი შვილთაშვილები, მაგრამ, სჯიმუხურად, ძმები ერთმანეთს ვეღარა სცნობენო... და შემდეგ დაასრულეს მტრის ველზე დაჭრილი ძმის შვილები ჩვენი ვართ, — აჭარლები, ბრძოლიდან სახლში დაბრუნებული ძმის შვილები თქვენა ხართ, — დანარჩენი ქართველები. სატირალია და სავალალოა, რომ ძმები ერთმანეთს ვეღარა ვცნობთ. დეე, ჩვენი საერთო შვილის — მაღლიანი აკაკის სიკვდილმა ყველას აგვიხილოს თვალი და ძმებს ძმები გვაცნობინოს...

მის შემდეგ ილაპარაკეს უკრაინელების, თათრების, სომხებისა და სხვადასხვა ეროვნებისა და კუთხის წარმომადგენლებმა.

ლამდებოდა, როცა აკაკი მამადავითზე მივასვენეთ, მივიყვანეთ იმ ადამიანთან, რომლის ცხედარს აკაკიმ 1907 წელს გულდამწველად უთხრა: „ნახევარი საუკუნეა მე და შენ საქართველოს ვემსახურებით... და თუ საქართველოს სიკვდილი უწერია, ბედნიერი ხარ შენ, რომ მასზე აღრე მოკვდი და უბედური მე, თუ ჩემის თვალით ვნახე მისი სიკვდილი“.

მამადავითზე ბევრი სიტყვა ითქვა მას შემდეგაც, რაც კარგა დაღაშდა და „ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტი სამშობლოს“ ციგმა სამარემ თავისი აკაკი სამუდამოდ მიიბარა...

ყ რ ე ბ ა

1

1903 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში ლეიპციგში, სოფიენშტრასეზე ერთი აღრე ჩასული ამხანაგის ბინას მივაღეჭი.

იმავე ბინაზე მისი ოთახის გვერდით დაგდექი. პირველ ხანებში ქალაქის ქუჩების, მოედნების, ბაღებისა და ვიტრინების დათვალიერება მიზიდავდა. ეს იყო გარეგნული გაცნობა, ზერელე ხედვა ევროპული ქალაქისა, ხოლო ის, რაც ამ შენობებს შიგნით ხდებოდა, მისი შინაური ყოფა, სოციალური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრება, ჩემთვის მიუწვდომელი იყო.

ეხედავდი გაჩირალდნებულ კაფეებს, ოპერის შენობას, თეატრს, დიდრონ, ხუთ-ექვს საათულიან სახლებს, ხოლო მათი ყოველდღიური ცხოვრების აჩუდან, ხელმოკლეობის გამო, შორს ვიყავი.

მართალია, ჩვენთვის ღია იყო უნივერსიტეტის დიდი და მდიდარი ბიბლიოთეკა, მაგრამ მართო წიგნებით ხომ არ შეიძლება ცხოვრების გაცნობა?

მაშინ საზღვარგარეთის ყოველ საუნივერსიტეტო ქალაქში, სადაც კი რუსეთიდან ჩასული სტუდენტები სწავლობდნენ, არსებობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დამხმარე ჯგუფი. ცენტრი ამ ჯგუფებისა ქენევაში იყო. იქ მუშაობდა შტაბი რევოლუციონერებისა. იქ ყალიბდებოდა და კვლავ ისევ რუსეთში ბრუნდებოდა სამუშაოდ, ყანდარმების დევნით შეგაწროებული პროფესიონალი რევოლუციონერი და სასწავლებლად წასული სტუდენტი. ბრუნდებოდა და თან მოჰქონდა რუსეთში არალეგალური ლიტერატურა. იქ იწრთობოდა მისი სოციალისტური შეხედულება, იქ ხდებოდა გაგონილისა და მოსმენილის ათვისება და პარტიის ლოზუნგებით და ტაქტიკით აღჭურვილი კვლავ არალეგალურ მუშაობას ეძლეოდა. თვითმპყრობელურ რუსეთიდან ჩასული ემიგრანტი იქ ისვენებდა და იძენდა ცოდნას.

ქენევაში იმ დროს გამოდიოდა სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანო „ისკრა“. იქვე გამოდიოდა ესერების „Революционная Россия“, «Вестник русской революции», ანარქისტების «Свобода» (პოსესი), მარტინოვისა და აკიმოვის „Рабочее дело“. გამოდიოდა აგრეთვე ბუნდელების, პოლონელების და ლატველების ლიტერატურა, ბონნ-ბრუევიჩის „Разсвет“, ქართველ ნაციონალისტების „საქართველო“ და სხვა.

ყველა იქ ჩასული ეწაფებოდა ამ გამოცემებს და წიგნებს, ისმენდა რეფერატებს და პარტიულ მოხაენებებს. იმ დროს ქენევაში ცხოვრობდნენ

ლენინი, პლენანოვი, მარტოვი, აქსელროდი და სხვები. იქ ყალიბდებოდა პარტიული სიწმინდე, ე. ი. ხდებოდა ერთმანეთისაგან გამიჯვნა. იქიდან ავზავებოდა რუსეთში არალეგალური ლიტერატურა. კვდებოდა ყველი პარტია და მის მაგიერ სდგებოდა ახალი, იქმნებოდნენ ახალი ლიტერატურები.

ჩაეიღოდა თუ არა რუსეთიდან რომელიმე ჯერ კიდევ რევოლუციონერული რევოლუციონერი, მაშინვე მიცვივდებოდნენ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლნი და იწვევდნენ თავიანთ პარტიაში.

მსგავსად ენევისა, ლეიბციგშიც არსებობდა სოც.-დემ. მუშათა პარტიის დამხმარე ჯგუფი. ეს ჯგუფი იყო, რომელიც პარტიული განხეთქილების შემდეგ მთლიანად ბოლშევიკურ პარტიას მიეკედლა. იგი ენევისა და პარიზის ჯგუფების შემდეგ უძლიერესი ჯგუფი იყო საზღვარგარეთის ქალაქებს შორის.

ჩემი ჩასვლის შემდეგ ლეიბციგის ჯგუფი თანდათან ღონიერდებოდა. იგი თავის გარშემო იკრებდა ახალ და ახალ წევრებს. მას კავშირი ჰქონდა გამბული ენევისთან და იქიდან იღებდა „ისკრას“ და სხვა ბროშურებს გასაერყლებლად. იქიდან მოგვდიოდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქის კონსპირატიული მისამართები. ამ მისამართებით ვგზავნიდით რუსეთში არალეგალურ ლიტერატურას.

ჯგუფში მუშაობამ და არალეგალური ლიტერატურის კითხვამ ისე გამოიტაცა, რომ სრულიად არ დავდიოდი ლექციებზე. საგნები ნაკლებათ მიზიდავდნენ. მთელ დროს პარტიულ მუშაობას ვანდომებდი.

როგორი გატაცებით ვეძებდი საქართველოში ყოფნის დროს „ისკრის“ ნომრებს, როგორი აღფრთოვანებით და მოკრძალებით ვკითხულობდი პაპიროსის ქალღღმურე დაბეჭდილ და ჯიბეებში ტარებით დაციკქულ ფურცლებს! ახლა-კი აგერ მაგიდაზე მეწყო მისი ნომრები, მისი სუფთა დაუკეცავი ფურცლები. ასოები ისე გარკვევით ციალებდნენ, როგორც მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავები. აგერ სხვა ბროშურებიც, ფურნალებიც...

ჩასვლისთანავე გავიცანი ლეიბციგის ჯგუფის ხელმძღვანელი მალინოვსკი¹⁾, მაღალი, გამხდარი, წვერებ-მოშვებული კაცი, მუდამ დაკეცილი ჩანთით იღლიაში. ჩანთაში მას მუდამ ენევიდან მოსული ახალი ლიტერატურა ეწყო. შეგვხვდებოდა და შეგვეკითხებოდა—წაიკითხე ლენინის წერილი „ისკრაში“. ჩვენ ვერ ვარჩევდით ხელმოუწერელ წერილებს და არ ვიცოდით, რომელი წერილი ეკუთვნოდა ლენინს და რომელი პლენანოვს. იმას კი კარგად ჰქონდა შესწავლილი ლენინის სტილი. ენევიდან მუდამ ატყობინებდნენ მას პარტიული ცხოვრების ყოველ ახალ ამბავს, ლენინის რეფერატზე გამოთქმულ აზრებს, მის შეხედულებებს, კამათის მსვლელობას პარტიულ კრებაზე. ის მუდამ აღფრთოვანებული იყო „ისკრის“ მიმართულებით. ლენინის დიდი პატივისმცემელი და თაყვანისმცემელი მუდამ გატაცებით ლაპარაკობდა მასზე. პროფესიონალი პარტიული მუშაკი, რუსეთის უნივერსიტეტებიდან რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის რამდენჯერმე გამორიცხული მალინოვსკი ლეიბციგში იმიტომ იყო ჩასული, რომ იქიდან ხელი შეეწყო რუსეთის რევოლუციურ მოძრაობისთვის. ის შარტო ამაზე ფიქრობდა. უნივერსიტეტში კი მხოლოდ სტუდენტად ირიცხებოდა ხოლო ლექციებზე არ დაიარებოდა.

1) ეს ის მალინოვსკი არ არის, შემდეგში რომ პროვოკატორი აღმოჩნდა.

პირველად რომ გავიციანი, არ მიმიზიდა. თავისი მოკლე და გაბუნებული პიჯაკით, დანაოქებული შარვლით, მოღრეცილი ფეხსაცმლით, ვრძელი თმითა და მხრებზე დაყრილი ქერტლით, სიღრმეში წასული ცხრილა თვალებით და ჭაუპარსავე წვერ-ულვაშით ვერ ახდენდა დასწრებულელებას, ვერ გზიბლავდა, მხოლოდ შემდეგში, მისი თვალები რამაღმოსაზრებოდნენ და ულვაშებში მიმალული თეთრი კბილები აელვარებოდნენ, როცა რევოლუციურ მოძრაობაზე, ლენინზე და პარტიულ მუშაობაზე დაგიწყებდა ლაპარაკს, შენც აგაფრთოვანებდა, აგიტაცებდა, მიგზიბიდავდა...

გაცნობისთანავე დამიწყო გამოკითხვა საქართველოში მუშათა მოძრაობის მსვლელობის შესახებ. ჩვენ დავდიოდით ამხანაგებისაგან აჩემებულ კაფეში. იქ უკვე იცნობდნენ მას და მის გრძელ თმასა და წვერულვას უკურადლებას აღარ აქცევდნენ. ქუჩაში-კი გამვლელები შეჩერდებოდნენ, კრძელ თმას დააკვირდებოდნენ და შესძახებდნენ — „ერთი მარკა არა გაქვს თმის გასაკრეპად? მოგკემ, თუ გინდა!“ მალინოვსკი შეჩვეული იყო, ალბათ, ასეთ შეძახებას და უკურადლებას აღარ აქცევდა.

მაგიდებ-ჩამწყვრივებულ რესტორანში შევედით და კუთხეში ერთ მრგვალ მაგიდას შემოვუსხედით. დარბაზის სიღრმეში მუსიკა უკრავდა. ფარეშები დარბოდნენ და ქაფიან ლუდს მოზდილი ჭიქებით მაგიდებზე დგამდნენ, სწრაფად დარბოდნენ მაგიდებს შორის და თეთრი პერანგის გულისპირით და ჰალსტუხით სტუმრების წინ იხრებოდნენ. მალინოვსკიმ ქუდი მოიხადა და გამოიჩინა მისი მოტვლეპილი თავი, ხოლო კეფაზე შავად მიხვეული გრძელი თმა ფოცხვივით ეშვებოდა უკან კისერზე და პიჯაკის საყელს ჯიდად ადგებოდა. ვიწრო, გამხმარი კისერი გახამებული პერანგის საყელსში ჯოხივით იყო ჩარჭობილი. რკალივით შემოჭრილი პიჯაკის კალთები მუხლების ორივე მხარეს გადადიოდნენ. მუცელთან პიჯაკი ერთილით იყო შეკრული. საყელს და სამაჯურებს ჭეჭყისაგან სითეთრე ჰქონდათ დაკარგული.

ლული მოვითხოვეთ. ყველა გამვლელი მალინოვსკის აკვირდებოდა, თავს იქნევდა და შორს ჯდებოდა. მალინოვსკის ლურსმანივით წვეტიანი თვალები ჩემსკენ ჰქონდა მოპყრობილი და უხერხულობას ვგრძნობდი. მის შეკითხვაზე, როგორ მიმდინარეობდა საქართველოში მუშათა მოძრაობა, ვუპასუხებდი, რომ რევოლუციური და პარტიული მუშაობა გაძლიერებულია, მაგრამ არ არის საკმარისი ლიტერატურა და არც მუშაკები მოიბოვებიან. მოთხოვნილება კი დიდია.

— ყველგან ერთი და იგივეა. ვინც ჩამოდის, ყველა მაგას ჩივის. სხვა პარტიები? რას აკეთებენ, მუშაობენ?

— სხვა რომელი პარტიაა?

— აი თუნდ ნაციონალისტები.

— ეგენი ჩვენში ნაკლებად მუშაობენ. თუ არიან, ძალიან უმნიშვნელო ძალას წარმოადგენენ. ჩვენ რუსეთის მუშებს არ გამოვეყოფით, იმათთან ვიბრძობდით. თუ საქართველო ჩემი მამულია, რუსეთი ჩემი სამშობლოა! — ყოყლოჩინობით ვთქვი მე, რადგან ვგრძნობდი, რომ ეს ესაიამოვნებოდა.

გაიღიმა, ტუჩები გააპო და ულვაშებში მიმალული კბილები ააელვარა. ვუყურებდი მას და ვფიქრობდი რუსეთზე. რუსეთის რევოლუციურ ცხოვრებაზე. მალინოვსკის პიროვნება მეხატებოდა, როგორც ტაბიური

ძველი სტუდენტ-რევოლუციონერის ცხოვრება, რომლის ფიქრს გონება და აზრი რუსეთისაკენ არის მიქცეული, ხოლო აქაური ცხოვრება სრულიად არ იზიდავს. ცხოვრობს ის რევოლუციით, რევოლუციისათვის. არ მოსწონს საზღვარგარეთული მემჩანური ცხოვრება. ცოტათუნი ფულს უგზავნიან რუსეთიდან მშობლები თუ ნათესაეები და უცდის, როდის დაიწყება იქ რევოლუცია. შეიძლება რევოლუციას არ დაუცადოს და მალე ისევ რუსეთში დაბრუნდეს არალეგალური მუშაობისათვის. შეიძლება ამისთვის დაიჭიროს და ციმბირშიაც გადაასახლოს. იქიდან გამოიქცევა და კვლავ რევოლუციურ მუშაობას მიეცემა...

— იცნობენ თუ არა საქართველოში ლენინს? — შემეკითხა.

— როგორ არა, მას იქ ბევრი ჰყავს პარტიისმცემელი.

— არა, მას ჯერ კიდევ არ იცნობენ კარგად და ვერც აფასებენ საკმარისად! — ლუდი მოსვა და ქაფით გათხუპნილი უღვაშები ცხვირსაბოციტ მოიწმინდა.— არა, ჯერ კიდევ არ იცნობენ საკმარისად! — და წაღინოვსკიმ აღზნებით და გატაცებით დაიწყო ლაპარაკი ლენინზე. თვალები უბზინაფდნენ, უღვაშებში ჩაფლული ტუჩები მოძრაობდნენ. ნელი, დინჯი, დამაჯერებელი კილოთი აგვიწერდა, თუ რა დიდი რევოლუციონერი, რა ენტუზიასტი და პარტიის უბადლო ორგანიზატორი იყო ის. რა გაშმაგებით იბრძოდა „ისკრის“ რედაქციაში ოპორტუნისტების წინააღმდეგ. — ილიჩა ნამდვილი და უსათუოდ დიდი ძალაა ჩვენი პარტიისთვის... იქნებ როგორმე ჩამოვიყვანოთ ენევეიდან აქ რეფერატის წასაკითხავად.

იმ ღამეს დიდხანს არ დამეძინა. ვბორჯაედი და სულ ლენინზე ვფიქრობდი.

ოჰ, როდის ვინახულე, როდის?

2

ჩემი ჩასვლის ორი თუ სამი კვირის შემდეგ ლეიპციგში მიხვილ დავითაშვილიც ჩამოვიდა. მისი ჩამოსვლა ჩვენი ჯგუფისთვის დიდი შეძენა იყო. მალინოვსკიმ მაშინვე იგრძნო მისი გულწრფელი რევოლუციონერობა, მისი აღფრთოვანებული, პარტიული მუშაობისთვის თავდადებული გატაცება და მალე დამეგობრდნენ კიდევ.

მიხვილ დავითაშვილი აღტაცებით გადასცემდა მალინოვსკის საქართველოში რევოლუციური მოძრაობის შესახებ, ჩვენი აქტიური მუშაობის შესახებ. აღფრთოვანებით ლაპარაკობდა საქართველოს მუშათა მოძრაობის სულის ჩამდგმელ, დიდ ორგანიზატორ და თავგანწირულ რევოლუციონერ იოსებ ჯუღაშვილზე. აღნიშნავდა მის ენერჯიას, მის ბრძოლას ლეგალურ მარქსისტების წინააღმდეგ. ამცნობდა როგორი გატაცებით მისდევდნენ მას საქართველოს ყველა ქალაქის მუშები და როგორ უყვარდათ მისი გამოსვლა მუშათა უბნებში.

სწორად ვაკვირდებოდი მალინოვსკის და დავითაშვილს. ერთმანეთს ვადარებდი მათ და მრავალ მსგავსებას ვპოულობდი. ორივე თავდადებული და პარტიული მუშაობისათვის შეწირული რევოლუციონერი იყო. ორივე წვერიანი იყო, მაგრამ ერთს წაბლისფერი წვერი ჰქონდა, მეორეს კი შავი, დამურასავით გაშლილი; ჩაღამებულ უბნებით და წვერილი შავი თვალებით. ერთსაც და მეორესაც არ ეცალა გარეგნობისთვის ყურადღება

მიექცია. ორივეს გახუნებული პიჯაკი ეცვა, გახუნებული სპელო და დაკუჭნული პალსტუხი ჰქონდა.

მიხეილ დავითაშვილს ძლიერ შეეასწავლეთ პალსტუხის შეკვრა. მუდამ ეწლებოდა, რომელი ტოტი უნდა მოეწია და რომელი შეჭჭკნა. ხან ისე ძლიერ მოიჭერდა, რომ სული ეხუთებოდა და აღარ იტყობდა, როგორ მოეშვა, გვეხერწებოდა — მიშველე, პალსტუხი მიჭერს, მომიშვითო. მანქეტების გაკეთება ხომ წამება იყო მისთვის. ხან ერთი, ხან მეორე მანქეტი მისრიალებდა, ეშინოდა, არ ჩამოვარდნოდა, დიდ თითსა და ნექს იშველიებდა, რომ შეეჩერებინა.

მალინოვსკიმ ვერ მოიშალა ძველი რევოლუციონერების ჩვეულება — გრძელი თმის ტარება, მანქეტს არ ატარებდა, სამაგიეროდ მუდამ გაცვეთილი ჩაწით დადიოდა.

ორივენი — მალინოვსკიც და დავითაშვილიც — მიმზიდველნი, მომზიბველნი იყვნენ. ერთი — რუსი, მეორე — ქართველი. პირველი ლენინის მათაყვანებელი, მისით აღტაცებული. მეორე — სტალინის დიდი პატივისმცემელი, მისით აღფრთოვანებული.

ორივე საზღვარგარეთ იმიტომ იყო ჩამოსული, რომ ცოტა შეესვენათ, ცოდნა შეეძინათ, გაედრმავებინათ, რათა მეტის შესაძლებლობით შედგომოდნენ პარტიულ მუშაობას.

მალინოვსკი აღტაცებული იყო, რომ საქართველოში მუშათა რევოლუციური მოძრაობა ასე მძლავრად იზრდებოდა, ფართოვდებოდა და ისეთი მუშაკი ედგა მას სათავეში, როგორც იყო სტალინი. მალინოვსკის საქართველო იზიდავდა, უყვარდა, ხშირად იტყოდა — რუსეთში რომ დაებრუნდები, უსათუოდ ჩავალ საქართველოში, ცოტახანს მაინც დაერჩები იქ და გავეცნობი იქაურ მოძრაობასო. ნახევრად ველურებად გვთვლიდა და ხშირად გვეკითხებოდა: მართლა ყველას ხანჯალი აქვს წელში გარკობილა და თუ რამე აწყენინე მაშინვე გფუშავს მუცელშიო. ჩვენ ვიცინოდით და ეაშინებდით. ისე შეგვეთვისა და შეგვეყვარა ქართველები, რომ უჩვენოდ ვეღარ სძლებდა, მუდამ ჩვენს წრეში ტრიალებდა და თავის ცნტიმურ ფიქრებსა და აზრებს გვიზიარებდა.

ერთ დილას მალინოვსკიმ ქუჩიდან შემოგვძახა — ჩქარა ჩამოდით, საყურადღებო ახალი ამბავი უნდა გითხრათო. ჩვენც მაშინვე ჩავცვივდით: ნეტა რაშია საქმე, ვეკითხებოდით ერთმანეთს, რა შობდა ასეთი ასე დილა-რან, რომ გვიხმობს და ათრთოლებული ხმით გვეძახის?

— წამოდით ჩემთან! ამაზე ლაპარაკი რესტორანში არ შეიძლება, ჩემთან კი არავინ გარკონებს და უცხო ყურისგან დაცული ვიქნებით. დავითაშვილიც აგერ გვიცდის, — გვითხრა. ჩვენც გავყვივით.

მისი ოთახი მანსარდაშია. ზუთ სართულს აირბენ, დაიღლები, შეეჭკვე სართულის დაბალქერიან დერეფანს გაივლი და მის ოთახში შეხვალ. აქეთ-იქით კედლებთან ჰერი დაშვებულია. მოიღუნები და მაგიდასთან დაჯდები. მაგიდის მეორე მხარეს, დაჭანებულ ჰერქვეშ საწოლი დგას, ხოლო აქეთ მხარეს — დივანი. კუთხეში ტანისამოსის კარადაა ჩუხდებული, — უფერული და მოწყენილი.

მრგვალ მაგიდაზე წიგნები და რვეულები აწყვია, ვაზეთები, გაშლილი ჟურნალები და რამდენიმე ფოტოგრაფიული სურათი: ბოჩკილიანი ტუსალები რუხი ფერის ტანისამოსით, წვერგაბარდულები და დაღლილ-დაქან-

ცულები მიწის საზიდავე ჯაჭვით მიბმულნი დგანან. ციმბირში გადასახლებული სტუდენტები არიან. მათ შორის მალინოვსკიც არის. ჯგუფად შემოხვევიან ვარს მრგვალ მაგიდას. აგერ იქ კიდევ, ყველაზე დიდ ჩარჩოში, თმაშეკრევილ ახალგაზრდა ქალიშვილი, მას ცისფერი მარცხენე კვანძები აქვს, დაღვრემილი გამოიყურება.

ოთახში შემოწეულ დაბალ ფანჯრიდან მოსჩანან სახლის სახურავეები, ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულები, ბუხრის თავები, ხოლო შორს, ქალაქის კიდეში, შავი მხრჩოლავე ბოლი, ხანტად რომ ეფინება მიდამოს. ქალაქის ახმაურებული, მოძრავი ქუჩები და სახლები კი არა სჩანან ფანჯრიდან.

მალინოვსკი თავის ჩანთაში თითებს აფათურებს. ვაზეთებსა და ბროშურებს ალაგებს მაგიდაზე და კიდევ რაღაცას ეძებს. აი იპოვნა, — კონვერტიდან მრავალფურცლიან წერილს ამოიღებს და იმასაც მაგიდაზე დასდებს. სიჩუმეა ოთახში, ვუცდით მის დალაპარაკებას. აგერ პაპიროსი ჩაიდო ტუჩებში, ასანთს ვაკვრა, პაპიროსს მოუყიდა, დაეკუმშული ბოლი ოთახში გაათანტა და დაიწყო, — ჯერ ნელა, დინჯად, შემდეგ კი ალელდა, ხმა აუთრთოლდა. პაპიროსის მოწვევასაც უმატა.

მისი ლაპარაკიდან გავიგეთ იმ უთანხმოების განვითარების ამბავი, რომელიც ლონდონში მოხდა მეორე პარტიულ ყრილობაზე. გავიგეთ, რომ ლენინი ვაადფორებული იბრძოდა ყრილობაზე პარტიის წესდების პირველი მუხლის დასაცავად, რომელიც თვით მან შეიტანა. ამის გარშემო ატეხილა დავა და ყრილობის წევრები ორ ბანაკად ვაყოფილან: უმრავლესობა ლენინის რეზოლუციას უჭერდა მხარს, უმცირესობა ამ რეზოლუციის წინააღმდეგი იყო. განხეთქილება ისე გამწვავებულა, რომ ყრილობის შემდეგაც სასტიკი ხასიათი მიუღივ, და ახლა პარტია, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი, აღარ არსებობდა.

მალინოვსკი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა. ლენინის ბრძოლას იგი ალტაცებაში მოჰყავდა. ოპორტუნისტების გამოსვლას და საქციელს ჰგმობდა და ჩვენც მათ წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოგვიწოდებდა.

ამ განხეთქილებამ ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ნამდვილ რევოლუციურ გზას ლენინის გამოსვლებში ვხედავდით. ჩვენც მას დაეუჭირეთ მხარი.

სალამოს მოვიწვიეთ მთელი ჯგუფის კრება. მოხსენებით ისევ მალინოვსკი გამოვიდა. კამათიც ვაიმართა. მაგრამ ბოლოს მაინც ყველამ ლენინის მიმართულებას დაუჭირა მხარი. დე ამნაირად ლეიციგში, სხვა ქალაქებზე უფრო ადრე, მილაფრი და გარკვეული ბოლშევიკური ჯგუფა დაარსდა.

პარტიული განხეთქილების გამწვავებასთან ერთად ჩვენი ჯგუფი უფრო გაკაჟდა, განმტკიცდა. ახლა უფრო ენერგიულად შეეუდებოდა პარტიულ დავალებების შესრულებას. ჩვენ მაშინვე ვაფრინეთ წერილები საქართველოში მყოფ ამხანაგებთან დე ავუსხენით, თუ რაში მდგომარეობდა სინამდვილე განხეთქილებისა. მკიდრო კავშირი დაეკავიეთ ენევის ბოლშევიკურ ჯგუფთან და ვავაორკეცეთ პარტიული ლიტერატურის გადაგზავნა რუსეთში.

ჩვენი ჯგუფის დანიშნულებას უმთავრესად ენევიდან მოსული ლიტერატურის რუსეთში გადაგზავნა შეადგენდა. ერთ კარგ საშუალებას რუ-

სეთში „ისკრისა“ და სხვა ბროშურების გასაფრელებლად შეადგენდა ჩვენ მიერ ეანდარშების თვალის ასახვევად გამოგონილი ხერხი, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში: სქელ ყვითელ ქაღალდს მილისავეთ ვარგველებდით და შიგ ვახვევდით პაპიროსის ქაღალდზე დაბეჭდილ „ისკრის ნომრებს. ხევიდან კიდევ ყვითელ ქაღალდს ვაწებებდით. ასე რომ ისკრა აღარ სჩანდა, რჩებოდა მხოლოდ ყვითელი მილი. მილში ვდებდით მრგვალად დახვეულ გრაფიურას ან ილუსტრირებულ ჟურნალს, ვითომ იმ მიზნით, რომ სურათები არ დაიკეცოს ან არ დაიქუქკნოს. მილს ვაწერდით ენევიდან მოცემულ მისამართს და ვგზავნიდით რუსეთში. მიწლებმა იცოდა, რომ მილი უნდა გაეჭრა და იქიდან „ისკრის“ ნომრები გადმოცვივლებოდნენ.

ლიტერატურის რუსეთში გადაცემა სხვა მრავალი გზითაც ხდებოდა. ჩვენ მიერ მოგონილი ხერხით ვაგზავნა-კი მარტო ლეიპციგელებმა ვიცოდით.

ამ საქმის გარდა, ჩვენი ჯგუფის მოვალეობას ისიც შეადგენდა, რომ რაიმე მატერიალური დახმარება აღმოგვეჩინა ენევაში ლიტერატურის დაბეჭდვისათვის. ამ მიზნით ვაგროვებდით ფულს ლეიპციგში რუსეთიდან ჩამოსულ ოჯახებში, სტუდენტებში, ვვიდდით ენევიდან მოსულ ლიტერატორას, ემართავდით საღამო-კონცერტებს. აღებულ ფულს ენევაში ვგზავნიდით.

3

პარტიული უთანხმოება თანდათან ღრმავდებოდა, მწვავე ჩახიათს დე-ზულობდა. მალე ლენინმა თავი მიანება „ისკრას“ და თავისი გაზეთი „კპერიოდი“ გამოუშვა. ახალი ორგანოს გამოცემა, საკუთარმა პრესამ ჩვენში აღფრთოვანება გამოიწვია. უკან დახვეისა და შემრიგებლობის გზა შიისპო. ჩამოყალიბდა წმინდა ბოლშევიკური, ნამდვილი რევოლუციონური პარტია. ლენინი ელგა ამ პარტიას სათავეში და ჩვენც გატაცებით მივდევდით მას.

მიხეილ დავითაშვილი, ჩვენი ჯგუფის თვალსაჩინო და ძლიერი წევრი, შენშევიკებს ვერ იტანდა. პირდაპირი, მტკიცე და გაკეცებული ბოლშევიკი, შეგნიშნავდა თუ არა, რომ რომელიმე კითხვაში შემარჯვენებისკენ იტრებოდი, დაუზოგავად, დაუნდობლად დაგიწყებდა კამათს. მისი ცეცხლმოკიდებული თვალები კამათის დროს ნაპერწყლებს აფრქვევდნენ.

დავითაშვილს უბრალოდ ვერ დაუახლოვდებოდი. გავიცნობდა, დაგაკვირდებოდა. შემდეგ ან შეგვიყვარებდა, ან ახლოს არ ვაგვიკარებდა. ამხანაგისთვის არაფერს დაიშურებდა. მუდამ სპეტაკი, სინილისიერი და პატიოსანი, სხვებსაც მასვე მოსთხოვდა, თუ რაიმე თადლითობას შეგამჩნევდა, არ გაპატიებდა.

კარგი კალამი ჰქონდა. ქართული წერა ეხერხებოდა. ამიტომ იოსებ ჯულაშვილი ყოველთვის მას ანდობდა პროკლამაციის ან რაიმე წერილის დაწერას გაზეთისთვის. მეტად უბირი კაცი იყო. ქართლის სოფლიდან გამოსული, ქართლური მოკრძალებული ხასიათით, დიდ მომზადებას მოითხოვდა თავის თავისაგანაც და სხვისაგანაც.

მოუსვენარი იყო. ერთ საქმეს, ერთ მუშაობას დიდხანს არ შერჩებოდა. მალე მოსწყდებოდა და ახლა სხვა ადგილს, სხვა პირობებში იწყებდა მუ-

შობას. მუდამ გაურკვეველ ძიებაში იყო. საღდაც მიისწრაფვოდა, მოხეტიალე ცხოვრებას ატარებდა.

ბოლოს ავი ასეც დაამთავრა თავისი ცხოვრება: მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის არმიის წევრად ჩაეწერა. მაშინ პარიზში ცხოვრობდა. ტურქულეთში ამიტომ წავიდა, რომ ფრანგ და გერმანულ ჯარისკაცთა შორის დამშობილების პროპაგანდა გაეწია და ამით ეროვნული ომის მაგიერ, სამოქალაქო ომი გაეცხოველებინა. ეს იყო მინანი ჯარში მისი წასვლისა. მაგრამ ცხოვრებამ და სინამდვილემ მისი ოცნება დაამსხვრია და თვით ისიც იმპერიალისტურმა ომმა იმსხვერპლა...

ხშირად დავდიოდი მასთან. უიგონებლით საქართველოში მყოფ ამხანაგებს. მუდამ იოსების ხსენებაში იყო. მიწერ-მოწერას არა სწყვეტდა მასთან. იცოდა მისი აზრები ლენინის შესახებ და მუდამ ალტაცებით იგონებდა მას.

ძალიან გატაცებით თამაშობდა ჰადრაკს. მაგრამ ახირებული იყო: უსათუოდ იმას უნდა მოეგო. თუ შეგატყობდა, იმარჯვებდი, რაღაცაზე ავობირდებოდა. თუ არ დაუთმობდი, წაგეჩხებებოდა. იაეთა დამცინავი და ირონიული ღიმილით შემოგხედავდა, რომ უსათუოდ გაცხარდებოდი. შენი გაცხარება მას სიამოვნებას გვრიდა. თვითონ კი დინჯად და წყნარად იღიმებოდა და ფიგურების გადასახმას განაგრძობდა.

ერთად ვსადილობდით. ჩვენი დიასახლისი frau Mökel-ი, მოხუცი და კეთილი ადამიანი, ძალიან იათად გვასადილებდა. მთელ დღეს ვშიშვლობდით, დილასაც და საღამოსაც დაუნაყრებლნი ვჩხებოდით. ასე რომ სიმძიმე ჩვენი კუჭის ავსებისა frau Mökel-ის სადილებს აწევებოდა. ჩვენც მადიანად შევეუდგებოდით ხოლმე შუა მაგიდაზე მდგარ Kartoffelsalat-ით სავსე მათლაფებს და მალე ვცლიდით. დიასახლისი მათ გაეხებას უნდებოდა.

სადილს შემდეგ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მივდიოდით. სამკითხველოში რუსულ და ქართულ გაზეთებს ვკითხულობდით. საქართველოს ამბებს რომ ვგებულობდით, აღზნებულნი და ათრთოლებულნი ვბრუნდებოდით. ერთმანეთს ვუზიარებდით ჩვენ აზრებს და ამა თუ იმ კითხვაზე ვკამათობდით.

— მართლაც, რა ლამაზია ჩვენი სამშობლო, როგორ მიზიდავს და მიხმობს იგი შორიდან! — წამოვიძახე ერთხელ, ქართული გაზეთის წაკითხვის შემდეგ შინ რომ დაებრუნდით.

— სამშობლო! მერე რა არის სამშობლო? — რაღაც ირონიული კილოთი შემეკითხა მიხეილ დავითაშვილი.

— სამშობლო ჩემი კუთხეა, სადაც დავიბადე, ჩვენი ნაყოფიერი ველები, მინდვრები, მდინარეები, მთები, ზღვები, ყანები — რა ვიცი კიდევ რა! აი ის ჩვენი სოფლები, მდინარეების პირად რომ გაფანტულან, მთებში ბუდეებივით რომ შეხიზნულან, აი ის ჩვენი ქალაქები, ქარხნები და ფაბრიკები, რომლებიც ჩვენი მუშების მიერ არიან შექმნილი. სამშობლო — ეს ჩვენი კულტურაა, ჩვენი დიადი წარსული, წინაპართა მიერ სისხლით გაპოხიერებული მიწა. წარსულმა გვანდერძა ჩვენ უძლეველი სული, მოგვცა შოთა, დავით აღმაშენებელი, თამარი...

— ბიჭოს, როგორ ლამაზაკობ შენი მერე, სად არის შენი ინტერნაციონალიზატობა?

— ინტერნაციონალისტობა სრულიადაც არ უნდა უშლიდეს სამშობლოს სიყვარულს.

— ერთი ეს მითხარი, შენი სამშობლოს მდინარის პირად რომ კაპიტალისტმა ქარხანა გახართოს, მისი ტალღებით ზორბლებზე უცხოელებს და ჩვენ მუშას ექსპლოატაცია გაუწიოს, მაშინაც გეყვარებდი, მშვენიერად უარი მდინარე?

— მერე მდინარე რა შეაშია?

— იმაშია, რომ მდინარეც, ტყეც, მინდორიც და ჰაერიც-კი ეკუთვნის არა პროლეტარიატს, არამედ კაპიტალისტთა მცირე ჯგუფს.

— მერე? განა ჩვენ იმისთვის არ ვიბრძვით, რომ ყველაფერი ეს კაპიტალისტებს ხელიდან გამოვაცალოთ? ჩვენი გავხადოთ? ჩვენ კაპიტალისტს შეუძლია თავისი კაპიტალი სხვა ქვეყანაშიაც აწარმოოს...

— ჰო-და მაგას გეუბნები მეც. ვთქვათ, კაპიტალიზმის განვითარების უცილებლობამ შენ მდინარეზე უცხო კაპიტალისტი ჩამოასახლა, უცხო ენით დაგიწყო ლაპარაკი და შენც უცხო ენაზე აგალაპარაკა. დაიწყებ მაშინ ბრძოლას მის წინააღმდეგ?

— მაში უსათუოდ!

— მაშინ ჩვენი ქვეყნის მუშას ზომ სხვა ქვეყნის მუშას შეაბრძოლებ? ეს ზომ ეროვნული ბრძოლა იქნება და არა სამოქალაქო?

— რაც გინდა, ისა სთქვი, ჩემ სამშობლოს არავის დაეუთმობ!

მიხეილ დაეთათვიე! ამაზე გაიცინა, აღარაფერი სთქვა და ჩვენი კამათიც იქამაღ! მშვიდობიანად გათავდა.

სამშობლოს ცნებას ბევრი ამხანაგი უკადურესად ეპყრობოდა, ნიგილისტურად უარყოფდა სამშობლოს და გადაპარბებულ კოსმოპოლიტიზმში ვარდებოდა.

მეორე დილას ჩემი ფანჯრების წინ ქუჩიდან სტვენა მომესმა. გადავიხედე და მიხეილ დაეთათვილის მოლიმარი სახე მეცა თვალებში. გამიკვირდა, იმ დილა-ადრინ რამ მოიყვანა ჩემთან. განცვიფრებული დავაკვირდი. ის კი იცინის, იღიმება და მეძახის:

— ჩამოდი ჩქარა, ჩამოდი, უნდა გახარო რამე.

კიბე ჩავიბრძინე.

— რაშია საქმე?

— იოსებისაგან წერილი მივიღე, აი წაიკითხე.

მე წერილს ვკითხულობ, ის-კი გაიძახის:

— ჰხედავ, როგორ გარკვეულად სეამს საკითხებს, როგორ უახლოვდებიან ერთმანეთს ლენინისა და მისი აზრები? ისე მსჯელობს, თითქო ვენეციაში ყოფილიყვეს, თითქო თვით მიელოს მონაწილეობა მეორე პარტიულ ყრილობაზე მომხდარ განხეთქილებაში. მეტად შეპყვარებია ლენინი, მთის არწივიო, ასე უწოდებს, წაიკითხე?

ვკითხულობ წერილს. რვეულის ცალხაზიან ფურცელზეა დაწერილი; ძალიან წერილი ასოებით. ბევრგან დაწერილს ვერ ვარჩევ, თანაც დავითაშვილი არ მაცდის. თითქო ზეპირად დაესწავლოს წერილი, ისე თანმიყოლებით მეუბნება ყველაფერს, რაც სწერია.

— საკვირველი აღამიანია, საკვირველი! საქართველოს მასშტაბით კი არა, მთელი რუსეთის მასშტაბით არის წინ წასული. როგორ აღფრთოვანებულია ლენინით! იცო, ეს წერილი უნდა გადაეთარგმნოთ და ლენინს

გაუგზავნით ენევეაში, გაუხარდება, როცა გაიგებს, რომ საქართველოში არის ისეთი ამხანაგი, რომლის აზრებიც მის აზრებს ემთხვევიან და რომელსაც ძალიან უყვარს იგი, იმდენად, რომ მთის არწივს უწოდებს...

იმ დღეს, საღამოთი, იოსების წერილი ჯგუფის სხდომის შემდეგ დაეკითხეთ, გავარჩიეთ და მეორე დღეს ლენინს გადავუგზავნეთ ენევეაში.

არანაკლებად განცვიფრებულნი დაერჩით, როცა ენევიდან იმავე კვირაში მივიღეთ ლენინის წერილი, იოსებისადმი მიმართული, სადაც იგი იოსებს მგზნებარე კოლხიდელს უწოდებდა. ეს წერილი იმ დღესვე გადავუგზავნეთ იოსებს მისგან მიღებული მიაამართით.

ასე შეხვდნენ ერთმანეთს წერილებით პირველად ორი დიდი რევოლუციონერი, ორი დიდი პელადი — ლენინი და სტალინი.

4

ჩვენი ჯგუფი გაიტაცა ახალმა გაქანებამ — მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლამ. ჩვენ მხოლოდ პარტიული მუშაობით ვიყავით გატაცებულნი. საესებით მიტოვებული გვქონდა საუნივერსიტეტო მეცადინეობა. ლექციებზე არ დავიარებოდით და არც გამოცდებს ვაბარებდით.

წევრებს გარდა, ჯგუფს ბევრი ჰყავდა პარტიის თანამგრძნობი სტუდენტი, თუ დროებით ლეიბციგში მცხოვრები რუსეთიდან ჩამოსული ოჯახი. მათ შორის გავრცელებლით ლიტერატურას და ვეწეოდით პროპაგანდას, რა მიზნითაც ენევიდან რეფერენტები ჩამოგვყავდა. ცენტრალური ორგანოს მატერიალური დახმარებისთვის ვმართავდით საღამოებს, კონკერტებს და სხვ.

1904 წელს პლენაროვის მოღალატეობით მენშევიკებმა ხელში ჩაიგდეს ცენტრ. ორგანო „ისკრა“, რამაც აუტანელი მდგომარეობა შექმნა. ცენტრალური ორგანო პარტიის დიდი უმრავლესობის, ნამდვილი რევოლუციონერ-მარქსისტული ბოლშევიკების ხელში კი არ აღმოჩნდა, არამედ პარტიის უმცირესობის, ოპორტუნისტ-მენშევიკების ხელში ჩავარდა.

საქმე უფრო გამწვავდა შემდეგში, როცა ცენტრალური კომიტეტი დათმობის გზას დაადგა და „ისკრის“ რედაქციასთან და პარტიის საბჭოსთან შეთანხმდა, ხოლო ლენინს მენშევიკებთან ბრძოლის შეწყვეტა მოსთხოვა. არასტრას ლენინი ადვილად არა სთმობდა თავის პოზიციებს. ახლაც მით უმეტეს არ დასდომოდა გადასწყვეტა თავისი ბოლშევიკური ორგანო გამოეშვა. ასეც მოიჭია. იმავე წელს მან გამოისცა გაზეთი „ვებერიოდი“.

ჩვენ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ჩვენმა ჯგუფმა მიიღო ცნობა ამის შესახებ. მაშინვე გადავწყვიტეთ, მის მატერიალურ დასახმარებლად გაგვემართა საღამო-კონცერტი და მთელი შემოსავალი გავუგზავნა ენევეაში ლენინისთვის „ვებერიოდიზე“ გამოსაცემად.

მიემართეთ ლეიბციგში მცხოვრებ რუსეთიდან ჩამოსულ ოჯახებს, რომელნიც ჩვენს პარტიას თანაუგრძნობდნენ. ლეუბთვ აბრამოვს თავისი მოხუცა დედათ, მამისაგან დატოვებული სიმდიდრით, ლეიბციგში ცხოვრობდა. იგი რევოლუციონერთა წრეში ტრიალებდა, ღარიბ სტუდენტობას ეხმარებოდა და, როგორც თანამგრძნობს, პარტიანი თავისი წვლილი შეჰქონდა. მას იმავე დროს მრავალი ნაცნობი ჰყავდა ლეიბციგის ინტელიგენტურ წრეებში.

დაბალი ტანის, ჰკვიანი და ენერგიული, იგი მუდამ გათხოვებაზე ფიქრობდა, მაგრამ რადგან საქმროს დიდ მოთხოვნას უყენებდა, გათხოვარ არჩებოდა. საღამოების გამართვანი დახელოვნებული იყო და მუდამ ხალისით ჰკიდებდა ხელს ამ საქმეს.

ნ ა რ ე ნ ე უ ლ ი

მას კარგად იცნობდა ჩვენი წრის თანამგზავობი, მოხკიცველ მტკარხნის (თამბაქოს ქარხანა ჰქონდა) შვილი, ვინმე პიგიტი, მარდი სტუდენტი. ისიც მდიდარი იყო და რატომღაც რევოლუციონერებს ცხოვრება მოსწონდა. პარტიულ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ მეგობრული კავშირი და განწყობილება ჩვენთან დიდი ჰქონდა. ქართველები უყვარდა. ცალკე ვილაში ცხოვრობდა და აუარებელ ფულს ხარჯავდა.

თუ დავავალდებით რამეს, სიამოვნებით ასრულებდა. თუ რომელიმე ცნობილ პარტიულ მომუშავეს ვაიცნობდა, თავი მოჰქონდა. ჩვენი ვიცოდით მისი ხასიათი და რეფერატისთვის ენევიდან ჩაქოსულ ამხანაგს მასთან ვაბინავებდით ზოლმე. ისიც სიამოვნებით იღებდა თავის ბინაზე და უხუად უმასპინძლდებოდა.

კამათი უყვარდა, იმტომ კი არა, რომ ჰეშმარიტება გამოეკვლია, არამედ თავისი ცოდნა გამოეჩინა და სხვებს არ ჩამორჩენოდა. ხშირად ცხარედ კამათობდა. თვითმპყრობელობას ვერ იტანდა. მზად იყო თავისი ჭონების დიდი ნაწილი რევოლუციის სასარგებლოდ გადაედო, ოღონდ ცარიზმი დამხობილიყო. რეფერატის დროს, წინა სკამზე ჯდებოდა, იღიმებოდა, დაყენებისას რეფერენტს გარს უჭლიდა, ლაპარაკში უსათუოდ ჩაერეოდა, ცმუტავდა, ყველას ესალმებოდა, რეფერენტს რაიმე შეკითხვით მიმართავდა.

რეფერატის შემდეგ უსათუოდ რესტორანში დაგვატიყებდა. მთელ ხარჯს ის იხდიდა. ჩამოსულს თავისთან წაიქვანდა ღამის გასათევად. ოღონდ მჭორე დღეს რეფერენტი ამხანაგურად გვისაყვედურებდა: მომკლა წუხელის ჩემმა მასპინძელმა, ღამის ოთხ საათამდის ლაპარაკობდა, აღარ დამაძინა, შეკამათებოდა და მიმტკიცებდა, რომ განხუთქილება პარტიისთვის კარგი არ არის, რომ რევოლუციისთვის და ცარიზმის დასამხობად მთლიანობაა საჭიროო. ძალზე უყვარდა თურმე პლენაროვი და სწუხდა, რომ, ის და ლენინი ერთმანეთს დაშორდნენ. თვით პიგიტი, ამ დღეს ყველას ჩამოუვლიდა, ყველას შეხვდებოდა და ეტანებოდა, რომ ჩამოსული ამხანაგი იმ ღამის მასთან იწვია, რომ ბევრი ეკამათა და დაამარცხა კიდევ ზოგიერთ საკითხში. ბოლოს მაინც დაურთავდა: **Ой все-таки с эрудицией, каналья, знаете!**

ეს პიგიტი და ლიუბოვ აბრამოვნა იყვნენ ჩვენი საღამოს მესვეურნი. შესდგა საღამო-კონცერტის მომწყობი კომისია. დავიქირავეთ დიდი საკონცერტო დარბაზი, დავებჭდეთ ბილეთები, მოსაწვევი ბარათები. კონცერტში მონაწილეობის მისაღებად მივიწვიეთ ადგილობრივი ძალები, — ზოგი სასყიდლით, ზოგი უსასყიდლოდ.

იმ საღამოს ლიუბოვ აბრამოვნა დიასახლისობდა. ბილეთების უმეტესი ნაწილიც მან გაჰყიდა. კუთხე რუსული საჭმელებით და ჩაი რუსული საძოვრით მან მოაწყო.

ვცოდით, რომ საღამოზე ყველა სმოკინგში იქნებოდა გამოწყობილი. ჩვენ კი ხეირიანი პიჯაკებიც არ გვეცვა. მიხეილ დავითაშვილი მოვიარდა ჩემთან.

— აბა, ბიჭო, როგორმე გაზამებული პერანგი და თეთრი საყელო უნდა მიშოვნო, თორემ ასე ხომ ვერ წამოვალ საღამოზე!

შოვექმნეთ თეთრი პერანგი და საყელო. მაგრამ ყველა განიერი გამოდგა. ჩაიცივამდა პერანგს, გაიკეთებდა საყელოს და კისეც მისივე მსგავსი აქნედა, რომ საყელო ეგრძნო. ჯოხივით მხრებში ჩაქდრბრლო მსგავსი კისრით და გამხლარი, ძღვებზე მიკრული კანით ის უფრო მანეკეს წააგავდა. მაგრამ სხვა გზა არ იყო, შეეუყარით შავი პალსტუხი. თეთრი გაზამებული განიერი მანეკები პოჯაკის სახელოებს სცილდებოდნენ. შავ გამხმართითებს მარაოსავით შლიდა, რომ მანეკები არ ჩამოვარდნოდა. პალსტუხზე ხშირად ხელს წაივლებდა, ხომ ისევ თავის ადვილზე არისო. შავი გაბურღნული წვერებით ბუსავით გამოიფურებოდა თეთრ პერანგსა და საყელოში...

შეველით საკონცერტო დარბაზის შენობაში. ელექტრონის სხივებით მოფენილ მარმარილოს კიბეებზე თეთრი თუ ოქროსფერი წყვილი ტუფლები სადგებურებზე შირბიან, კაბები შრიილებენ აღმასებ ბზინავენ. სმოკინვეებსა და სერთუკებში გამოწყობილი ვაყები თეთრი გულმკერდით და თეთრი ხელთათმანებით ქალიშვილებს გვერდით მისდევენ.

შეედივართ ქალებით გაშუქებულ დარბაზში. სადღესასწაულო ელფერი აღვეს ყველაფერს. ელექტრონის სხივებზე ბზინავენ და ციალობენ თმაში ვარჯობილი ბრჭყვიალა სავარცხლები, საყურეები და გაშვივლებული, წინ წაზიდული თეთრი გულმკერდი.

დარბაზის კუთხიდან შეეცქერი მორთულ-მოკაზმულ სტუმრებს. ლიუბოვ აბრამოვნა აღესილი და აღელვებული დადის. განკარგულებას იძლევა. სწუხს, რომ რომელიღაც მისი მოპატიებელი სტუმარი არ მოვიდა. რატომ აგვიანებს პილმანი? — ეკითხება ვილაცას.

ხშირად მასთან მიიბრუნენ ხოლმე ატაცებული სტუდენტები, რომელთა მკერდსაც კორპორაციის ნიშანი, ხოლო ლოყას კრილობა, ამშვენებს. რაღაცას ეკითხებიან, ის პასუხს არც-კი აძლევს.

— Ja wohl, ja wohl, Fraulein! — ეტყვიან და თავის ზრდილობიანი დახრით უკან ბრუნდებიან.

უკვე ათი საათია და კონცერტს ვერ იწყებენ. ხალხი ნაკლებადაა დარბაზში. რიგებში აქა-იქ წყვილები სხედან.

მალინოვსკის თმა და წვერე შეუტრეკია. ტანისამოსი გაუშვენდია და ლანდივით დადის დარბაზის გვერდით მდებარე ოთახებში. იქ ბუფეტია მოწყობილი და ისიც ამ ოთახს არა სცილდება. თვალი მოგვკრა. მიგვიხმო. რაღაც მოღუშული სახე აქვს.

— იციო, ჩაეჯექით! არ მოვიდა ხალხი. ხარჯსაც-კი ვერ ავიწინაღურებთ. დავიღუბენით. რა ვეშველება?

— ნუ სწუხართ, ამხანაგო მალინოვსკი, — მიმართავს მას პიეტი, — ვერ კიდევ ჩვენები არ მოსულან. გერმანელები პუნქტუალური ხალხია. ეგენი კონცერტს მოისმენენ, იცეკვებენ და წავლენ. საღამოს ნამდვილი შემოსავალი კი კონცერტის შემდეგია — ბუფეტი, ლატარია და სხვა. ჩვენები კონცერტის შემდეგ მოვლენ საცეკვაოდ და სასმელად. არაყი ხომ საკმარისია? აი ლიუბოვ აბრამოვნას ეკითხათ. ლიუბოვ აბრამოვნა, ლიუბოვ აბრამოვნა — გასძახა პიეტიმა მიმავალ ლიუბოვ აბრამოვნას. — როგორ გგონიათ, ლიუბოვ აბრამოვნა, საღამოდან შემოსავალი ხომ დავერჩება?

— ჯერ არ ვიცი! ვნახოთ, რას მოგვეცემენ ბუფეტი ან ლატარია. ხალხი მაინც ცოტაა.

— არა, დამიჯერებთ, რომ საქმე კარგად წავა! — დაეინებით იძახის პიგიტი.

ლიუბოვ აბრამოვნა მიტრიალდა და ბუფეტისკენ გაიქცა. ახლა იქ მისცა წესრიგი. პიგიტი მალინოვსკის მიუბრუნდა, ეუბნება:

— თუ გინდათ, მომყიდეთ ეს საღამო. ორას მარკას მოგცემთ წმინდა მოგებას. ხარჯს შე გაეისტუმრებ.

მალინოვსკიმ გაიღიმა. მიხედა, რომ პიგიტი მზადაა, თუ წაგება იქნება, თავის ჯიბიდან დაჰფაროს ხარალი და პარტიას დაეხმაროს.

კონცერტი დაიწყო. ყველა იქით გაეშურა. კონცერტის განყოფილების დროს ხალხი ბუფეტში გამოდიოდა. ყველა რუსულ საქმელს ეტანებოდა და რუსულ არაყს.

— ნამდვილი რუსული არაყი, ჰა? ზუბროვკა? დაასხით! — იძახდნენ გერმანელები. აგერ რუსული სამოვარიცი! Wie schön ist es! Kolossal.. მაგრამ, ნამდვილი მუშტრები ბუფეტისა! მაინც რუსები იყვნენ. სვამდნენ არაყს და ატანდნენ დამყავებულ სოკოს.

კონცერტის დამთავრების შემდეგ დარბაზში მარტო რუსობა დარჩა და ნამდვილი საღამოც მაშინ დაიწყო, — დიდ დარბაზში ცეკვავენდნენ, ოთახებში-კი სვამდნენ, მღეროდნენ, ჭეიფობდნენ.

დარჩენილი სტუმრები ლაღად გრძნობდნენ თავს. დიდ ოთახში, სადაც ბუფეტი იყო, ნაგიდების გარშემო ისხდნენ ლეიბციგში სავაჭროდ ჩამოსული რუსი ვაჭრები თუ სტუდენტები. ფარეშებს საქმელი და სასმელი შემოჰქონდათ...

კუთხის მაგიდასთან სხედან მალინოვსკი, პიგიტი, მიხეილ დავითაშვილი და კიდევ ორიოდე ქართველი. ამ სუფრას პიგიტი უმასპინძლდება. მას გადაკერა უყვარს და მალინოვსკიც ხელს არ აკლებს.

— დავლიოთ, ამხანაგო მალინოვსკი! — იტყვის პიგიტი და სასმელს სწრაფად გადაჰკრავენ. მათი სასმელი—არაყი, ბენედიქტინი, შარტრეზი და სხვა ლიკორებია.

მალინოვსკი ჩუმად ზის, წყნარად სვამს, ილუკმება და აქეთ-იქით იყურება, თითქო ვიღაცაზე გულმოსულიო. პიგიტი შეუჩერებლად ლაპარაკობს. ხშირად წამოხტება, ბუფეტთან მივა, ახალ საქმელსა და სასმელს მოითხოვს. იგონებს რუსეთულ სტუდენტურ ცხოვრებას.

ბუფეტთან ხშირად ჩამოდგებიან ხოლმე სმოკინგიანი ზურგები, მარჯვენა მოკაუჭებული მკლავით პირთან არაყს მიიტანენ, კეფას გადააქნევენ და ჰიქას ისევ დაზგაზე დასდგამენ.

წყნარი ლაპარაკი კამათში გადადის. წკარუნებენ ჰიქები, თეფშები. ვახამებული თეთრ-პერანგიანი ფარეშები სირბილით მიდიან ბუფეტთან და სირბილითვე გამოარბიან უკან. თან მოაქვთ ბოთლები, საინები, ჰიქები.

ქალიწვილებს დააქვთ ყვავილები, ლატარიის ბილეთები და დანომრილი წერილები.

ხმაური, მისვლა-მოსვლა, ჰიქებისა და საინების ჩხრიალი, გაძახილი მატულობს. დარბაზში პაპაროსის ბოლი ნისლივით გამდგარა, ქანაობს.

მაგილებთან მსხდომნი სკამების ზურგებს აწევებიან, ბორგავენ და კედლებიც თითქო მოძრაობენ...

უცერად რომელიღაც მაგიდაზე მაღალი ტენორი წამოიწყებს:

„От зари до зари
лишь зажгут фонари,
вереницей студенты шатаются...“.

და, თითქოს ამას მოელოდნენო, მთელი დარბაზი შეინძრევა და მაგილებიდან სხვადასხვა ხმით აპყეებიან:

„Вера чумборлала...
Вера чумборла-ла,
Вера чум, чум, чум...“.

ახლა უკვე ათამაშდება რუსული ძარღვი...

მაგილებიდან მაგილებთან მირბიან, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიან. საესე ჭიჭებს სწევენ და საღვთაგანობებს სვამენ. ღვინოს აქცევენ, პირვეულობენ და ერთმანეთს რაღაცაზე ეტყევიან. იმ მაგიდასთან, საიდანაც ტენორის ხმა გაისმა, ქალები და ვაჟები გროვდებიან, მღერაიან და სიმღერის დამთავრების შემდეგ გაიძახიან:

— აბა, ახლა დუბინუშკა, დუბინუშკა!

— არა ვარშაიანკა, ვარშაიანკა!

— მარსელიოზა, მარსელიოზა!

ერთმანეთში აირევა სხვადასხვა მოთხონა.

უცერად ჩვენს მაგიდაზე მაღინოვსკი შეინძრევა, სკამის ზურგს მიეუღება, ისე რომ სკამი აყირავდება, და ბარიტონის ხმით დაიწყებს:

„Много песенъ слыхал я в родной стороне,
Из про радость, про горе в них пели...“.

მისი ხმა კანკალებს, სხეული თრთის, ბეჭებით სკამის ზურგს აწევბა. კვლავ გაისმის:

Но из песней всех тех в память врезалась мне
Эта песнь о рабочей артели....

და უცბად მთელი დარბაზი ზანზარს დაიწყებს. ქალი თუ კაცი, მომღერალი თუ არა მომღერალი, დისკანტით, ტენორით, ბარიტონით თუ ბანით ერთად შესძახებს:

„Ей, дубинушка, ухнем!
Ей, зеленая, сама пойдет!..
Подернем, подернем, да ухнем!..“.

აწეული ხმების გუგუნე ჰერს სწვდება. დაკომული ძარღვები, მზინიანი თვალები და აღზნებული სახეები კორიანტელივით ბობოქრობენ.

ლიუბოვ აბრამოვნა ჩქარი ნაბიჯით მოიბრუნეს ჩვენთან და გვეუბნება:

— რა დროს სიმღერაა! თუ ეს მოსული ვაჭრები ლატარიაში არ ჩავითრიეთ, შემოსავალი არ გვექნება! — მაღინოვსკის და პავიტს დააკვირდება, მიხედობა, რომ მათი გამოყენება აღარ შეიძლება და ჩვენ მრგებართავს: — წამოდით ჩემთან, დამესმარებით!

ლიუბოვ აბრამოვნა გეიხსნის, რაში მდგომარეობს დახმარება, მას შეუნიშნავს, რომ ერთ ვაჭარს ძალიან უნდა სამოვარი მოეღოს. ანეროეული ლატარიის წყალობით ის უკვე ჩათრეულია და იმდენად, რომ თავს არ დაანებებს, რამდენიც არ უნდა დაუჯდეს. ამიტომ ბუფეტოვს უფლებული ფულით უნდა მივიღოთ ამ აუქციონში მონაწილეობა. *ბიზნესი*

— მე მოგცემთ ფულს და ყოველ მის მომატებაზე, თქვენც მოუმატეთ და აჰყევით. ამას ხომ არ ეტოლინება რომ თქვენ ჩვენიანები ხართ და ამრიგად ფასად დაეუსვამთ ამ სამოვარს.

ჩვენც ასე მოვიქცეთ: ყოველ მის მომატებას მომატებით ვუბასუხებდით და ხეო-მარკიანებს საინზე ვყრიდით.

ჩვენ უკვე სინიღისი გვაწუხებდა, მაგრამ ლიუბოვ აბრამოვნა შეუწყალებელი იყო და არ ინდობდა ამ მატაოც ვაჭარს.

ყველა ამ აუქციონის გარშემო შემოკრბა. დროებით სიმღერაც შეწყდა. ყველას იზიდავდა, რძთ გათაეებოდა შეჯიბრება.

ბოლოს ბუფეტიდან მოცემული ფული შემოგველია. შეჯიბრიც დამთავრდა: სამოვარი ვაჭარმა დაიტოვა.

მაგიდასთან რომ დაესხედით, ლიუბოვ აბრამოვნა ჩვენთან მოვიდა და გვითხრა:

— იცით, რამდენი დაეუსვით იმ კაცს სამოვარი?

— არ ვიცით, მაინც?

— რეაასი მარკა! ეს არის ჩვენი წმინდა მოგება. ის რომ არ ყოფილიყო, დეფიციტი გექნებოდა. ახლა წავიდეს და სადაც თავისი დაიკვებოს, ჩვენიც იქა სოჭვას!

— მაშ თუ ვერცა, დავლიოთ, ლიუბოვ აბრამოვნა! მოითმინეთ, მოითმინეთ! — შესძახებს პიგრიტი. მაგრამ ლიუბოვ აბრამოვნა ხელიდან დაუსხლტება და ბუფეტისაკენ გაიქცევა.

„Крамбамбули отцов наследство,
любимое питье у нас
и вспомогательное средство,
когда вступитесь нам подчас!..“

დაიწყებს სიმღერას პიგრიტი. მას სხვა ხმებიც წაეხმარებიან და დარბაზი კვლავ გულღნით გაივსება.

მალინოვსკი სკამის ზურგს აწეება, პაპიროსის ბოლს ჰაერში ჰფანტავს და, თითქოს ვიღაცას უწყურებოდეს, თვალებს ატრიალებს, აქეთ-იქით იტყირება, მოუსვენრობს...

უცბად წამოხტება. მაგიდას ისე მძლავრად დანარტყამს ხელს, რომ კიბები გადმოცვივდებიან, ღვინო დაიღვრება, საინები დაიშხვრება.

ეს სრულიად მოულოდნელი იყო ჩვენთვის. დავითაშვილი განცვივრებელი შესტყარის და არ იცის, რა უთხრას. წყნარი და მუდამ მშვიდი მალინოვსკი უცბად შეიცვალა: „რა დაემართა?“ ერთმანეთს გვეითხებიან. მაგიდეტიდან წამოდგნენ, ყველამ ჩვენსკენ დაიწყო ტყერა. დავითაშვილმა მალინოვსკის ხელი მოჰკიდა: „ამხანაგო მალინოვსკი, დამშვიდდით, რა დაემართათო“. ამან თითქო უფრო აადლევა, უცბად სკამს მოჰკიდა ხელი, გვერდზე გაისროლა და კარებისკენ გაეშურა. მიეცვივდით. ის კი იმ დარბაზისკენ იწეეს, სადაც ცეკვა, შევანერეთ. მოვუტანეთ პალტო და ქუდი. გვინდა, ჩავაცვათ, მაგრამ არა გვენებდება. „ამხანაგო მალინოვსკი,

როგორ გეკადრებთ, როგორ გეკადრებთ!“ მიმართავს პიტი/ გეკავებულ-
ლი მალინოვსკი ხან გაიცინებს, ხან აღელდება, იმუქრება და დარბაზის-
კენ იწევს.

— ჩაიცვი, წავიდეთ, — ვეუბნები.

— კვი კარგი, წავიდეთ, მოიტა პალტო — მაგრამ ვეუბნები და რომ
ვეტყუებს, უხარია, იცინის.

პალტოს ძალით ვაცმევთ, გახევებული დგას და თვითონაც არ იცის, რა
გააკეთოს, როგორ მოიქცეს.

მოვარდა ლიუბოვ აბრამოვნა.

— მალინოვსკი, ამხანაგო მალინოვსკი! ნუ თუ თქვენა ხართ? რა დაგე-
მართათ?

მალინოვსკი იცინის, იღიმება, თითქო ამბობდეს, რა სულელები ხართ,
რომ ბეოდეთ, რა სულელები!

ადგილიდან შინც არ იძვრის. უნდა ხელები გაინთავისუფლოს, მაგრამ
ჩვენ არ ვუშვებთ, ის კი შირვეულობს.

ლიუბოვ აბრამოვნა გვეხვეწება, გავიყვანოთ როგორმე, — არ ივარგებს,
ხალხი გაგვექცევა, სკანდალია, ამბობს. — განა ამდენი დალია? რა მოუ-
ვიდა?

— ასეთია, როცა დალევს, — ამბობს პეტი, — მაგრამ დღეს რომ ამ-
დენი არ დაულევია?

მივყავს ძალით, კიბეზე თითქმის ჩავათრიეთ.

როცა სუფთა პაერზე გავედით, შევისვენეთ. ისიც დაწყნარდა. შეგვე-
ხეწა, ხელი გავეშვა. ჩვენ გავუშვით. უცბად მოიკუნტა და გაიქცა.
გამოვეციდეთ, მაგრამ ისე გარბის, რომ ვერ ვეწევით. — სად გარბის? რის-
თვის გარბის? ნუ თუ ეს მალინოვსკია?“ დაიდალა სირბილით. ბოლოს
დავეწიეთ. გაჩერდა. იცინის.

— წავიდეთ შინ! მალინოვსკი, შინ წავიდეთ! — ვეუბნებით.

— კარგი წავიდეთ! — და მოგვყვება. ხელს მაინც არ ვუშვებთ.

— გამიშვით, არსად არ წავალ, ოღონდ ხელს ნუ მკიდებთ, — გვიხვეწება.

გაუუშვებთ თუ არა, გაიქცევა. შევარდა ერთ რესტორანში, შევყავით.
ჩამთიარა მაგიდები და ისევ გამოვიდა. განცვიფრებული სტუმრები შე-
მოგვექტირიან და ვერ გავგოთ, რა მოხდა, რისთვის შევედით, რისთვის გა-
მოვედით.

ასე დილამდის, სირბილში, დაქერაში, გაშვებაში მოვიარეთ მთელი
ლეიპციგი. მოვიქანცენით. ისიც დაიდალა. ბინაზე მივიყვანეთ, გავხადეთ
და ლოგინში ჩავაწინეთ. როცა ჩაიძინა, მხოლოდ მაშინ მივატოვეთ მისი
ოთახი...

5

რევოლუციური მოძრაობა რუსეთში თანდათან ფართოვდებოდა. გაფი-
ცვები, დემონსტრაციები, ტერორისტული აქტები ერთმანეთს მისდევდნენ.
სულსკვეთება იხეთა იყო, რომ რევოლუცია არ დაიგვიანებდა. ჩვენც
ველოდით...

და აღსრულდა

ცხრა იანვარს პეტერბურგში მუშების გამოსვლამ ჩვენზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

ზინდლებოდა, როცა ლეიპციგის ქუჩები დეპეშების გამყიდველების ყვირილმა შესძრა: extrablatt! extrablatt! Revolution! *in* Russland, Revolution!

და პატარა ბიჭების წკრიალა ხმები მიწყნარებულ ქუჩებს ედებოდნენ. ჩვენც სასწრაფოდ მოვძებნეთ ერთმანეთი. ქუჩებში დავდიოდით, დეპეშებს ვყიდულობდით და მოულოდნელ ამბისგან ვახარებულნი ვერთოდით. ერთმანეთს შევეცქეროდით ანთებული თვალებით... ასეთი ბედნიერება ამა გვეჯეროდა.

— წავიდეთ „Volkszeitung“-ის რედაქციაში! — სთქვა ერთმა და ჩვენც იქით შევდივართ. იქაც იმავე ამბავს ვგებულობთ, ვგებულობთ, რომ პეტერბურგის მუშებმა თავი მოიყარეს, შეფესთან პეტრიციით წავიდნენ, მუშაობის აუტანელ პირობების შემცირება და სიტყვის თავისუფლება მოსთხოვეს, მან-კი ისინი ჯარისკაცებს დაახერხებინა. მუშები ბრძოლას კვლავ განაგრძობდნენ, მათ ვინმე გააონი წინამძღოლობდა. ჩვენ არ ვიცოდით, ვინ იყო ეს გააონი და რატომ არა სჩანდა ორგანიზატორული ხელი პარტიის ხელმძღვანელობისა...

მოუსვენრად დავდიოდით ქუჩებში, შევდიოდით რესტორანებში, ეხვდებოდით ნაცნობებს, რუს ამხანაგებს, ჯგუფის წევრებს და ვმსჯელობდით ამ გაუგებარი ამბის შესახებ. დეპეშები არ გადმოგვემდნენ სინამდვილეს. ჩვენ სხვანაირად გვეჩანდა წარმოდგენილი რევოლუციის მსვლელობა, მაგრამ ის, რასაც დეპეშებით ვგებულობდით, მაინც გვაფრთოვანებდა. ველოდით, რომ რუსეთის სხვა ქალაქებშიც განმეორდებოდა იგივე ამბავი.

მთელი კვირის განმავლობაში ვნერვიულობდით. გვინდოდა რუსეთის გაზეთებიდან გაგვეგო ნამდვილი ამბავი. მაგრამ მალე ერთმა ნაცნობმა პეტროგრადიდან წერილი მიიღო და იმ წერილიდან გავიგეთ ნამდვილი ვითარება პეტერბურგის ამბებზე. „გწერ სულ ცოცხალი შთაბეჭდილების ქვეშ, — ეწერა წერძლში: ის, რაც მე ვნახე, მისი აწერა თელია. ვცდილობ მაინც დალაგებით მოგიყვე, რაც მოხდა. იანვრის პირველ რიცხვებში პუბლიკის ქარხნებში და სხვაგან ვაფიცვა დაიწყო. გააონის ორგანიზაციის მუშებმა კრება მოახდინეს. აირჩიეს დელეგატებო უნდა მომხდარიყო საერთო ვაფიცვა. და ქარხნებმა სამუშაო შეაჩერეს. გააონი იღვდილია, ახალგაზრდა, კარგი ორატორი. მას მისდევს მუშების მასა. ცხრა იანვრის წინა დღეს დანიშნული იყო გააონის მიერ მოწვეული კრება. დარბაზში გაქედლი იყო მუშებით. ყველას უნდოდა გააონის სიტყვა მოესმინა. მუშებს სწამდათ მისი რჩევა. ენდობოდნენ და კიდევ გაჰყვებოდნენ მას.

ორ საათზე დარბაზში შემოდის გააონი. მისი ხმა ჩახლენილია. მაგრამ პირველსავე სიტყვებიდან დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდება. შიგადაშიგ მოხუცები ტირილს ვერ იკავებენ, ჩურჩულებენ და პირჯვარს იწერენ. გააონი კი გულზე ხელმბდაკრებილი მოუწოდებს მუშებს, მათ ცოლებს და შვილებს, ხელ ცხრა საათისთვის შეიკრიბონ, წავიდნენ მეფის სასახლისკენ და განაცხადონ: არა გვაქვს საშველი შენი ჩინოვნიკებისაგან, მოუწოდებ ხალხის წარმომადგენლებს, რომლებიც ჩვენ გაჭირვებას ვაარ-

ჩვენ... წავიდეთ მეფესთან და თუ არ მოგვისმინოს, მაშინ დავიძახოთ —
„ძირს მეფე! ის ჩვენი მამა არ ყოფილა!“

მღელვარება უმაღლეს წერტილამდის მივიდა. იმ დღეს, როცა ადგი-
ლას მიეწყო მითინგი. ბევრს არ სძინებია ხელონდელის სველი მსახურებისში.

ცხრა იანვრის დილა სუსტი ყინვით გათენდა. მკერდი გამალბებით სცემ-
და. პატარა ნაკადები მუშათა ჯგუფებისა მოდიოდნენ სანაპირო ქუჩები-
დან, გროვდებოდნენ და იზრდებოდნენ. მოდიოდნენ მოხუცი, ლეღები,
თლები, შვილები. თან მოჰყავდათ ზავშვები. შეკრებილი ჯგუფები ზღაზ-
ვით მიემართებოდნენ შუა ქუჩით.

ალექსანდრეს ბაღის ვალაქანზე და ხეებზე ცნობისმოყვარე ახალგაზრ-
დები ჩიტებივით ტოტებზე ჩამოშხლარნი გაოცებით შესცქეროდნენ მო-
მავალ ხალხს. და ყველა მოედანზე, ყველა ვადასახვევთან, ხალხს ხედე-
ბოდნენ შეიარაღებული ცხენოსნები, ეანდარშერია. მაგრამ მუშები არ
იხევენ უკან. ხშირად შეიარაღებული ცხენოსნები მათრახების ქნევით
შეიკრებოდნენ ხოლმე ბრბოში, მაგრამ ხალხი მაინც ემატებოდა და ემა-
ტებოდა. ამ სიჩუმესა და ჯიუტობაში რაღაც ძლიერი და შემადრწუნებე-
ლი იგრძნობოდა.

და აი მოედნიდან გაისმა შემახილი: დაიშალენით, თორემ გესვრითო.
სამკერ განმეორდა შემახილი. ხალხი არ შედრკა. პირიქით, გინებით და
ყიწინით უბასუსხა მან: გვესროლეთ, არ წავალთ! ჩვენ მეფე გვინდა ვნა-
სოთო. და უცრად პირველი რიგი ჯარისკაცებისა იმოქებს. კონდახებს
მხარზე მიიტებს და თითქო მიზანში იღებს. ერთი წუთით აქანდაკებული
ბრბო შედრკება, მაგრამ უკანა რიგებიდან მოწოლილი ძალა კვლავ წინ
წასწევს. წინა რიგში მოხუცები ქუდს იხდიან, ლოცულობენ, პირუჯარს
იწერენ. ამ დროს ოციერის თეთრი ხელთათმანი ჰაერში გაიფლავებს და
დაიოქილი ჯარისკაცების ლულებიდან ცეცხლი ავარდება. დაეცემა ერთი,
დაეცემა მეორე... ისმის ყვირილი, კვნესა, ვოდება, წყველა და გინება.
აგერ დაჭრილი ბავშვი წამოდგომას აპირებს, არა გრძნობს, რომ ტყვია
აქვს მოხედრილი. მაგრამ ეს რა არის? სისხლი? აგერ ზეზე შესკუპებული
ცნობისმოყვარე ბიჭი თავქვე ჩამოევიდება, ჩვარივით ტოტებში გაიხლარ-
თება, მერე უძრავად დაეცემა თოვლზე გასისხლიანებული. წითლად იღე-
ბება დატყეპნილი თოვლი. დაჭრილები მკერდზე ხელს იღებენ, ვეღარ
ღებებიან...

ხალხი შედრკა. ახლა გონს მოდის. ზედავენ დაჭრილებს, დახოცილებს.
მისცვივდებიან მათ, წამოაყენებენ, კრილობას უზევენ, ხელში აიყვანენ,
ჯარისკაცებს უჩვენებენ და უყვირიან: „რა ჰქენით ეს, რა, თქვე ჯალა-
ფებო, მკვლელებო? აისხლის მსმელებო!“

შორეულ ქუჩებში ბარიკადები ამართეს. იარაღის მალაზია აიკლეს. მაგ-
რამ ჯერამა მაინც თავისი გაიტანა. ასობით უნდა იყოს დახოცილი და ათა-
სობით დაჭრილი. დღეს საწყნარეა. მაგრამ რაღაც შინაგანი გუგუნო ის-
მის, ძლიერი და შემზარავი. რა იქნება ზეალ, არ ვიცით. ეს ტალღა მოე-
ღება პროვინციას და, მგონი, რევოლუციის წინაშე ვდგეარო“, — ასე
მთავრდებოდა წერილი.

(გაგრძელება იქნება)

სიხლიუმბრავია

საქართველოს
განმახილებელი

რედაქცია ვახტანგ — „მართალი მოხელეები“

გამომც. „საბჭოთა მწერალი“, 1944 წ.

თანამედროვე ქართული პროზა მდიდარი არ არის სამხელლო ომის თემაზე დაწერილი ნაწარმოებებით. ჩვენი მკითხველი უკვე კიდევ მოელის დიდსა და მნიშვნელოვან წიგნებს, რომლებიც საშუალოდ დარჩებიან ჩვენი მწერლობის საგანძურში, (საკორც იდეოლოგი და მხატვრულად სრულფასოვანი თხზულებები, ამსახველნი ჩვენი ისტორიული დღეებისა.

თანამედროვე საბჭოთა მკითხველი დიდი ინტერესით ეტანება ყოფი — ახალ ნაწარმებს, სადაც ნაჩვენებია სამხელლო ომის ფრონტის და ზურგის ცხოვრება. მას სურს მხატვრული განზოგადების (საშუალებით უფრო ფართო, უფრო ღრმა წარმოდგენა იტონოს ჩვენს გმირულ დღეებზე, ჩვენს სინამდვილეზე, ადამიანებზე, რომლებიც თავისი შედგარი ბრძოლით და თავგანწირვით მტაცედ სწავავენ საბოლოო გამარჯვებას ვერაფ მტერზე.

ჩველენ გვტყობის ნოველების წიგნი ებება ფრონტის ადამიანებს და მათ ცხოვრებას. უკვე ამ მხრივ ეს წიგნი ღირსია დიდი ყურადღებისა და სათანადო შეფასების. წიგნი „მართალი ნოველები“ ვწოდება. მკაცრად თუ განსჯით, შეიძლება აქ ნოველებთან ჩველ გვეყნდეს საჭე, არამედ უფრო ცალკეულ ამბებად. დალაგებულ ერთ მოლიან მოთხრობისთან, სადაც ჩველურად არსებულ ადამიანთა თავგადასავალია მოცემული.

მკითხველს იზიდავს უშუალო გულწრფელობა, რომლითაც მოთხრობილია ეს თავგადასავალი. წიგნი თავიდან ბოლომდე ღრმა და ყოელის დამძლევი ოპტიმიზმით არის გამსჭვალული, — სიყვარული სიციცხლისა, სამშობლოს ერთგულება, დაუტრიაველი ნებისყოფა და ურყევი რწმენა გამარჯვებაში — აი, ეს ყველიშობილი გრძნობებია, რომლითაც დაკავშირებულნი არიან ურთიერთთან ამ წიგნის მოთხრობი გმირები. მათი მეგობრება ზედის თანაზიარობით არის განმტკიცებული, მათი ცხოვრება გამარჯვებულა და გაყვითლშობილებული მამულისადმი სიყვარულისა და თავდადების უწმინდესი შეგნებით.

გან არიან წიგნის გმირები? ეს ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობაა, რომელიც ომის წინ უნივერსიტეტებში სწავლობდა, ქარხნებში მუშაობდა, საკოლმეურნეო მინდვრებს დასტრიალებდა თავს. სამხელლო ომის ქარტახალა შეკურა ისინი ბრძოლის გელზე, დიდმა მოკალეობამ წარმართა მათი ნებისყოფა და სულიერი ენერჯია, სამშობლოსა და ზედადის ერთგულებამ შთაუნერჯა მათ გულში სიმტკიცე, უღრველოება, უახზვირო საქლელი და ვერაფ მტრისადმი.

ახალგაზრდა სამხედრო ექიმი ნოდარი, პარტიზანად ყოდილი სანიტარი ქალ მარინა რადუმკევა, სანიტარი კარენკო, ლეიტენანტი პეტრო და მთელი ვალერება ფრონტის ადამიანებისა რ. ვეტტაძის წიგნში ახალელია, რომორც კოლორიტული წარმომოდგენლები ჩვენი გმირული წითელი არმიის, საუკეთესო გამომხატველნი მისი სულიერი და ფიზიკური თვისებების, მორალის, მაღალი იდეური მიზანწრაფისა.

წიგნში მოთხრობილი ამბები ეკუთვნის 1941 — 42 წლებს, როდესაც წითელი არმია გააუთრებიათ ებრძოდა მოულოდნელად შემოსეულ ვერაგსა და მკენივარე ფაშისტურ მტერს, ღრმა ჭრილობებს აყენებდა მას მადრამ იმავე დროს იძულებულნი იყო უკან დაეხია, დროებით დაეტოვებინა მშობლიური ტერიტორიის საკობი ნაწილი.

ეს მიმე წლები საუკეთესო გამოცდა იყო საბჭოთა ხალხისათვის, გმირული წითელი არმიისათვის. აეტორი გვიჩვენებს თავის გმირების სულიერ სამყაროს, მათს საქციელს კრიტიკულ მომენტებში, მათი ნებისყოფის წრთენას გაქირვების და განსაცდელის დღეებში. ჩვენ ებედავთ მათ ბრძოლაში, მტრის რკალში, მეგობრულ ურთიერთობაში და ყველ

გან ისინი წარმოადგენდნენ, როგორც გმარული სულის, ფაქიზი განცდების, მაღალი ზნეობის და ურყევი ნებისყოფის დადამაინებელი. ისინი არ ყვირიან, არამედ სიჭიქაობენ, მათ არ სწევიათ ფრახები და თავის განზოგნა, — ისინი უზნოდ და სრული შეგნებით მიდიან სახიფათო საბრძოლო, ამოცანის შესასრულებლად, მეგობრის სახსნელად ჯარისკაცის წმინდა ვალის ასასრულებლად.

სამშობლოს სიყვარული და ერთგულება წიგნში ნაჩვენებია, *სანტიმენტალიზმი* სანტიმენტული თვისება საბჭოთა ახალგაზრდობისა. წიგნის მთავარი პერსონაჟები გულწრფელი მეგობრობით არიან ურთიერთთან დაკავშირებულნი. მეითხველის გულს აღვლევებს და ხიბლავს ახალგაზრდა სანიტარი კირენკოს წრფელი გრძნობები თავის უშუალო უფროსის პოლკის ეტიმისადმი, ასეთივე მეგობრული ერთგულებით არიან შეკრულნი ჯარისკაცები სოლოფიოვი და დემჩინკო, ეტიმის ნოდარი და გვიი ყოფიანი, ასევე მომხიბლავი ნიუანსებით არის გადმოცემული წიგნში ახალგაზრდა სანიტარის მარინას უმწიველო რომანტიული სიყვარული, მისი ახალგაზრდული გულწაფუტეა, მისი ქალწულური ოცნება. ტრადიციულია ზედი ამ ახალგაზრდა ქალის, ისე როგორც ზოგიერთი სხვა პერსონაჟისა ამ წიგნში, მაგრამ მილოჩნად ნაწარმოები გამსჭვალულია ღრმა და ურყევი ობტიმიზმით, სწმენით ჩვენს ახალგაზრდობაში, ჩვენი ხალხის დიდ მორალურ ძალაში.

ჩაუდნენ გვეტაძის წიგნის ინტერესს აძლიერებს, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ იქ ნაჩვენებია ქართველი ხალხის აქტიური როლი დიდ სამამულო ომში. საქართველოს რჩეული ახალგაზრდობა, სხვა მოძმე ხალხების შეილებთან ერთად, დიდი რუსი ხალხის შეთაქრობით, მონაწილეა იმ გამარჯვების, რომელიც მოიპოვა საბჭოთა ხალხმა გერია ფინისტრ მტერზე.

წიგნი ინტერესით იკითხება.

გიორგიშვილი

ა. პუშკინი — „ზღაპარი მეფის გემდარ ასულზე და შვიდ გოლიათზე“

(თარგ. ხარიტონ ვარდოშვილისა); საბლიტვაში, 1944 წელი.

ა. პუშკინი თავისი ზღაპრებისათვის ფაბულას იღებდა როგორც რუსული ხალხური ზღაპრებიდან, ისე ევროპულიდან. მაგრამ აღებულ მისიას იმდენად თავისებურად აშუშავებდა, რომ მის ზღაპრებს ძლიერ ცოტა მსგავსება აქვთ პირველწყაროებთან.

პუშკინის ზღაპრები არ წარმოადგენენ უბრალო გასართობ მოთბრობებს, ის ზღაპრის ფორმით აშუალებს თავის მორალურ შეხედულებებს და იძლევა შენიღბულ პოლიტიკურ სატარას.

პუშკინის ზღაპრები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი მის თანამედროვეობასთან. მაგალითად ზღაპარში — „ზღაპარი ოქროს მამალზე“, ბერძენი რამ არის გადაყრით ნათქვამი მეფე ნიკოლოზ პირველისა და თვით პუშკინის ურთიერთობის შესახებ და საერთოდ ეს ზღაპარი წარმოადგენს დაცინვას მეფის რუსეთზე.

ხარიტონ ვარდოშვილის მიერ თარგმნილი „ზღაპარი მეფის გემდარ ასულზე და შვიდ გოლიათზე“, პუშკინს იგებელი აქვს თავისი გამზრდელის არანა რადიონოვის მიერ ნააზობა ზღაპრის ფაბულაზე, მაგრამ, რა თქმა უნდა, პუშკინი იქ დღიად შორდება გამზრდელის ნააზობას, ის მას გამოყენებული აქვს როგორც მხოლოდ საფუძველი თავისი ბრწყინვალე შემოქმედებისათვის.

რუსი მწერალი ა. ხლონიმსკი, პუშკინის შესახებ დაწერილ სტატიაში, აღნიშნავს, რომ „ზღაპარი მეფის გემდარ ასულზე“ ავტორმა დაამთავრა 1833 წლის 4 ნოემბერს და იმავე წლის 30 ოქტომბერს კი პუშკინი სწერდა თავის ცოლს: გავეყრები თუ „შენი სასიამოვნო, უბრალო ტონი“ გამოიყვალე და დაგტყდა ისეთი „ცუდი ტონი“ რაც ახასიათებს მოსკოვის მაღალი წრის ქალებსო, ეს ბარათი უფროდ პპოულობას გამოხმარებებს ჩვენს სარეცენზიო ზღაპარში.

ამ ზღაპარში დაიბრუნებულია ორი ლამაზი ქალი. ერთი დედოფალი მეფის ასულის დედინაცვალი, რომელიც არის პრინცის, ამაყი, ღვიანი და შურიანი ქ. გ. სწორედ „ცულა ტონის“, მეორე: მეფის ასული — თავმდაბალი, წრფელი გრამიანი ილსახე, ყველასათვის კარგის მდომელი და ერთგული თავის საქმროს ქ. გ. ისეთი, რომელსაც იქვს „სასიამოვნო, უბრალო ტონი“ და რომელიც წარმოადგენს — ჰუმეინს იდეალს).

დედოფალს აქვს, ნამზითი, ჯადო-სარკე, რომელიც ადამიანივით ლიპარაკობს და ყველაფერს ხედავს. დედოფალს უყვარს ამ სარკესთან მარტოდ პრინცესა და საუბარი, ის წშირად ეკითხება სარკეს:

„სარკეე ძვირფასო, სინათლევ თვალის,
მინძინე თხოვნა, მითხარ მართალი,
ხომ მე ვარ ქვეყნად ყველაზე კარგი,
ლოყაწითელი და სახე მანგი?“

სარკე მას აქვებს:

„სარკემ მიუგო: მართალი არის —
ქვეყნად ვინ ჰყოვს შენი სადარი.
შენებრ კეკლუცი, ლამაზი, კარგი,
ლოყაწითელი და სახე მანგია.“

მაგრამ ავტორი მეფის ასული დაქალდა, დამშვენდა და სილამაზით სჯობნის დედოფალს; ის უკვე მეფისწულის ელისეის დანიშნულია. ქორწილისათვის ემზადებიან, დედოფალი კახტად ირთვება და მოისურვებს სარკესთან გასაუბრებას, ის მიმართავს ჯადო-სარკეს ჩვეული შეკითხვით: „ხომ მე ვარ ყველაზე კარგი“, მაგრამ სარკე ებლა უპასუხებს: „შენ, რა თქმა უნდა, კარგი ხარ, მაგრამ მეფის ასული გჯობნის სილამაზითო. ბოროტი დედინაცვალი, რომელიც ვერ ურიგდება აზრს, რომ ქვეყნად მისზე ლამაზი ქალი არსებობდეს, დაეაფრებს თავის მსახურს, წაიყვანოს მეფის ასული ულრან ტყეში და იქ დატოვოს, ხელ-ფეხ შეკრული, მხეცების დასაგმელად. მსახურს შეებრალება მეფის ასული და ხელ-ფეხს აღარ შეუკრავს ისე გაუშვებს ტყეში. მეცა ასული უგზო-უკვლოდ ზეტალის დროს წაიწყდება შვიდი გოლიათის სასახლეს. გოლიათები მას ბატონიცემით მიიღებენ, რაგორც დას და ქალიც:

„არ გრძნობს მოწუნვას რაინდთა შორის...
...დიასახლისობს, ჰგვის დარბაზს ფართოს.
ცეცხლს გააჩაღებს, საკმელს ამზადებს,
ზრდილი, ავ სიტყვას არავის ჰქადრებს.
მასაც ბატონს არ აკლებენ ძმები,
და ასე სცელიან დღეებს — დღეები.“

მაგრამ ერთ დღეს, დედოფალი, რომელიც დააწმუნებულა, რომ მეფის ასული შეკადრია, ისევ მიმართავს სარკეს შეკითხვით: ხომ მე ვარ ყველაზე ლამაზი ამ ქვეყნადო. მაგრამ ჯადო-სარკე ეპანება: შენ თუშცა კარგი ხარო —

„მაგრამ შორს, ტყეში, სად კოშკი არის —
ცხოვრობს უცნობი და უჩინარი, —
შვიდ გოლიათთან ასული შწველი,
შენზე ლამაზი და მოშიზღვლეი“.

ამ რიგად დედოფალი იკვებს, რომ მეფის ასული ცოცხალია და ისევ განიზრახავს მის დაღუპვას. იგი მეფის ასულს ბოროტი დედაბრის ხელით გაუგზავნის მოწამულ ვაშლს, რომელსაც ხსული სუამს და კვდება. კვდება, მაგრამ ფერ-ხორციით მიწნარეს უფრო ჰგავს ვინემ მკვლარს, ამიტომ გოლიათი ძმები მას მიწაში არ მარბავენ, — სდებენ ბროლის კუბოში და კუბოს ღვევით მკიდებენ ზოძებზე.

მეფის ასულს დაეძინნ მისი საქმრო ელისეი და, ბევრი ტანჯვა-წამების გამოვლის შემდეგ, მიიგნებს ბროლის კუბოს; ელისეი სასოწარკვეთილი დაეჯახება მას, კუბო დაიმსხვრევა და მეფის ასული გაცოცხლდება. ყველაფერი კეთილიად ბოლოვდება: მეფის ასული დაქორწინდება ელისეიზე, ბოროტი დედინაცვალი კვდება შურისაგან.

ზღაპარი იკითხება შეუნელებელი ინტერესით და იმის დარგმნა დიდ შენაძენს წარმოადგენს ჩვენი აღმზრდელობითი ლიტერატურისათვის.

თარგმანი შესრულებულია ხარტონ ვარდოშვილისათვის ჩვეულებრივი კეთილსინდისიერებით და ძირითადად უთუოდ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებებს, რომელსაც თანამედროვეობა უყენებს მხატვრულ თარგმანს მაგრამ, ჩვენის აზრით, თარგმანის სოციურად-აღვლელი საჭიროებენ შესწორებებს, მაგალითად:

„Сват прелехъ, каръ дах слово,
А придание готово:
Семь торговых городов
Да сто сорок теремов.“

ქართულში
ბიბლიოგრაფია

თარგმნილია:

„მეფეს ეწვია სიძის მზახალი,
უხვი მზითები უკვე მზად არი:
მეფისი სიყვარო ქალაქი — ვრცელი,
და საჯალაბო აურაცხელი.“

აქ უნდა შესწორდეს ორი ადგილი: „მეფეს ეწვია სიძის მზახალი“ არაა სწორი, — აქ ის აზრი არის, რომ მეფესთან მოვიდა სიძის ბაბა, რომელიც „სიძის მზახალი“ ვი არ არის, არამედ მეფის მზახალია; ენიადან სიძე-სძალთ შობლები არიან ერთმანეთის მზახლები. მეორე — მზითვად მიცემული „сто сорок теремов“ არის არა „საჯალაბო-ბი“, არამედ ციხე-კოშკები.

დედანის სტრიქონი: „Это врешь ты мис на зло“.

გადმოთარგმნილია:

„არ ამზობ შარათალს ცილს მწამებ განებ.“

არაა სწორი — სიტყვა „ცილისწამება“ დედანში არაა და არც შეეფერება ამ ადგილს. ჭართელი ენის სისწორის მხრივ სკოდავს ასეთი სტრიქონი: „სარკველთან დასხდა, რაცას მიპყო ზელი“. სხდომა არ შეიძლება ეიხმაროთ მხოლოდით რიცხვში. თარგმანში ეხედებით ასეთ სტრიქონს: „...არა, ლამაზი და ზემზე მშენი“. „რემზე მშენი“ აქ ნახმარია „რემზე მშენიერის“ ნაცვლად, ჩვენის აზრით უმჯობესია ეწება შესწორდეს, საერთოდ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თარგმანი შესრულებულია გამოცდილი ოსტატის ხელით და იგი უაღველად დგას თანამედროვე ლექსით თარგმანის კულტურის შალად დონზე. წინა ლამაზად არის გაფორმებული მხატვარ ს. ვაბაშვილის შიერ.

ბრ. მ. — მ.

პედაგოგიკა I.

საქართველოს სსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, თბილისი, 1944 წელი.

სარეცენზო კრებული საქართველოს სსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის შრომების პირველი ტომია. მის გამოსვლას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში მეცნიერულ პედაგოგიურა აპრობაციებს აქტიუციისა და მეცნიერული გამოკვლევის სისტემატიურად გამოქვეყნებასათვის. სარეცენზო კრებული საწინდარია იმას, რომ დღეიდან ჭართულ პედაგოგიკას საკუთარი ორგანო ექნება.

კრებული იხსნება პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორის დ. ყაფშიძის საპროგნოზო ხასიათის წინასიტყვაობით. იგი მიუთითებს საქართველოში პედაგოგიურ-მეცნიერულ კულტურით მუშაობის ორგანიზაციის არა სათანადო დონეს და სახავს მეცნიერული მუშაობის ძირითად და უცილობელ ამოცანებს.

კრებულში წარმოდგენილია პედაგოგიურ მეცნიერებათა თითქმის ყველა დარგი: — ზოგადი პედაგოგიკა, პედაგოგიკის ისტორია, პედაგოგიური ფსიქოლოგია, მეთოდოკა, აგრეთვე გამოყოფილია ცალკე განყოფილებები: ზნით-ღების დაწესებულებების მუშაობის, კრიტიკა და ბიბლიოგრაფიისა და პედაგოგიურ ბიბლიოგრაფიისათვის.

ზოგადი პედაგოგიკის განყოფილებაში მოთავსებულია დ. ყაფშიძის საყრადღებო გამოკვლევა „პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები“. ავტორი ეხება მეტად რთულ და პრობლემატიურ საკითხს, რეალურ მეცნიერული პედაგოგიკის პირველ საწყისს; ასეთ საწყისს ავტორი პოულობს სკრატეს ფილოსოფიაში. ამ საკითხს შესაბამის ტონებზელი აზრის მიხედვით სკრატეს პედაგოგიური სისტემა არ მქონია, და ყაფშიძე

კდილობს სოკრატეს ფილოსოფიის ეთიკის ანალიზის გზით გააშუქოს სოკრატეს პედაგოგიური შეხედულებები და ჩამოაყალიბოს იგი ვარკვეული სისტემის სახით. ავტორი არ იტყობს აღნიშნული პრობლემის მთლიანად გადაჭრის პეტეტუნას. ეს გამოკვლევა დასაწყისია მომდევნო გამოკვლევების, ანტონიაც აქ მისი მსჯელობები მორიდებული და პრობლემატიკურია, მაგრამ ამ საინტერესო გამოკვლევას დასვენების წესების კატეგორიული ხასიათისა, რაც კრატევი უხერხულობას ბადებს. თუ ავტორს ბუნებას მისი მსჯელობა დაამტკიცოს, სხვების მიერაც სხვა ასპექტში გამოთქმული დებულება, რომ სოკრატე მეცნიერული პედაგოგიკის, დიდაქტიკის პრინციპების მამამთავარია, მან შევეთრად უნდა გამოვიყოს ურთიერთობისაგან, — როგორც საერთოდ, ისე კერძოდ სოკრატეს ფილოსოფიაში, — მთელისა და პედაგოგიკის პრობლემატიკა; ავტორვე ავტორმა უნდა გაარკვიოს, ჰქონდა თუ არა სოკრატეს გაცნობიერებული თავისი მოძღვრების რომელიმე ნაწილი, როგორც პედაგოგიკის სისტემა, თუ გამოკვლევაში მოყვანილი სოკრატის აზრები მხოლოდ ეთიკური ხასიათის მოსაზრებებია, რომელსაც მხოლოდ პედაგოგიკის ისტორიის შევლევარისათვის შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა და ასეც ვარკვეული თვალსაზრისით. მიუხედავად შთელი რაგი სადაო საკითხებისა ეს გამოკვლევა მისასაღებელია. პედაგოგიკის ისტორიის განყოფილება წარმოდგენილია გ. თავიშვილის წერით: „პედაგოგიური განათლება და მისწავლებლობა საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარსა და 80-იან წლებში“. ფაქტურად საკითხი განხილულია 80-იან წლებამდე.

ეს გამოკვლევა მეტად მდიდარი და ცხველი ფაქტური მასალების ნიადაგზე, იძლევა ნათელ ილუსტრაციას საქართველოში პედაგოგიური განათლების მდგომარეობის შესახებ აღნიშნულ პერიოდში. ავტორს მაშინდელი საქართველო პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ განვითარებასთან კავშირში განხილული აქვს ჩვენში სკოლების ორგანიზაცია და მეტად ზღადავდ, პედაგოგიური აზრის განვითარების ისტორია. ჩაეივრებულ მეთოდები ა. სასარგებლო გამოკვლევას, სხვათა შორის, უფროდ წაუყენებდა ერთ ძირითად მოთხოვნებს: პედაგოგიური განათლების ისტორია, ფაქტურად პედაგოგიური აზროვნების სისტემების ისტორია და მეტად სასურველი იქნებოდა, რომ ავტორს როგორც მასალების ანალიზის საფუძველზე დისკუსიები პედაგოგიური აზრის, ავტორის განვითარების გზები, ყოველი სკოლა პედაგოგიური პროცესი ხომ ვარკვეულ პედაგოგიურ პრინციპს, თეორიას ემყარება. სასურველი იყო ავტორს ექნებოდა ასეთი მრინციპების განვითარება მეტბრინტე საუკუნის დასაწყისიდან იაკობ გოგებაშვილამდე. თვით ილიას, გიორგი წერეთლის და იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური პროცესების უფრო ნათლად ჩამოაყალიბება უფროდ უნებლობდა გამოკვლევას ავტორს.

პედაგოგიურ ფსიქოლოგიის განყოფილებაში მოთავსებულია ორი გამოკვლევა: I. რ. ნათაძის „საბუნებისმეტყველო ცნებათა დიდფლებასათვის დაწყებითი სკოლის საფეხურზე“ და II. დ. ჩაბიშვილისა, „ბავშვის ესთეტიკური აღქმის თავისებურება დაწყებითი სკოლის საფეხურზე“. ამ წერილების შინაარსი აღსატრებს, რომ კრებულის რედაქციას მართებული შეხედულება გააჩნია პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის დამკვიდრებლების შესახებ; ფსიქოლოგია, კერძოდ პედაგოგიური ფსიქოლოგია, იკვლევს პედაგოგიკურ პროცესს, სწავლისათვის საჭირო ძალების ფსიქოლოგიურ კანონზომიერებას, პედაგოგია კი თავის თეორიას და პრაქტიკას იყენებს ამ თავის მოსაზრებებ დისკუსიონის მონაღვერს. ამით იკვლევულია პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ფუნქციების აღრევა, ამავე დროს ისინი მეტად საჭიან დახმარებას უწევენ ურთიერთს.

რ. ნათაძის თემის ამოცანას შეადგენს კონკრეტულ საბუნებისმეტყველო ცნებათა გამომწვევების უნარის განვითარების შესწავლა. ამგვარი ცნებების გამომწვევების პროცესი განიხილულია ცნების არსებითი ნიშნების წყდომის ევოლიუციის ასპექტში. ის საბუნებისმეტყველო ცნებები, რომელთა მოწოდება პროგრამით დაწყებითი სკოლის პირველ კლასებისათვის არის გათვალისწინებული, როგორც წესი, იღმად საგნათა ცნებად წარმოადგენენ. მცენარე, ცხოველი, ფრინველი და სხვა ანალოგიური ცნებები, მიმართებითი არ არის პრაქტიკული ცნებათა სწავლაღმდეგოდ განსაზღვრებას კონკრეტულ საგნათა ილქმის ბოლომდე“ (რ. ნათაძე). ამ ნარკვევის ამოცანას დაწყებითი სკოლის ფარგლებში სწორედ ასეთი კონკრეტული საბუნებისმეტყველო ცნებათა დიდფლებას გათვალისწინება შეადგენს. ავტორი ემპირიკურული მეთოდით იკვლევს საკითხს, დამატრებელი ფსიქოლოგიური ანალიზის ნიადაგზე ადგენს მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ კანონზომიერებას, რომელსაც უფროდ ვარკვეული მნიშვნელობა აქვს. პედაგოგიკისათვის, კერძოდ სასწავლო პროგრამის შეტენისათვის, გამოკვლევის ძირითადი დასკვნა მდგომარეობს შემდეგში:

სამავშო ბაღის უფროსი ჯგუფის ბავშვები ახერხებენ მხოლოდ კონკრეტულ მეცნიერულ სამუშაოს მეთვალყურეობა ცნებათა „ფუნქციონალური ექვივალენტების“ დაუფლებაში. უკვე 4 კლასის ბავშვები კი გარკვეული სტიმულიაციის საშუალებით ახერხებენ ფუნქციონალური თვალსაზრისის დამღვევს, ცნებათა არსებითი ნიშნებზე უსრულდობის განსაზღვრებას.

დ. რამიშვილის მეთად სინტეზის გამოკვლევა დაწყებითი სკოლის ბავშვებში ესთეტიკური აღქმის თავისებურებას პრობლემას ეხება. ავტორი კონკრეტულად განსაზღვრავს ამ საკითხის შესახებ არსებულ ლიტერატურას. განსაკუთრებით კრიტიკულად უდგება მიუღი რიგ ცნობილ საზღვარგარეთელ მეცნიერთა შეხედულებებს, რომელთა მიხედვითაც დაწყებითი სკოლის საფეხურზე (11 წლამდე) ბავშვს ნამდვილი ესთეტიკური აღქმის უნარი არ გააჩნია. მართლაც ამ ასაკში ესთეტიკური აღქმის უნარის უზარყოფად უფროდ მივიჩვენებთ დაწყებითი სკოლის ფარგლებში ესთეტიკური აღზრდის უზარყოფად. დ. რამიშვილი დამაჯერებელი ემპირიკული მეთოდით მეთოდით იკვლევს ბავშვის ესთეტიკურ აღქმას, და ადვოკატებს პედაგოგიკის მეთად შინაგნელოვან ფსიქოლოგიურ კანონზომიერებას. ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ბავშვებს აღნიშნულ პერიოდში, სრული შესაძლებლობა აქვთ ნამდვილი ესთეტიკური ხასიათის აღქმისა. ასეთი აღქმის აქვს თავისი სპეციფიკა: ავტორი იკვლევს ესთეტიკური აღქმის განვითარების საფეხურებს და ამ საფეხურებს კავშირს პედაგოგიკურ პროცესთან. დასტურდება, რომ პირველი და მეორე კლასის მოსწავლეებზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ლექსის მუსიკალური და ბგერითი სტრუქტურა. 3 და 4 კლასის ბავშვებისათვის კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შინაარსის ესთეტიკურ მომენტს (ძლიერი, ემოციონალური, ლამაზი სასუბები). ბავშვს უცნობლად გააჩნია პოეტური მანერის შეუცთომელი გრძობა. დ. რამიშვილის წერილი წარმოადგენს პირველი საფეხურის სკოლის პირთბებში, ბავშვის ესთეტიკური აღზრდის სრული შესაძლებლობის ფსიქოლოგიით დასაბუთებას და მიუთითებს საერთოდ ასეთი აღზრდის შინაარსის ფსიქოლოგიურ საფუძვლებზე.

მეთოდის განყოფილებაში დაბეჭდილია ს. ფურცელაძის გამოკვლევა: „Работа над лексикой при изучении русского языка, как не родного“.

გამოკვლევაში ნათლადია ასახული რუსული ენის ქართულ სკოლებში სწავლებისათვის ზეპირი მეტყველებების, როგორც მეთოდის ერთი ლინგვისტური მნიშვნელობა. ავტორს აინტერესებს შემდეგი პრობლემა: ცოდნის რა კომპლექსს მოიცავს ზეპირი მეტყველების საკითხი? როგორია ზეპირი მეტყველების, როგორც მეთოდის გამოყენების ეფექტურობა რუსული ენის შესწავლისათვის? ავტორი პრობლემის გადაჭრისათვის ემყარება ამ საკითხზე არსებულ პედაგოგიკურ, ფსიქოლოგიურ და ლინგვისტური ხასიათის ლიტერატურას, განსაკუთრებით კი საერთო დაკვირვებებს. მარჯვდ იყენებს ფიქოლოგიის უახლოეს მიღწევებს, ყეროდ აკად. დ. უზნაძის დაწყებითი თეორიის, მიუთითებს ენის შესწავლისათვის მეტყველების მოთხოვნების განსაკუთრებულ საიტუაციის ერთიანობის ნიადაგზე წარმონაქმნი, მეტყველების განწყობის მნიშვნელობას. აყენებს ისეთი სიტუაციების კვლევის პრობლემას, რომელიც გააადვილებდა სპონტანური რუსული მეტყველების განწყობის გამოთქმებას. არა რუსულ სწრლებში რუსული ენის სწავლებისათვის ზეპირმეტყველებითი მეთოდის უპირატესობის დასამტკიცებლად ავტორს მოყავს უფროდ დამაჯერებელი ფსიქოლოგიური, ლინგვისტური და პედაგოგიკური ხასიათის მოსაზრებები. საერთოდ გამოკვლევაში სიანს მალაი პედაგოგიკური კულტურა. ეს წერილი უფროდ საუბრეთეს ნიმუშად მეცნიერულ პედაგოგიკური ხასიათის გამოკვლევისა; მხოლოდ გაუგებარია, რატომ დაიბეჭდა იგი ქართულ კრებულში რუსულ ენაზე. იგი ხომ ძირითადში განკუთვნილია ქართველი მოსწავლეობისათვის რუსულ სკოლებში? წერილი აგრეთვე სხვა რიგითი მოსწავლეობისათვისაც უნდა ყოფილიყო მისაწვდომი.

კრებულში მოთავსებულია ვ. ქუჯაიას „სახალხო გართობის სახელმწიფო მუზეუმის 1943 წლის მუშაობის ანგარიში“. კრიტიკა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში დაბეჭდილია რეცენზიები: ი. ბოცვაძის „პედაგოგიკური ინსტიტუტების სამეცნიერო მეთოდის მუშაობა“ და ერ. აბაშიძის: „ფსიქოლოგია ტომი 1“; პედაგოგიკური ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში „დ. ბოცვაძის ნაწერების ბიბლიოგრაფია“.

საერთოდ კრებულის შინაარსი ადასტურებს, რომ მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა და სადაო საკითხებისა, პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის განზრახვა — შენაერული პედაგოგიკის პერიოდული ორგანოს გამოცემა, მტკიცე მეცნიერულ ბაზას ემყარება.



ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა, 1945 წ. 23 თებერვალი № 5
 ქ. მოსკოვი 3

მხატვრული ლიტერატურა

აღ. აბაშელი — წითელ არმიას. საბჭოთა კავშირის გმირს დავით ბაჭყალის წიგნსაცემში, აბრეშუმის ქარხანაში (ლექსები)	6
სერგო კლდიაშვილი — გორგასლანის თასი (მოთხრობა)	10
კოლაუ ნადირაძე — მზეს, როს შენი დილა გამომაცოცხლებს (ლექსები)	16
აკაკი გაწერელია — მოურავი (ნაწყვეტი მოთხრობიდან)	17
სანდრო შანშიაშვილი — დედა (პოემა)	23
როდიონ ქორჭია — მზე წითლად ამოდოდა (მოთხრობა)	40
კალე ბობოხიძე — წერილი პრუსიიდან (ლექსი)	56
ალექსო შენგელია — ლავრენტი ბერია თბილისში, გაზაფხული მოვიდა (ლექსები)	57
ზონდო კეშელავა — დედის სიმღერა, ცაცხვის ჩრდილში (ლექსები)	59
გიორგი კაჭახიძე — სიმღერა (მოთხრობა)	60
პლ. ასანიძე — აკაკი ოპერის ბაღში (ლექსი)	65
ი. გრიშაშვილი — აკაკის უცნობი პიესა	66
აკაკი წერეთელი — განთიადი (პიესა)	71

კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია

გერონტი ქვიციანი — აკაკი წერეთლის ლირიკა	97
გიორგი ნადირაძე — აკაკი წერეთელი და ხალხური მუსიკა	103
აღ. ჭეიშვილი — მხატვრული სახის დინამიკა ვაჟა-ფშაველას პოემებში	108

მეცნიერება და ფილოსოფია

აღ. ჭუთელია — ლ. ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფია და მისი „ძირითადი მარცვალი“	140
--	-----

მრგონებანი

სანდრო შანშიაშვილი — რამდენიმე შეხვედრა აკაკისთან	154
სერგო კლდიაშვილი — მოგონებანი აკაკი წერეთელზე	157
ვარლამ ძიძიგური — აკაკი წერეთელი	162
დავით სულიაშვილი — ყრმობა	169

ბიბლიოგრაფია

მიმომხილველი — რაქდენ გვეტაძე — „მართალი ნოველები“	187
გრ. ცუ — ძე — ა. პუშკინი — „ზღაპარი მეფის მკედარ ასულზე და შვიდ გოლიათზე“	188
ვლ. ნორაიძე — პედაგოგიკა I. საქართველოს სსრ პედაგოგიური მეცნიერებათა ინსტიტუტი, თბილისი, 1944 წ.	199

ფანო 16 825.

45-57/15
საქართველოს
საბჭოთაო
საგარეო
კავშირების
მინისტროს
საბეჭდო
ბიუროს



**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ**

„М Н А Т О В И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ